ბაზისბანკი
BASISBANK

წლიური ანგარიში

2023

სარჩევი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის წერილი 4
გენერალური დირექტორის მიმართვა 7
ფინანსური მაჩვენებლები 12
BB ჯგუფის შესახებ 13
ჯგუფის პროფილი 13
ჩვენი სტრატეგია 16
ჩვენი ისტორია 19
ჩვენი ხალხი 21
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა 25
ბიზნესის მიმოხილვა 27
საცალო ბიზნესი 27
კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესი 37
BB ლიზინგი 50
BB ლიზინგის ბიზნეს მოდელი და სტრატეგია 50
2023 წლის შედეგები 51
BB დაზღვევა 53
BB სადაზღვევო ბიზნეს მოდელი და სტრატეგია 53
2023 წლის შედეგები 54
ბაზრის მიმოხილვა 55
მოკლედ საქართველოს მაკროეკონომიკური გარემოს შესახებ 55
მაკროეკონომიკური მიმოხილვა 55
საბანკო სექტორის მიმოხილვა 60
ცვლილებები საზედამხედველო მოთხოვნებში 61
ფინანსური შედეგების მიმოხილვა 63
მმართველობითი სტრუქტურა 74
2023 წლის სიახლეები 74
ბანკის მმართველობის მიმოხილვა 75
ბანკის მმართველობითი სტრუქტურა 75
სამეთვალყურეო საბჭოს დონის კომიტეტები 78
დირექტორთა საბჭო 80
მმართველი საბჭოს დონის კომიტეტები 82
მმართველობის სხვა ასპექტები 84

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები 90
დირექტორატის წევრები 93
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები (ESG) 100
რისკების მართვა და რისკის სტრატეგია 102
რისკების მართვის ჩარჩო 102
რისკის მართვის სტრუქტურა ბაზისბანკში 104
რისკების მართვის მოდელი 109
ძირითადი რისკები 113
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადებაზე 135
მოქმედ კანონებსა და რეგულაციების შესაბამისობაზე პასუხისმგებლობის განცხადება 136
ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად 137

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის წერილი

მაქვს პატივი, ბაზის ბანკისა და სრულად BB ჯგუფის, კიდევ ერთი პროდუქტიული ფინანსური წელი შევაჯამო. ჩვენ ურყევად მივუყვებით, ჩვენი სტრატეგიის წარმატებით განხორციელების გზას, რომლის მიზანიც, ქართულ ბაზარზე, მე-3 უმსხვილეს უნივერსალურ ბანკად ჩამოყალიბება გახლავთ. მიუხედავად გამოწვევებით აღსავსე გარემოსა, ჯგუფი აგრძელებს სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, რაც ყველა ძირითადი პარამეტრის ჭრილში, მძლავრ ზრდასა და მომგებიანობის მაღალი დონის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ჩვენ უზრუნველვყავით ორგანიზაციული კულტურის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, გავხდით რა მეტად კლიენტებსა და თანამშრომლებზე ორიენტირებულნი. ეს პრინციპები ყოველდღიურ ცხოვრებაში პოლიტიკების, პროცესებისა და შესაბამისი მეტრიკების საშუალებით ხორციელდება.

2023 წელს, ბაზისბანკმა არაერთ მნიშვნელოვან საეტაპო წარმატებას მიაღწია და არაერთი სტრატეგიული ინიციატივა განახორციელა. ჩვენ ძირითადი ყურადღება გავამახვილეთ შიდა პროცესების ტრანსფორმაციაზე, რათა, ერთდროულად, გაგვეუმჯობესებინა მომხმარებელთა გამოცდილება და ბანკის საოპერაციო ეფექტიანობა.

ჩვენი წარმატება, 2023 წელს, დიდწილად განაპირობა კლიენტებთან მდგრად და ორმხრივად მომგებიან ურთიერთობებზე უწყვეტმა ზრუნვამ. ჩვენ კლიენტების საჭიროებებისა და მიზნებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით გამოვირჩევით. ჩვენეული ამოცანა, მუდმივად გადავაჭარბოთ მომხმარებელთა მოლოდინებს, რჩება უცვლელი, იმის მიუხედავად, თუ რა ძალისხმევაა ამისთვის საჭირო: ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების შეთავაზება, პერსონალიზებული მომსახურების გაწევა თუ დამატებითი კომფორტისთვის, ციფრული სიახლეების დანერგვა.

ჩვენს საქმიანობას პროფესიონალთა გუნდი უმაგრებს ზურგს, რომლის მონდომება, კომპეტენტურობა და სრულყოფილებისკენ ურყევი სწრაფვა კვლავ ჩვენი წინსვლის მამოძრავებელია. მათმა გამძლეობამ, მოქნილობამ და მტკიცე ერთგულებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გარე გამოწვევების დაძლევასა და მომავალში ბაზისბანკის მდგრადი ზრდისთვის პოზიციონირებაში.

ჩვენი სტრატეგია

ჩვენი სტრატეგია მთლიანად კლიენტზეა ორიენტირებული: ვცდილობთ შევისწავლოთ მათი საჭიროებები და შევქმნათ მათზე მორგებული ფინანსური პროდუქტები და მომსახურება. შედეგად, ჩვენი კლიენტებისთვის, დამატებით ღირებულებას ვქმნით, რაც გულისხმობს მომხმარებელთა ლოიალურობას და ხანგრძლივ თანამშრომლობას. ეს მიდგომა ბანკის გაზრდილ საბაზრო წილში ვლინდება, რაც კიდევ უფრო ზრდის ღირებულებას მისი თანამშრომლების, მენეჯმენტისა და აქციონერებისთვის.

2022 წლიდან დინამიკური ტრანსფორმაციის ეტაპზე გადავედით და უფრო ფართო ჰორიზონტებზე დავიწყეთ ნავიგაცია. 2023 წლის განმავლობაში ჩვენი სტრატეგიის ოთხი საყრდენის - ზრდის, დიჯიტალიზაციის, ეფექტურობისა და მომხმარებელთა გამოცდილების -

ერთგული დავრჩით და ყველა მიმართულებით თვალსაჩინო პროგრესს მივაღწიეთ. ყველა მათგანზე ზრუნვით, ეთიკური საქმიანობის პრინციპების ერთგულებითა და ჩვენი კლიენტების, პარტნიორების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გრძელვადიანი ერთგულების მოპოვებით, ბანკი ბაზარზე მე-3 უმსხვილეს ბანკად პოზიციონირებას ისახავს მიზნად.

წელი ჯგუფისათვის რეკორდული მოგებით, 77 მილიონი ლარით და 15.7% ROAE-ით დაიხურა. სესხებისა და დეპოზიტების პორტფელები, შესაბამისად, 19% და 12%-ით გაიზარდა. ბანკი კვლავ სათანადოდ იყო კაპიტალიზებული, რასაც ზურგს უმაგრებდნენ აქციონერები და საერთაშორისო პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტები.

ვიმედოვნებთ, მომავალ წლებში, როგორც ერთგული თანამშრომლებისა და მენეჯმენტის მქონე მაღალი ხარისხის ორგანიზაცია, შთამბეჭდავ შედეგებს მივაღწევთ და საბაზრო წილს კიდევ უფრო გავზრდით.

ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში

2023 წელს ჩვენი სამეთვალყურეო საბჭო, ორი ახალი, დამოუკიდებელი, წევრის - ნინო ოხანაშვილისა და საბინა ძიურმანის - დანიშვნით კიდევ უფრო გაძლიერდა. ქალბატონ ძიურმანს აუდიტისა და რისკების მართვის ფართო გამოცდილება აქვს და კიდევ უფრო აძლიერებს საბჭოს შემადგენლობას, განსაკუთრებით რისკების კომიტეტის თავმჯდომარის როლში. ჩვენს სფეროში, მმართველობით რგოლში მუშაობის 20 წელზე მეტი გამოცდილების მქონე, ქალბატონი ოხანაშვილი, დამოუკიდებელი წევრის რანგში კიდევ უფრო გააძლიერებს აუდიტის კომიტეტს. ახალმა წევრებმა საბჭოს დარგობრივი გამოცდილება და ცოდნა კიდევ უფრო გაამრავალფეროვნეს.

ბანკი გააგრძელებს საბჭოს შემადგენლობის, გამოცდილებისა და ექსპერტიზის მუდმივ დაკვირვებას, რათა უზრუნველყოს, რომ მას შესწევს უნარი, დაუსახოს გამოწვევები და მხარი დაუჭიროს დირექტორთა საბჭოს, ჯგუფის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში.

ESG გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრინციპების შესრულება

კლიმატთან დაკავშირებული და სოციალური შესაძლებლობებისა და რისკების მართვის, ინფორმაციის შეგროვებისა და შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ჯგუფი გონივრულ პროგრესს აღწევს. იგი აგრძელებს და აძლიერებს მდგრადი დაფინანსების მიწოდებას ისეთი ბიზნესებისთვის, რომელთა ორგანიზაციული პრიორიტეტები ძირითად საჭიროებებს სცილდება და როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ ასპექტებსაც მოიცავს. ბოლო წლებია, საოპერაციო საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის მიმართ ბანკი მწვანე მიდგომას იყენებს და ახალი სათავო ოფისის მოსაწყობად, მწვანე კონცეფციას განიხილავს.

ჯგუფის შიგნით კვლავ მრავალფეროვნების, თანასწორობისა და მაღალი ეთიკური სტანდარტებს ხელშეწყობის იდეის ერთგულნი ვრჩებით. ვზრუნავთ, რომ არა მხოლოდ საბჭოს დონეზე, არამედ მთელს ორგანიზაციაში, გენდერული, გამოცდილებისა და ეთნიკური წარმომადგენლობის ჯანსაღი ბალანსი დავიცვათ.

სამომავლო ხედვა

წლის მიღწევებს თვალყურს ვადევნებთ და მომავლის გამოწვევებს ვაცნობიერებთ. მუდმივად ცვალებადი გარემო, ტექნოლოგიური მიღწევები და კლიენტთა მოთხოვნების ტენდენციების განვითარება, ჩვენს სფეროში, როგორც შესაძლებლობებს, ისე დაბრკოლებებსაც ქმნის. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი წინდახედული მიდგომითა და სრულყოფილებისკენ სწრაფვის იდეისადმი ერთგულებით, ბაზისბანკი კარგადაა მომზადებული მომავლის სირთულეების წარმატებით გადასალახად და ყველა დაინტერესებული მხარისთვის საუკეთესო შედეგებისა და სარგებლის მოსატანად.

დასასრულს, მინდა ჩვენი აქციონერების მიმართ, ჩვენი ხედვის უწყვეტი მხარდაჭერისა და ურყევი რწმენისთვის, მადლიერება გამოვხატო. ასევე სურს, დიდი მადლიერება გამოვხატო დირექტორთა საბჭოს მიმართ, მათი ერთგულებისა და წარმატების მიღწევის უნარისთვის.

აგრეთვე, მადლობას ვუხდი ჩვენს კლიენტებს, ნდობისა და თანამშრომლობისთვის, რაც მოტივაციას გვაძლევს, რომ თანმიმდევრულად ვიბრძოლოთ სრულყოფილებისთვის. და ბოლოს, საქებარი სიტყვებით მოვიხსენიებ ჩვენს თანამშრომლებს, გაწეული სამუშაოსთვის, ერთგულებისა და გამძლეობისთვის - რადგან ისინი ჩვენი მიღწევების ძირითად მამოძრავებელს წარმოადგენენ.

ჭან ძუნი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

გენერალური დირექტორის მიმართვა

ძვირფასო მომხმარებლებო და აქციონერებო,

ჩემთვის დიდი პატივია, ბაზისბანკის აღმასრულებელი დირექტორის რანგში მოგმართოთ და დეტალური ინფორმაცია მოგაწოდოთ, საქართველოს საბანკო ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის ხედვის, გზისა და შედეგების შესახებ. უწყვეტი განვითარება, მოქნილობა და ერთგულება ბაზისბანკის ძირითადი მახასიათებლებია, რაც მას საშუალებას აძლევს გაუძლოს რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ რყევებს.

ხაზი უნდა გაესვას ბაზისბანკის ურყევ ერთგულებას ხარისხის, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებისა და უნარისადმი, შექმნას დამატებითი ღირებულება ჩვენი კლიენტების, ინვესტორების, თანამშრომლებისა და საზოგადოებისთვის. ჩვენი კლიენტების საჭიროებებსა და მიზნებს, დაარსების დღიდან პირველ ადგილზე ვაყენებთ, ვმუშაობთ იმისთვის, რომ საბანკო მოგზაურობის დროს, ყველა შეხების წერტილში გადავაჭარბოთ ჩვენს კლიენტთა მოლოდინს. ჩვენი მოქნილობა საშუალებას გვაძლევს, ჩვენი მიდგომები ეფექტიანად შევცვალოთ, რათა გავუმკლავდეთ არსებულ გამოწვევებს, მაგრამ ამავდროულად მუდმივად ვრჩებით ჩვენს ძირითად პრინციპებში ფესვგადგმულნი. ჩვენი ერთგული პროფესიონალების შესანიშნავი გუნდის წყალობითა და კლიენტზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელის მხარდაჭერით, დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფებისთვის: აქციონერებისთვის, კლიენტებისთვის, თანამშრომლებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის ღირებული სერვისების მიწოდება შევძელით.

ბიზნეს გარემო

პოსტ-პანდემიური პერიოდის შემდეგ ეკონომიკის გლობალური აღდგენის ტემპი კვლავ ნელია, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: უკრაინაში მიმდინარე ომი, რომელსაც უპრეცედენტო გავლენა აქვს რეგიონსა და მსოფლიოზე, ინფლაციის შესამცირებლად მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ეფექტი, მაღალი ვალის გამო ფისკალური მხარდაჭერის მოხსნა და ზოგადი პოსტ-პანდემიური შედეგები.

ამავდროულად, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი სტაბილურია, წწ მაჩვენებლით 7.5%, და ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია. ეფექტურად ხორციელდება ინფლაციის მაჩვენებლის მართვა, რაც მას სამიზნე 3%-იან ნიშნულის სიახლოვეს ინარჩუნებს, საერთაშორისო ვაჭრობამ ზედიზედ რამდენიმე წლის განმავლობაში სტაბილური ორნიშნა ზრდა დააფიქსირა, ხოლო ტურიზმის შემოსავლები ასევე იმედისმომცემი ტემპით იზრდება და უკვე აღემატება 2019 წლის, პანდემიამდელ, დონეს.

საქართველო რეგიონში მაღალ პოზიციას იკავებს და ბიზნესის კეთების ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად რჩება. გამჭვირვალობის, საჯარო კეთილსინდისიერების, ეკონომიკური თავისუფლების, გლობალური ინოვაციების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, ის მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. მას შემდეგ, რაც საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა და სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა საქართველოს გრძელვადიანი უცხოური ვალუტის ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი (IDR) პოზიტიური პერსპექტივით დაადასტურა, ვფიქრობთ, ხელსაყრელი მდგომარეობა გვაქვს საიმისოდ, რომ ინვესტორების გაზრდილი ინტერესის შესაძლებლობებით ვისარგებლოთ.

საბანკო ტენდენციები საქართველოში

ქართული საბანკო სექტორი მოწინავეა ქვეყანაში ზრდის ტემპით და წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ საკვანძო მამოძრავებელს. ის მუდმივად ვითარდება მარეგულირებელი ცვლილებებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე. სექტორმა გაუძლო და სრულად დაძლია პოსტპანდემიური შედეგები, რომელთაც თან დაერთო რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც, თავის მხრივ, დამატებითი გავლენა იქონია ეკონომიკებსა და საზოგადოებებზე და გამოწვევები შეუქმნა საბანკო სექტორსაც.

იმ კლიენტებს შორის, რომლებიც შეუფერხებელ და მოსახერხებელ საბანკო მომსახურებას ეძებენ, 2023 წელს დიჯიტალიზაციის ტენდენცია შეინიშნებოდა. ბაზისბანკმა ამ გამოწვევას უპასუხა და ციფრული ღირებულების შეთავაზების მთელი პროცესის გადახედვა დაიწყო: ეს უფრო დახვეწილი ფუნქციონალების შემუშავებასა და მომხმარებელთა ციფრული გამოცდილების ტრანსფორმაციას გულისხმობდა.

საქართველოს საბანკო სექტორი საგრძნობლად სტაბილური, მაღალლიკვიდური, კარგად კაპიტალიზებული და ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი სექტორია. მისი მდგრადობა, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული, პოზიტიური პერსპექტივით, კიდევ ერთხელ დადასტურდა. ბაზისბანკი, როგორც ქართული საბანკო სექტორის მოთამაშე, ინოვაციების ხელშეწყობასა და სამუშაოს შესრულების მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებას ესწრაფვის. ტრანსფორმაცია ჩვენთვის მომხმარებელთან ურთიერთქმედების გაძლიერების, პროცესების გამარტივებისა და დინამიურ საბაზრო გარემოში, მდგრადი ზრდის წახალისების შესაძლებლობაა.

საქართველოში 17 ბანკი ფუნქციონირებს, მაგრამ ბაზარზე მაინც ორი უმსხვილესი ბანკის კონცენტრაციაა. ბაზისბანკი გეგმავს შეამციროს ჩამორჩენა და მტკიცედ დაიმკვიდროს მე-3 პოზიციაზე თავი, რითაც ბაზარს მეტ შესაძლებლობებსა და დივერსიფიკაციას შესთავაზებს.

მნიშვნელოვანი შედეგები

ბაზისბანკის აღმასრულებელი დირექტორის რანგში, მოხარული ვარ, ყურადღება გავამახვილო ჩვენი თითოეული ბიზნეს მიმართულების ძლიერ ზრდასა და სტრატეგიულ წინსვლაზე, რომელთაგან თითოეულის როლი გადამწყვეტი იყო ჩვენი კომპანიის გაფართოების მიმართულებისა და ბაზარზე მისი ადგილის განსაზღვრისთვის.

ბოლო წლების განმავლობაში, ძალისხმევა არ დაგვიშურებია, ჩვენი საბანკო ფრენჩაიზის გაძლიერების, ახალი პროდუქტების, ციფრული არხების განვითარებისა და მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესებისთვის. ამ ძალისხმევის წყალობით, მოვახერხეთ, რომ ყველა საკვანძო მაჩვენებლის ჭრილში, ძლიერი შედეგები დაგვეფიქსირებინა.

ჩვენს ხერხემლად, კვლავაც ჩვენი ბიზნეს საბანკო ხაზი რჩება, რომელიც ემსახურება საქართველოს მცირე და საშუალო ზომის კომპანიების, ისევე როგორც მსხვილი კორპორაციების, მრავალფეროვან ფინანსურ მოთხოვნებს. ბანკის მთლიანი პორტფელის წლიური ზრდის მაჩვენებელმა +19.1% შეადგინა, სადაც ბიზნეს სესხები კვლავ რჩება მთავარ მამოძრავებლად, სტრატეგიის განხორციელების საქმეში. ჩვენი ბიზნეს სესხების პორტფელი წლიდან წლამდე +26%-ით გაიზარდა.

პარალელურად, ჩვენმა კორპორაციულმა საბანკო სეგმენტმა ზრდა განაგრძო, რომელიც საიმედო ფინანსური პარტნიორია ბიზნესისთვის, დაწყებული მცირე კომპანიებიდან, დამთავრებული მსხვილი კორპორაციებით. ბაზარზე გაფართოებული წვდომის, გაუმჯობესებული ციფრული გამოცდილებისა და ინდივიდუალურად მორგებული შეთავაზებების მეშვეობით, როგორიცაა ვაჭრობის დაფინანსება, მწვანე დაკრედიტება, სახაზინო მომსახურება და ა.შ., კომპანიებს დავეხმარეთ თავიანთი გაფართოების მიზნების მიღწევაში და ასევე ხელი შევუწყვეთ ქვეყანაში მეწარმეობისა და ეკონომიკის განვითარებას.

2023 წელი, განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ჩვენთვის, ხოლო დაფიქსირებული ციფრები, კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს ჯგუფის სიძლიერესა და შესაძლებლობებს. 2023 წელს მთლიანი საოპერაციო შემოსავლის, შთამბეჭდავი, 13%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რომელიც განპირობებული იყო წმინდა საპროცენტო მოგებისა და საოპერაციო შემოსულობების მაღალი მაჩვენებლებით, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა წმინდა საოპერაციო შემოსავლის 91 მილიონიანი მაჩვენებლითა და წმინდა მოგებით - 77 მილიონი ლარით, რაც წლის ჭრილში, შესაბამისად, 15% და 4%-ით გაზრდილი მაჩვენებლებია. თუმცა, თუ შევხედავთ ნორმალიზებულ ციფრებს, 2022 წელს, პორტფელის შესყიდვის ოპერაციის ერთჯერადი ეფექტის უგულვებელყოფის პირობებში, წმინდა მოგების ზრდის მაჩვენებელი +41.9%-ს აღწევს. ჩვენ მოწადინებულნი ვართ, მომდევნო წლებში, შევინარჩუნოთ ეფექტიანობის მაღალი მაჩვენებელი და ამავდროულად, ეტაპობრივად, შევამციროთ საოპერაციო ხარჯები. 2023 წელს, ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობის მაჩვენებელმა 47.7% შეადგინა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0.6%-ით ნაკლებია.

ერთჯერადი ეფექტებით დაკორექტირებული, საშუალო საკუთარ კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი, პანდემიის შემდგომ პერიოდში უმაღლეს, 15.7%-იან ნიშნულზე დაფიქსირდა, ხოლო საშუალო აქტივებზე უკუგების მაჩვენებელმა 2.4% შეადგინა.

მყარია ჩვენი კაპიტალის მაჩვენებლებიც: ძირითადი პირველადი კაპიტალის დონემ, წლის ბოლოსთვის, 15.10% შეადგინა, ხოლო მთლიანმა საზედამხედველო კაპიტალის დონემ - 18.17%. 2023 წელს, ბანკმა დამატებითი მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტები გამოუშვა: 10 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების სუბორდინირებული ობლიგაციები, 7 მლნ. ლარის ოდენობის სუბორდინირებული სესხი აქციონერისგან და 4.9 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის სუბორდინირებული სესხი საცალო კლიენტებისთვის. აქციონერები განაგრძობენ ბანკის განვითარების მხარდაჭერას. 2024 წლის დასაწყისში, აქციონერებმა ბანკის კაპიტალში დამატებით 10 მლნ. აშშ დოლარი ჩაასხეს. ამჟამად, ბაზისბანკის კაპიტალის საჭიროებები სრულად დაკმაყოფილებულია, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის დონე, მარეგულირებლის დაწესებულ მინიმალურ მაჩვენებელს 2%-ით აღემატება.

BB გუნდი

ამ შთამბეჭდავ შედეგებს, ჩვენი გუნდის თავდადების გარეშე ვერ მივაღწევდით. ბაზისბანკის ოჯახის თითოეული წევრი, დაწყებული ჩვენი ფრონტის თანამშრომლებით, რომლებიც ჩვენს კლიენტებს ინდივიდუალურ მზრუნველობასა და დახმარებას უწევენ, დამთავრებული ჩვენი ეფექტური ლიდერებით, რომლებიც ახალი საზღვრებისკენ მიგვიძღვებიან, სასიცოცხლო როლს თამაშობენ ჩვენი ჯგუფის განვითარებისა და ტრანსფორმაციის საქმეში. კონკურენტებისაგან, მათი ენთუზიაზმი, უნარები და უცვლელი ერთგულება გამოგვარჩევს და გვაძლევს საშუალებას, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ხალხის, კომპანიებისა და ორგანიზაციებისთვის სანდო ფინანსურ პარტნიორად დავრჩეთ.

2023 წელს, მუდმივად ცვალებად გარემოში ტემპის შესანარჩუნებლად და ციფრული ღირებულების შექმნაზე მეტი ყურადღების გასამახვილებლად, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია დავიწყეთ. სტრატეგიული მიმართულებები გამოვლინდა და გარდაიქმნა Agile გუნდებად. ტრანსფორმაცია გავრცელდა სამ ძირითად მიმართულებაზე, ესენია: ციფრული არხები, სესხები და ძირითადი საბანკო პროდუქტები. გუნდებმა წლის განმავლობაში პრიორიტეტული პროექტების განხორციელება დაიწყეს. ეს სტრუქტურა, ბაზისბანკს საშუალებას მისცემს ახალი პროდუქტებისა და სერვისების შექმნისა და მიწოდების დროს, უფრო ეფექტური და მოქნილი იყოს და ახალი გამოწვევების მქონე ინდუსტრიაში, ახალ რეალობასთან უფრო ადაპტირებადი გახდეს.

მინდა ჩვენს ყველა შესანიშნავ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო, წარმოუდგენლად რთული წლის განმავლობაში გამოვლენილი ერთგულებისა და კლიენტებისა და ერთმანეთის მხარდაჭერისთვის. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი პერსონალის შრომისმოყვარეობა და ერთგულება განაგრძობს წარმატებისაკენ სვლას, რადგან ახალი სირთულეებისა და განვითარების შესაძლებლობების ძიებას ვაგრძელებთ.

კონცენტრაცია გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებზე
ბაზისბანკი მიზნად ისახავს საქართველოში მდგრადი საბანკო მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ დაწინაურებას, რასაც შესაბამისი საბანკო პრაქტიკის ინტეგრირებითა და ეკოლოგიურად და სოციალურად პასუხისმგებლიანი პროდუქტების შეთავაზებით აპირებს.

საქართველოს ეკონომიკა განვითარების ეტაპზეა და შესაბამისად, ბიზნესების უმეტესობა, ძირითადი საჭიროებების დაფინანსებას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, არის ორგანიზაციების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც ცდილობენ სტანდარტული საჭიროებების საზღვრებს გასცდნენ და საზოგადოების პასუხისმგებელ მოთამაშეებად პოზიციონირდნენ. მათი მიზანია, გახდნენ უფრო ეკომეგობრული, შეამცირონ გარემოზე უარყოფითი გავლენა, მხარი დაუჭირონ სოციალურად დაუცველ ჯგუფებს და თავიანთი წვლილი შეიტანონ ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრად ეკონომიკაზე გადასვლის საქმეში. ბაზისბანკი მიზნად ისახავს ამ ტიპის ბიზნესების იდენტიფიცირებას და მხარდაჭერას. ბანკი ასევე ცდილობს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე, სხვა ბიზნესებს შორის ცნობიერების ამაღლებას, რათა მათი აზროვნება შეიცვალოს და ეკონომიკური საქმიანობა უფრო ეკოლოგიურად და სოციალურად პასუხისმგებლიანი გახდეს. ამით ბაზისბანკი ხელს უწყობს ბაზრისა და ქვეყნის საერთო გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაზე (E&S) გადასვლას.

აღნიშნული მისწრაფებების რეალიზებისთვის, 2023 წელს შევიმუშავეთ განახლებული ESG სტრატეგია, რომელიც დაეფუძნა მატერიალურობის შეფასებას, რომელშიც, თავის მხრივ, ბანკის ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის - კლიენტების, პარტნიორი IFI-ების, მენეჯმენტის და თანამშრომლების ჩართულობა იქნა უზრუნველყოფილი. სტრატეგია ხაზს უსვამს ეთიკური ბიზნეს პრაქტიკისადმი ჩვენს ერთგულებას, რაც ნახშირბადის კვალის შემცირებიდან და ენერგოეფექტურობის გაზრდიდან დაწყებული, მწვანე და სოციალური ფინანსური პროდუქტების შეთავაზებით და მმართველობის უმაღლესი სტანდარტების შენარჩუნებით დასრულებული, არაერთ ასპექტს აერთიანებს.

მომავლის ხედვა

წინ საინტერესო, ახალი გამოწვევებითა და შესაძლებლობებით აღსავსე წელი გველის. დარწმუნებული ვარ, სრულყოფილებისადმი და მდგრადი ღირებულების შექმნისადმი სწრაფვა, მოქნილობითა და ადაპტირებულობით, რაც სხვა ასპექტებთან ერთად პროდუქტების შეთავაზების გაფართოებას, ციფრული საბანკო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას და კლიენტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერებას გულისხმობს, ჩვენი გრძელვადიანი წარმატების გასაღები, ჩვენი პარტნიორებისთვის კი გაუმჯობესებული ღირებულებას შექმნის საწინდარია.

პატივისცემით,

დავით ცაავა,
გენერალური დირექტორი

ფინანსური მაჩვენებლები

წმინდა მოგება **77** +41.9% YoY	საშუალო აქტივებზე უკუგების მაჩვენებელი **2.4%**	საშუალო საკუთარ კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი **15.7%**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი **137** +8.6% YoY	წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი **37** 36.30%	საოპერაციო მოგება რეზერვებამდე **91** +14.8% YoY
საოპერაციო ხარჯები **83** 12.0%	ხარჯები/შემოსავალი **47.7%**	რისკის ხარჯი **0.18%**
მთლიან სესხების პორტფელი **2,527** 19.1%	მომხმარებლის დეპოზიტები **2,192** 11.8%	სხვა დაფინანსება **774** 8.8%
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი **18.17%**	ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი **136.7%**	წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი **117.2%**

BB ჯგუფის შესახებ

ჯგუფის პროფილი

ჩვენ, საქართველოში სიდიდით მე-4 ფინანსური ჯგუფი ვართ, ბაზარზე 30-წლიანი მოღვაწეობის ისტორიით. ჩვენ ვპოზიციონირებთ, როგორც უნივერსალური ფინანსური ინსტიტუტი, მე-3 უმსხვილესი ბანკის მენტალიტეტით, პასუხისმგებლიანი ბიზნეს საქმიანობით, რაც ჩვენს კლიენტებში, პარტნიორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში გრძელვადიანი ლოიალურობის საწინდარია.



ჩვენ ვართ ბიზნესის მე-3, ხოლო საცალო მომხმარებლების მე-4 უმსხვილესი დამფინანსებელი ბაზარზე. ჩვენი სტრატეგიული მიზანია, მუდმივად გავიმყაროთ პოზიციები საცალო და ბიზნეს მომსახურების ყველა საკვანძო მიმართულებით, რისთვისაც ვიყენებთ ახალ შეთავაზებებსა და კონკურენტული უპირატესობის მქონე გადაწყვეტებს, რომლებიც დამატებით გვაძლიერებენ ჩვენ, როგორც მომხმარებელზე ორიენტირებულ, მომავლის ხედვით აღჭურვილ ბანკს.

მოხარული ვართ, რომ 200 000-ზე მეტ ბიზნეს და საცალო კლიენტს ვემსახურებით, ყველა რეგიონში 40 ფილიალის ქსელითა და 900-ზე მეტი თანამშრომლით ვართ წარმოდგენილი.

ამ ხნის განმავლობაში, ბიზნესის წარმოების უმაღლესი გამოცდილება დავაგროვეთ და ბაზარზე, ბიზნესის მხარდასაჭერად, კონკურენტული უპირატესობა მოვიპოვეთ. ამ ყველაფერს ზურგს მყარი კაპიტალის ბაზა და დაბალანსებული ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა უმაგრებს.

თანმიმდევრულმა ორგანულმა ზრდამ, რომელსაც დამატებითი ბიძგი მისცა, 2022 წელს, საცალო და კორპორატიული ბიზნესების შესყიდვის, წარმატებულმა ოპერაციამ, მიიყვანა ბანკი დინამიური ტრანსპორმაციის ეტაპთან, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა ახალი სტრატეგიული მიზნები.


ჩვენი ბიზნესი

ორი შვილობილი კომპანიის, BB დაზღვევისა და BB ლიზინგის დახმარებით, კლიენტების ყველა სეგმენტს ჩვენი მრავალარხიანი სადისტრიბუციო პლატფორმის მეშვეობით მათზე მორგებულ საბანკო, სადაზღვევო და სალიზინგო მომსახურებას ვთავაზობთ. ამ ხაზების კოორდინირებული ფუნქციონირება, კლიენტთა ყველა სეგმენტზე მორგებული, ფართომასშტაბიანი ფინანსური მომსახურების შეთავაზების **სინერგიას** ქმნის.



როგორ ვქმნით ღირებულებას

პრაგმატული და ანალიტიკური აზროვნების საფუძველზე, ჩვენი კლიენტების საჭიროებების შესწავლა და მოცულობითი მონაცემების ანალიზი, საერთო სურათს გვაძლევს და ამით ჩვენს კლიენტებზე მორგებულ ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებას ვქმნით. შედეგად, ჩვენი კლიენტებისთვის დამატებით ღირებულებას უზრუნველვყოფთ, რაც კლიენტთა ლოიალურობასა და გრძელვადიან თანამშრომლობაში გადაითარგმნება. ჩვენს სტრატეგიაში, კულტურასა და ყოველდღიურ საქმიანობაში ESG პრინციპების ჩართვით, ვცდილობთ, ბაზრის გამოწვევებისა და შესაძლებლობების საპასუხოდ, უწყვეტად განვვითარდეთ.


მიზანი:
უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის შექმნა ჩვენს კლიენტებთან თანამშრომლობით
ჩვენი ღირებულებები:
კოოპერაცია
წინსვლა
ანალიტიკური აზროვნება
მოხერხებულობა
ხარისხი
ჩვენი რესურსები:
ეფექტური, გუნდურ მუშაობაზე ორიენტირებული სტრუქტურა
კლიენტზე ორიენტირებული მრავალწლიანი ბიზნესი
პროფესიონალი, ერთგული თანამშრომლები
გაუმჯობესებული პროგრამული სისტემები და მონაცემთა ღრმა ანალიტიკა
რისკის მართვის ჰოლისტიკური მიდგომა
ძლიერი კაპიტალის ბაზა
ძლიერი ბრენდი
ერთგული მოხმარებლები
მხარდამჭერი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები
ღირებულებებს გადავცემთ:
მომხმარებლები: მომხმარებლის ინტეგრირებული გამოცდილება, მომსახურების მაღალი სტანდარტები ყველა არხზე, სპეციალიზებული გამოცდილება სხვადასხვა ბიზნეს სექტორში
აქციონერები: მზარდი ინვესტიციები, ძლიერი მომგებიანობა
თანამშრომლები: სტაბილური და გამოწვევებით სავსე სამუშაო გარემო, უწყვეტი პროფესიული განვითარება, თანასწორობა, ჩართულობა და მრავალფეროვნება, მაღალი ეთიკური სტანდარტები
საზოგადოება: განვითარებადი ოჯახები და ბიზნესი, მწვანე და მდგრადი გავლენა

ჩვენი სტრატეგია

ჩვენი ხედვა

ჩვენ გვსურს შევქმნათ მომავლის ბანკი, გამარტივებული პროცედურებითა და მოქნილი მომსახურებით, რომელიც ერთ სივრცეში მრავალფეროვან პროდუქტებსა და მომსახურებას გააერთიანებს, ადაპტირებული იქნება კლიენტის საჭიროებებსა და მათ საშუალებას მისცემს შედეგს უფრო სწრაფად, მარტივად და კომფორტულად მიაღწიონ. ჩვენი უმთავრესი მიზანია, კლიენტებს ყოველდღიური ცხოვრება გავუმარტივოთ და საჭიროებისებრ გავზარდოთ ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობა.

ვმუშაობთ იმისთვის, რომ ინოვაციურობით, სიახლეების ძიებითა და კლიენტზე ორიენტირებით, გავუსწროთ კლიენტის მოლოდინს, და ფინანსურ საკითხებში ერთგული და სანდო თანამგზავრი გავხდეთ.


ჩვენი სტრატეგია

წლების განმავლობაში ჩვენი სტრატეგია უწყვეტი განვითარება და ბაზარზე მეტი საბაზრო წილის მოპოვება იყო. თანმიმდევრულმა ორგანულმა ზრდამ, რომელსაც დამატებითი ბიძგი მისცა, 2022 წელს, საცალო და კორპორატიული ბიზნესების შესყიდვის, წარმატებულმა ოპერაციამ, მიიყვანა ბანკი დინამიური ტრანსპორმაციის ეტაპთან, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა ახალი სტრატეგიული მიზნები.

ამჟამად ჩვენი მიზანი მომხმარებლის საჭიროებების გაცნობიერება და მათთვის ღირებულების შექმნა, მათ პირად და ბიზნეს მოთხოვნებზე მორგებული მომსახურებებისა და პროდუქტების შეთავაზებაა. ეს მიდგომა ბანკის საბაზრო წილის გაზრდას გულისხმობს, რითაც მეტ ღირებულებას უქმნის მის თანამშრომლებსა და აქციონერებს.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი სტრატეგია ოთხ პრინციპს ეფუძნება: ზრდა, დიჯიტალიზაცია, ეფექტურობა და მომხმარებელთა გამოცდილება. თითოეული მათგანი რამდენიმე მიმართულებით იშლება.


სტრატეგია



ყველა მათგანზე ზრუნვით, ეთიკური საქმიანობის პრინციპების ერთგულებითა და ჩვენი კლიენტების, პარტნიორების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გრძელვადიანი ერთგულების მოპოვებით, ბანკი ბაზარზე მე-3 უმსხვილეს ბანკად პოზიციონირებას ისახავს მიზნად.

ციფრული სტრატეგია

ბანკმა ციფრული სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც ბანკის საერთო სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია.



ზემოთ აღწერილი სტრატეგია, ორიენტირებული უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაზე, რაც უზრუნველყოფს, რომ ახალი და გაუმჯობესებული ციფრული სერვისები, არა მხოლოდ მომხმარებლის მიმდინარე საჭიროებებს დააკმაყოფილებს, არამედ ძლიერი და უსაფრთხო იქნება და სრულად უპასუხებს მომხმარებლის მომავალ საჭიროებებს.

მობაილ ბანკის ახალი ვერსია, რომელიც 2024 წელს გაეშვება, ხაზს უსვამს მომავლის ხედვით გამსჭვალულ მიდგომას, რომელიც საბანკო გამოცდილების გასაუმჯობესებლად, ინდუსტრიის ინოვაციებთან და მომხმარებელთა მოლოდინთან შესაბამისობაში მოსაყვანად, უახლეს ტექნოლოგიებს იყენებს.

რა უზრუნველყოფს ჩვენი სტრატეგიის აღსრულებას

მაღალკვალიფიციური მენეჯმენტი და გუნდი, კლიენტზე ორიენტირებული ბიზნესმოდელი, ერთგულ კლიენტთა ბაზა და აქციონერებისა და საერთაშორისო პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერა, ჩვენი სტრატეგიული მიზნების მიღწევის მთავარი საშუალებებია. ყველა ამ სტრატეგიული ქვაკუთხედით, მომავლის ბანკს ჩავუყარეთ საფუძველი და მზად ვართ მდგრადი მომგებიანობა და აქციონერთა ღირებულების მაქსიმალურად გაზრდა უზრუნველვყოთ.

მენეჯმენტი და გუნდი

- მენეჯმენტი, რომელსაც კრიზისის მართვის და სტრატეგიული შერწყმების დიდი გამოცდილება აქვს, თანმიმდევრულად უძღვება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას.
- სფეროს სიღრმისეული ცოდნით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული გუნდი.
- ეჯაილ ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც სწრაფი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.

ბიზნეს მოდელი

- კლიენტზე ორიენტირებული ბიზნესმოდელი
- ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები პროდუქციის მრავალფეროვან ასორტიმენტს ქმნის; მათი კოორდინირებული თანამშრომლობა მნიშვნელოვან სინერგიებს ქმნის, რაც აძლიერებს საერთო ეფექტურობას.

აქციონერებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მტკიცე მხარდაჭერა

- ბანკს აქვს ძლიერი კაპიტალი და სტაბილური მხარდაჭერა მისი აქციონერებისგან.
- ის ასევე სარგებლობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმდინარე პარტნიორობით, რომლებიც მას მხარს უჭერენ დაფინანსებით, გრანტებით, სპონსორობით, ტექნიკური დახმარებითა და მენეჯმენტის გაუმჯობესებით.

ერთგული კლიენტების ბაზა

- ბანკი კლიენტებს ინარჩუნებს დაარსების დღიდან, რითაც ხელს უწყობს მათ ძირითადი მიზნების მიღწევაში.
- კლიენტის საჭიროებების გამოვლენა, ბანკის ბიზნეს ციკლის საწყის ნაბიჯს წარმოადგენს.

ჩვენი ისტორია

ბაზისბანკის (შემდგომში - ბანკი ან BB) ისტორია 1993 წელს იწყება. თბილისში საერთო ხედვის მქონე მათემატიკოსთა ჯგუფის მიერ დაარსებული ბანკი, რომელსაც თავიდან ერთი სერვისცენტრი და მოკრძალებული კაპიტალი ჰქონდა, და სულ ორიოდე თანამშრომლელი ჰყავდა, საბოლოოდ საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი კერძო საფინანსო ინსტიტუტი გახდა, რომელიც ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ საბანკო ბრენდს ქმნის.

ქვეყანაში შექმნილმა მკაცრმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარემომ, პოსტსაბჭოთა პერიოდმა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ბანკს მრავალი სირთულე გამოაცდევინა. თუმცა, ბაზისბანკის გუნდმა მოახერხა მოვლენათა სათავეში დარჩენილიყო და მიზნისკენ სვლა მკაფიო სტრატეგიითა და საფუძვლიანი შედეგებით განაგრძო. კომპანიას მომავალზე ორიენტირებულ ბანკად ჩამოყალიბების მკაფიო ხედვა ჰქონდა - განვითარების გეგმა მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის, რაციონალური გადაწყვეტილების მიღების, მკაფიო სტრატეგიისა და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმის შედეგად შესრულდა.

ბაზისბანკისთვის **2000-იანი წლების დასაწყისი** მნიშვნელოვანი წლები იყო: ახლადშექმნილი ბანკის მყარ ფინანსურ ინსტიტუტად გარდაქმნის მიზნით მფლობელებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს: შემუშავდა განთვითარების სტრატეგია და გადაიდგა პირველი ნაბიჯები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან კავშირების დამყარებისა და მჭიდრო თანამშრომლობისკენ. ამ ეტაპზე, ბანკმა საფუძველი ჩაუყარა ზრდაზე ორიენტირებულ, მხოლოდ შიდა რესურსებზე დაყრდნობილ სტრატეგიულ პლატფორმებს, რამაც მალევე მოიზიდა საინვესტიციო შესაძლებლობების მოძიებით დაინტერესებული უცხოელი ინვესტორები.

2008 წელს EBRD-მ შეიძინა ბაზისბანკის აქციების 15%, რამაც საფუძველი დაუდო ორგანიზაციული განახლების პროცესებს, რომელთა მიზანიც იყო მეტად მოქნილი და ეფექტური სტრუქტურის ჩამოყალიბება. უპირველეს მიზანს წარმოადგენდა მდგრადი ფინანსური ინსტიტუტის ფორმირება, კარგად განვითარებული ორგანიზაციული სტრუქტურით, პოლიტიკებითა და პროცედურებით. აღნიშნული ორგანიზაციული გაუმჯობესება მიზნად ისახავდა, ბაზარზე ბანკის პოზიციის გაუმჯობესებასა და სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვას.

2012 წელს საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორი – Xinjiang Hualing Industry & Trade Co. შპს (ჰუალინგ ჯგუფი) – ბაზისბანკის აქციების 90%-ის მფლობელი გახდა, მოგვიანებით მან აქციების 92% -მდე შეიძინა. „ჰუალინგ ჯგუფის“ შემოსვლიდან BB-ის პროგრესი ბაზარზე მნიშვნელოვანი იყო - მთავარი ამოცანა იყო სწრაფი ზრდის უზრუნველყოფა, ჯანსაღი ფინანსებისა და შემოსავლების ისტორიის შენარჩუნება და განვითარების ხანგრძლივი მდგრადობის შესანარჩუნებლად, ამ მიზნების რისკების მართვის ფრთხილი პრაქტიკით მიღწევა. ძლიერი მშობელი კომპანიის ფინანსურმა მხარდაჭერამ ბანკს ახალი შესაძლებლობები შეუქმნა და შედეგებმაც აღარ დააყოვნა – ბანკი რამდენიმე წლის განმავლობაში ბაზარზე დაჩქარებულ

ზრდას აჩვენებდა და მე-11-დან ქვეყანაში მოქმედ ტოპ 5 უმსხვილეს კომერციულ ბანკამდე ამაღლდა. ახალი აქციონერის შემოსვლის შემდეგ ბანკი მომდევნო წლების განმავლობაშიც სწრაფად იზრდებოდა. 2012 წლიდან 2022 წლის ბოლომდე ბანკმა აქტივები 20-ჯერ გაზარდა, 28-ჯერ მთლიანი სესხები, 18-ჯერ მთლიანი კაპიტალი და 20-ჯერ კლიენტების დეპოზიტები.

2017 წელს ბანკი აფუძნებს ორ შვილობილ კომპანიას, BB დაზღვევას და BB ლიზინგს, რითაც ქმნის ბაზისბანკის ჯგუფს (BB ჯგუფი). ფინანსური ჯგუფის სტრუქტურამ ბანკს საშუალება მისცა რესურსების სინერგიისა და მომხმარებელთა ფართო სპექტრისთვის ფინანსური მომსახურების დივერსიფიცირებული სპექტრი მიეწოდებინა.

2022 წელს ჯგუფი სტრატეგიული დღის წესრიგის შესრულებაზე, ტრაექტორიის მკვეთრად შეცვლაზე და ბევრად ამბიციური მიზნებისკენ სვლაზე ორიენტირდა, რამაც ბაზისბანკის ჯგუფი მყისიერად მომდევნო სტრატეგიის ციკლში ბევრად უფრო ძლიერ პოზიციაზე აამაღლა.

BB ჯგუფმა ზრდის სტრატეგია ორი სტრატეგიული ტრანზაქციის გამოცხადებით დააჩქარა, ეს იყო ვითიბი ბანკის (საქართველო) საცალო და ბიზნეს პორტფელის შეერთება (787 მლნ ლარის სასესხო პორტფელი და 665 მლნ ლარის სადეპოზიტო პორტფელი) რომელიც 2022 წლის მარტში განხორციელდა. შესყიდვამ BB ჯგუფის ბიზნესს მასშტაბები, შესაძლებლობები, სამუშაო ძალა და 136000-ზე მეტი ახალი საცალო და ბიზნეს კლიენტი შემატა, რაც კარგად ემთხვეოდა ბანკის ზრდის სტრატეგიას და ტრანსფორმაციის ამბიციურ გზას, თანაც დასახულ სტრატეგიულ მიზნებზე რამდენიმე წლით წინ გვაყენებდა.

შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა BB-ის საცალო და ბიზნეს სეგმენტები, რაც კარგად შეესაბამებოდა ბანკის ზრდის სტრატეგიას და საქართველოში სიდიდით მესამე ბანკად გახდომის ამბიციური ტრანსფორმაციის გზას. ამ შენაძენმა BB-ის აქტივები 50% -ზე მეტით გაზარდა, გაზარდა, რის შედეგადაც ბაზისბანკმა პოზიცია გაიუმჯობესა და ბაზარზე მე-4 უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტი გახდა. ბაზრის წილი, აქტივების ჭრილში, 4.4%-მდე გაიზარდა. არსებულ ქსელს 24 ახალი ფილიალი დაემატა, კლიენტთა ბაზა 135 ათასამდე კლიენტით შეივსო და 350-ზე მეტი თანამშრომლით გამდიდრდა.

2022 წლის ფინანსური პარამეტრების ყოველწლიური ზრდის პროცენტული მაჩვენებლებიც მიმზიდველი იყო:



2022 წელი მრავალი გამოწვევისა და მიღწევების წელი იყო, მათ შორის იყო ჩვენი ძირითადი ბიზნეს ერთეულებისა და მიმართულებების რეორგანიზაცია, რათა უფრო ეფექტური კლიენტზე

ორიენტირებული პერსპექტივა შეგვექმნა, რაც გრძელვადიანი წარმატებისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგა ჩვენს სეგმენტებში ციფრული საბანკო გადაწყვეტებისკენ, ახალი კლიენტების მიგრაციისა და თანამშრომლებისთვის.

დღეს ბაზისბანკის ჯგუფი ქვეყნის წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებს შორის დგას. მან თავისი კლიენტების, პარტნიორებისა და აქციონერების ერთგულება მოიპოვა და სოლიდური რეპუტაციის მქონე, სანდო პარტნიორად და ბაზარზე მნიშვნელოვან მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ამჟამად ბანკი სტრატეგიული ტრანსფორმაციის პროცესშია, რის შედეგადაც ბაზარზე შემდგომი წინსვლა უნდა მოხდეს.

ჩვენი ხალხი

ჩვენ მზად ვართ უზრუნველვყოთ ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემო, სადაც ადამიანებს შეეძლებათ განვითარდნენ და გაიზარდონ, ხელი შეუწყონ მრავალფეროვნებას, თანასწორობასა და ინკლუზიურობას, კლიენტებისთვის უმაღლესი ხარისხის მომსახურების მიწოდებას.

თანამშრომელთა რაოდენობა	ქალი თანამშრომლები	ქალი საშუალო რგოლის მენეჯერები
927	**70%**	**50%**

თანამშრომლები კვლავ ბანკის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს. სწორედ ისინი ქმნიან წარმატებას, ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მათი პრიორიტეტები და მუდმივად ხელი შევუწყოთ მათ. ჩვენი მთავარი პრიორიტეტებია, თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული განვითარება და პასუხისმგებლიანი დასაქმების პრაქტიკა.

თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული განვითარება

ტალანტების მოზიდვა და განვითარება

მოზიდვა: 2023 წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ფრონტის დაკომპლექტება იყო. კამპანია სახელწოდებით „დაიწყე შენი კარიერა ბაზისბანკში“ წარმატებული აღმოჩნდა - ფრონტის განყოფილებებისა და ფილიალებისთვის, 60 ახალი თანამშრომელი ავიყვანეთ.

გახდი რეკომენდატორი: თანამშრომლებს შორის დავიწყეთ რეფერალური პროგრამა "გახდი რეკომენდატორი";

დასაქმების ფორუმები: მონაწილეობა მივიღეთ დასაქმების ფორუმებში და შევძელით ახალი ტალანტების მოზიდვა.

მემორანდუმები: მემორანდუმი გავაფორმეთ და აქტიურად ვთანამშრომლობთ უნივერსიტეტებთან.

ონბორდინგი: შეიქმნა სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი თანამშრომლების მარტივ ადაპტაციასა და ჩართულობას. ამ პროცესში გამოიკვეთება როლები, რომლებიც ახალი თანამშრომლების ადაპტაციაში აქტიურად მონაწილეობენ.

განვითარება: ბანკის მიზანი თანამშრომელთა განვითარების აუცილებლობაზე ზრუნვა და ბანკის ან პარტნიორი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული, შესაბამისი სასწავლო და განვითარების პროგრამების უზრუნველყოფაა.

ჩვენმა პარტნიორმა EFSE-მ დააფინანსა რამდენიმე სახის ტრენინგი, როგორიცაა გაყიდვების მენეჯმენტი, გაყიდვების TOT, ეფექტური პრეზენტაცია, ფინანსური ანალიზი, სწრაფი ტრანსფორმაცია, SQL, დიზაინი და ა.შ.

2023 წელს ბანკის შიგნით განხორციელდა რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელიც შეეხო სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის 30 ჯგუფს. თემატიკა მოიცავდა შემდეგს: მომსახურების სტანდარტები, გაყიდვების ტექნიკა, მენტორობა, მენეჯმენტი და ა.შ. ტრენინგის საჭიროებები გამოვლინდა კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების მენეჯერების უკუკავშირის საფუძველზე, რითაც განისაზღვრა ტრენინგის მიზნები და ამოცანები და განხორციელდა ტრენინგის პროცესი.

მენტორობის პროგრამა

2023 წელს ამოქმედდა მენტორობის პროგრამა - ფილიალებში გამოვლინდნენ საუკეთესო შედეგებისა და მახასიათებლების მქონე თანამშრომლები, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ, მენტორთა პროგრამაში ჩართულიყვნენ და ახალ თანამშრომლებს, ადაპტირებასა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში დახმარებოდნენ. შერჩეულმა მენტორებმა გაიარეს ტრენინგი „მენტორობაში“, სადაც გაიუმჯობესეს უკუკავშირისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. პროგრამა ძალიან საინტერესო და წამახალისებელია ფილიალის თანამშრომლებისთვის, რადგან ჩართული პირები ერთმანეთს უზიარებენ და იღებენ როგორც ცოდნას, ასევე კომპეტენციებს.

კეთილსინდისიერი დასაქმების პრაქტიკა

თანამშრომელთა შეფასების სისტემა:

2023 წელს დავნერგეთ შეფასების სისტემა, რომელიც მიზნებზე ორიენტირებული (ე.წ. შესრულებაზე დაფუძნებული) მართვის სისტემაა და ბანკის ყველა თანამშრომელს ეხება.

სისტემა ახდენს როგორც არსებული შედეგების გაზომვასა და მართვას, ისე მათი ეფექტურობის შეფასებას. ჩვენს სისტემებზე და ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით:

- შევქმენით ერთიანი, მკაფიო ბონუს სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა როლს;
- დავიწყეთ შედეგების გაზომვა არა გაყიდვების სფეროში;
- გავზარდეთ მიზანზე ორიენტირება ყველა რგოლში.

კომპენსაციის ახალი პაკეტები: შევიმუშავეთ კომპენსაციის ახალი პაკეტები ფრონტის თანამშრომლებისთვის.

ძველი და ახალი თანამშრომლების შენარჩუნება: ამისათვის შევქმენით ახალი შიდა პროექტი "გახდი მობილური ჯგუფის წევრი". ფრონტის თანამშრომლებისთვის შეიქმნა მობილური ჯგუფი განსაკუთრებული პირობებითა და დამატებითი შეღავათებით.

თანასწორობის პრინციპები

ბანკი ხელს უწყობს ჯგუფის თანამშრომლებში მრავალფეროვნებას, თანასწორობასა და მაღალ ეთიკურ სტანდარტებს. ბანკი ასევე ყურადღებას უთმობს და უმაღლეს დონეზე ინარჩუნებს სამუშაო უსაფრთხოების სტანდარტებს.

დასაქმებულებში ქალების წილი 70% -ია, ხოლო საშუალო მენეჯერების 50% ასევე ქალია. დასაქმებული ქალებისთვის ბანკს აქვს რამდენიმე შეღავათი, როგორიცაა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, სპეციალური სამუშაო საათები, ბონუსები ბავშვის დაბადებისთანავე და ა.შ.

თანამშრომლებისთვის განხორციელებული აქტივობები

2023 წელს ბაზისბანკის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად შემუშავდა შიდა საკომუნიკაციო გეგმა, სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდა ინიციატივები და თანამშრომლები მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების, ძირითადი სიახლეებისა და მიღწევების შესახებ.

ორგანიზაციაში ძირითადი საკომუნიკაციო პლატფორმაა Workplace, რომელშიც გაერთიანებულია გუნდის ყველა წევრი. პლატფორმა საშუალებას აძლევს ყველა მნიშვნელოვან თემას დროულად გაზიარდეს და ხელმისაწვდომი იყოს თითოეული თანამშრომლისთვის ონლაინ რეჟიმში.

წლის განმავლობაში პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც უმაღლესი მენეჯმენტისა და საშუალო რგოლის მენეჯერებმა თანამშრომლებს გაუზიარეს მნიშვნელოვანი პროექტების მიმდინარე მდგომარეობა, მიღწეული შედეგები, სამომავლო გეგმები და მიზნები. წარმატებული პროექტების, შედეგებისა და მიღწევების აღსანიშნავად, მომზადდა თანამშრომლების წახალისების სხვადასხვა ფორმატი.

სხვადასხვა ინტერესების მქონე თანამშრომლებისთვის დაიგეგმა სხვადასხვა ჩემპიონატები, შეხვედრები და აქტივობები. განხორციელებული აქტივობები მოიცავდა შემდეგს:

- სპორტული ჩემპიონატები;
- რა? სად? როდის? შიდა ჩემპიონატი და კორპორატიული ბიზნესის ლიგა;
- მასტერკლასები სხვადასხვა თემებზე მოწვეულ სპიკერებთან;
- სხვადასხვა სემინარები და მასტერკლასები;
- აქტივობები ბავშვებისთვის;
- საქველმოქმედო კამპანია თანამშრომლების ჩართულობით და ბანკის დაფინანსებით;

ბანკის 30 წლის იუბილე

30 წლის იუბილეს აღსანიშნავად ბანკმა სასტუმრო „კაჭრეთის ამბასადორში“ მოაწყო შთამბეჭდავი ღონისძიება აქციონერებთან, დაახლოებით 900 თანამშრომელთან და სტუმართან

ერთად. ყველა რეგიონის თანამშრომლები ერთ სივრცეში გაერთიანდნენ და ბანკის წარმატების 30 წელი აღნიშნეს.



კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ბიზნესის გრძელვადიანი წარმატება, დამოკიდებულია კომპანიის კარგ რეპუტაციაზე, რაც დიდწილად დაკავშირებულია კომპანიის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, მჭიდროდ არის დაკავშირებული მდგრად განვითარებასთან. ორივე მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს. დღეს ეკონომიკური წარმატებისა და კონკურენტუნარიანობის მისაღწევად, აუცილებელია ეთიკურ სტანდარტებზე ფოკუსირება, საზოგადოებისა და გარემოს კეთილდღეობაზე ზრუნვა.

საგანმანათლებლო პროექტები:

"ბაზისბანკი განათლებისთვის" პროგრამის ფარგლებში, ბანკი წლების განმავლობაში, ახორციელებს პარტნიორი უნივერსიტეტების მხარდაჭერას, სტუდენტების განათლების, სტაჟირებისა და დასაქმების დაფინანსებას, სტუდენტების პერსონალური კომპიუტერებით უზრუნველყოფას, უნივერსიტეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვას, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაფინანსებას და ა.შ.

USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამასთან თანამშრომლობით, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს, სწავლისთვის სპეციალური რესურსები მიეწოდებოდათ. დაიბეჭდა და სკოლებს გადაეცა "დიდი წიგნები" და "სიტუაციური პოსტერები", რომლებიც მასწავლებელს უადვილებს ბავშვებისთვის საჭირო მასალის მიწოდებას.

წლების განმავლობაში, **ეროვნული ბანკის პორტალ "ფინედუსთან" პარტნიორობის** ფარგლებში, ჩვენ ვზრუნავთ საზოგადოების ფინანსური ცნობიერების ამაღლებაზე.

კულტურული პროექტები:

ბაზისბანკს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული თეატრის პოპულარიზაციასა და თანამედროვე სახელოვნებო პროცესების მხარდაჭერაში. მიგვაჩნია, რომ ბიზნეს სექტორის მხარდაჭერა, ქართულ კულტურას განვითარების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს.

ორი წელია, მარჯანიშვილის თეატრის გენერალური სპონსორი ვართ. 2023 წელს გავხდით სახელმწიფო თოჯინების თეატრების კავშირის გენერალური სპონსორი და ერთობლივად განვახორციელეთ რამდენიმე საინტერესო პროექტი. მათ შორისაა ბათუმის პირველი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი.

ბანკი ინტელექტ-კლუბის "რა? სად? როდის? სპონსორია. ჩვენ მრავალი წელია ვიცავთ და ვაფინანსებთ მაყურებელთა უფლებებს.

სოციალური პროექტები:

ბაზისბანკი აქტიურია სოციალურ პროექტებში და სხვადასხვა პროექტების მეშვეობითყოველთვის პასუხობს საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს. **უსახლკარო, ობოლი და ხანდაზმული ადამიანებისთვის განკუთვნილი სახლები** სისტემატურად უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით.

ბაზისბანკსა და **საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს (CSRDG)** შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს

საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერებას და ბაზისბანკის მხრიდან, სოციალური მეწარმეობის კონცეფციის შემუშავების ხელშეწყობას, როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმების მეშვეობით. პარტნიორობის ფარგლებში გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებში გამარჯვებულ სოციალურ საწარმოს გავუწევთ როგორც ფინანსურ, ისე ტექნიკურ მხარდაჭერას, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამუშაო ადგილების უზრუნველყოფას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

დღევანდელ მსოფლიოში, სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ცალ-ცალკე აღარ განიხილება. მწვანე პროექტებში მეტი ინვესტიცია, ეკოლოგიურად სუფთა ბანკად პოზიციონირება, პირდაპირ კავშირშია ბანკის რეპუტაციასთან და ბიზნესს უფრო სტაბილურს ხდის. კონკრეტული ქმედებების პარალელურად, სხვადასხვა ინიციატივების მეშვეობით, ხელს ვუწყობთ თანამშრომლების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და გარემოსთვის მეგობრული ქცევის ჩამოყალიბებას.

ბანკსა და სოციალურ საწარმო „ტენეს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მხარეებს შორის პარტნიორობა ითვალისწინებს „ტენეს“ ურნების განთავსებას ბანკის ოფისებში, სადაც ხდება გამოყენებული პლასტმასის შეგროვება, მისი შემდგომი გამოყენების მიზნით. ბაზისბანკის მომხმარებლებს და ბანკის მიერ დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელს, შესაძლებლობა აქვთ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პლასტმასის ნარჩენების შეგროვების პროექტში, ოფისებში განთავსებული „ტენეს“ ურნების მეშვეობით, ხოლო „ტენე“ უზრუნველყოფს შეგროვებული პლასტმასის გადამუშავებას.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად ვეძებთ სხვადასხვა გზებს. ვცდილობთ ბანკი ენერგიის დაზოგვის მოწყობილობებით აღვჭურვოთ, განვახორციელოთ გამწვანების კამპანიები და გონივრულად გამოვიყენოთ ენერგორესურსები.

ბაზისბანკისთვის, ეკოლოგიურად სუფთა პროექტები, როგორც მდგრადი განვითარების ეკოლოგიური ასპექტი, ბანკის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალპრიორიტეტულ ნაწილს წარმოადგენს, რადგან ვფიქრობთ, რომ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირება, ნარჩენების მართვა, ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენება და სოციალური საკითხების გათვალისწინება თითოეული ინდივიდისა და ორგანიზაციის მოვალეობა და პასუხისმგებლობაა.

ბიზნესის მიმოხილვა

საცალო ბიზნესი

საცალო ბიზნესის მიმოხილვა

ჩვენი პროდუქტები და მომსახურება მაქსიმალურად კლიენტებზეა ორიენტირებული. ჩვენ გვსურს შევქმნათ მომავლის ბანკი, გამარტივებული პროცედურებითა და მოქნილი მომსახურებით, რომელიც კლიენტის საჭიროებებზე მორგებული, მრავალფეროვანი პროდუქტებისა და მომსახურების ერთ სივრცეში მიწოდებას უზრუნველყოფს.

იმისათვის, რათა კლიენტებს ყოველდღიური ცხოვრება გავუმარტივოთ და საჭიროების შემთხვევაში გავზარდოთ ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობა, ჩვენს საცალო კლიენტებს მომსახურების, პროდუქტებისა და შეთავაზებების იმგვარ ფართო სპექტრს ვთავაზობთ, რომელიც მათ ყოველდღიურ საჭიროებებს აკმაყოფილებს და საშუალებას აძლევს უფრო სწრაფად, მარტივად და კომფორტულად მიიღონ შედეგი. ამისათვის ჩვენ ვთავაზობთ სხვადასხვა პლატფორმებს, რომლებიც შეესაბამება ჩვენი კლიენტების ბაზის მრავალფეროვან საჭიროებებს. ჩვენ გვაქვს ფილიალების ფართო ქსელი თბილისსა და რეგიონებში არსებულ ყველა ძირითად პუნქტში, თუმცა ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ჩვენს ციფრულ პლატფორმებზე, მობაილ ბანკსა და ინტერნეტ ბანკზე, რადგან ეს ის შეხების წერტილებია, რომლებიც მხედველობაში გვაქვს, როდესაც მომავალზე ვფიქრობთ და ვასრულებთ ჩვენს მისწრაფებას, ჩვენი მომხმარებლებისთვის ერთიანი მომსახურების წერტილი უზრუნველვყოთ.

ჩვენ ვემსახურებით საცალო მომხმარებელთა მრავალფეროვან ბაზას, მათ შორის მასობრივ საცალო კლიენტებს, პრემიუმ კლიენტებს და დიდი კერძო კაპიტალის მქონე პირებს - „Unique“კლიენტებს. ყველა სეგმენტს აქვს თავისი უნიკალური პრიორიტეტები და საჭიროებები და ვცდილობთ თითოეულ მათგანს სათანადო გადაწყვეტები მივაწოდოთ, ამასთან ერთად ვთავაზობთ მომხმარებლის გამოცდილების მუდმივ გაუმჯობესებას. ამისათვის გვაქვს სტანდარტული პროდუქტები და მომსახურება, მაგრამ ამავდროულად, კლიენტების ზუსტი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ასევე გვაქვს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების საშუალებაც.

საცალო ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ძირითადი პრიორიტეტები 2023 წელს იყო: მომსახურების ხარისხის და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდა, დისტანციურ არხებში მომხმარებელთა მომსახურების პროცესების გაუმჯობესება და სამუშაო ბიზნეს პროცესის გაუმჯობესება, რაც წლის განმავლობაში შესაბამის პროექტებში აისახა.

2023 წელს ჩვენი პროდუქტები და მომსახურება კიდევ უფრო დავხვეწეთ და ჩვენს საცალო კლიენტებს რამდენიმე ახალი პროდუქტი და მომსახურება გავაცანით. მათ შორის, გავუშვით ახალი პლატფორმა BBCredit.ge, რომელიც ჩვენს კლიენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია ჩვენი საკრედიტო პროდუქტის პირობების შესახებ და მიიღონ თანხები ციფრული სახით. გარდა ამისა, შევინარჩუნეთ ფოკუსი მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებაზე. შედეგად, გავაფართოვეთ ჩვენი აქტიური მომხმარებელთა ბაზა როგორც ახალი მომხმარებლების მოზიდვით, ისე არსებულ კლიენტებთან ჩართულობის გაზრდით. გარდა ამისა, სახელფასო დავალიანების მქონე კლიენტებს შორის გავზარდეთ ჩვენი შეღწევადობის დონე.

საცალო პროდუქტები და მომსახურება

ბანკი უზრუნველყოფს ფართო სპექტრის პროდუქტებსა და მომსახურებას ბიზნეს კლიენტებისთვის

ძირითადი სერვისები

- საცალო დაკრედიტება
- მიმდინარე და ვადიანი ანაბრები, CDs
- პრემიუმ ბანკინგი
- საბროკერო და სახაზინო მომსახურება
- ლიზინგი
- დაზღვევა

საცალო სეგმენტი რიცხვებში

ჩვენი საცალო სესხების პორტფელი წელიწადში 6%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად სამომხმარებლო სესხების ზრდამ განაპირობა.


რაც შეეხება საცალო დეპოზიტებს, ისინი წინა წელთან შედარებით 16%-ით გაიზარდა და 1.06 მილიარდ ლარს მიაღწია.

ზემოთ აღწერილი მიღწევების წყალობით, ბანკმა საცალო სესხებისა და დეპოზიტების მიხედვით, საქართველოს ფინანსურ ბაზარზე, მე-4 პოზიცია დაიკავა.

ბაზრის წილი საცალო სესხების მიხედვით 4.1% ბაზარზე სიდიდით მე-4	**ბაზრის წილი საცალო ანაბრების მიხედვით 3.85% ბაზარზე სიდიდით მე-4**

ციფრული მომსახურება

ციფრული არხებით ტრანზაქციებისა და გაყიდვების ზრდა და ფიზიკური არხების წილის შემცირება ბაზრის ზოგადი ტენდენციაა. ამ ტრენდს ბაზისბანკიც მიჰყვება. 2023 წელს ციფრულ არხებში ტრანზაქციების წილი 21% -ით გაიზარდა და მთლიანი ტრანზაქციების 89% -ს მიაღწია.



ჩვენი მიზანია ინოვაციურობით გავუსწროთ კლიენტების მოლოდინს და კლიენტზე ორიენტირებულობით, ფინანსურ მოგზაურობაში ერთგული და სანდო თანამგზავრი გავხდეთ.

2024 წელს ჩვენი მთავარი ამოცანა და სტრატეგიაა, შევქმნათ პროდუქტებისა და მომსახურების პორტფელი, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს ბაზარზე არსებულ შესაძლებლობებს და კვლავ მომხმარებლის საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული.

2024 წლის სტრატეგიული გეგმების განხორციელების პრიორიტეტებია:

- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდა;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება;
- გაყიდვებისა და მომგებიანობის გაზრდა.

მობაილ და ინტერნეტბანკი

ჩვენი მობაილ და ინტერნეტბანკის მომსახურება, ჩვენი კლიენტებისთვის ციფრულ რეჟიმში საბანკო მომსახურებაზე წვდომის და მათი საჭიროებების დაკმაყოფილების ინსტრუმენტია. ვცდილობთ როგორც მობაილ, ისე ინტერნეტ ბანკში უზრუნველვყოთ ერთი და იგივე პროდუქტებისა და ფუნქციონალების ხელმისაწვდომობა.

ყველა საბანკო ტრანზაქციის უდიდესი ნაწილი ხორციელდება ამ ციფრული არხებით, რაც ასევე ემსახურება ჩვენი ძირითადი პროდუქტების გაყიდვის პლატფორმებს სესხებითა და დეპოზიტებით ციფრულად სარგებლობისთვის.

რა გავაკეთეთ 2023 წელს

ჩვენმა ბანკმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა მობაილ/ინტერნეტბანკის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და თავის ტექნოლოგიურ კლიენტებს უპრობლემო და უსაფრთხო საბანკო გამოცდილება შესთავაზა. 2023 წლის განმავლობაში, ამ მიმართულებებით განხორციელებული ამოცანებია:

- კლიენტებისთვის უფრო დახვეწილი ინფორმაციის მიწოდება;
- კლიენტებისთვის უფრო დახვეწილი ფუნქციების მიწოდება;
- უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმების დანერგვა - აპლიკაციის ინტეგრაცია თაღლითობის მართვის სისტემასთან.

სამომავლო ხედვა:

2024 და შემდგომ წლებში, დაგეგმილია დისტანციური არხების ფართომასშტაბიანი განვითარება. მომხმარებელს საშუალება ექნება, ისარგებლოს თანამედროვე სტანდარტებით შექმნილი, ახალი მობაილ ბანკის პირველი ვერსიით, რომელიც მისს ყოველდღიურ საჭიროებებს დააკმაყოფილებს.

ასევე ვგეგმავთ განახლებას მიმდინარე მობაილ ბანკზე, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- განახლებული ფუნქციონალები/ინტერფეისი კომუნალური და სხვა გადახდებისათვის;
- ციფრული საკრედიტო განაცხადის შეტანის, სესხების განაღდებისა და მათი დაფარვის ფუნქციონალი;
- დეპოზიტების ციფრულად გახსნის ფუნქციონალი;

- ახალი ბარათების შეკვეთისა და არსებულის დისტანციურად განახლების ფუნქციონალი;

- ციფრული ბარათი;
- პოტენციური კლიენტების ციფრული ონბორდინგი.

ვგეგმავთ შევქმნათ ახალი ვებ-პლატფორმა, რომელიც შემდეგი ფუნქციებით იქნება აღჭურვილი:

- ახალი ვებ-პლატფორმის ეკოსისტემის კონცეფცია;
- ინფორმაციის მიღებისა და ტრანზაქციების განხორციელების დახვეწილი ფუნქციონალები;
- ციფრული საკრედიტო განაცხადის შეტანის, სესხების განაღდებისა და მათი დაფარვის ფუნქციონალი;
- დეპოზიტების ციფრულად გახსნის ფუნქციონალი;

- ახალი ბარათების შეკვეთისა და არსებულის დისტანციურად განახლების ფუნქციონალი;
- BMatch პლატფორმის ინტეგრაცია ვალუტის კონვერტაციისთვის.

ჩვენი მიზანია ციფრული პლატფორმები, ჩვენს მთავარ ბიზნეს არხებად დავამკვიდროთ. მომდევნო წლების პრიორიტეტია, მომხმარებლის გამოცდილების კიდევ უფრო გაუმჯობესება, პროცესების გამარტივება და კლიენტების მხარდაჭერა საჭირო პროდუქტებისა და სერვისების ციფრულ რეჟიმში მარტივად მიღებაში.

ფილიალები და მომსახურების არხები

ციფრული არხების გარდა, ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ სრული დაფარვის ფილიალების ქსელს და ალტერნატიული არხების ფართო სპექტრს. ბანკს გააჩნია ტერმინალებისა და ბანკომატების ფართო ქსელი, რაც ჩვენს კლიენტებს საშუალებას აძლევს, ყოველდღიური საბანკო ოპერაციების უმეტესობა, ფილიალში ვიზიტის აუცილებლობის გარეშე განახორციელონ.

რა გავაკეთეთ 2023 წელს

ფილიალები

მაქსიმალური ძალისხმევა იყო მიმართული ფილიალების ქსელის სრულ დაკომპლექტებაზე, რითაც ფილიალებში გავაუმჯობესეთ მომხმარებელთა შეუფერხებელი მომსახურება. 2023 წელს გაიხსნა ერთი ახალი ფილიალი და წლის ბოლოსთვის ჯამში 39 ფილიალით ვემსახურებოდით კლიენტებს: თბილისში 17, ხოლო რეგიონებში - 22. ბაზისბანკმა ორ ფილიალში გაუშვა გაყიდვებზე ორიენტირებული მომსახურების ახალი მოდელის საპილოტე პროექტი.

ბანკომატები, თვითმომსახურების აპარატები და ნაღდი ფულის ჩარიცხვის აპარატები

დისტანციურ არხებში, მომხმარებელთა მომსახურების პროცესების გაუმჯობესების მიზნით, სრულად განახლდა ფუნქციური BB ბანკომატები (უკონტაქტო გატანის ჩათვლით), ხოლო ფილიალებში განთავსდა BB კიოსკები, რითაც ჩვენი მომხმარებლებისთვის გამარტივდა თანხის ჩარიცხვა როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო საათებში.

2023 წელს გავუშვით ახალი პროდუქტი – თვითმომსახურების აპარატები, რომელიც ჩვენს საცალო მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, დამოუკიდებლად განახორციელონ ოპერაციები, ფილიალში ვიზიტის საჭიროების გარეშე.

სამომავლო ხედვა:

სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, აუცილებელია გავაუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი და კლიენტთა კმაყოფილების დონე, ავამაღლოთ არსებული კადრების კვალიფიკაცია და მოვიზიდოთ მაღალკვალიფიციური კადრები.

ამ მიზნების მისაღწევად, 2024 წელს ვგეგმავთ რამდენიმე განახლებას ჩვენს ფილიალებსა და ალტერნატიულ არხებზე:

- საკრედიტო კონვეიერის მე-2 ფაზის განხორციელება, რაც გულისხმობს სესხის დამტკიცების პროცესის ავტომატიზაციას. იგეგმება საკრედიტო კონვეიერის მიერ სრული პორტფელის 80%-ის, ხოლო ფიზიკურად 20% -ის დამტკიცება;
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ფილიალების მონიტორინგის პრაქტიკის დანერგვა;
- ბანკომატების სისტემის განახლება, ნაღდი ფულის უკონტაქტო მიღება, უსაფრთხო ანგარიშების ელექტრონული გასაღებები;

საცალო სესხები

რადგან ბაზისბანკის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა დაკრედიტებაა, ბანკის ძირითადი მიზანია, ჩვენი პროდუქტები, მომსახურება და მომხმარებელთა კმაყოფილება, ძირითადად, ამ მიმართულებით გავაუმჯობესოთ. ჩვენი მიზანია, პროცესების უფრო გამარტივება და გაციფრულება და საცალო კლიენტების სხვადასხვა სეგმენტისთვის, ფინანსებზე წვდომის გაზრდა. დაკრედიტების პრაქტიკა ყოველთვის შეესაბამება ბანკის რისკის აპეტიტს და მუდმივად გადის რისკების მართვის შესაბამის ეტაპებს.

კლიენტებს საკრედიტო პროდუქტების ფართო სპექტრს ვთავაზობთ და მუდმივად ვცდილობთ, ისინი ჩვენს პოტენციურ მომხმარებელთა ყველა საჭიროებას შეესაბამებოდეს. ბანკი ბაზარს სთავაზობს სამომხმარებლო სესხებს, იპოთეკურ სესხებს, სესხებს დეველოპერებისთვის, განვადებებს და ასევე, ვუწევთ ოფსეტურ მომსახურებას დაინტერესებულ კლიენტებს.

რა გავაკეთეთ 2023 წელს

2023 წელს ჩვენ გავუშვით BBCredit.ge, პლატფორმა საცალო საკრედიტო პროდუქტებისთვის, რომელიც ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას აძლევთ, დისტანციურად მიიღონ ინფორმაცია ჩვენს საკრედიტო პროდუქტებსა და მათ პირობებზე, აირჩიონ ის პროდუქტები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ საჭიროებებს, მოითხოვონ სესხები და შეძლონ თანხის განაღდება ძალიან მოკლე დროში. ერთის მხრივ, პლატფორმა ხელს უწყობს ბანკის არსებული მომხმარებლების პროდუქტებზე დისტანციურ ხელმისაწვდომობას, ხოლო მეორეს მხრივ, ქმნის კიდევ უფრო მეტ ახალ მომხმარებელთან წვდომის შესაძლებლობას.

ასევე, შიდა დონეზე, დავხვეწეთ რამდენიმე დაკრედიტების პროცესი, გავხადეთ ბონუს სისტემა უფრო გამჭვირვალე და დავნერგეთ ახალი სამოტივაციო სქემები, რამაც გააუმჯობესა გუნდური მუშაობა და კლიენტებთან ურთიერთობა.

საცალო სესხები რიცხვებით

საცალო სესხის პორტფელი (ათასი ლარი)	საიდანაც მას რითეილ სეგმენტი (ათასი ლარი)	საიდანაც პრემიუმ სეგმენტი (ათასი ლარი)
808,824	**573,884**	**234,940**
6 % წწ	-4% წწ	+44% წწ

სამომავლო ხედვა:

ჩვენი მომხმარებლებისთვის პროცესების გამარტივებისა და მათი კმაყოფილების გაზრდის მიზნით, 2024 წლისთვის გამოვყავით რამდენიმე ეტაპი:

- სხვადასხვა სტრატეგიული მიმართულებით, სასესხო პორტფელების გაზრდა;
- ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა, რაც შეამცირებს ხელშეკრულებების გაფორმების დროს;
- არსებულ კლიენტებზე ლიმიტების დამტკიცება ავტომატურად, მათი ჩართულობის გარეშე;
- გუნდის გაძლიერება;
- შიდა პროცესებისა და პროცედურების გაუმჯობესება.

საცალო ანაბრები

ჩვენ კლიენტებს ვთავაზობთ სხვადასხვა ტიპის ანაბრებს, როგორიცაა ვადიანი ანაბრები, მოთხოვნამდე ანაბრები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, საბავშვო ანაბრები, ქეშ-ბოქსები და დანაზოგის (შემნახველი საკნის) მომსახურება. პირობები საკმაოდ კონკურენტუნარიანი და მოქნილია: მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მცირე სავალდებულო მინიმალური თანხები, ყველა სავალუტო და სქემის ოპციები.

დეპოზიტების დაზღვევა

2018 წლის პირველი იანვრიდან, ბანკი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში შექმნილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მეანაბრის ანაბარზე/ანგარიშზე არსებული თანხა ანაზღაურდება, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ მითითებული ლიმიტის ფარგლებში. ზღვარს ზემოთ არსებული თანხა ანაზღაურდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

რა გავაკეთეთ 2023 წელს

2023 წლის განმავლობაში განვაახლეთ პირობები ზოგიერთი პროდუქტისთვის, რათა ისინი უფრო მოქნილი და სასურველი გაგვეხადა ჩვენი კლიენტებისთვის.

- სადეპოზიტო პროდუქტების სპეციფიკაციების შემდგომი გაუმჯობესება;
- ბიზნეს პროცესების შემდგომი ოპტიმიზაცია, დროის დაზოგვის მიზნით.

ციფრული არხების გამოყენების წახალისების მიზნით, კლიენტებს მობილური აპლიკაციის მეშვეობით გახსნილ ანაბრებზე უფრო მაღალ ტარიფებს ვთავაზობთ.

ანაბრები რიცხვებში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში ანაბარი 176 ათასი საცალო კლიენტს ჰქონდა გახსნილი. 2023 წლის მეორე ნახევარში თანამშრომლებისთვის ჩატარდა დეპოზიტების წამახალისებელი კამპანია. შედეგად, 2023 წელს 2022 წელთან შედარებით, ფილიალებში/სერვისცენტრებში გახსნილი ანაბრების რაოდენობა თითქმის 60% -ით გაიზარდა და 1,058 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლის განმავლობაში, 16%-იან ზრდას წარმოადგენს.

საცალო დეპოზიტების პორტფელი (ათასი ლარი)	საიდანაც მას რითეილ სეგმენტი (ათასი ლარი)	საიდანაც პრემიუმ სეგმენტი (ათასი ლარი)
1,057,469	**319,540**	**737,929**
+16% წწ	**+1% წწ**	**+724% წწ**

სამომავლო ხედვა:

ჩვენი მომხმარებლებისთვის პროცესების გამარტივებისა და მათი კმაყოფილების გაზრდის მიზნით, 2024 წლისთვის გამოვყავით რამდენიმე ეტაპი:

- დეპოზიტების დაფარვის ზრდა საცალო სეგმენტში;

- სადეპოზიტო პროდუქტების პირობების შემდგომი გაუმჯობესება;
- ბიზნეს პროცესების შემდგომი ოპტიმიზაცია, დროის დაზოგვის მიზნით.

პრემიუმ და Unique საბანკო მომსახურება

ჩვენს პრემიუმ საცალო სეგმენტს ვთავაზობთ ყოვლისმომცველ პრემიუმ პროდუქტებსა და მომსახურებებს, სადაც განვასხვავებთ პრემიუმ და Unique კლიენტებს.

ჩვენ ვემსახურებით 2600-მდე პრემიუმ კლიენტს, რომლებმაც წლის ბოლომდე გაზარდეს მათი სასესხო და სადეპოზიტო პორტფელი, შესაბამისად, 44%-ით და 24%-ით.

პრემიუმ სეგმენტი

პრემიუმ საბანკო მომსახურება გულისხმობს პირადი ბანკირის დახმარებით სრულყოფილ, სწრაფ და ინდივიდუალურ მომსახურებას. მაღალი რანგის ბარათები, სრული კონფიდენციალურობა, განსაკუთრებული საბანკო პირობები, შეთავაზებები, უპირატესობები და ინდივიდუალური მიდგომები პრემიუმ სეგმენტის კლიენტებისთვის კომფორტულ საბანკო გამოცდილებას უზრუნველყოფს.

პრემიუმ მომსახურების ფართო არჩევანი: პერსონალური ბანკირის მომსახურება, კომფორტული ციფრული მომსახურება, სპეციალური შეთავაზებები საბანკო პროდუქტებზე და ექსკლუზიური შეღავათები.

პრემიუმ სეგმენტი რიცხვებში

2023 წელს ბაზისბანკის პრემიუმ კლიენტების რაოდენობამ 2 000-ს გადააჭარბა. პრემიუმ კლიენტების სადეპოზიტო პორტფელმა 196 მლნ ლარი, ხოლო სასესხო პორტფელმა 143 მლნ ლარი შეადგინა.

პრემიუმ კლიენტთა რაოდენობა	პრემიუმ სესხის პორტფელი (ათასი ლარი)	პრემიუმ დეპოზიტის პორტფელი (ათასი ლარი)
2,055	**142,528**	**195,866**
+33% წწ	69% წწ	88% წწ

სამომავლო ხედვა:

ბანკი გეგმავს მომხმარებელს შესთავაზოს მომსახურების განახლებული პაკეტები ფინანსური წახალისებით და მომხმარებლის უფრო დახვეწილი გამოცდილებით.

Unique საბანკო მომსახურება

შევქმენით პრემიუმ კლასის სერვისი, რომელიც ჩვენს მომხმარებლებს სთავაზობს ახალ და განსხვავებულ მიდგომას, რაც თითოეულ მომხმარებელთან ინდივიდუალური მიდგომის

წყალობით, ყოველდღიური ცხოვრების გამარტივებას გულისხმობს. Unique საბანკო მომსახურება გულისხმობს კერძო ბანკირს, განსაკუთრებულ საბანკო პირობებს, უნიკალურ შეთავაზებებსა და უპირატესობებს, მაღალკვალიფიციურ საბანკო კონსულტაციებს – მაქსიმალური სიმარტივისა და მეტი ფინანსური თავისუფლებისთვის შექმნილ საბანკო კონცეფციას.

თითოეული კლიენტის ინდივიდუალობისა და უნიკალურობის აღიარებით, ჩვენი პირადი ბანკირები Unique კლიენტებს სთავაზობენ ექსკლუზიურ საბანკო პროდუქტებს, ზრდიან არსებული კლიენტების ლოიალობას, ზრუნავენ მათ საჭიროებებზე და კონსულტაციებს უწევენ სხვადასხვა ფინანსურ საკითხებში.

Unique სეგმენტი რიცხვებში

ამჟამად 600-ზე მეტი Unique კლიენტი გვყავს, რომლებიც მაღალი შემოსავლის მქონე პირები არიან. პრემიუმ კლიენტების სადეპოზიტო პორტფელმა 196 მლნ ლარი, ხოლო სასესხო პორტფელმა 143 მლნ ლარი შეადგინა.

Unique კლიენტების რაოდენობა	Unique სეგმენტის სასესხო პორტფელი (ათასი ლარი)	Unique სეგმენტის სადეპოზიტო პორტფელი (ათასი ლარი)
612	**92,413**	**542,063**
+7% წლიურად	18% წლიურად	10% წლიურად

სამომავლო ხედვა:

2024 წელს, ვგეგმავთ ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზოთ მომსახურების განახლებული პაკეტი, ფინანსური და სამოგზაურო შეღავათებით. გარდა ამისა, Unique კლიენტებს ვთავაზობთ, დახვეწილ ფინანსურ პროდუქტებს, როგორიცაა ბანკის მიერ გამოშვებული სუბორდინირებული სესხები და ობლიგაციები.

დამატებითი მომსახურება

გადახდები

ჩვენ გვსურს, კლიენტებს დავეხმაროთ სწრაფი ფიზიკური და ონლაინ გადახდის გამოცდილების მიღებაში. აქედან გამომდინარე, საცალო მომხმარებლებს ვთავაზობთ გადახდის სხვადასხვა მეთოდს:

- კონტაქტური და უკონტაქტო ბარათით გადახდები;
- Google Pay/ Apple Pay;

Google Pay საქართველოში 2022 წლის ნოემბერში დაინერგა. ჩვენს მომხმარებლებს შეუძლიათ უფასო ციფრული ბარათის გააქტიურება მომენტალურად, ჩვენი მობაილ ან ინტერნეტ ბანკის პლატფორმის მეშვეობით.

დაზღვევა

2023 წელს, შვილობილ სადაზღვევო კომპანიასთან ერთად, ჩვენს კლიენტებს შევთავაზეთ ბარათების დაზღვევის სერვისი. კლიენტისგან დამოუკიდებელი მიზეზით, ბარათიდან თანხის გატანის ან დახარჯვის შემთხვევაში, ზარალი ანაზღაურდება ბარათის დაზღვევით შესაბამისი პაკეტით გათვალისწინებული ლიმიტებითა და პირობებით.

გადარიცხვების განახლებული სისტემა

სწრაფი ფულადი გადარიცხვების მიმართულება ქვეყანაში მუდმივად იზრდება და მომხმარებლების მხრიდან დიდი მოთხოვნით სარგებლობს. იმისათვის, რომ სერვისის მიღების პროცესში მაქსიმალურად სწრაფი და მოქნილი ვიყოთ, 2023 წელს ვიმუშავეთ ახალი სისტემის დანერგვაზე, რომელიც მომხმარებელს გადარიცხვების სისტემაში, განაღდების/გაგზავნის პროცესში, ერთი ფანჯრის კონცეფციით მოემსახურება. სისტემის დანერგვა ამცირებს მომსახურების დროს და აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას მომსახურების მიღების პროცესში.

კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესი

კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის მიმოხილვა

ჩვენი მიზანია, ყველა ტიპის ბიზნესისთვის საიმედო პარტნიორი ვიყოთ და მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საჭირო, ყველა ტიპის მომსახურება და პროდუქტი მივაწოდოთ. ჩვენ ვზრუნავთ, რომ ერთ სივრცეში უზრუნველვყოთ გამარტივებული პროცედურები და მოქნილი მომსახურება და ხელი შევუწყოთ ბიზნესს საჭირო თანხებით, პროდუქტებითა და მომსახურებით, რათა ისინი უფრო სწრაფად გაიზარდონ და მიაღწიონ დასახულ მიზნებს.

ამისათვის ჩვენ გთავაზობთ სხვადასხვა პლატფორმებს, მათ შორის ფილიალებისა და ციფრული პლატფორმების ფართო ქსელს: მობაილ ბანკი და ინტერნეტ ბანკი ბიზნესის ყოველდღიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.


ვემსახურებით ყველა ტიპის ბიზნესს, მათ შორის მსხვილ კორპორაციებს, საშუალო და მცირე საწარმოებს. ყველა ტიპის ბიზნესს თავისი უნიკალური საჭიროებები აქვს და ვცდილობთ, თითოეული მათგანისთვის შეთავაზების სრული პაკეტები გვქონდეს, თანაც ვცდილობთ მუდმივად გავაუმჯობესოთ მომხმარებელთა მომსახურება და გამოცდილება.

კლიენტურა

ჩვენი და პარტნიორი ბიზნესების მიზნების მისაღწევად, ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა არხებს და შეხების წერტილებს, მათ შორის ფილიალების ფართო ქსელს, მობაილ და ინტერნეტ ბანკებს. ჩვენ გვყავს მცირე და საშუალო ბიზნესის და კორპორატიული ბანკირები, რომლებსაც ხელი მუდმივად ბიზნესის მაჯისცემაზე უდევთ და მათი საჭიროებების მხარდაჭერაზე არიან ორიენტირებულნიი. ასევე გვყავს კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის ანალიტიკოსების გუნდი, რომელთაც საფუძვლიანი ვიწრო სექტორული ცოდნა და ბიზნეს ექსპერტიზა გააჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ბიზნეს კლიენტს ურჩევნია, ბანკირი მხარდაჭერისთვის/რჩევისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი იყოს, კლიენტების მეორე კატეგორია უპირატესობას ანიჭებს ციფრულ არხებს, რათა თავიანთი ბიზნეს საჭიროებები დამოუკიდებლად დაიკმაყოფილონ. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ განვავითაროთ ჩვენი ციფრული პლატფორმები, რათა კლიენტებმა მათთვის ხელმისაწვდომი ციფრული არხები მაქსიმალურად გამოიყენონ.

ჩვენი კლიენტების სექტორული წარმომადგენლობა ძალიან დივერსიფიცირებულია. ჩვენ ქვეყანაში არსებულ თითქმის ყველა სექტორს ვემსახურებით და სექტორის კონცენტრაციის რისკები მინიმუმამდე გვაქვს შემცირებული.



რადგან ჩვენს ბანკირებს სფეროს სიღრმისეული ცოდნა აქვთ, ისინი კლიენტებს დამატებით ღირებულებას სთავაზობენ.

ბიზნეს სეგმენტის პროდუქტები და მომსახურება



რა გავაკეთეთ 2023 წელს

2023 წელს, ბიზნესის მართვის დეპარტამენტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა მომხმარებელთა მომსახურების ხარისხისა და მათი კმაყოფილების დონის გაუმჯობესება, მათთვის მარტივი ეკოსისტემის ჩამოყალიბების გზით, რაც გამოიხატებოდა ციფრულ არხებში, კლიენტთა მომსახურების პროცესების გაუმჯობესებასა და ბიზნეს პროცესების დახვეწაში. სწორედ ეს პრიორიტეტები აისახა, წლის განმავლობაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტში.

2023 წლის განმავლობაში გავაუმჯობესეთ ჩვენი პროცესები, პროცედურების გასამარტივებლად დავხვეწეთ ჩვენი პროდუქტები და მომსახურება, შევქმენით ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული შეთავაზებები და ბიზნესს გავუადვილეთ ჩვენთვის მომართვა, საჭირო სახსრების ან დამატებითი მომსახურების მისაღებად. ასევე გავაუმჯობესეთ ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების მახასიათებლები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ციფრულ არხებზე. დავნერგეთ და განვაახლეთ შიდა პროცედურები, გადავსინჯეთ შიდა პროცესების დრო, მეტად გადავედით უქაღალდო პროცესებზე და ა.შ.

გარდა ამისა, საკრედიტო დეპარტამენტის ფარგლებში ჩამოვაყალიბეთ კონკრეტული გუნდი, რომელიც ადგილზე ახორციელებს დეველოპერული და სამშენებლო პროექტების მონიტორინგს. გუნდის შექმნამ გააუმჯობესა სამშენებლო პროექტებზე ზედამხედველობა და ბანკს საშუალება მისცა, სექტორს უფრო ინფორმირებული დაფინანსება შესთავაზოს.

დეკემბერში, Global Finance-ისგან, 2023 წლის მცირე და საშუალო ბიზნესის საუკეთესო მხარდამჭერი ბანკის ჯილდო მივიღეთ, რომელიც მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილების მიმართულებით ჩვენი უწყვეტი ძალისხმევის აღიარებაა.

ბიზნეს სეგმენტი რიცხვებში

ჩვენი ბიზნეს სესხების პორტფელი წლის განმავლობაში 26% -ით გაიზარდა, რაც ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების 63% -იანი ზრდითაა გამოწვეული.

ბიზნეს სესხები (ათასი ლარი)	ბიზნეს მსესხებლები (#)	ბიზნეს დეპოზიტები (ათასი ლარი)	ბიზნეს დეპოზიტარები (#)
1,718,340	1,830	1,134,903	2,622
+26% წწ	+13% წწ	+8% წწ	+8% წწ

ზემოაღნიშნული მაჩვენებლებით ბიზნეს სესხებისა და სადეპოზიტო პორტფელების შემდეგი საბაზრო წილები მივიღეთ:

ბაზრის წილი ბიზნეს სესხების მიხედვით	ბაზრის წილი ბიზნეს დეპოზიტების მიხედვით
5.0%	5.9%
2022: 5.6%	2022: 5.2%

დიჯიტალიზაცია

ციფრულ არხებში ტრანზაქციებისა და გაყიდვების ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა, ხოლო ფიზიკური არხების წილი შემცირდა. 2023 წელს, ციფრულ არხებში ბიზნეს ტრანზაქციების წილმა 97% შეადგინა, ხოლო ფიზიკურ არხებში ტრანზაქციებისა - 3%. 2022 წელს, იგივე მაჩვენებლები 96% და 4% შეადგენდნენ.



სამომავლო ხედვა:

ჩვენი მიზანია დავაკმაყოფილოთ ჩვენი ბიზნეს კლიენტების საჭიროებები და მათთვის გავხდეთ ნომერ პირველი არჩევანი, მათი განვითარების ყველა ეტაპზე.

2024 წელს, ჩვენი მთავარი სტრატეგიაა, შევქმნათ პროდუქტებისა და მომსახურების პორტფელი, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს ბაზარზე არსებულ ყველა შესაძლებლობას და კვლავ მათ საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული.

2024 წლის სტრატეგიული გეგმების განხორციელებისთვის ჩვენი პრიორიტეტებია:

- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდა;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ქსელში გაყიდვებისა და მომგებიანობის ზრდა;
- ახალი ავტომატური სასესხო პროდუქციის ხაზის შემუშავება, რამაც მინიმუმამდე უნდა შეამციროს ადამიანის ჩარევა;
- ძირეული ცვლილებები ინტერნეტ და მობაილ ბანკში, გამარტივებისა და გაძლიერებული ფუნქციონირების მიმართულებით;
- მწვანე პოლიტიკის შემუშავება და მწვანე პროდუქტის ინტეგრაციის დაჩქარება.

მობაილბანკი და ინტერნეტბანკი ბიზნესისთვის

ჩვენი ციფრული არხები მუდმივად ვითარდება, რათა დააკმაყოფილოს ჩვენი ბიზნეს კლიენტების მოლოდინები და მათ საშუალება მისცეს თავიანთი ყოველდღიური ბიზნეს საჭიროებები დამოუკიდებლად დაიკმაყოფილონ.

ინტერნეტ-ბანკი სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ჩვენი ბიზნეს კლიენტების მიერ, მათი ბიზნეს ოპერაციებისთვის. ჩვენი მობაილბანკი კიდევ ერთი ალტერნატივაა მათთვის, ვისაც სურს, მყისიერად გაეცნოს ბიზნესში მიმდინარე მოვლენებს ან თვალყური ადევნოს კონკრეტულ ტრანზაქციებს. ვცდილობთ როგორც მობაილ, ისე ინტერნეტ ბანკში უზრუნველვყოთ ერთი და იგივე პროდუქტებისა და ფუნქციონალების ხელმისაწვდომობა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ბიზნეს კლიენტები სულ უფრო ხშირად იყენებენ ჩვენს მობილურ და ინტერნეტ საბანკო პლატფორმებს, ტრანზაქციული საბანკო საქმიანობისთვის, თუმცა, საცალო სეგმენტებისგან განსხვავებით, კლიენტის ჩარიცხვისა და სესხის გაცემის პროცესი, ოფლაინ რეჟიმში, ფილიალების მეშვეობით ხორციელდება.

რა გავაკეთეთ 2023 წელს

ჩვენმა ბანკმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა მობაილ ბანკის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და თავის ტექნოლოგიურ ბიზნეს კლიენტების, შეუფერხებელი და უსაფრთხო საბანკო გამოცდილებით უზრუნველსაყოფად.

2023 წელს ჩვენს მობილურ და ინტერნეტ ბანკს დავამატეთ არაერთი ფუნქციონალი:

- კლიენტებისთვის უფრო დახვეწილი ინფორმაციის მიწოდება;
- კლიენტებისთვის უფრო დახვეწილი ფუნქციონალების მიწოდება;
- უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმების დანერგვა - აპლიკაციის ინტეგრაცია თაღლითობის მართვის სისტემასთან.

სამომავლო ხედვა:

2024 და მომდევნო წლებში ვგეგმავთ ციფრული არხების განვითარებაში ინტენსიური ინვესტიციების განხორციელებას. ჩვენს ბიზნეს კლიენტებს შეეძლებათ ისარგებლონ თანამედროვე სტანდარტებით შექმნილი ახალი მობაილ ბანკის პირველი ვერსიით, რომელიც დაფარავს ბიზნესის ყოველდღიურ საჭიროებებს.

2024 წელს ვგეგმავთ განახლებას მიმდინარე მობაილ ბანკზე, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ინფორმაციის მიღების განახლებული ფუნქციონალები;
- ტრანზაქციების განხორციელების განახლებული ფუნქციონალები;

ვგეგმავთ შევქმნათ ახალი ვებ-პლატფორმა, რომელსაც ექნება:
- ახალი ვებ-პლატფორმის ეკოსისტემის კონცეფცია;
- ინფორმაციის მიღების განახლებული ფუნქციონალები;
- ტრანზაქციების განხორციელების განახლებული ფუნქციონალები;

- BMatch პლატფორმის ინტეგრაცია ვალუტის კონვერტაციისთვის.

მომდევნო წლების პრიორიტეტია, მომხმარებლის გამოცდილების კიდევ უფრო გაუმჯობესება, პროცესების გამარტივება და საჭირო პროდუქტებისა და სერვისების ციფრულ რეჟიმში, მარტივად მიღებაში კლიენტების მხარდაჭერა.

ბიზნეს სესხები

ბიზნესისთვის დაფინანსების მიწოდება, ჩვენი MSME და კორპორატიული კლიენტებისთვის, მომგებიანი ზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ჩვენი კლიენტი ბიზნესებისთვის დაფინანსების საჭიროებების უზრუნველყოფის დროს, ჩვენ მუდმივად ვვითარდებით და ვაუმჯობესებთ ჩვენს პროდუქტებსა და პროცესებს, კლიენტის კმაყოფილების გასაუმჯობესებლად.

2023 წლის მდგომარეობით, ბაზისბანკი ბიზნეს სესხებით საქართველოს საფინანსო ბაზარზე მესამე უმსხვილესი ბანკია. ბანკის ბიზნეს სესხების პორტფელის უდიდესი ნაწილი მცირე და საშუალო სესხებია, რომელიც 2022 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 63% -ით გაიზარდა.

მთლიანი ბიზნეს სესხები (ათასი ლარი)	მათგან კორპორაციებზე გაცემული სესხები[1] (ათასი ლარი)	მათ შორის SME სეგმენტზე გაცემული (ათასი ლარი)
1,718,340	128,039	1,590,302
+26% წწ	+5% წწ	+37.7% წწ

რადგან ბაზისბანკის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა დაკრედიტებაა, ბანკის ძირითადი მიზანია, ჩვენი პროდუქტები, მომსახურება და მომხმარებელთა კმაყოფილება, ძირითადად, ამ მიმართულებით გავაუმჯობესოთ. ჩვენი ამოცანა პროცესების უფრო მეტად გამარტივება, გაციფრულება და ბიზნეს კლიენტების სხვადასხვა სეგმენტისთვის, ფინანსებზე წვდომის გაზრდა. დაკრედიტების პრაქტიკა ყოველთვის შეესაბამება ბანკის რისკის აპეტიტს და მუდმივად გადის რისკების მართვის შესაბამის ეტაპებს.

კლიენტებს საკრედიტო პროდუქტების ფართო სპექტრს ვთავაზობთ და მუდმივად ვცდილობთ, ისინი ჩვენს პოტენციურ მომხმარებელთა ყველა საჭიროებას შეესაბამებოდეს. ბანკი ბაზარს სთავაზობს ბიზნეს სესხებს, საკრედიტო ხაზებს, ოვერდრაფტებს, სეზონურ სესხებს და სხვა დამხმარე მომსახურებას.

რა გავაკეთეთ 2023 წელს

2023 წელს შევეცადეთ კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა შეთავაზებული საკრედიტო პროდუქტები, გაგვეზარდა მომხმარებლის კმაყოფილება და ამგვარად გაგვეზარდა შეღწევადობა ბაზარზე და წვდომა კიდევ უფრო მეტ ახალ მომხმარებელზე.

დავხვეწეთ დაკრედიტების რამდენიმე შიდა პროცესი, ბონუს სისტემა უფრო გამჭვირვალე გავხადეთ, დავნერგეთ ახალი სამოტივაციო სქემები, რამაც გააუმჯობესა გუნდური მუშაობა და კლიენტებთან ურთიერთობა.

შედეგად,

- 2023 წელს სხვადასხვა არხიდან მიღებული განაცხადების რაოდენობა 28% -ით გაიზარდა.
- ბიზნეს დაკრედიტების პორტფელი მნიშვნელოვნად გაიზარდა და წლის ბოლოს 1,718 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 26% -იანი ზრდა იყო.

[1] ცხრილში მოცემული სესხების კლასიფიკაცია განსხვავდება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნის მოსამზადებლად გამოყენებული კლასიფიკაციისგან.

ბაზისბანკის ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის ძალისხმევა Global Finance-მა აღიარა. ბაზისბანკმა, **2023 წლის მცირე და საშუალო ბიზნესის საუკეთესო მხარდამჭერი ბანკის** ჯილდო მიიღო.
გარდა ამისა, Global Finance-მა **ბანკი 2023 წლის ყველაზე სწრაფად მზარდ** ბანკადაც აღიარა.



სამომავლო ხედვა:

მომხმარებელთა კმაყოფილებისა და, შესაბამისად, ბაზარზე შეღწევადობის გაზრდის მიზნით, 2024 წლისთვის რამდენიმე ეტაპი გამოვყავით:

- ახალი ავტომატიზებული სასესხო პროდუქციის ხაზის დანერგვა, რომელმაც უნდა შეამციროს ხელით ჩარევა და სესხების ეფექტურად გაცემა უზრუნველყოს, რაც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გაზრდის ფინანსებზე წვდომას.
- ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა, რაც შეამცირებს ხელშეკრულებების გაფორმების დროს;
- არსებულ კლიენტებზე ლიმიტების ავტომატურად, მათი ჩართულობის გარეშე, დამტკიცება.
- მობილური და ინტერნეტ ბანკის პლატფორმების სტრატეგიული გაუმჯობესება, მზარდი ფუნქციონალურობა და სიმარტივე.
- დავნერგეთ ფეიბოქსები, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს რიგები ფილიალებში.

აგრობიზნეს სესხები

ჩვენი სოფლის მეურნეობის სექტორის კლიენტებისთვის უზრუნველვყოფთ ინდივიდუალურ მომსახურებასა და დარგობრივ ექსპერტიზას. აგრობიზნესისთვის განკუთვნილი გვაქვს დესკი და წლებია ვუშვებთ სასოფლო-სამეურნეო თემატიკის გაზეთს.

ბანკი ასევე მონაწილეობს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ **შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში**. პროექტი მხარს უჭერს ბიზნესს სოფლად და სესხის პროცენტის თანადაფინანსების გზით, უზრუნველყოფს იაფ ფინანსურ რესურსებს იურიდიულ პირებზე: სახელმწიფო ფარავს საპროცენტო ღირებულების 11% -მდე. სულ გაიცა **1 125-ზე** მეტი სესხი, **711** უნიკალურ კლიენტზე. პროექტის მიზანია პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესების გაუმჯობესება. 2023 წლის ბოლოსთვის ბანკმა ამ პროექტის ფარგლებში 110 მილიონ ლარზე მეტის სუბსიდირება განახორციელა.

საერთო ჯამში, სექტორის განვითარებაში 180 მლნ. ლარზე მეტი ჩავდეთ.

ფაქტორინგი და დოკუმენტური ოპერაციები

ჩვენს ბიზნეს კლიენტებს ფაქტორინგულ მომსახურებას ვუწევთ, რაც მათ საშუალებას აძლევს დაიბრუნონ დიდი რაოდენობით დებიტორული დავალიანება და გაიუმჯობესონ ლიკვიდობა/ნაღდი ფულის პოზიცია.

დოკუმენტური ოპერაციების ფართო სპექტრი ისეთ ბიზნესებთან გვაქვს, რომლებიც ბიზნესს საზღვარგარეთ აწარმოებენ, დაკავებული არიან საქონლის იმპორტით ან ექსპორტით. სავაჭრო ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად უზრუნველვყოფთ საბანკო გარანტიებს, აკრედიტივებსა და დოკუმენტების შეგროვების მომსახურებას.

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, აკრედიტივების ნაშთი 159%-ით გაიზარდა, ხოლო გაცემული გარანტიების ნაშთი - 98% -ით.

მწვანე დაკრედიტება

ვთანამშრომლობთ ისეთ დიდ საერთაშორისო ფონდებთან, როგორიცაა EBRD (GEFF პროექტი), GGF და GCPF, ასევე მწვანე ეკონომიკის დასაფინანსებლად და გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად ვმონაწილეობთ DCFTA პროექტში (ევროკავშირი). უკეთესი ენერგოეფექტურობისა და გამწვანებისკენ მიმავალ გზაზე, ვაფინანსებთ ახალ მწვანე ბიზნესებს, არსებულ ბიზნესებს ვეხმარებით ხელახალ აღჭურვაში, ასევე ვუწევთ მათ პროფესიულ კონსულტაციებს. დამატებით, პროექტების ფრაგლებში გათვალისწინებულია ტექნიკური დახმარება და ქეშბექები, რათა მწვანე პროექტებში ინვესტირება წახალისდეს.

მწვანე ეკონომიკის მხარდასაჭერად ბანკმა ევროპაში რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდისა (GCPF) და მწვანე ზრდის ფონდისგან (GGF) 230 მილიონ ლარზე მეტი მიიღო და ქვეყანაში ენერგოეფექტური, განახლებადი ენერგიის, ქალების საკუთრებაში არსებული და სოციალური პროექტების დასაწყებად და განსავითარებლად 160-ზე მეტი მდგრადი სესხი გასცა.

მწვანე და მდგრადი დაფინანსებისადმი ჩვენმა ერთგულებამ ბანკს საერთაშორისო აღიარება მოუტანა.



ბაზისბანკისა და ADB-ის თანამშრომლობა, **ხელმისაწვდომ დაფინანსებაზე წვდომის ხელშეწყობის მიზნით,** მრავალ წელს ითვლის. იგი ეკოლოგიურად და სოციალურად მნიშვნელოვან ინვესტიციებში წარმატების მისაღწევად მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მექანიზმია. მწვანე საინვესტიციო ინიციატივებში განსაკუთრებული წვლილისთვის ბანკმა აზიის განვითარების ბანკისგან **2023 TFP საუკეთესო მწვანე გარიგების ჯილდო** მოიპოვა.

თანადაფინანსება

ბანკი თანამშრომლობს **Enterprise Georgia-ს პროგრამასთან**, რომელიც საქართველოში მხარს უჭერს არსებული ბიზნესის განვითარებას ან ახალი ბიზნესის წამოწყებას. ბევრ ბიზნესს ბანკიდან და მთავრობიდან ერთობლივად გადაეცა ფინანსური საშუალებები.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს დაფინანსებაზე წვდომა ორი ძირითადი შეღავათით შეუძლიათ: სესხის პროცენტის თანადაფინანსება და საკრედიტო გარანტიის სქემა სესხის გარანტიაში დამატებითი უზრუნველყოფის მიზნით მონაწილეობით.

პროგრამა მოიცავს დარიცხულ საპროცენტო განაკვეთებზე 6 და 12 თვიან სუბსიდიებს, მათ შორის 7% -მდე რეფინანსირების განაკვეთის თანადაფინანსებას სესხის მთელ პერიოდზე, რომელსაც ფარავს ეროვნული სააგენტო „Enterprise Georgia“. პროექტი ორიენტირებულია კონკრეტული ინდუსტრიების, მათ შორის ტურისტული მომსახურების, სასტუმრო ინდუსტრიის/ბალნეოლოგიური კურორტების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო ტურიზმისა და ეკო-ტურიზმის ინდუსტრიების ზრდის ხელშეწყობაზე. 2023 წლის ბოლოსთვის ამ პროგრამის ფარგლებში დარჩენილი სასესხო პორტფელი შეადგენდა 73 მილიონ ლარს.

ბანკი ასევე მონაწილეობს **შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში** და ამ პროექტის ფარგლებში სუბსიდირებული აქვს 110 მილიონ ლარზე მეტი.

ლიზინგი

ლიზინგი ჩვენი კლიენტებისთვის დაფინანსების ალტერნატიული წყაროა. ამ შემთხვევაში, ბანკი, მომხმარებლის დამატებითი კომფორტისთვის, პირდაპირ შეისყიდის ძირითად საშუალებებს ბიზნესისთვის და გადასცემს მას კლიენტს. ლიზინგის ვადის ბოლოს კლიენტი აქტივის მესაკუთრე ხდება. „აწარმოე საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში, საწარმოო დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობების შეძენის მიზნით, შესაძლებელია თანადაფინანსების შესაძლებლობის გამოყენებაც.

ბიზნესის მხარდაჭერის მაგალითები 2023 წელს

სს პანექსი

სს „პანექსის“, საქართველოში ენერგოეფექტური სენდვიჩ-პანელების ერთადერთი მწარმოებლისა და ბაზისბანკის თანამშრომლობას, საფუძველი 2019 წელს ჩაეყარა. სს „პანექსი“ აწარმოებს პოლიურეთანის კედლისა და სახურავის სენდვიჩ-პანელებს, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელთა ფართო სპექტრისთვის. კომპანია პასუხისმგებელია პროდუქტის მაღალ ხარისხზე, მის მომსახურებასა და გამძლეობაზე.

ბაზისბანკი 2015 წლიდან აქტიურად უჭერს მხარს მდგრად და მწვანე დაფინანსებას, ხოლო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მისი წვლილი მწვანე დაკრედიტებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული მისიის ფარგლებში, 2023 წელს BB-მ მისი საერთაშორისო პარტნიორის, ADB-სგან სპეციალური ჯილდო მიიღო. ეკომეგობრული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, ვაჭრობა ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ინიციატივებს. ბაზის ბანკისა და აზიის განვითრების ბანკის ურთიერთთანამშრომლობის მიზანს წარმოადგენდა, სწორედ სს „პანექსის“ მხარდაჭერა და მეტი ეკომეგობრული საინვესტიციო ინიციატივის წახალისება. კერძოდ, აზიის განვითარების ბანკმა, ბაზისბანკთან თანამშრომლობით, სს „პანექსს“ ენერგოეფექტური ნედლეულისა და მარაგების იმპორტისთვის საჭირო ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად, 2 მლნ. აშშ დოლარი გამოყო.

თანამშრომლობის მეორე ფაზის ფარგლებში, ბაზისბანკმა კომპანიას დამატებით 105 ათასი ევრო გამოუყო, EBRD-ის საკრედიტო ხაზის ქვეშ, საქართველოში ენერგოეფექტური სენდვიჩ-პანელების წარმოების შემდგომი ზრდის მხარდასაჭერად.

ბიზნეს ანაბრები

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთავარი ბიზნეს საქმიანობა დაფინანსების მიწოდებაა, ჩვენ ვცდილობთ, დავფაროთ კომპანიების სხვა საჭიროებებიც.

ბიზნეს ანაბრებზე მოქნილი პირობები გვაქვს, რომლებიც მოიცავს ვადიან ანაბრებს, მიმდინარე ანაბრებსა და სადეპოზიტო სერტიფიკატებს. არსებობს სხვადასხვა ტიპის სადეპოზიტო პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება კონკრეტულ ბიზნეს ტიპებსა და საჭიროებებს. პირობები საკმაოდ კონკურენტუნარიანი და მოქნილია: მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მცირე სავალდებულო მინიმალური თანხები, ყველა სავალუტო და სქემის ოპციები.

რა გავაკეთეთ 2023 წელს

2023 წლის განმავლობაში განვაახლეთ ზოგიერთი პროდუქტის პირობები, რათა ისინი უფრო მოქნილი და სასურველი გაგვეხადა ჩვენი კლიენტებისთვის.

- სადეპოზიტო პროდუქტების პირობების შემდგომი გაუმჯობესება;
- ბიზნეს პროცესების შემდგომი ოპტიმიზაცია, დროის დაზოგვის მიზნით.

ციფრული არხების გამოყენების წახალისების მიზნით, კლიენტებს მობილური აპლიკაციების მეშვეობით გახსნილ ანაბრებზე უფრო მაღალ ტარიფებს ვთავაზობთ.

ბიზნეს ანაბრები რიცხვებში

2023 წლის ბოლოსთვის, ბიზნეს ანაბრების პორტფელის მოცულობამ შეადგინა 1,13 მლრდ ლარი, რითაც 2022 წელთან შედარებით 8%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ბიზნეს ანაბრების პორტფელი (ათასი ლარი)	მათ შორის კორპორატიული ბიზნესი (ათასი ლარი)	მათ შორის SME სეგმენტის პორტფელი (ათასი ლარი)
1,134,903	931,609	203,294
8% ზრდა	3% ზრდა	38% ზრდა

სამომავლო ხედვა:

ჩვენი მომხმარებლებისთვის პროცესების გამარტივებისა და მათი კმაყოფილების გაზრდის მიზნით, 2024 წლისთვისგამოვყავით რამდენიმე ეტაპი:

- ბიზნეს დეპოზიტების დაფარვის ზრდა;
- სადეპოზიტო პროდუქტების პირობების შემდგომი გაუმჯობესება, მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდის მიზნით;
- ბიზნეს პროცესების შემდგომი ოპტიმიზაცია, შიდა დროის დაზოგვისა და მომხმარებელთა გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

სახაზინო და საბროკერო მომსახურება

საბროკერო მომსახურება

ჩვენ, დივერსიფიცირებულ ფასიან ქაღალდებში ინვესტირების ისეთ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ გადაწყვეტებს ვთავაზობთ მომხმარებლებს, როგორებიცაა სამთავრობო ან კორპორაციული ობლიგაციები. ამასთან ერთად, ჩვენს კლიენტებს სრულმასშტაბიან კასტოდიანურ მომსახურებასაც ვუწევთ. დამატებით, ბანკი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ-ერთი პირველადი დილერია და აქვს წვდომა პირველად აუქციონებზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველადი დილერი	კასტოდიანის მომსახურება	Bmatch სავაჭრო პლატფორმა
•საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, კონკრეტულ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მყოფი ბანკებისთვის მინიჭებული პრივილეგია •პირველადი დილერი პირველი დღიდან •პირველად აუქციონებზე წვდომა •წვდომა მეორად ბაზრებზე •ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო ბაზრის ფასების კოტირება	•კასტოდიანის მომსახურების სრული სპექტრი •სახელმწიფო და ლარში დენომინირებული კორპორაციული ფასიანი ქაღალდებისთვის	•საბროკერო მომსახურება უცხოური ვალუტის შესაძენად •მიწოდება ხდება ინტერნეტ ბანკის მეშვეობით •ინტეგრირებულია ბლუმბერგის ტერმინალში •განაცხადების უზრუნველყოფა შესაძლებელია ორი ინსტრუმენტით: •სრულად, ფულადი სახსრებით •განაცხადის თანხის 5% -იანი გარანტია

სახაზინო მომსახურება

ჩვენ ასევე ვთავაზობთ მომხმარებლებს, ბლუმბერგის პლატფორმასა და პერსონალური დილერის მომსახურებას, სავალუტო ვაჭრობისა და კონვერტაციისთვის. ბაზისბანკი ერთადერთი ბანკია საქართველოში, რომელმაც კლიენტებისთვის ბლუმბერგის პლატფორმის მომსახურება დანერგა. აღნიშნული მომსახურება ინტეგრირებულია ინტერნეტ და მობაილ ბანკის პლატფორმებში და ბიზნეს კლიენტებს უმარტივებს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ბიზნეს საჭიროებების დაკმაყოფილებას.

პირადი დილერი	FX ფორვარდები და FX სვოპები	REPOs
•ონლაინ პლატფორმა ვალუტის კონვერტაციისთვის •რეალურ დროში ხაზინასთან ვაჭრობა •მიწოდება ხორციელდება ინტერნეტ ბანკის მეშვეობით	•FX რისკის ჰეჯირებისთვის •სასურველი ვალუტების ლიკვიდურობის მართვისთვის;	•ლიკვიდურობის მართვის ხელსაწყო •სახელმწიფო და კორპორაციული ფასიანი ქაღალდებისთვის

სხვა მომსახურება

POS ტერმინალები, ბიზნეს ბარათები და სხვა მომსახურება ბიზნეს გადახდებისთვის

ჩვენი მხარდაჭერით, არაერთი ბიზნესი ზრდის როგორც ფიზიკურ, ისე ონლაინ საქმიანობას და გადახდებს იღებს სხვადასხვა მეთოდით. ჩვენ უსასყიდლოდ ვთავაზობთ მომხმარებლებს, პოს-ტერმინალის დანადგარებს, თანამშრომლების ტრენინგებს და ბიზნეს-მხარდაჭერას. 2023 წელს, ყურადღება გავამახვილეთ ჩვენი ბიზნეს კლიენტებისთვის მომხმარებლის გამოცდილებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მომხმარებელთა გაუმჯობესებული გამოცდილება, საქართველოში უნაღდო გადახდების მისაღებად, ციფრული გადახდებისა და ელექტრონული კომერციის მხარდასაჭერად უფრო მეტ მომხმარებელს მოიზიდავს ჩვენთან.

ბიზნეს ბარათები, ბიზნეს ტრანზაქციების განსახორციელებლად, კიდევ ერთი უკონტაქტო საშუალებაა, რომელიც ორგანიზაციის ხარჯების კონტროლის კარგი საშუალებაა. ჩვენ ამ პროდუქტზე კონკურენტულ პირობებს ვთავაზობთ მომხმარებლებს და ამ მიმართულებით ვთანამშრომლობთ საქართველოს ბანკების უმეტესობასთან.

Cash Box-ები

ბანკმა დანერგა Cash-box-ები, იგივე ნაღდი ფულადი სახსრების სეიფები, რომლებიც განთავსებულია ბაზისბანკის კლიენტის კომპანიების ოფისებში და მათში ინახება მნიშვნელოვანი რაოდენობის ნაღდი ფული, რომელიც ამავდროულად აისახება კლიენტების საბანკო ანგარიშებზე. 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, ბანკს მხოლოდ 2 ასეთი ბოქსი ჰქონდა.

BB ლიზინგი

BB ლიზინგის ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

BB ლიზინგი დაარსდა 2017 წლის ბოლოს და ამჟამად მყარად კავებს ბაზარზე მეორე უმსხვილესი სალიზინგო კომპანიის პოზიციას.

BB ლიზინგის ბიზნეს მოდელი ფოკუსირებულია და მის მთავარ სტრატეგიულ სეგმენტს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესი, რადგან კომპანიის მიზანია დააკმაყოფილოს მისი ბიზნეს და ფინანსური საჭიროებები. კომპანიის განვითარების გასაღები მდგომარეობს მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებულ არხებში, ხარისხიან პროდუქტებში, რომელთაც პაკეტში მოყვებათ გაფართოებული საკონსულტაციო მომსახურება და მაღალ დონეზე ავტომატიზირებული პროცესები. კომპანიის კარგად განვითარებულ, სისტემატიზებულ გაყიდვების ქსელს და ფართო დაფარვას უზრუნველყოფს მშობელი კომპანია - სს ბაზისბანკი. BB ლიზინგის მიერ მომსახურების გაწევა შესაძლებელი გახდა, მრავალწლიანი წარმატებული ოპერირებისა და ბაზარზე მიღწეული პროგრესისა და ბიზნეს საზოგადოებასა და ფინანსურ შუამავლებს შორის მოპოვებული ნდობის წყალობით, რაც აისახა ბანკსა და მის პარტნიორებსა და კლიენტებს შორის გრძელვადიან თანამშრომლობაში.

BB ლიზინგი იყენებს თავის პროდუქტებს, რათა ბიზნეს კლიენტებს მისცეს საშუალება, ისარგებლონ კონკრეტული აქტივებით, რომლებსაც კომპანია გადასცემს მათ, სამართლიანად და გამჭვირვალედ განსაზღვრული თანხის სანაცვლოდ და გონივრულ ვადაში, გამოსყიდვის, დაბრუნების ან განახლების შესაძლებლობით. აქტივის ლიზინგის მეშვეობით შეძენა არ მოითხოვს უზრუნველყოფას, აქტივის სტანდარტული სესხით დაფინანსებისგან განსხვავებით, რადგან ლიზინგის საგანი თავად წარმოადგენს უზრუნველყოფის ინსტრუმენტს. ლიზინგით აქტივის შეძენისას, ბიზნესმა უნდა გადაიხადოს მისი ღირებულების მხოლოდ მცირე ნაწილი (მცირე ინვესტიცია), რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს საინვესტიციო ღირებულება და დარჩენილი ფულადი სახსრები გამოყენებულ იქნას ბიზნესის განვითარებისთვის. საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების გარდა, დროის დაზოგვა ლიზინგის კიდევ ერთი უპირატესობაა, რადგან მომწოდებლებთან მოლაპარაკებები, ბიუროკრატიული საკითხები, იურიდიული, ადმინისტრაციული, სადაზღვევო, საბაჟო და ლოჯისტიკური პროცედურები, სრულად ხორციელდება სალიზინგო კომპანიის მიერ. BB ლიზინგის პროფესიონალები აწვდიან საილუსტრაციო მაგალითებს კლიენტებს შეხვედრების დროს და რაოდენობრივად განსაზღვრავენ დაზოგილ დროსა და ხარჯებს.

BB ლიზინგი თავის კლიენტებს სთავაზობს შემდეგ სალიზინგო პროდუქტებს:

ავტო ლიზინგი

- **ავტო ლიზინგით** სარგებლობა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. აღნიშნული პროდუქტის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ხელსაყრელი პირობები და ეკო-მეგობრული ტრანსპორტის ფართო ასორტიმენტიმენტის შეთავაზება, რაც ხაზს უსვამს კომპანიის მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას. დაგეგმილია, რომ მომავალში პროდუქტის შეთავაზება უნდა განხორციელდეს ციფრული არხების მეშვეობითაც.

ძირითადი საშუალებების ლიზინგი

- **ძირითადი საშუალებების ლიზინგი,** მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, წარმოადგენს სწრაფი განვითარების ალტერნატიულ გზას. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით, რომელიც მორგებული იქნება მათ შემოსავლის გრაფიკსა თუ ბიზნესის ციკლზე. მომავალში, კომპანია გეგმავს კიდევ უფრო განავითაროს აღნიშნული პროდუქტი და სიახლეები შესთავაზოს ბაზარს.

უკულიზინგი

- **უკულიზინგი,** იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი პროდუქტია. კომპანია გეგმავს, რომ დააწყვილოს პროდუქტი დაზღვევასთან და შესთავაზოს იგი მომხმარებელს როგორც ციფრული, ისე პირდაპირი მარკეტინგის არხების მეშვეობით.

შეღავათიანი აგროლიზინგი

- **შეღავათიანი აგროლიზინგი** - სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ლიზინგის თანადაფინანსება ხდება სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოს მიერ. პროექტის მიზანია, განავითაროს დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის. აღნიშნული პროდუქტი განკუთვნილია იმ საწარმოთათვის, რომლებიც აწარმოებენ, ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმს ან აწარმოებენ მათ შესაფუთ მასალებს.

ლიზინგი „აწარმოე საქართველოს“ პროექტის ფარგლებში

- **აღნიშნული პროდუქტი,** მსხვილ სახელმწიფო ორგანიზაციასთან, „აწარმოე საქართველოში“ თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა, რომლის მიზანია გააუმჯობესოს ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო, წაახალისოს მეწარმეობა, ხელი შეუწყოს მეწარმეებს, განავითაროს კერძო სექტორი, საერთაშორისო ბაზარს გააცნოს საქართველოს საინვესტიციო კლიმატი და ხელი შეუწყოს ექსპორტის განვითარებას.


დაფარვის ზონა საქართველოს საკვანძო ქალაქებია: თბილისი, რუსთავი, თელავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი და მათი მიმდებარე დასახლებები.

2023 წლის შედეგები

2022 წელს BB სალიზინგო აქტივებმა 32.8 მილიონ ლარს გადააჭარბა, რითაც წლიურ ჭრილში, 43% -იანი ზრდა დაფიქსირდა. კომპანიის კაპიტალმა 21.9 მილიონ ლარს მიაღწია. ლიზინგის პორტფელი გაიზარდა 49% -ით და შეადგინა 26.3 მილიონი ლარი.

კომპანიის შიდა კაპიტალის გამომუშავება იყო ძლიერი, წმინდა მოგება გაიზარდა 3 მილიონ ლარამდე, რაც წ/წ ზრდის 47% -ს იძლევა. კომპანიამ ჯგუფის მოგებაში დაბეგვრამდე 3.9% შეიტანა, რაც აჩვენებს, რომ BB ლიზინგი გახდა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯგუფის სტრატეგიის განხორციელებასა და ზრდაში.

პორტფელი პროდუქტების მიხედვით



შედეგები ძირითადად განპირობებულია სალიზინგო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით, რამაც 6,1 მილიონ ლარს მიაღწია, საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლით, სადაზღვევო საკომისიოებიდან მიღებული შემოსავლებით და დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავლით. ECL-მა შეადგინა 210 ათასი ლარი, რაც აჩვენებს, რომ რისკების მკაცრი კონტროლი და მონიტორინგი, კომპანიას საშუალებას აძლევს დროულად მოიშოროს ბალანსზე არსებული არასამუშაო აქტივები, ლიზინგით გაცემული აქტივების აღდგენა დავალიანებაში ხდება ძალიან სწრაფად, ხოლო კარგად გაწერილი პროცედურები და პირობები, საშუალებას აძლევს კომპანიას, უმოკლეს ვადებში დაიბრუნოს აქტივები და ხელახლა გასცეს ლიზინგით ან გაყიდოს ისინი. ასეთი ეფექტურობა განპირობებულია კომპანიის მიერ მიღებული საფუძვლიანი რისკების სტრატეგიითა და საფინანსო პოლიტიკით, რაც დაბალი რისკის ხარჯებთან და აქტივების კარგ ხარისხსთან ერთობლიობაში, ქმნიან ორგანიზაციის კონკურენტულ უპირატესობას.

სამომავლო ხედვა: BB ლიზინგის შემდეგი ნაბიჯები მიმართული იქნება მომხმხარებელთათვის დამხმარე მომსახურებების განვითარებისკენ, რისთვისაც ორგანიზაცია გამოიყენებს ციფრულ გადაწყვეტებს, რომელთა საბოლოო მომხმხარებლები იქნებიან კომპანიის კლიენტები, რომლებსაც აღნიშნული სიახლის წყალობით, საშუალება ექნებათ ისარგებლონ არა მხოლოდ სალიზინგო, არამედ სადაზღვევო და საბანკო პროდუქტებითაც, რაც, თავის მხრივ, წაახალისებს ჯვარედინ გაყიდვებს ჰოლდინგის შიგნით.

BB დაზღვევა

BB სადაზღვევო ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

BB დაზღვევა, 2017 წელს, სს ბაზისბანკმა დააფუძნა. კომპანია მოწოდებულია, შექმნას მდგრადი ღირებულება საოპერაციო ბიზნესის ეფექტურობის გზით, BB ჯგუფში შემავალი კომპანიების სინერგიების გამოყენებითა და მიზნობრივი მომხმარებლებისთვის სერვისებისა და გადაწყვეტილებების მრავალფეროვნების შეთავაზებით.

BB დაზღვევა მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა პროდუქტს როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ სეგმენტში. შემოთავაზებული პროდუქტებია: საავტომობილო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევა, ტვირთის დაზღვევა, ბიზნესის შეფერხების დაზღვევა, ზოგადი მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა და საავიაციო ბიზნესის რისკების დაზღვევა.

საყოველთაოდ აღიარებული საბანკო უზრუნველყოფის (BIM) მოდელზე დაყრდნობით, BB დაზღვევა ეფექტურად იყენებს ბაზისბანკის რესურსებს და სწრაფ და მოქნილ მომსახურებას უწევს თავის მომხმარებლებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, BB ჯგუფის ფილიალების მეშვეობით. აღნიშნული ბიზნეს მოდელი განასხვავებს BB დაზღვევას სხვა კონკურენტებისგან, რითაც ქმნის უნიკალურ გარემოს ჩვენი ჯგუფის კლიენტების მომსახურებისთვის.

კომპანია აქტიურად აგრძელებს თავისი საქმიანობის დიჯიტალიზაციას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია დისტანციური სერვისების განვითარებაზე, რომლებიც კლიენტებს საშუალებას აძლევს მოითხოვონ ანაზღაურება უფრო მოქნილი და დროში ეფექტური ფორმით. კომპანია აქცენტს აკეთებს ციფრულ გაყიდვებზე, პრეტენზიების სწრაფი მოგვარების პროცესებზე, რეპუტაციის მქონე გადამზღვევებზე, მოქნილ და მარტივ პროდუქტებზე, ფინანსურ სტაბილურობასა და პროფესიონალ პერსონალზე. ეს ფაქტორები BB დაზღვევას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს და გააფართოვოს თავისი მოქნილობა და ხელმისაწვდომობა კლიენტებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამარტივებული მმართველობითი სტრუქტურით და გადაწყვეტილების მიღების ეფექტური პროცესებით.

კომპანიის **სტრატეგიული მიზანია,** კლიენტებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის სტაბილურ და საიმედო პარტნიორად ჩამოყალიბება. ამისათვის, კომპანიამ გამჭვირვალობა თავის მთავარ პრიორიტეტად დაასახა და იცავს ამ პრინციპს კლიენტებთან და პარტნიორებთან ბიზნესის კეთებისას.

კომპანიის **ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტებია**:

- დიჯიტალიზაციაზე ფოკუსირება, მდგრადობისა და სტაბილური ზრდის უზრუნველსაყოფად.
- ინიციატივების და ცვლილებების უწყვეტი განხორციელება სერვისებში და მომხმარებელზე-ორიენტირებული მიდგომა, გამოწვევებზე რეაგირებისა და რისკების სწორად მართვის მიზნით, არსებულ არასტაბილურ გარემოში.
- A-რეიტინგულ გადამზღვეველებთან თანამშრომლობის გაღრმავება.
- რისკების მართვის ინსტრუმენტებისა და პრაქტიკის გაუმჯობესება, პორტფელის რისკების სათანადო მართვის უზრუნველსაყოფად.


2023 წლის შედეგები

2023 წელს, კომპანიამ ძლიერი შედეგები დააფიქსირა. მიღებული პრემიის მოცულობა გაიზარდა 18.8 მლნ ლარამდე და ჩვენმა წმინდა მოგებამ მიაღწია 3.1 მლნ ლარს, შედეგად, წლიურ ჭრილში, 52% -ინი ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2023 წელს, სტრატეგიული აქცენტი გაკეთდა კორპორაციულ სეგმენტზე, რომელიც საცალო სეგმენტთან შედარებით, მნიშვნელოვნად იზრდება, რადგან კორპორაციული სეგმენტი ეკონომიკური ზრდის პარალელურად ვითარდება. კომპანია აქტიური და ორიენტირებული იყო ბიზნესსა და ავიაციაზე, სადაც მოიპოვა წამყვანი პოზიცია, ბაზრის 40% -იანი წილით.

მთლიანი სადაზღვევო შემოსავლებიდან ყველაზე დიდი თანხა 9.7 მლნ ლარის ოდენობით ავიაციამ გამოიმუშავა, რაც წინა წელზე 20%-ით გაიზარდა. ავტომობილების დაზღვევა 6%-ით გაიზარდა 4.9 მლნ ლარამდე, ხოლო სიცოცხლის დაზღვევა GWP 63%-ით გაიზარდა და 2.1 მლნ ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა აჩვენებს სადაზღვევო შემოსავლების განაწილებას სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით:



2023 წელი, კომპანიამ დაასრულა 3.1 მილიონი ლარის წმინდა მოგებით (2022 წელი: 2.04 მილიონი ლარი, +52% -იანი ზრდა), ხოლო აქტივებმა მიაღწია 95.5 მილიონ ლარს, წლიური +20% -იან ზრდის მაჩვენებლით (2022 წელი: +430% -იანი ზრდა).

სამომავლო ხედვა: BB დაზღვევის შემდეგი ნაბიჯები მიმართული იქნება მომხმარებელთათვის დამხმარე მომსახურებების განვითარებისკენ, რისთვისაც ორგანიზაცია გამოიყენებს ციფრულ გადაწყვეტებს, რომელთა საბოლოო მომხმარებლები იქნებიან კომპანიის კლიენტები, რომლებსაც აღნიშნული სიახლის წყალობით, საშუალება ექნებათ ისარგებლონ არა მხოლოდ სალიზინგო, არამედ სადაზღვევო და საბანკო პროდუქტებითაც, რაც, თავის მხრივ, წაახალისებს ჯვარედინ გაყიდვებს ჰოლდინგის შიგნით.

ჯანსაღი ფინანსური პოზიციის შენარჩუნებით, ჯგუფი აგრძელებს თავისი პოზიციის განმტკიცებას სტრატეგიულ სეგმენტებში - მცირე და საშუალო ბიზნესში, კორპორაციულ და საცალო ვაჭრობის სექტორში. საცალო ვაჭრობის სექტორის განვითარება იქნება მთავარი აქცენტი მომდევნო წლებში, საქმიანობა გაძლიერდება ციფრული პლატფორმების მეშვეობით ყველაზე მოსახერხებელი გზით. ჯგუფი დააჩქარებს კლიენტზე ორიენტირებული მოდელის დანერგვას, უფრო ეფექტური დაფარვით.

ბაზრის მიმოხილვა

მოკლედ საქართველოს მაკროეკონომიკური გარემოს შესახებ

ხელსაყრელი ბიზნეს გარემო

2023 წლის განმავლობაში, საქართველოში ხელსაყრელი ბიზნეს გარემო შენარჩუნდა: ბიზნესის კეთებისთვის რელევანტური, კრიტიკული, ინდექსები მოწინავე პოზიციებზე შენარჩუნდა.

გამჭვირვალობის ინდექსი

#1 120 ქვეყნიდან

ინდექსი: საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა

საჯარო კეთილსინდისიერების ინდექსი

#29 119 ქვეყნიდან

ინდექსი: ანტიკორუფციული და სახელმწიფოს მშენებლობის ევროპული კვლევითი ცენტრი

გლობალური ინოვაციების ინდექსი

#65 132 ქვეყნიდან

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

#32 184 ქვეყნიდან

ინდექსი: Heritage Foundation

ბიზნესში მექრთამეობის ინდექსი

#35 194 ქვეყნიდან

ინდექსი: TRACE International

კორუფციის აღქმის ინდექსი

#49 180 ქვეყნიდან

ინდექსი: საერთაშორისო გამჭვირვალობა

პრუდენციული მაკროეკონომიკური პოლიტიკა

მშპ

30 მლრდ. აშშ დოლარი

+22% წწ

წყარო: საქსტატი

ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-თან მიმართებით

2.4%

-0.6% წწ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ვალი მშპ-თან მიმართებით

39.2%

+0.8% წწ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები მშპ-თან მიმართებით

16.4%

-3.2% წწ

წყარო: სებ

მაკროეკონომიკური მიმოხილვა

შარშანდელი ინფლაციური პიკური მაჩვენებლების შემდეგ შემცირებული ინფლაციის ფონზე, 2023 წლის დასაწყისში, ეკონომიკური მდგრადობის მიუხედავად, ეკონომიკური აქტივობა პანდემიამდელი დონისგან ჯერ კიდევ შორსაა. პანდემიის გრძელვადიანი შედეგები, ომი უკრაინაში, ინფლაციის შესამცირებლად აუცილებელი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგები და მაღალი ვალის ფონზე ფისკალური მხარდაჭერის მოხსნა ხელს უშლის ეკონომიკის გლობალურ აღდგენას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2024 და 2025 წლების განმავლობაში, მსოფლიო ეკონომიკა ზრდას 2023 წელს დაფიქსირებული, 3.2%-იანი ტემპით განაგრძობს. 2022 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3.5% შეადგენდა, ხოლო 2023 წელს - 3.3%. აღსანიშნავია, რომ საპროგნოზო მაჩვენებლები ჩამორჩებიან ისტორიულ (2000-19) საშუალოს - 3.8%-ს.

2022 წლის მარტში პიკური მაჩვენებლების მიღწევის შემდეგ, ნავთობისა და სურსათის ფასები შემცირდა. სამომხმარებლო საქონლისა და ნავთობის დაბალმა ფასებმა და მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ, ხელი შეუწყო ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებას. თუმცა, მონეტარული პოლიტიკის გაზრდილი განაკვეთის მიუხედავად, შრომის ბაზარი, ისევე როგორც ზოგადი ეკონომიკური აქტივობა, კვლავ ძლიერია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პანდემიის დროს განხორციელებული ფისკალური და მონეტარული სტიმულის ეფექტი ჯერ კიდევ არ განელებულა. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებას შეიძლება უფრო დაბალი ტემპი ჰქონდეს, ვიდრე თავდაპირველად იყო მოსალოდნელი.

ეკონომიკური ზრდა: გაზრდილი მოთხოვნის წყალობით, რომელიც წარმოების სტიმულირებით, ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 2023 წელს წლიური 7.5% შეადგინა.

სებ-ის პროგნოზზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკა ზრდას სტაბილური ტემპით განაგრძობს, 2024 წელს, 6.85%-იანი ზრდაა ნავარაუდები. რუსეთ-უკრაინის გახანგრძლივებულმა ომმა გააუარესა გლობალური ეკონომიკური აღდგენის ტემპი. კერძოდ, პროგნოზები გაუარესდა ევროპის ქვეყნებისთვის, რაც გამოწვეულია გლობალურად გაზრდილი ინფლაციის საპასუხოდ, ფინანსური პირობების გამკაცრებით. გარდა ამისა, 2023 წელთან შედარებით, ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებული შენელება, გარე მოთხოვნის შედარებით შესუსტების შედეგიცაა, რაც სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი შენელებითა და ლარის გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაუარესებითაა განპირობებული.


სებ-ის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი

2024	2025 წლის	2026
6.8%	**5%**	**5%**

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2024 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 4.8% იქნება, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის განახლებული პროგნოზი 5.7%-ია. სხვადასხვა დადებითმა ფაქტორმა, მათ შორის საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ, ზრდის მოლოდინი გააუმჯობესა.

ინფლაცია: პანდემიის დასრულების შემდეგ, საქონლისა და ნავთობის დაბალმა ფასებმა და მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ, ხელი შეუწყო ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებას. თუმცა, მონეტარული პოლიტიკის გაზრდილი განაკვეთის მიუხედავად, შრომის ბაზარი, ისევე როგორც ზოგადი ეკონომიკური აქტივობა, კვლავ ძლიერია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პანდემიის დროს განხორციელებული ფისკალური და მონეტარული სტიმულის ეფექტი ჯერ კიდევ არ განელებულა. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებას შეიძლება უფრო დაბალი ტემპი ჰქონდეს, ვიდრე თავდაპირველად იყო მოსალოდნელი.

2022 წლის დასაწყისში, 13.9% -იან მაჩვენებელზე ასვლის შემდეგ, ინფლაცია საქართველოში თანდათანობით შემცირდა, რასაც მოჰყვა მკაცრი მონეტარული პოლიტიკი თანდათანობით შერბილება, 2022 წლის მარტში დაწესებული 11%-დან 9.5% -მდე. წლიური ინფლაცია, საქართველოში, 2023 წლის აპრილიდან, 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა დგას და 2023 წლის დეკემბერში წლიური 0.4% შეადგინა. 2023 წლის საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.5% შეადგინა. რაც შეეხება საპროგნოზო მაჩვენებელს, სებ-ის ვარაუდით, 2024 წლის საშუალო წლიური მინფლაციის დონე, 2.2% დონეზე დაფიქსირდება.




აღნიშნული განაპირობა დაბალმა სასაქონლო ფასებმა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე საერთაშორისო გადაზიდვის ხარჯების შემცირებამ და ლარის კურსის გამყარებამ, ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან მიმართებაში.

მოსალოდნელია, რომ ეროვნული ბანკი, ინფლაციის დონეს, სამიზნე 3%-იანი ნიშნულის სიახლოვეს შეინარჩუნებს. სავარაუდოდ, ინფლაციის შემცირების ხელშემწყობი ფაქტორები მოკლე ვადით შეინარჩუნებენ ეფექტს, მაგრამ საბოლოო ჯამში, დაიწყება მათი სტაბილიზაცია, რაც წლის ბოლოსთვის, ინფლაციის მაჩვენებელს, სამიზნე ნიშნულამდე ასწევს.

საერთაშორისო ვაჭრობა: 2023 წელს საერთაშორისო ვაჭრობამ 21.69 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 13.4% -ით მეტია, 2022 წელთან შედარებით.


მზარდი სავაჭრო დეფიციტი, ნაწილობრივ დაბალანსდა, 2023 წელს, ტურიზმის სექტორში დაფიქსირებული აღდგენის ტემპით. ამავდროულად, 2023 წელს, შემცირდა, როგორც FDI მაჩვენებელი, ისე საერთაშორისო ფულადი გზავნილების ნაკადი.



ტურიზმი: ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა, 2023 წელს, 4.13 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც არის 17% ზრდა წლის ჭრილში, ხოლო 26% -იანი ზრდა, 2019 წლის, პანდემიამდელ, დონესთან შედარებით. რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტორებს, 2023 წელს მათმა რიცხვმა 6.17 მილიონი შეადგინა, რაც 31% -ით მეტია გასულ წელთან, მაგრამ 20% -ით ნაკლებია 2019 წლის პანდემიამდელ დონესთან შედარებით.


საერთაშორისო ვიზიტორები

In thousands



ტურიზმის შემოსავალი


In USD mln



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) და ფულადი გზავნილები:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), საქართველოში, წლის ჭრილში, 24%-ით შემცირდა და 2023 წელს 1,59 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2023 წელს, ფულადი გზავნილების მთლიანმა მოცულობამ 4,15 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით, 5%-ით ნაკლებია. 2023 წელს, ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი წილი რუსეთზე (37%), შემდეგ იტალიასა (12.6% წილი) და აშშ-ზე (11.1% წილი) მოდიოდა.



საქართველო ინარჩუნებს მძლავრ მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ მტკიცე სამთავრობო და ფისკალური პოლიტიკები, გაზრდილი მოხმარება და ძლიერი ფინანსური სექტორი. 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ინვესტიციებისა და ზრდისადმი არსებულ მოლოდინებს.

საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კვლავ ძლიერია, რასაც უზრუნველყოფს ძლიერი სახელმწიფო და ფისკალური პოლიტიკა, გაზრდილი მოხმარება და ძლიერი ფინანსური სექტორი. საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი 2023 წლის დეკემბერში მიენიჭა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ინვესტორთა მოლოდინს.

საბანკო სექტორის მიმოხილვა


რეგიონში არსებული დაძაბული გეოპოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს საბანკო სექტორმა მოახერხა მდგრადობის შენარჩუნება. **ძლიერი კაპიტალის ბაზა და ლიკვიდურობის ბუფერები**, საბანკო სექტორის მაღალი სანდოობის გარანტიას იძლეოდა. ბოლო ეკონომიკური ციკლების მრავალფეროვნებისა და სიმძიმის მიუხედავად, სექტორი ეკონომიკის უწყვეტ მხარდაჭერას განაგრძობდა. სექტორმა **აქტივების მაღალი ხარისხი** და ინვესტორებისთვის **მიმზიდველი მომგებიანობა** შეინარჩუნა. **დოლარიზაციის მაღალი დონე,** ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. თუმცა, მას დაღმავალი ტენდენციას აქვს, რომელსაც ეროვნული ბანკი პროაქტიულად მართავს.

2023 წელს, საბანკო სექტორის ზრდა ეკონომიკურ ზრდას მოჰყვა. მთლიანი კრედიტის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობა დაახლოებით 4.1 პ.პ.-ით 65.6%-მდე გაიზარდა, ხოლო დეპოზიტების მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი 2.2 პ.პ.-ით და 63.1%-მდე გაიზარდა. საკრედიტო დავალიანების მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი გრძელვადიან ტენდენციებზე დაბლა რჩება, რაც შინამეურნეობების ვალის ტვირთის შემცირებაზე მიუთითებს. ამით, მომავალი წლების განმავლობაში, პორტფელის ხარისხზე შემდგომი ზეწოლა მცირდება.


აშშ დოლარის საპროცენტო განაკვეთები: 2024 წელს, ჩვენი მოლოდინით, საქართველოს საბანკო სექტორი სავალუტო რესურსებზე დაფინანსების მაღალ ხარჯებს უფრო მეტი ხნით განიცდის, ვიდრე თავდაპირველად იყო მოსალოდნელი. აღნიშნულ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს, 2023 წელთან შედარებით, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე დაფინანსების გაზრდილი ღირებულება. უცხოური ვალუტის მხარეს საპროცენტო მარჟები საბალანსო უწყისში შეიძლება გარკვეულწილად დაისტრესოს. ამ სტრესს, კომერციული ბანკებისთვის უცხოური ვალუტით დაფინანსების სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების შემცირება, ნაწილობრივ შეარბილებს.

ლარის საპროცენტო განაკვეთები: მეორეს მხრივ, ადგილობრივ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთები კლების ტენდენციას აჩვენებს, რაც საქართველოს ეკონომიკაში ინფლაციის შენელების მაჩვენებელს შეესაბამება. ჩვენი მოლოდინით, ეს დინამიკა 2024 წელსაც შენარჩუნდება. ადგილობრივ ვალუტაში გაუმჯობესებული საპროცენტო მარჟები სარგებელს მოუტანს კომერციულ ბანკებს.

სექტორის დეპოზიტები როგორც მშპ-ს წილი



სექტორის სესხები როგორც მშპ-ს წილი



საკრედიტო პორტფელის ხარისხი მდგრადია და ყოველწლიურად დადებით დინამიკას აფიქსირებს. უმოქმედო სესხების წილი შემცირებულია 0.03 პპ-ით 1.48%-მდე, მაშინ, როცა რეზერვებით არაუზრუნველყოფილი უმოქმედო სესხების მოცულობა, საზედამხედველო კაპიტალის 3.8% შეადგინა.

სექტორი ძლიერი კაპიტალის ბაზითა და ლიკვიდურობის ბუფერებით მუშაობს. 2023 წლის ბოლოსთვის კაპიტალის ადეკვატურობის ჯამურმა კოეფიციენტმა მინიმალურ მოთხოვნებზე მეტი, 22.2% შეადგინა[2]. ლიკვიდობის ბუფერები იყო მყარი მთელი წლის განმავლობაში როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზნებისთვის. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) 2023 წელს საშუალოდ 129.1%-ს შეადგენდა, რაც 100%-ის მინიმალურ მოთხოვნას საგრძნობლად აჭარბებს, რითაც შეგვიძლია შევაფასოთ საბანკო სექტორის მოკლევადიანი ლიკვიდურობის მდგომარეობა. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) საშუალოდ 129.3% იყო, რაც სექტორის მყარ გრძელვადიან ლიკვიდურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

ცვლილებები საზედამხედველო მოთხოვნებში

პანდემიის შემდეგ, ინფლაციის ზრდის შეჩერების მიზნით, ცენტრალურმა ბანკებმა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრეს. 2023 წელს, აღდგენილი მიწოდების ჯაჭვებისა და გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების საპასუხოდ, ინფლაციის დონე მთელს მსოფლიოში, მუდმივად იკლებს. თუმცა, ინფლაციის ტემპის კლების მიუხედავად, ეკონომიკური აქტივობები და სამუშაო ბაზრები კვლავ მძლავრია, რაც იმას ნიშნავს, რომ ცენტრალური ბანკები პოლიტიკის განაკვეთების ნაადრევად შემცირებას, შესაძლოა, უფრო ფრთხილად მიუდგნენ. რადგან მონეტარულ ხელისუფლებაზე, ეკონომიკური აქტივობის მხრიდან, არ არსებობს ზეწოლა მოთხოვნით, უზრუნველყონ ეკონომიკის მხარდაჭერა მონეტარული ინსტრუმენტების მეშვეობით.

ინფლაციური წნეხის შემცირებისა და მაღალი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საყურადღებოდ რჩება, საგარეო სექტორიდან მომდინარე ფინანსური სტაბილურობის რისკები. ინფლაციის თარგეთირებისა და დედოლარიზაციის პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ინფლაციური მოლოდინების შესარბილებლად და ფინანსური სტაბილურობის მხარდასაჭერად, მთელი წლის განმავლობაში, მთელი რიგი მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები დანერგა.

საკრედიტო აქტივობის შესაბამისად, სებ-მა გადაწყვიტა, 2023 წლის ნოემბრიდან, არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადა, კვლავ 4 წლამდე გაეზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წელს დაფიქსირებული არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპი შემცირდა და მთლიანი საკრედიტო აქტივობა მდგრად დონეზეა შენარჩუნებული, რეგულაცია მდგრად ზრდაზე დადებითად აისახება.

ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ფინანსური დოლარიზაციის მაღალი დონით გამოწვეული სტრუქტურული რისკების შესამცირებლად, განსაკუთრებით შინამეურნეობების მხრიდან. 2024 წლიდან, კომერციულ ბანკებს არაჰეჯირებულ მსესხებლებზე, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საცალო სესხის გაცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხა აღემატება 300 ათას ლარის ექვივალენტს შესაბამის ვალუტაში. რეგულაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს საცალო სესხების დოლარიზაციას. იპოთეკური სესხების სეგმენტი ის ძირითადი სეგმენტია, რომელზეც ამ რეგულაციამ შეიძლება გავლენა იქონიოს.

ამგვარად, ფინანსური სექტორი სტაბილურობას ინარჩუნებს და იმ პოტენციურ საფრთხეებს, რომლებიც რეგიონში გაურკვეველი გეოპოლიტიკური სიტუაციიდან წარმოიქმნება, მყარი კაპიტალის ბაზისა და

[2] საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განსხვავდება ბანკების მიხედვით. ასე რომ, არ არსებობს ერთი მეტრიკა, რომ შევადაროთ რეალური თანაფარდობა სექტორის მინიმალურ მოთხოვნას. 2023 წლის განმავლობაში ყველა კომერციული ბანკი აკმაყოფილებდა კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს, მათ შორის სებ-ის მიერ დაწესებული ყველა კაპიტალის ბუფერს.

ლიკვიდობის ბუფერებით ხვდება. საბანკო სექტორს საკმარისი რესურსი აქვს ეკონომიკის მდგრადი დაკრედიტების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

BB პროგრესი

2023 წელს, ჯგუფმა განაგრძო ზრდა ყველა საკვანძო პარამეტრის ჭრილში და მიაღწია ყველა ძირითად დასახულ მიზანს, როგორც ცალკეულად ბანკის, ისე მთლიანად ჯგუფის, ჭრილში.


დაფიქსირებულ შედეგებში, აისახება BB ჯგუფის სტრატეგიისა და გამძლეობის სიძლიერე.

მომგებიანობა

შემოსავლების ორნიშნა ზრდა > +13% წ/წ წმინდა საოპერაციო შემოსავლის რეკორდული მაჩვენებელი > +14% წ/წ	ჯგუფის მიერ დაფიქსირებულმა საოპერაციო მოგებისა და წმინდა შემოსავლების მაჩვენებლებმა მიაღწიეს, წლიური ზრდის 14%-13%-იან ნიშნულებს, შესაბამისად, რაც ნასაზრდოები იყო მაღალი მარჟებითა და არასაპროცენტო შემოსავლების წლიური ზრდით.
ეფექტურობის კოეფიციენტი <50% CoR < 0,5% RoAE > 15%	რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებთან (RWA) საოპერაციო მოგების თანაფარდობამ შეადგინა 3.2%, 2023 წელს, ხოლო წინა, 2022 წელს - 3.4%. უმნიშვნელო კლება ძირითადად განპირობებულია NIM მაჩვენებლის შემცირებით. RWA-ებზე უკუგება უფრო მაღალია, 2023 წელს, დაბალი CoR წყალობით.

მდგრადი და დივერსიფიცირებული ბიზნეს მოდელი


კონსოლიდირებული ბალანსის უწყისი, წინა წელთან შედარებით, 14%-ით გაიზარდა და 3.62 მილიარდი ლარი შეადგინა. ბაზისბანკმა მე-4 ადგილი დაიკავა ბაზარზე, ყველა ძირითადი მაჩვენებლით. წლის ბოლოსთვის, ბანკის საბაზრო წილმა საბანკო სექტორში შეადგინა 4.41% (+0.01 წ/წ) აქტივების, 4.70% (+0.1 წ.წ.) სასესხო და 4.40% (+0.12 წ.წ.). წ/წ) სადეპოზიტო პორტფელების მიხედვით.



ძლიერი კაპიტალი


კაპიტალის კოეფიციენტები





ბანკი ინარჩუნებს კაპიტალის მდგრად დონეს, მყარი კაპიტალის ბუფერებით მინიმალურ მოთხოვნებთან მიმართებაში, შემოსავლების ძლიერი ორგანული ზრდისა და აქციონერთა მხრიდან კაპიტალის მხარდაჭერის წყალობით. დამატებითი მეორადი კაპიტალი შეივსო, წლის განმავლობაში, ბაზარზე გამოშვებული ახალი კაპიტალის ინსტრუმენტებით.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი





2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებს ლიკვიდურობისა და დაფინანსების ბაზის მაღალ დონეებს, კერძოდ: LCR 137% (მინიმალური მოთხოვნა - 100%) და NSFR - 117%

ფინანსური შედეგი

2022 წელს, BB ზომისა და საბაზრო პოზიციის მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად, BB-ის ფინანსური შედეგები ჯგუფის დონეზე თითქმის გაორმაგდა, შესყიდვამდე პერიოდთან შედარებით.

წმინდა მოგება	**2023** **77** **მილიონი ლარი** **+4% წწ**	**2022** **74** **მილიონი ლარი** **+92% წწ**	**2021** **39** **მილიონი ლარი**

• წლის ჭრილში, დაფიქსირდა ნორმალიზებული წმინდა მოგების 41.9%-იანი ზრდა, ერთჯერადი ეფექტის გარეშე (2022 წლის წმინდა მოგების მაჩვენებელზე, გავლენა იქონია სს ვითიბი ბანკი (ჯორჯიას) საცალო პორტფელის შეძენით მიღებულმა, ერთჯერადმა შემოსავალმა). ნორმალიზების ეფექტის გაუთვალისწინებლად, წლიურმა ზრდამ 4.0% შეადგინა.

• წმინდა მოგების ზრდა, ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი საოპერაციო შემოსავლით, შემოსავლების თითქმის ყველა კატეგორიაში - წმინდა საპროცენტო შემოსავალი (NII), არასაპროცენტო შემოსავალი ოპერაციებიდან და რისკის დაბალი ღირებულება (“CoR”) პერიოდისთვის, 2022 წელთან შედარებით.

• უკუგება საშუალო საკუთარ კაპიტალზე (“RoAE”) ერთჯერადი ეფექტის გათვალისწინებით შეადგენდა 15.7% და 13.7%, შესაბამისად, 2023 და 2022 წლებში (ფაქტობრივი მაჩვენებელი 2022 წლისთვის - 18.5%). აღნიშნული

ფაქტორის გათვალისწინებით, 2023 წელს დაფიქსირებული RoAE, ყველაზე მაღალია პოსტპანდემიურ პერიოდში.

ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა 2023 წელსაც, რის შედეგადაც, წმინდა მოგება 41.9%-ით გაიზარდა, 2022 წელთან შედარებით, თუ 2022 წლის შედეგები ნორმალიზდება პორტფელის ერთჯერადი შესყიდვის ეფექტით. ნორმალიზების გარეშე, 2023 წელს წმინდა მოგების ზრდის მაჩვენებელი 4.0%-ს შეადგენს.


მოგება-ზარალი (მლნ. ₾)	2023	2022	ცვლ. %
წმინდა საპროცენტო მოგება	137	126	9%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	13	8	63%
სხვა შემოსავლები	16	12	33%
შემოსავლები ლიზინგისა და დაზღვევისგან	7	7	0%
მთლიანი შემოსავალი	**174**	**153**	**13%**
საოპერაციო ხარჯები	-83	-74	12%
წმინდა საოპერაციო ხარჯები გაუფასურებამდე	**90**	**79**	**14%**
რეზერვები	-4	-11	-64%
სხვა შემოსავალი/ხარჯი	-9	-13	-31%
პორტფელის შეძენის ერთჯერადი ეფექტი	-	19	NMF
წმინდა მოგება	**77**	**74**	**4%**

საოპერაციო მოგება

საოპერაციო მოგება გაუფასურებამდე, 2022 წელთან შედარებით, 15%-ით გაიზარდა და 91 მლნ. ლარი შეადგინა.

საოპერაციო მოგება	**2023** **91** **მილიონი ლარი** **+15% წწ**	**2022** **79** **მილიონი ლარი** **+95% წწ**	**2021** **41** **მილიონი ლარი**

შემოსავლის სტრუქტურა: მთლიან შემოსავალ განვიხილავთ ნეტტო ჭრილში, რომელიც ამავდროულად ტოლია ბანკის მთლიანი შემოსავლისა და წარმოადგენს წმინდა საპროცენტო და არა-საპროცენტო შემოსავლების ჯამს, რომლებიც, შესაბამისად, გაიზარდა 9%და 43%-ით. 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, წმინდა საპროცენტო შემოსავალმა, მთლიანი წმინდა შემოსავლის 78.6% შეადგინა. წმინდა საკომისიო შემოსავლის, წმინდა სავალუტო შემოსავალისა და წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალის წილები შედმეგნაირად განაწილდა: 11%, 5% და 5%.



2023 წელს, საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა წლიური 20.2%-ით, ხოლო საპროცენტო ხარჯები გაიზარდა 31.3%-ით, რის შედეგადაც, წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა 9%-ით.

საპროცენტო შემოსავალი	**130 მილიონი ლარი** +20% წწ	**258 მილიონი ლარი** +98% წწ	**134 მილიონი ლარი**

წმინდა საპროცენტო მარჟა

ბანკის შემოსავლის ძირითად წყაროდ რჩება საპროცენტო შემოსულობები. დაფინანსების მხარეს არსებული ზეწოლის მიუხედავად, ბანკი ინარჩუნებს მარჟების მაღალ დონეს.

წმინდა საპროცენტო მარჟაზე, უმეტესად ზემოქმედებენ ვალდებულებები: 2022 წელთან შედარებით, გაიზარდა ძვირი მოზიდული სახსრების წილი, რაც განპირობებული იყო, მოზიდვების ნაწილში, აქცენტის უფრო გრძელვადიან, ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებზე გადატანით. NIM-ზე გავლენა ორივე მხრიდან მოხდა - სესხის განაკვეთის გამკაცრება და ლარისა და უცხოური ვალუტის სახსრების ინდექსების ზრდა. ბაზრის მოლოდინებიდან გამომდინარე, ბანკებმა დაიწყეს სესხებს განაკვეთების შემცირება უფრო ადრე, ვიდრე ეს მოხდა მოზიდულ სახსრებზე, რითაც დროებით შეამცირეს NIM.

In მილიონი GEL	2023	2022	PCT change
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	310	258	20%
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	174	132	31%
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	137	126	9%
საშუალო საპროცენტო შემოსავლის აქტივები	2,755	2,381	16%
საშუალო საპროცენტო ვალდებულებები	2,205	2,016	9%
მთლიანი საპროცენტო სარგებელი (1)	11.26%	10.84%	0.42%
გადახდილი მთლიანი პროცენტი (2)	7.88%	6.56%	1.32%
NIM (3)	4.96%	5.29%	-0.33%

1 მთლიანი საპროცენტო სარგებელი ნიშნავს, საშუალო პროცენტის მომგებიან აქტივზე გადახდილ პროცენტს იმ პერიოდისთვის

2 მთლიანი გადახდილი პროცენტი ნიშნავს, პერიოდის საშუალო პროცენტიან ვალდებულებაზე გადახდილ პროცენტს


3 წმინდა საპროცენტო მარჟა არის, წმინდა საპროცენტო შემოსავალი საშუალო მოგების აქტივებზე

NIM: 2023 წელს, NIM შემცირდა 0.33%-ით და შეადგინა 4.96%. კლების მთავარი განმაპირობებელი იყო მოზიდული სახსრების ღირებულების ზრდა (6.48% 2023 წელს 2022 წლის 5.60%-თან შედარებით), რაც თავისთავად გამოწვეული იყო დამატებით სუბორდინირებული ვალის შემოღებით.

საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს პერსონალის ხარჯებს, ამორტიზაციის ხარჯებს, მარკეტინგისა და კონსულტაციის ხარჯებს და სხვა საოპერაციო ხარჯებს. 2023 წელს, მთლიანი საოპერაციო

ხარჯების 60% მიეკუთვნებოდა პერსონალის ხარჯებს, 3% მარკეტინგისა და კონსულტაციის, 6% ცვეთასს და 31% - სხვა საოპერაციო ხარჯებს.



ხარჯების შეფარდება მთლიან შემოსავალთან, შენარჩუნდა 50%-იანი სამიზნე მაჩვენებლის ფარგლებში. 2023 წელ, აღნიშნულმა კოეფიციენტმა შეადგინა 47,7%, 2022 წელს – 48,3%.

ბანკის ზრდის მაჩვენებლები

ბაზის ბანკის უწყვეტად ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას. 2022 წელს, ვითიბი ბანკი (ჯორჯიას) საკრედიტო და სადეპოზიტო პორტფელების შეძენამ, საგრძნობად გაზარდა ბანკის ფინანსური მაჩვენებლები, კერძოდ აღნიშნულმა გამოიწვია BB ჯგუფის აქტივების 65%-იანი ზრდა. 2023 წელს, ტენდენცია დაბრუნდა ნორმალურ აღრიცხვაზე, აქტივებისა და ვალდებულებების წლიური 14%-იანი ზრდით. ზრდის მთავარი მამოძრავებელი იყო 400 მილიონ ლარზე მეტი წმინდა სასესხო პორტფელი და 300 მილიონ ლარზე მეტი მთლიანი დაფინანსება, რაც შეესაბამება ბანკის ზრდის სტრატეგიას.


სასესხო პორტფელი: 2023 წელს, ბანკის სასესხო პორტფელი გაიზარდა წლიური 19.1%-ით, 2.53 მლრდ ლარამდე, საიდანაც ბიზნეს სესხები გაიზარდა წლიური 26.2%-ით, 1.78 მლრდ ლარამდე, ხოლო საცალო სესხები გაიზარდა წლიური 6.3%-ით, 0,81 მლრდ ლარამდე.

მთლიანი სესხების პორტფელი	2023	2022	2021
	2.53 მილიარდი ლარი	**2.1 მილიარდი ლარი**	**1.26 მილიარდი ლარი**
	+19 პპ წწ	+68 პპ წწ	

2023 წელს, ბანკმა შეცვალა ბიზნეს პროცესები სეგმენტების ჭრილში, რამაც უკვე მნიშვნელოვანი შედეგი აჩვენა. 2023 წელს, მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებმა 1,6 მილიარდი ლარი შეადგინა. სესხები მსხვილ კორპორაციებზე 125 მლნ ლარამდე ნიშნულზე დაფიქსირდა, ხოლო რაც შეეხება საცალო სესხებს - ბალანსი 48 მლნ ლარით გაიზარდა.[3]

[3] ცხრილში მოცემული სესხების კლასიფიკაცია განსხვავდება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნის მოსამზადებლად გამოყენებული კლასიფიკაციისგან.

რაც შეეხება ბიზნეს პორტფელის განაწილებას სექტორების მიხედვით, ის კარგად არის დივერსიფიცირებული და მაღალი კონცენტრაცია არცერთ სექტორში ფიქსირდება. ბიზნეს სესხების დაყოფა, სექტორების მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:



არარეზიდენტების წილმა, სასესხო პორტფელში, 2023 წლის ბოლოს, შეადგინა 3.8%, ხოლო დაკავშირებული მხარეების წილმა - 0.3%. რაც შეეხება პორტფელის კონცენტრაციას ტოპ 20 ჯგუფისა და ტოპ 20 მსესხებლისათვის, მაჩვენებლები შეადგენდნენ, შესაბამისად, 24.3% და 19.5%, როდესაც გასულ, 2022 წელს, იგივე მაჩვენებლები დაფიქსირდა 24.2% და 19.2% დონეებზე.

სესხის პორტფელის ხარისხი

	2021	2022	2023
NPL კოეფიციენტი	3.8%	2.6%	2.7%
NPL დაფარვიც კოეფიციენტი	49.3%	62.9%	48.7%
NPL Collateral დაფარვის კოეფიციენტი	145.4%	144.2%	135.2%
Stage 1	1,154	1,938	2,328
Stage 2	50	101	105
Stage 3	60	83	94
Stage 3 loans %	4.7%	3.9%	3.7%

***უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი** ტოლია, მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა სასესხო ვალდებულებებისთვის, გაყოფილი უმოქმედო სესხებზე

უმოქმედო სესხების გირაოს დაფარვის კოეფიციენტი ტოლია, სესხის პორტფელისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, უმოქმედო სესხების ჯამური ვალდებულებისა და ამ უმოქმედო სესხების დისკონტირებული გირაოს ოღენობის (სხვადასხვა სახის გირაოს გამოყენების შემდეგ 0%-100%) ჯამი, გაყოფილი უმოქმედო სესხებზე.

ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხი, საბანკო სისტემაში, გამოსარჩევია. ბანკს აქვს დაბალი რისკის აპეტიტი და, შესაბამისად, ინარჩუნებს რისკის ხარჯების დაბალ დონეს, რომელმაც, 2023 წლისთვის, 0.18% შეადგინა. 2022 წლისთვის ეს მაჩვენებელი 0.65% გახლდათ, რაც ასახავდა შეძენილ პორტფელთან შერწყმას.

უმოქმედო სესხების დონე ყოველწლიურად დაბალია, დაახლოებით 3%-ის ფარგლებში. 2023 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა მთლიანი სასესხო პორტფელის 2.7%, ხოლო 2022 წელს – 2.6%.

მოზიდული სახსრები და ლიკვიდურობა

ბანკი ძირითადად ფინანსდება კლიენტების ანგარიშებით, რომელთა წილი მთლიან ვალდებულებებში, 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, შეადგენდა 71%-ს, ხოლო სესხები/ანაბრების მაჩვენებელი, იმავე პერიოდზე, შეადგენდა 115%-ს.

დაფინანსების მხრივ, მომხმარებელთა მთლიანი დეპოზიტები წინა წელთან შედარებით 11.8%-ით გაიზარდა და 2.19 მილიარდი ლარი შეადგინა. იურიდიული პირების დეპოზიტები გაიზარდა 8.1%-ით (85 მლნ ლარი), ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტები 16.1%-ით (147 მლნ ლარი). ზრდის ძირითადი წყარო იყო საცალო კლიენტების ვადიანი ანაბრების ზრდა.

	2023	2022	2021
მომხმარებლის დეპოზიტები	**2.19 მილიარდი ლარი** +12% წწ	**GEL1.96 მილიარდი ლარი** +123% წწ	**0.88 მილიარდი ლარი**

- ვადიანი დეპოზიტების მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია ბაზრის მოლოდინებთან, სადაც მოთხოვნაა დანაზოგებზე უფრო მაღალი შემოსავლით. ფიზიკური პირების დეპოზიტების 2/3 განთავსებულია ვადიან ანაბარზე.
- ფიქსირებული ვადიანობის ვალდებულებები, ხელს უწყობს LCR-ის უკეთ მართვას და ამცირებს დამატებითი ლიკვიდურობის ხარჯებს მოთხოვნამდე სახსრებზე, რომლის ჭრილში არსებულ ვალდებულებასაც დამატებით აზარალებს გადინების უფრო მაღალი განაკვეთები.
- ბანკი მუდმივად ცდილობს შეამციროს დამოკიდებულება მსხვილ მეანაბრეებზე კონცენტრაცია მუდმივად მცირდება, თუმცა აუცილებელია BB-ს ცნობადობის ამაღლებისა და მეტ კლიენტებზე გასვლისთვის, მეტი ეფექტური ღონისძიების განხორციელება.


მომხმარებელთა სადეპოზიტო პორტფოლიოს FX კონცენტრაცია არის 50.1%

არარეზიდენტების წილმა მომხმარებელთა დეპოზიტებში, 2023 წლის ბოლოს, შეადგინა 7.8%, ხოლო დაკავშირებული მხარეების წილმა - 4.4%. რაც შეეხება კონცენტრაციას ტოპ 20 ჯგუფისთვის და ტოპ 20 დეპოზიტორისთვის, მაჩვენებლები შეადგენდნენ, შესაბამისად, 44.4% და 38.2%, როდესაც გასულ, 2022 წელს, იგივე მაჩვენებლები დაფიქსირდა 49.6% და 42.2% დონეებზე.


სხვა მოზიდული სახსრები

ბაზის ბანკი სტაბილურად განაგრძობს სახსრების მოზიდვას, რასაც ხელს უწყობს პარტნიორი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გაზრდილი დაფინანსება.

მოზიდული სახსრების მთლიანი მაჩვენებელი, მომხმარებელთა დეპოზიტების გარეშე, გაიზარდა 8.8%-ით და 774 მლნ ლარი შეადგინა. დაყოფა წარმოდგენილია ქვემოთ:



საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსების ზრდა, ძირითადად აღინიშნება გრძელვადიანი სესხებისა და ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით.



2023 წელს, ბანკმა განაგრძო მუშაობა არსებულ და ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან და მოიზიდა ხელსაყრელი ინვესტიციები ბანკის საკრედიტო ბიზნესის განსავითარებლად. შედეგად, 2023 წელს, ბანკმა გააძლიერა თანამშრომლობა არსებულ პარტნიორ ინსტიტუტებთან და ჯამში მოიზიდა 92 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც 19 მილიონი აშშ დოლარი წარმოადგენს გრძელვადიან სესხებს, ხოლო 73 მილიონი მოკლევადიან სესხს, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების განვითარებაზე.

სულ სფი-დან მოზიდული სახსრები	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
92 მლნ. აშშ დოლარი	**73 მლნ. აშშ დოლარი**	**19 მლნ. აშშ დოლარი**

2023 წელს, BB-მ, Finance in Motion (FiM) და Green for Growth Fund (GGF), 6-წლიანი წარმატებული თანამშრომლობის აღსანიშნად, გააფორმეს ახალი საკრედიტო ხელსეკრულება, რომლითაც ბანკმა მიიღო 5-წლიანი მწვანე დაკრედიტების მექანიზმი, 10,000,000 ევროს მოცულობით. აღნიშნული თანამშრომლობა დაიწყო საქართველოში ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ინვესტიციებისთვის საჭირო დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ძლიერი ბაზრის განვითარების მიზნით. კრედიტორისგან მიღებული ფინანსური მხარდაჭერის პარალელურად, 2023 წელს GGF-მა ბაზისბანკს გაუწია ტექნიკური დახმარება ESG სტრატეგიის შემუშავებისა და მწვანე პროდუქტის დანერგვის მიზნით.


ბანკი მოწადინებულობამ, კიდევ უფრო გაზარდოს საკუთარი წილი მწვანე დაკრედიტების ბაზარზე, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ მდგრადი დაფინანსების კუთხით შემოღებული რეგულაციების სრული დაცვითა და მდგრადობის საკუთარი საქმიანობის ქვაკუთხედად ქცევით, 2023 წელს, უბიძგა ჩვენს პარტნიორს, Green for Growth Fund (GGF), შემოეთავაზებინა ბანკისთვის 1-წლიანი, სულფასოვანი, ტექნიკური დახმარების პროექტი, რომლის მთავარ მიზნებს შორისაც იყო ბანკის მდგრადობის სტრატეგიის შემუშავება, მისი მწვანე დაფინანსების ჩარჩოს სრულყოფა და მწვანე პროდუქტების დანერგვა და მწვანე და მდგრადი დაფინანსების კუთხით, ინსტიტუციური ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავება. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, ფონდმა მოიწვია გამოცდილი გუნდი პრაისვოტერჰაუსკუპერიდან (PWC).


ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ბაზისბანკმა მიიღო მხარდაჭერა პარტნიორი აზიის განვითარების ბანკისგანაც (ADB). 2023 წელს, ბაზისბანკისთვის განხორციელდა პროგრამა, საერთაშორისო ფინანსური სანქციების ჩარჩოს გაძლიერებისა და სავაჭრო დაფუძნებული ფულის გათეთრების (TBML) რისკების მართვის ინსტრუმენტების გასაუმჯობესებლად. პროექტი განხორციელდა აზიის განვითარების ბანკის სავაჭრო და მიწოდების ჯაჭვის საფინანსო პროგრამის (TSCFP) მხარდაჭერით, საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმის ექსპერტების მიერ. გარდა ამისა, 2023 წელს ბაზისბანკმა განაგრძო უფრო დიდი რესურსების გამოყოფა ბაზისბანკის MSME კლიენტების გრძელვადიანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და გრძელვადიანი პარტნიორებისგან Blue Orchard, GGF და ResponsAbility სულ მოიზიდა 19 მილიონი აშშ დოლარი. ჩვენი მრავალწლიანი თანამშრომლობით ჩვენს უცხოელ კრედიტორებთან გამოირჩევა უდიდესი წვლილით, რომელიც ერთობლივი ძალისხმევით შევიტანეთ ქვეყნის მიკრო, მცირე და საშუალო სექტორის განვითარებაში.

ვაჭრობის დაფინანსების საერთაშორისო ინსტიტუტებთან ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წელს, ბაზისბანკმა დაიწყო მოლაპარაკებების სერია პარტნიორებთან, ვაჭრობის დაფინანსების საკრედიტო ხაზების გაზრდის მიზნით, და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ამ მიმართულებით. ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და ADB-მა გააორმაგეს ბაზისბანკისთვის დამტკიცებული ლიმიტები, რაც ბანკს აძლევს შესაძლებლობას მიაწოდოს თავის კლიენტებს უფრო მოქნილი და იაფი რესურსები, საზღვარგარეთ ბიზნესის განვითარებისთვის. მთლიანობაში, 2023 წელი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და ნაყოფიერ წლად ჩვენი მწვანე და სავაჭრო ბიზნესის განვითარებისთვის.

ლიკვიდობა: BB-ს აქვს საკმაოდ სტაბილური დაფინანსების ბაზა, სადაც მისი ლიკვიდური აქტივების უდიდესი ნაწილია ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები (მთლიანი აქტივების 8%), ასევე სახელმწიფო და კორპორატიული ფასიანი ქაღალდები (მთლიანი აქტივების 8.8%), რომლებიც კვალიფიცირდება გირავნობისა და რეპო ოპერაციებისთვის. ბანკი სებ-ში ინახავს დიდ სავალდებულო რეზერვებს (მთლიანი აქტივების 5%-ის ტოლია), რომლის ნაწილი ლიკვიდურობის სტრესის შემთხვევაში შესაძლებელია ბანკისთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

გასული წლების განმავლობაში ბანკი რჩებოდა ეროვნული ბანკის მოთხოვნების ფარგლებში ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტის (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) მიმართ. მინიმალური მოთხოვნა ორივე კოეფიციენტისთვის არის 100%. ბაზისბანკის ბუფერები მაღალია ამ ზღურბლზე და შეადგენდა 137% LCR-სთვის და 117% NSFR-სთვის, 2023 წელს, ხოლო 2022 წელს - 124% და 122%.






კაპიტალის მდგომარეობა და მარეგულირებელი შესაბამისობა

ბაზისბანკის რეგულატორული კაპიტალი დინამიურად იზრდება ყოველწლიურად. ტენდენციას აძლიერებს აქციონერთა ძლიერი მხარდაჭერა პერიოდული ინვესტიციების ან სუბორდინირებული ვალების სახით და ასევე, ბანკის მიერ გამოშვებული დამატებითი მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტები.

2023 წელს, ბანკის ზრდის შემდგომი მხარდაჭერის მიზნით, აქციონერმა 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კაპიტალი განათავსა და 7 მილიონი ლარის დივიდენდები დააბრუნა სუბორდინირებული სესხის სახით დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტი). გარდა ამისა, ბანკმა გამოუშვა სუბორდინირებული ობლიგაციები $10 მლნ (27.7 მლნ ლარი) და სუბორდინირებული სესხი საცალო კლიენტებზე 4.9 მლნ აშშ დოლარის (13.2 მლნ ლარი) ოდენობით.

2023 წლის იანვრიდან, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო IFRS სტანდარტებზე გადასვლა. დაინერგა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი და მისი გაანგარიშების განახლებული პროცედურა. კაპიტალის მთლიან მოთხოვნილებას დაემატა CRA ბუფერის 2.1%. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზისბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი შეადგენდა 15.3%-ს, ხოლო მთლიანი კაპიტალის ადექვატურების კოეფიციენტი - 18.17%-ს (ახალი სტანდარტის დანერგვის გამო, წინა წლის კოეფიციენტები შედარებადი არ არის).



Capital Adequacy Ratios and Regulatory Thresholds

	1-Jan-23	YE 2023
CET1 CAR Requirement	11.1%	11.7%
BB CET1 CAR	15.3%	15.1%
Tier 1 CAR Requirement	13.2%	14.0%
BB Tier 1 CAR	15.3%	15.1%
Total CAR Requirement	16.7%	17.1%
BB Total CAR	17.2%	18.2%

ბაზისბანკი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კაპიტალის ადექვატურობის მოთხოვნებს.

მმართველობითი სტრუქტურა

2023 წლის სიახლეები

სამეთვალყურეო საბჭოს ორი ახალი წევრი

2023 წლის დეკემბერში, ბანკის ძალისხმევით შეიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს არსებული შემადგენლობა. შესაბამისად, საბჭოს ორმა წევრმა, მი ზაიქიმ და ნიკოლოზ ენუქიძემ თანამდებობები დატოვეს. მათ ნაცვლად, 2024 წლის იანვრიდან, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ორი მაღალკვალიფიციური და გამოცდილი დამოუკიდებელი წევრი: საბინა ძიურმანი და ნინო ოხანაშვილი შეუერთდა. 20 წელზე მეტი გამოცდილების მქონე საბინა ძიურმანი რისკების კომიტეტის თავმჯდომარე იქნება, ხოლო ნინო ოხანაშვილი, 20 წელზე მეტი გამოცდილებით, აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი. მათ საბჭო სხვადასხვა გამოცდილებით გაამდიდრეს.

განახლებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგია

ბაზის ბანკმა წარადგინა სრულიად განახლებული ESG სტრატეგია, რომელიც ბანკის სტრატეგიული მიზნებისა და განვითარების გზის განუყოფელი ნაწილია. სტრატეგია შემუშავდა მატერიალურობის შეფასების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბანკის ყველა საკვანძო დაინტერესებულმა მხარემ: მომხმარებლებმა, პარტნიორმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა, დირექტორთა საბჭოს წევრებმა და რიგითმა თანამშრომლებმა. აღსანიშნავია, რომ სტრატეგია სრულად შეესაბამება გაეროს სტრატეგიული განვითარების მიზნებს (SDGs).

განახლებული პოლიტიკები და პროცედურები

წლეულს, ჩვენ შევიმუშავეთ და განვაახლეთ ბანკის რამდენიმე საკვანძო პოლიტიკა და პროცედურა, რათა გაგვეძლიერებინა კორპორატიული მართვის ელემენტი და ბანკის ყოველდღიური მართვის სისტემა, შესაბამისი რისკის ჩარჩოს ფარგლებში.

ბანკმა დაამტკიცა და განაახლა შემდეგი პოლიტიკები და პროცედურები: ზოგადი რისკების მართვისა და შიდა კაპიტალის შეფასების პროცესი (ICAAP), შიდა ლიკვიდობის ადექვატურობის შეფასების პროცესი (ILAAP), ჯგუფში ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა, რამდენიმე შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტი არაფინანსური და ფინანსური რისკების მართვის კუთხით, საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის პოლიტიკა, სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, ადმინისტრატორების შერჩევისა და დანიშვნის პოლიტიკა და სხვ.

2023 წელს, ბანკმა შეიმუშავა კორპორატიულ მმართველობასთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის: დირექტორთა საბჭოს წევრების შესაფერისობის ხელახალი შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების კოლექტიურიშესაფერისობის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, კორპორატიული მმართველობის კოდექსთან შესაბამისობის თვით-შეფასების ფორმა, სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების წევრების ეფექტურობის გარე და შიდა შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები და სხვ.

ბანკის მმართველობის მიმოხილვა

ეფექტური კორპორატიული მართვა მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩვენი იდენტობის ნაწილია. ჩვენ მზად ვართ შევინარჩუნოთ საუკეთესო კორპორაციული მმართველობის ჩარჩო, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული ბანკის კორპორაციული მმართველობის კოდექსს, საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას. ჩარჩო ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად შეიქმნა, მასში რისკებისა და ანგარიშვალდებულების მკაფიო და თანმიმდევრული როლები და პასუხისმგებლობებია გაწერილი და ძლიერი აქცენტი კეთდება მკაფიო მმართველობის სტრუქტურის გაძლიერებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ღირებულების მართვასა და კონტროლს.

სებ-ის კორპორაციული მმართველობის კოდექსი თავის მხრივ საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას ეფუძნება, როგორიცაა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა 2000/36/EU, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD), დიდი ბრიტანეთის საფონდო ბირჟა და ა.შ.

აქციონერებისთვის უფრო დიდი ღირებულების მიწოდების მიზნით, ბაზისბანკი აგრძელებს თავისი ოპერაციების კორპორაციული მმართველობის უმაღლეს სტანდარტებით განხორციელებას, რაც მდგრადი კორპორატიული წარმატების აუცილებელი საფუძველია, განსაკუთრებით განვითარებად საბაზრო ეკონომიკაში. ჩვენ მზად ვართ დავიცვათ კარგი კორპორატიული მმართველობის პრინციპები ჩვენს ყველა ოპერაციებში, რაც საზოგადოების ურყევი ნდობის საფუძველია და ჩვენს მიმართ აქციონერების, მომხმარებლების, ბიზნესპარტნიორების, თანამშრომლების და ფინანსური ბაზრების ნდობას განამტკიცებს, თანაც ჩვენი გრძელვადიანი წარმატების გასაღებია.

ზემოაღნიშნული რეგულაციების პრინციპების შესაბამისად, ბანკმა ჩამოაყალიბა კორპორაციული მმართველობის სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება ბანკისა და მისი ჯგუფის ზომას, სირთულეს, სტრუქტურას, ეკონომიკურ მნიშვნელობას, რისკის პროფილს და ბიზნეს მოდელს.

ბანკის მმართველობითი სტრუქტურა

ბაზისბანკის (ბანკის) მმართველობითი სტრუქტურით დადგენილია ოფიციალური ჩარჩო დირექტორთა საბჭოსთვის, რათა დაიცვან ბანკის სტრატეგია და ამოცანები, ასევე მართოს ურთიერთობას დირექტორებსა და აქციონერებს შორის. ბანკმა შეიმუშავა პოლიტიკებისა და სისტემების ამომწურავი ნაკრები, რათა უზრუნველყოს მისი საბოლოო მიზნების შესრულება და ზედამხედველობისა და კონტროლისთვის ეფექტური ჩარჩო.

ბანკის მმართველობითი ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება
- სამეთვალყურეო საბჭო და საბჭოს დონის კომიტეტები
- დირექტორთა საბჭო და დირექტორთა საბჭოს დონის კომიტეტები



აქციონერთა საერთო კრება

აქციონერი თავის უფლებებსა და მოვალეობებს საერთო კრების მეშვეობით ახორციელებს. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს, მასში მონაწილეობის გზით აქციონერი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით განსაზღვრულ უფლებებს.

საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე: ამტკიცებს ბანკის წესდებას, იღებს გადაწყვეტილებას აქციების გამოშვების შესახებ, მოგების განაწილების და გამოყენების შესახებ, ბანკის კაპიტალში ცვლილებების შესახებ და საბჭოს წევრების დანიშვნისა და/ან გათავისუფლების შესახებ.

აქციონერთა საერთო კრებაზე, ერთი ჩვეულებრივი აქცია, მის მფლობელს, ერთი ხმის უფლებას ანიჭებს. აქციონერთა მორიგი საერთო კრების სხდომა ტარდება წელიწადში ერთხელ, გასული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის მომზადებიდან, არაუგვიანეს ორი თვის განმავლობაში, რომელიც თავის მხრივ უნდა მომზადდეს წლის დასრულებიდან ოთხი თვის განმავლობაში. აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომა მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, დირექტორატის ან აქციათა მინიმუმ 5 %-ის მფლობელი აქციონერის მოთხოვნით.

წლიური საერთო კრება: 2024 წლის ყოველწლიური საერთო კრების ("AGM") შესახებ შეტყობინება მიეწოდება ყველა აქციონერს AGM-მდე სულ მცირე 21 სამუშაო დღით ადრე და ის ასევე ხელმისაწვდომი იქნება ვებსაიტზე.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო (საბჭო) ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველი ორგანოა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს საბჭოს სხდომისა და საბჭოს დონის კომიტეტების მეშვეობით. საბჭო ნიშნავს დირექტორატის წევრებს და მჭიდროდ თანამშრომლობს დირექტორატთან, ზედამხედველობს და კონსულტაციას უწევს მნიშვნელოვან საკითხებზე და უშუალოდ მონაწილეობს ფუძემდებლური გადაწყვეტილებების მიღებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციებია ბაზისბანკის ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველობა, კორპორაციული მმართველობა და რისკების მართვა. ამ ფუნქციების ფარგლებში, საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ჯგუფის ღირებულებების ჩამოყალიბების შესახებ, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე და ზოგადად, იმის უზრუნველყოფაზე, რომ ჯგუფი იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენციის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების დაცვით; ადგენს ჯგუფის სტრატეგიას და ზედამხედველობას უწევს მენეჯმენტის მიერ ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულებას; უზრუნველყოფს

ჯგუფის ყველა მარეგულირებელ და სამეთვალყურეო მოთხოვნასთან შესაბამისობას; ადგენს კომპანიის რისკის მადას დირექტორთა საბჭოსთან და CRO-სთან (გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის საკითხებში) კოორდინაციით; საბჭო აგრეთვე აკონტროლებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და აფასებს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს კონტროლის ფუნქციების დამოუკიდებლობასა და ეფექტურობას და ახორციელებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებას მისი გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად. საბჭო ვალდებულია გააკონტროლოს ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და უზრუნველყოს ჯგუფში ეფექტური პროცედურების და პოლიტიკის არსებობა კანონისა და მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს სხდომები ემყარება ღია დიალოგის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და წევრებს აქვთ შესაძლებლობა სრულად ჩაერთონ სამუშაო პროცესში. გადაწყვეტილებები მიიღება გამჭვირვალედ, ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობს დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ ბანკის რეგულაციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საბჭოს გადაწყვეტილებები და მასთან დაკავშირებული მასალა მუდმივად გადაეცემა საქართველოს ეროვნულ ბანკს.


სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა და ხელახლა დანიშვნა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნიშნავს AGM 4 წლის ვადით. 4 წლის შემდეგ მათ უფლებამოსილება უხანგრძლივდებათ, სანამ ახალ წევრებს არ დანიშნავენ მომდევნო AGM-ზე. თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს შეუზღუდავი რაოდენობით.


საბჭოს წევრებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს გადადგნენ თანამდებობიდან. განცხადება გადადგომის შესახებ უნდა გაიგზავნოს 3 თვით ადრე. საბჭოს წევრი შეიძლება გადააყენოს წლიურმა საერთო კრებამ ვადამდე ნებისმიერ დროს. ახალი წევრი უნდა დაინიშნოს ყოფილი წევრის გადადგომის დღიდან 6 თვის ვადაში.

მოვალეობების გამიჯვნა: კორპორაციული მმართველობის სტრუქტურის მიხედვით, მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობები გამიჯნულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გამორიცხულია დირექტორთა საბჭოს წევრობიდან. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი საბჭო აქტიურად არის ჩართული ბანკის სტრატეგიისა და ყოველდღიური მენეჯმენტის განხორციელებაში, სამეთვალყურეო საბჭოს როლი კი არის ზედამხედველობა და მენეჯმენტის საბჭოსთვის რეკომენდაციების გაწევა.

საბჭოს მრავალფეროვნება. სამეთვალყურეო საბჭო განსხვავდება ასაკის, სქესის, ეროვნების, წარმომავლობისა და გამოცდილების მიხედვით. წევრები ხელს უწყობენ საბჭოს ფუნქციონირებას თავიანთი განსხვავებული მოსაზრებებითა და რჩევებით სხვადასხვა საკითხებზე. ბანკს მიაჩნია, რომ ამ მრავალფეროვნებას მოაქვს დაბალანსებული ექსპერტიზა და პერსპექტივები საბჭოს საკითხებზე და უფრო მაღალ დონეზე აყენებს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საბჭოში ქალთა წარმომადგენლობა 50%-ია.





საბჭოს დამოუკიდებლობა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარი (ექვსიდან სამი) დამოუკიდებელია. დამოუკიდებელი წევრები ვალდებულნი არიან აცნობონ საბჭოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება შელახოს მათი დამოუკიდებლობა. საბჭოს წევრები დამოუკიდებელნი არიან, თუ ისინი არ ექვემდებარებიან ბანკის ან მესამე მხარის გავლენას, რამაც შეიძლება წევრს ხელი შეუშალოს ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაში. დამოუკიდებელ წევრებს მთავარი როლი აქვთ საბჭოს დონეზე კომიტეტებში, ამიტომ ისინი უზრუნველყოფენ გარე გამოცდილებას და ობიექტურობას და ხელს უწყობენ ინტერესთა კონფლიქტის უფრო ეფექტურად თავიდან აცილებას.

სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება: საბჭო ვალდებულია, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, განახორციელოს თავისი და საბჭოს დონის კომიტეტების მუშაობის თვითშეფასება. იგი აფასებს სამეთვალყურეო ეფექტურობას მთლიანობაში საბჭოს, მისი კომიტეტებისა და წევრების ჭრილში. გარდა ამისა, გარე აუდიტორმა, სამ წელიწადში ერთხელ უნდა შეაფასოს საბჭოს მუშაობის ეფექტურობა. ბოლო გარე შეფასება 2023 წელს ჩატარდა, როდესაც შეფასდა 2022 წლის საწმიანობა. ბოლო შიდა მიმოხილვა ჩატარდა, 2024 წელს და შეფასდა 2022 წლის და 2023 წლის პირველი კვარტლის მუშაობა.

სამეთვალყურეო საბჭოს დონის კომიტეტები

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებლობის გარკვეულ არეალს დელეგირებით გადასცემს აუდიტის კომიტეტს და რისკის მართვის კომიტეტს. ამ ორი კომიტეტის ფუნქციები ერთმანეთისგან განცალკევებულია. კომიტეტები რეგულარულად წარუდგენენ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს, რათა ინფორმირებული გადაწყვეტილებები იქნას მიღებული.

კომიტეტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ ბანკის შიდა ინფორმაციასა და დოკუმენტებზე, რომლებიც მათი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია. კომიტეტებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოიწვიონ კონსულტანტები (თუკი საჭიროა), რომ მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია და საკონსულტაციო მომსახურება იურიდიულ, ტექნიკურ, ფინანსურ, რისკის მართვის, სტატისტიკურ და სხვა თემებზე.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი დამოუკიდებელი კონტროლის ფუნქციაა, რომელიც მხარს უჭერს სამეთვალყურეო საბჭოს ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის განხორციელების

მონიტორინგში. აუდიტის კომიტეტი იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიერ, სადაც სამი წევრიდან ორი დამოუკიდებელია. ის პირდაპირ ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს.

კომიტეტის თავმჯდომარე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია:

- შიდა და გარე აუდიტორებთან ურთიერთობაზე, შიდა და გარე აუდიტის მასშტაბისა და მოცულობის განსაზღვრაზე;
- ზედამხედველობას უწევს ბანკის შიდა და გარე აუდიტორთა რეკომენდაციების შესრულებას;
- წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური/არაფინანსური ანგარიშგების განხილვაზე;
- ბანკის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ზედამხედველობასა და მონიტორინგზე;
- რისკების მართვის ჩარჩოს დაცვისა და შიდა კონტროლისა და პროცესების ეფექტურობის უზრუნველყოფაზე;.

2023 წლის განმავლობაში, აუდიტის კომიტეტის სხდომა 2-ჯერ ჩატარდა.

რისკების მართვის კომიტეტი


რისკების კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი დამოუკიდებელი კონტროლის ფუნქციაა, რომელიც მხარს უჭერს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგში. კომიტეტი იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ, სადაც სამიდან ორი დამოუკიდებელია.

კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. კომიტეტის თავმჯდომარე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია.

კომიტეტი პასუხისმგებელია:
- ბანკის რისკების მართვის ჩარჩოსა და ფუნქციების ზედამხედველობაზე;
- ბანკის რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკის ზედამხედველობასა და მათ ეფექტურ განხორციელებაზე;
- ბანკის რისკის პროფილის, ლიმიტების და მთლიანი რისკის კულტურის შეფასებასა და ზედამხედველობაზე;
- მარეგულირებელთან და სხვა შიდა და გარე რეგულაციებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე;
- შვილობილი კომპანიის რისკის მართვის ფუნქციის, რისკების მართვის ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების გამართული ფუნქციონირების ზედამხედველობაზე.

რისკების კომიტეტის სხდომა წლის განმავლობაში ორჯერ გაიმართა.

კომიტეტის წევრები და მათი დამოუკიდებლობის სტატუსი



დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭოს (საბჭო) ეკისრება ყოვლისმომცველი პასუხისმგებლობა ბაზისბანკის მართვაზე, მიმართულების მიცემაზე და ბანკის სტრატეგიული კურსის განსაზღვრაზე. ამასთან ერთად, საბჭო პასუხისმგებელია საბოლოო ბიზნეს მიზნების განხორციელებაზე ბანკის სტრატეგიის შესაბამისად, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტური ჩარჩოს ფარგლებში ნავიგაციაზე და კორპორაციული მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის დაცვაზე.

საბჭო კოლექტიურად პასუხს აგებს ბანკის გრძელვადიან წარმატებასა და აქციონერებისთვის ღირებულების მიწოდებაზე. საბჭოს წევრებს აქვთ გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის შესაბამისი ბალანსი, ასევე მიუკერძოებლობა თავიანთი მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

საბჭო შედგება შვიდი დირექტორისგან, გენერალური დირექტორისგან და ექვსი მოადგილისგან, რომელთაგან თითოეული მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს: საცალო ბიზნესი, დაკრედიტება, ფინანსები, რისკების მართვა, ოპერაციები და კომერციული ბიზნესი.

ძირითადი მოვალეობები:

- პასუხისმგებლობა ბანკისა და მისი ოპერაციების ყოველდღიურ მართვასა და ზედამხედველობაზე;
- ბანკის სტრატეგიის, გრძელვადიანი მიზნებისა და ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულება; შესრულების მონიტორინგი;
- ბანკში ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის, რისკების კონტროლის, რისკის კულტურის ხელშეწყობის ეფექტური სისტემების შექმნა.

დირექტორების დანიშვნა და ხელახალი დანიშვნა: გენერალურ დირექტორს და გენერალური დირექტორის მოადგილეებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო.

დირექტორთა საბჭოს წევრები ინიშნება 4 წლით. 4 წლის შემდეგ მათ უფლებამოსილება უხანგრძლივდებათ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი წევრის დანიშვნამდე. თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს შეუზღუდავი რაოდენობით.

მოვალეობების გამიჯვნა: დირექტორთა საბჭო აქტიურადაა ჩართული ბანკის სტრატეგიისა და ყოველდღიური მართვის შემუშავებასა და განხორციელებაში. ზედამხედველობის მაღალი დონის ფუნქციები თითოეული დირექტორისთვის შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

დავით ცაავა,
გენერალური დირექტორი
- მენეჯმენტ ბორდის მართვა
- სტრატეგიული განვითარება და მენეჯმენტი
- მარკეტინგი და სტრატეგიული კომუნიკაციები
- ბიზნეს ანალიტიკა და ტრანსფორმაცია
- ადამიანური რესურსების მართვა და ადმინისტრირება

ლია ასლანიკაშვილი,
გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები
- აღრიცხვა და ფინანსური რეპორტინგი
- სტრატეგიული დაგეგმვა და ბიუჯეტირება
- კაპიტალის და აქტივ-ვალდებულებების მენეჯმენტი
- ინვესტორებთან ურთიერთობა
- გლობალური ტრანზაქციები და ფულის მენეჯმენტი

დავით კაკაბაძე,
გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკები
- ფინანსური და არაფინანსური რისკების მენეჯმენტი
- მარეგულირებელი და სამართლებრივი შესაბამისობა
- სამართლებრივი მხარდაჭერა
- პრობლემური აქტივების მართვა და სასამართლო დავები
- AML და საქციების შესაბამისობა
- მომხმარებლის გამოცდილება და ხარისხი

რატი დვალაძე,
გენერალური დირექტორის მოადგილე, ოპერაციები
- ტექნოლოგიების ლიდერი, IT და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება
- ოპერაციების მენეჯმენტი და ცენტრალიზებული Back Office
- პროექტის მენეჯმენტი და ბიზნეს ანალიტიკა
- პროდუქტისა და სერვისის მხარდაჭერა
- ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა და ლოჯისტიკა


გოგი გაბუნია,
გენერალური დირექტორის მოადგილე, კომერციული დირექტორი
- კორპორატიული დაფინანსება და სტრატეგიული ბიზნესის განვითარება
- მცირე და საშუალო ბიზნესის ბანკინგი
- კერძო ბანკინგი
- ვაჭრობის ფინანსები და ფაქტორინგი
- საკრედიტო ანალიტიკა

ჰუი ლი,
გენერალური დირექტორის მოადგილე, დაკრედიტება
- კრედიტ კომიტეტის წევრი

ლევან გარდაფხაძე,
გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო ბიზნესი
- საცალო ბიზნესის მენეჯმენტი
- პრემიუმ ბანკინგი
- ფილიალებისა და სერვისების ქსელის განვითარება
- ციფრული სერვისები და ტრანსფორმაცია
- პროდუქტებისა და სერვისების განვითარება
- გაყიდვების ქსელის განვითარება

მმართველი საბჭოს შემადგენლობა: მმართველი საბჭო განსხვავდება ასაკის, სქესის, ეროვნების, წარმომავლობისა და გამოცდილების მიხედვით. ბანკს მიაჩნია, რომ ამ მრავალფეროვნებას ბანკის სტრატეგიულ მიმართულებებსა და ყოველდღიურ მენეჯმენტში დაბალანსებული ექსპერტიზა და პერსპექტივები მოაქვს.

საბჭოში ქალთა წარმომადგენლობა შეადგენს 29%-ს (შვიდი წევრიდან ორი ქალია).



ცვლილებები მმართველთა საბჭოს შემადგენლობაში: 2023 წელს დირექტორთა ცვლილებები არ მომხდარა.

საბჭო გადასცემს პასუხისმგებლობის კონკრეტულ სფეროებს თავის ხუთ კომიტეტს: საკრედიტო კომიტეტს, პროდუქტის განვითარების კომიტეტს, IT განვითარების კომიტეტს, ALCO-ს და შესაბამისობის კომიტეტს.

საკრედიტო კომიტეტი

კომიტეტი აფასებს პოტენციური კლიენტების ფინანსურ მდგომარეობას და სესხის დაფარვის შესაძლებლობებს; გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად.

საკრედიტო კომიტეტს აქვს ოთხი დონე სესხის დასამტკიცებლად, ეს დონეებია:

- საკრედიტო დეპარტამენტის დონე;
- რისკის მართვის დეპარტამენტის დონე;
- მცირე კომიტეტის დონე;
- კომისიის გაფართოებული დონე.

პროდუქტის განვითარების კომიტეტი

პროდუქტის განვითარების კომიტეტი განსაზღვრავს და აანალიზებს ახალი პროდუქტების მიზანშეწონილობას და აკონტროლებს მათ განვითარებასა და განხორციელებას. ის ასევე უზრუნველყოფს არსებული პროდუქტებისა და სერვისების შემდგომ გაუმჯობესებას და განვითარებას.

კომიტეტი შედგება ოთხი წევრისაგან. კომიტეტს ხელმძღვანელობს ოპერაციული დირექტორი.

პროდუქტის განვითარების კომიტეტის წევრები არიან:

- გენერალური დირექტორის მოადგილე – რისკების მართვა;
- გენერალური დირექტორის მოადგილე – საცალო ბიზნესი;
- ზოგადი რისკების დეპარტამენტის უფროსი.

IT განვითარების კომიტეტი

IT განვითარების კომიტეტი ადგენს IT პროექტების პრიორიტეტებს და უზრუნველყოფს IT პროექტების შესაბამისობას ბანკის სტრატეგიასთან; განსაზღვრავს და აანალიზებს შესაბამის IT ამოცანებს; შეიმუშავებს ახალ პროექტებს და უზრუნველყოფს მათ სათანადო პროგრესს და განხორციელებას.

IT კომიტეტი შედგება სამი წევრისაგან, კომიტეტს ხელმძღვანელობს რისკების მართვის გენერალური დირექტორის მოადგილე.

IT განვითარების კომიტეტის წევრები არიან:

- რისკების მართვის გენერალური დირექტორის მოადგილე;
- გენერალური დირექტორი;

- IT დეპარტამენტის უფროსი.

ALCO

კომიტეტი განიხილავს ლიკვიდურობის მიმდინარე და პერსპექტიულ პოზიციებს და მონიტორინგს უწევს დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებს, შეიმუშავებს პარამეტრებს დეპოზიტების, სესხებისა და ინვესტიციების ფასისა და ვადის განაწილებისთვის. განსაზღვრავს და ადგენს სავალუტო პოზიციის ლიმიტებს, ფულადი სახსრების ლიმიტებს და სხვა ფინანსურ პროდუქტებს.

ALCO შედგება შვიდი წევრისაგან, კომიტეტს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები.

ALCO-ს წევრები არიან:

- გენერალური დირექტორის მოადგილე – ფინანსები;
- გენერალური დირექტორი;
- ხაზინის დეპარტამენტის უფროსი;
- გენერალური დირექტორის მოადგილე – რისკების მართვა;
- CCO;
- გენერალური რისკების დეპარტამენტის უფროსი;
- აქტივ-პასივების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

შესაბამისობის კომიტეტი.

შესაბამისობის კომიტეტი შეიქმნა დირექტორთა საბჭოს მიერ 2022 წლის აგვისტოში, რათა ხელი შეუწყოს შესაბამისობის რისკების ეფექტურ მართვას ბანკის დაცვის სამი ხაზის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში.

კომიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს შესაბამისობის რისკების ეფექტიან მართვას და შერბილებას. კომიტეტი შედგება შვიდი წევრისაგან და მას ხელმძღვანელობს რისკების მართვის გენერალური დირექტორის მოადგილე.

შესაბამისობის კომიტეტის წევრები:

- გენერალური დირექტორი;
- გენერალური დირექტორის მოადგილე – რისკების მართვა;
- გენერალური დირექტორის მოადგილის მრჩეველი - რისკების მართვა;
- CCO;
- გენერალური დირექტორის მოადგილე – ფინანსები;
- AML დეპარტამენტის უფროსი;
- შესაბამისობის განყოფილების უფროსი.

მმართველობის სხვა ასპექტები

ინტერესთა კონფლიქტი

ბაზისბანკის ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო და სხვა კონტროლის ფუნქციები მკაცრად აკონტროლებენ ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო წყაროებს. ბანკი აიდენტიფიცირებს და აღრიცხავს დაკავშირებულ მხარეებს და აწესებს კონტროლს მათთან ტრანზაქციებზე. სამეთვალყურეო საბჭო პერიოდულად გადასინჯავს მის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს გამოწვევებთან შესაბამისობა. გარდა ამისა, ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ბანკთან, რათა გაითვალისწინოს მარეგულირებლის მითითებები ძლიერი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების მიზნით.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები ექვემდებარება სავალდებულო განხილვას და დამტკიცებას დირექტორთა საბჭოს ან/და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ბანკი მკაცრად იცავს თანაბრობის პრინციპს და დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციების ამ პრინციპებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების საკმარისი რაოდენობა კონტროლს მეტად ეფექტურს ხდის და ხელს უწყობს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

დირექტორთა საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების პოლიტიკა

რეგულატორის მოთხოვნების შესაბამისად, 2023 წელს, ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა შრომის ანაზღაურების პოლიტიკა, რომლის მიზანია, განსაზღვროს, ტოპ-მენეჯერების, სხვა მატერიალური რისკების მატარებლების, კონტროლის ფუნქციის მქონე და სხვა პერსონალის შრომის ანაზღაურების მარეგულირებელი საბაზო პრინციპები.

ანაზღაურების პოლიტიკა ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა სამართლიანობა, შრომის ანაზღაურების შესაბამისობა გაწულ სამუშაოსთან და იგი მხედველობაში იღებს პოზიციის ფუნქციონალურ დატვირთულობას, დასაქმებულის კომპეტენციასა და გამოცდილებას, მადისკრიმინირებელ საფუძელზე განსხვავების დაუშვებლობის პრინციპს, თანამშრომლის მოტივირებისა და შენარჩუნების სურვილს, ანაზღაურებადი შვებულებისა და დასვენების დროის სავალდებულო პრინციპებს, სოციალური უსაფრთხოევის გარანტიებსა და ასევე, მყარი კორპორატიული მმართველობისა და რისკების მართვის ქცევის წახალისებას.

ანაზღაურება მოიცავს, როგორც ფიქსირებულ, ისე შესაძლოა მოიცავდეს ცვლად კომპონენტსაც. ცვლადი კომპონენტები არ გამოიყენება დირექტორთა საბჭოს წევრების შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების პოლიტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურებს ბიუჯეტს ამტკიცებს აქციონერთა საერთო კრება. იგი განსაზღვრავს საბჭოს წევრებისთვის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების ოდენობას. საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურება მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ კომპონენტს.

სამეთვალყურეო საბჭოს დღის წესრიგი 2023 წლისთვის

2023 წელს, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ჰქონდა დატვირთული და მრავლისმომცველი დღის წესრიგი, რომელიც ფარავდა მნიშვნელოვან საკითხთა ფართო სპექტრს, რომლებიც შეეხებოდა ბანკის მმართველობას, ოპერაციებს, რისკების მართვასა და სტრატეგიულ მიმართულებებს.

2023 წელს, სამეთვალყურეო საბჭოს 32 შეხვედრა გაიმართა, რომელზეც განიხილეს და გადაწყვეტილება მიიღეს 44 საკითხზე. აღნიშნული 32-დან, 2 შეხვედრა ჩატარდა საქართველოში, დასწრებულ ფორმატში.

საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საბჭოს წევრის რაიმე დაკავშირებულობის ან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული საბჭოს წევრი არ იღებდა მონაწილეობას პროცესში.

2023 წლის განმავლობაში, საბჭომ განიხილა არაერთი საკითხი, მ.შ.:

	საკითხი
სტრატეგია და ბიუჯეტი	• ბაზის ბანკის 2023 წლის სტრატეგიისა და ბიუჯეტის დამტკიცება • ბაზის ბანკის სტრეს-სცენარებისა და მათზე რეაგირების გეგმების დამტკიცება
ფინანსური უწყისები	• ბაზის ბანკის 2022 წის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება • ბაზის ბანკის 6 თვის შედეგები
კაპიტალი და მოზიდული სახსრები	• დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების გაცემა • მოსაზიდი სახსრების დამტკიცება • საკრედიტო და ვაჭრობის დაფინანსების ხელშეკრულებების მიმოხილვა
კორპორატიული მმართველობა	• სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების მუშაობის ეფექტურობის შეფასება • სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების მუშაობის ეფექტურობის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების განახლების დამტკიცება • აუდიტისა და რისკების კომიტეტების ყოველწლიური ანგარიშების მიმოხილვა • აუდიტისა და რისკების კომიტეტების ნახევარწლიური ანგარიშების მიმოხილვა • შიდა აუდიტის ბიუჯეტისა და სამუშაო გეგმის დამტკიცება • დირექტორთა საბჭოს წევრების შესაფერისობის ხელახალი შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცება • სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების კოლექტიური შესაფერისობის შეფასება • კორპორატიული მმართველობის კოდექსთან შესაბამისობის თვით-შეფასება
პოლიტიკების მიმოხილვა	• მატერიალური რისკის მატარებელი პირების სიის დამტკიცება • ადმინისტრატორების სიის დამტკიცება • ადმინისტრატორების სიის დამტკიცება • ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის დამტკიცება • ზოგადი რისკების მართვისა და შიდა კაპიტალის შეფასების პროცესის (ICAAP) დამტკიცება • შიდა ლიკვიდობის ადექვატურობის შეფასების პროცესის (ILAAP) დამტკიცება • საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცება • ადმინისტრატორების შერჩევისა და დანიშვნის პოლიტიკის დამტკიცება
პოზიციებზე დამტკიცება	• დირექტორთა უფლებამოსილებების გახანგრძლივება • ადმინისტრატორულ პოზიციებზე კანდიდატების დამტკიცება

	საკითხი
რისკის განსაზღვრება	ჯგუფისთვის დამახასიათებელია საკრედიტო რისკი. ეს ის რისკია, როცა ფინანსური ტრანზაქციის მონაწილე ერთ-ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მოვალეობას, რითაც კონტრაგენტის ფინანსურ ზარალს იწვევს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა ჯგუფის საკრედიტო საქმიანობის და პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსურ აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების გაჩენას. ცხადია, საკრედიტო რისკი ბანკებისთვის და ბანკების საზედამხედველო ორგანოებისთვისთვის უმნიშვნელოვანესი რისკია. ბანკის საკრედიტო სტრატეგია დივერსიფიცირებული და მომგებიანი საკრედიტო პორტფელის შექმნა და ამასთან მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნებაა.
რისკის გამოვლენა და გაზომვა	რისკების მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსური პროცესია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი ცვალებადია და დამოკიდებულია ბაზრის პირობებზე, მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობაზე და დროის ფაქტორზე. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს აქტივის შესაძლო დეფოლტის, დეფოლტთან დაკავშირებული ზარალის დონის და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციების წინასწარ შეფასებას. ბაზისბანკში საკრედიტო რისკების მართვა რამდენიმე სახის საქმიანობას გულისხმობს, რომლებიც ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.
რისკის მიტიგაცია	ბაზისბანკში ამ საკითხს არეგულირებს საკრედიტო პოლიტიკა და დაკრედიტების სახელმძღვანელო. ეს ფორმალიზებული დოკუმენტი განსაზღვრავს და არეგულირებს პორტფელის სტრუქტურას, საფასო და არასაფასო პირობებს, ლიმიტების სტრუქტურას, მაავტორიზებელ ორგანოებს და გამონაკლისების დამუშავების პროცესს და მენეჯმენტის ანგარიშგებას. საკრედიტო რისკი, როგორც პორტფელის, ისე ტრანზაქციების დონეზე, იმართება საკრედიტო კომიტეტების სისტემის მეშვეობით, რაც ეფექტიან გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს. საკრედიტო კომიტეტების იერარქია ითვალისწინებს პროდუქტის ტიპს და რისკის პოზიციის განსახილველ ოდენობას. როცა კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯერი მიიღებს სასესხო განაცხადს, ის გადაეცემა შესაბამის საკრედიტო კომიტეტს, რომელიც ამტკიცებს კრედიტის ლიმიტს. **კრედიტის გაცემის ჯანსაღი პროცესი** - ბაზისბანკში ეს გულისხმობს მთელი რიგი ელემენტების გათვალისწინებას კრედიტის გაცემის დროს. საკრედიტო პოზიციიდან და საკრედიტო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ელემენტები მთელ რიგ ფაქტორებს მოიცავს, მაგალითად, როგორიცაა კრედიტის მიზნობრიობა, გადახდის წყაროები, მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე რისკის პროფილი, უზრუნველყოფა და მისი სენსიტიურობა ეკონომიკაში და ბაზარზე მიმდინარე მოვლენებისადმი, მსესხებლის გადახდების ისტორია და ამჟამად არსებული გადახდისუნარიანობა, ისტორიული ფინანსური ტრენდები და ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზები. საკრედიტო ანალიზის დროს ყურადღება ექცევა მსესხებლის

ბიზნეს-ექსპერტიზას, მსესხებლის ეკონომიკის სექტორს და მის პოზიციას სექტორში. ეს ელემენტები წარმოადგენენ კონტრაგენტისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭების მოდელის შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც საცალო და კორპორაციული ბიზნეს მიმართულებებისთვის შემუშავდა. კორპორაციული და საცალო დაკრედიტების დეპარტამენტები მონაწილეობას იღებენ კლიენტის საკრედიტო რისკის შეფასებაში; მსესხებელი ფიზიკური პირებისთვის ბანკმა შეიმუშავა გამარტივებული შეფასების მოდელი, რომელიც მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის და წარსულში განხორციელებული გადახდების ისტორიის ანალიზის შედეგად, ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს მსესხებლის კრედიტის დაფარვის უნარი. საცალო და კორპორაციული კლიენტებისთვის ქულების მინიჭება ძირითადად ხდება კრედიტის დამტკიცების პროცესში ფასწარმოქმნის მიზნით: თითოეული სესხის ფასწარმოქმნა კორექტირდება კლიენტის ქულის და პროდუქტის რისკიანობის გათვალისწინებით. კრედიტის ადმინისტრირების, შეფასების და მონიტორინგის პროცესის სათანადოდ მართვა გულისხმობს ცალკეულ მსესხებელთან დაკავშირებული რიგი ძირითადი ფაქტორების რეგულარულ მონიტორინგს. ეს ფაქტორებია: მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, არსებული კოვენანტების შესრულება, უზრუნველყოფით დაფარვის კოეფიციენტი და ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდების ისტორია და ვადაგადაცილებები. ეს ასევე გულისხმობს მთლიან სასესხო პორტფელში მსესხებელთა კონკრეტული ტიპების პოზიციის წილის მონიტორინგს, რისკების კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით. ასეთ კონცენტრაციას ადგილი აქვს, როცა არსებობს პირდაპირი ან არაპირდაპირი სესხების მაღალი დონე ერთ კონტრაგენტზე, ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე, ან კონკრეტულ ინდუსტრიაზე ან ეკონომიკის სექტორზე.

საკრედიტო რისკების შეფასების სარეიტინგო სისტემა: საკრედიტო რისკის შეფასების და ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საკრედიტო რისკის მინიჭების მიზნით, ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სისტემას. შიდა სარეიტინგო სისტემა გამოყენება იურიდიული პირების შეფასებისას, ხოლო, სხვა შემთხვევებში, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ (Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) განსაზღვრულ საერთაშორისო რეიტინგები, რომლის მიხედვითაც ხდება ცენტრალური მთავრობების და მათ მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების, ბანკების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების და სხვა ფინანსური აქტივების შეფასება.

კონცენტრაცია: ერთ მსესხებელთან ან მსესხებელთა ჯგუფებთან და გეოგრაფიულ და ინდუსტრიულ სეგმენტებთან მიმართებაში გაწეული რისკის ოდენობაზე ჯგუფი აწესებს კონცენტრაციის ლიმიტებს, რითაც აყალიბებს საკრედიტო რისკის იმ დონეს, რომელსაც ის სწევს. საკრედიტო რისკის დონის ლიმიტები პროდუქტისა და ინდუსტრიის სექტორების მიხედვით რეგულარულად მტკიცდება მენეჯმენტის მიერ. ასეთი რისკები რეგულარულად კონტროლდება და ექვემდებარება ყოველწლიურ, ან უფრო ხშირ განხილვას.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია ბანკის მიერ კონცენტრაციის რისკის კონტროლის ლიმიტის სისტემა. ერთი დასახელების კონცენტრაციის რისკი შეზღუდულია საქართველოს რეგულაციებით (კომერციულ ბანკებში კრედიტის კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების წესი). საქართველოს რეგულაციის თანახმად, ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პირველადი კაპიტალის 25%-ს. დამატებითი შიდა წესებია: 1. ბანკის მიერ პირზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს; 2. ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს; 3. ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 150%-ს; 4. მსესხებელთა

ურთიერთდაკავშირებულ ტოპ 20 ჯგუფთან დაფარვა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი პორტფელის 30%-ს. როცა ეკონომიკური სექტორები ანალიზდება პორტფელის ქცევისა და გარე ინფორმაციის საფუძველზე, ლიმიტის სისტემას რეგულარულად განიხილავს რისკების მენეჯმენტი, რათა სათანადოდ განიხილოს ეკონომიკური სექტორების რისკიანობა. კონცენტრაციის ლიმიტები განისაზღვრება და რეგულირდება საკრედიტო რისკის პოლიტიკით.

რესტრუქტურიზაციისა და ამოღების ღონისძიებები: ფინანსური სირთულეების მქონე მსესხებლების ვალდებულებების მართვისა და ვადაგადაცილებული პორტფელისთვის ბანკმა ჩამოაყალიბა შიდა პროცესები. დროებითი სირთულეების დასაძლევად ბანკმა მსესხებელს შეიძლება შესთავაზოს ინდივიდუალური გადაწყვეტები. რესტრუქტურიზაციის მოთხოვნის ასეთი შემთხვევები შეიძლება გულისხმობდეს მსესხებლის საშეღავათო პერიოდის მიწოდებას ან გადახდის საწყისი განრიგის სხვაგვარად გადახედვას. თუმცა, ბანკი მსესხებლებს რესტრუქტურიზაციას შესთავაზებს, თუ არის პერსპექტივა, რომ მსესხებელი ჯანსაღ მდგომარეობას დაუბრუნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი დაიწყებს ამოღების პროცედურას. ბანკს ყოველთვის ურჩევნია მსესხებლისთვის მისაღებ გადახდის პირობებზე მოლაპარაკება, მაგრამ როცა მსესხებელი და ბანკი მისაღებ პირობებზე ვერ შეთანხმდებიან, გირაოს აღება ან დაგირავებული უზრუნველყოფის აუქციონის გზით გაყიდვა ვადაგადაცილებული ვალდებულების ანაზღაურების ერთადერთ დარჩენილ შესაძლებლობად შეიძლება ჩაითვალოს. ამ სესხების რისკის კატეგორიებში სათანადო კლასიფიკაციის უზრუნველსაყოფად ვადაგადაცილებული და რესტრუქტურიზებული პორტფელის მდგომარეობა რეგულარულად განიხილება.
ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როცა ჯგუფი ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას ამოწურავს და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ამოღების გონივრული მოლოდინის არარსებობის მაჩვენებელი ჩამოწერის დღის მდგომარეობით 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული დღეების და გირაოს არარსებობის ფაქტორებია. ბანკი იმ სესხებსაც ჩამოწერს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ვადაგადაცილებული ვალდებულების აღსრულების პროცესი დასრულებულია და ყველა არსებული უზრუნველყოფა აუქციონზე გაიყიდა ან დასაკუთრებულ იქნა. დარჩენილი არაუზრუნველყოფილი ვალდებულება ჩამოიწერება, მაშინაც კი, თუ ჩამოწერის მომენტში არ არსებობს ვალდებულების ვადაგადაცილებული ნაწილი. ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე, ჯგუფს შეუძლია ჩამოიწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულებას, როცა ჯგუფი ცდილობს ამოიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები, თუმცა, არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ანაზღაურება დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით უმნიშვნელოა.

გირაოს გაუფასურებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი: საკრედიტო რისკის პოზიციის მართვა ხდება ნაწილობრივ, გირაოს, ასევე კორპორატიული და პერსონალური გარანტიების მოპოვებით საკრედიტო რისკების შესამცირებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ გირაოს სახით შეიძლება შეიქმნას დამატებითი რისკები (სამართლებრივი, დოკუმენტაციის და ლიკვიდურობის რისკები), რამაც შეიძლება რისკის მიტიგაციის გავლენის მდგომარეობა გააუარესოს. გირაოს ლიკვიდაცია ამ პრობლემური ან შრომატევადია, როცა, მაგალითად, გირაოს არასათანადოდ შეფასება მოხდა (მაგ. ზედმეტად შეფასება). საკრედიტო რისკი ბანკმა შეიძლება განიცადოს ფართომასშტაბიანი გაუფასურების ან საკრედიტო პოზიციის უკან არსებული უზრუნველყოფის შეზღუდული აღსრულებადობის გამო. ეს არის რისკი იმისა, რომ საკრედიტო ინსტიტუტის მიერ გამოყენებული საკრედიტო რისკის შემცირების აღიარებული მეთოდები ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს.

საკრედიტო რისკის შერბილების მიზნით გამოიყენება გირაოს შემდეგი სახეობები: საცხოვრებელი უძრავი ქონება, მოძრავი ქონება, გარანტია, ინვენტარი, ნაღდი ფული და სხვა ფინანსური უზრუნველყოფა. დაკრედიტების პროცესების დროს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის საფუძველზე მოძრავი ქონება და სხვა სახის გირაო ასევე შეიძლება იყოს დაშვებული, მაგრამ ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დასაშვები უზრუნველყოფა კაპიტალის გამოანგარიშებისთვის და ECL-ის შეფასების პროცესში.
გირაოს პოტენციური ნარჩენი რისკის შესამცირებლად ბანკი ასევე არეგულირებს შეფასებების მომზადების პროცესებსა და მოთხოვნებს (შეფასების ფორმატი, შეფასების კონტროლი და ა.შ.), გაანგარიშებისას გირაოს საბაზრო ღირებულებაზე/დაკრედიტების პროცესში გირაოს დაფარვის გაანგარიშებულ ღირებულებაზე და პორტფელის მართვის დროს ბანკი იყენებს დისკონტებს. იურიდიული დეპარტამენტი რეგულარულად (მინიმუმ ყოველწლიურად) განიხილავს გირაოს ხელშეკრულების შაბლონს და ახალი რეგულირების გარემოს ან გირაოს მუშასობის გამოცდილების საფუძველზე საჭიროებისამებრ შეაქვს ცვლილებები. გირაოს მინიმალური დაფარვა (არაუზრუნველყოფილი პორტფელის მაქსიმალური რაოდენობა) დისკონტირებული ღირებულებების გამოყენებით განისაზღვრება თითოეული ტიპის კლიენტისთვის საკრედიტო პოლიტიკით. შემდგომი შეფასებები რეგულარულად კეთდება საკრედიტო რისკების მენეჯმენტის მიერ ნარჩენი რისკების გასაკონტროლებლად (რისკები რისკის მიტიგაციის შემდეგ): - უზრუნველყოფის პორტფელის განაწილება უზრუნველყოფის ტიპების (ქვეტიპების) მიხედვით და უძრავი ქონების შემთხვევაში გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, რეგულარულად ანალიზდება და ექვემდებარება მონიტორინგს. გირაოს ტიპებისა და იურიდიული აგებულების მიხედვით გაანალიზებული უზრუნველყოფის ამოღებები, გირაოს დისკონტები რეგულარულად განიცდის უკუტესტირებას და განხილვას. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული გირაო რეგულარულად ხელახლა ფასდება გარე შემფასებელი სააგენტოს მიერ და განიხილება მნიშვნელოვანი განსხვავებები.

რეზერვის შეფასება: 2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი აფასებს საკრედიტო რისკს და IFRS 9-ის მიხედვით ქმნის მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვებს. აქტივების და სხვა პირობითი ვალდებულებების დანაკარგების რეზერვები საკმარისი უნდა იყოს ბანკის საკრედიტო პორტფელში ყველა მოსალოდნელი დანაკარგის დასაფარად. ზარალის რეზერვის გამოთვლების ფარგლებში გაითვალისწინება რისკის შემდეგი ძირითადი პარამეტრები: (ა) კონტრაქტორის მხრიდან დეფოლტის (PD) ანუ მის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა; ბ) მოსალოდნელი დანაკარგები კონტრაგენტის (LGD) და პოზიციის (EAD) დეფოლტის შემთხვევაში. საპროგნოზო ინფორმაცია შედის საბოლოო ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის) შეფასებაში. IFRS9 ფინანსურ ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს უფრო ზუსტად შეაფასონ საკრედიტო ზარალის რეზერვები მომავალი პერსპექტიული ინფორმაციის შეტანის საშუალებით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ECL შეფასების მიდგომა IFRS 9-ით გულისხმობს ECL-ის შეფასების პროცესში წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობების და მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზების გათვალისწინებას. ბანკმა შიდა გაუფასურების მოდელებში შეიტანა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური პროგნოზები.
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების პროცესის მართვა ფინანსური ანგარიშგების და რისკის ფუნქციებს შორისაა განაწილებული. IFRS9-ის მიხედვით, ყველა გამოყენებული პარამეტრისა და მნიშვნელოვანი დაშვების ვალიდაცია და უკუტესტირება ECL შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ჯგუფი რეგულარულად გადასინჯავს თავის მეთოდოლოგიას და დაშვებებს, რათა შემცირდეს რაიმე განსხვავება შეფასებებსა და რეალურ საკრედიტო დანაკარგს შორის. IFRS9-ის მიხედვით, ყველა გამოყენებული პარამეტრისა და მნიშვნელოვანი დაშვების ვალიდაცია და უკუტესტირება ECL შეფასების

	პროცესის განუყოფელი ნაწილია. ECL-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიის უკუტესტირების შედეგები ეცნობება ჯგუფის მენეჯმენტს და მოდელებისა და დაშვებების დახვეწის შემდგომი ნაბიჯები განისაზღვრება ავტორიზებულ პირებს შორის განხილვის შემდეგ. 2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩაატარა IFRS 9-ის გაუფასურების მოდელში გამოყენებული დაშვებების, ზღვრებისა და რისკის პარამეტრების უკუტესტირება, რათა შეეფასებინა 2023 ფინანსური წლის პროგნოზების ადეკვატურობა, როგორც ეს IFRS9-ის გაუფასურების მოდელებით წინა წლის ბოლოს იყო შეფასებული. შესრულებული უკუტესტების შედეგების საფუძველზე ცვლილებები საჭიროდ არ ჩაითვალა: ბანკის მიერ გამოყენებული მოდელები ECL-ს ადეკვატურად პროგნოზირებს. **სტრეს-ტესტირება.** ბანკი აქტიურად ახორციელებს სტრეს -ტესტირებას და სცენარების ანალიზს, რათა შეამოწმოს მსესხებლების მდგრადობა სხვადასხვა სტრესის პირობებში. სტრეს-ტესტების საშუალებით ტარდება არასასურველი მაკროეკონომიკური, ისევე როგორც ბანკის სპეციფიკური მოვლენების ზემოქმედების მონიტორინგი საზედამხედველო კაპიტალის ბუფერზე და ბანკის მუშაობაზე მთლიანად ან აგრეგირების სხვადასხვა დონეზე. სტრესტესტები რისკების შეფასების და მართვის ეფექტური მექანიზმია: ის ხელს უწყობს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებას და სასარგებლოა არასახარბიელო ცვლილებებისას კაპიტალის დამატებითი ბუფერების შექმნის საჭიროების დასადგენად. სტრესტესტები სხვა მოვლენებთან ერთად ითვალისწინებს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის ისეთ მოვლენებს, როგორიცაა რეცესია, ვალუტის კურსის მერყეობა, დასაქმების დონის შემცირება; ასევე ბანკი ახორციელებს სექტორისთვის დამახასიათებელი სტრესტესტები, რომლემშიც გათვალისწინებულია საექსპორტო ბაზრების დახურვა (პოლიტიკური რისკები), რამდენიმე დიდი პოზიციის დეფოლტი..
რისკის მონიტორინგი	**პორტფელის ხარისხის შესახებ სათანადო ანგარიშგების წარმოება -** საკრედიტო რისკის მართვის ჯგუფი, თავის კონტროლის ფუნქციის ფარგლებში, რეგულარულად იცავს საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულ პორტფელის ხარისხს და დაკრედიტების ლიმიტებს და შემდეგ პორტფელის შესახებ ანგარიშგების სახით წარუდგენს ბანკის მენეჯმენტს. პორტფელის შესახებ ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პორტფელის განაწილების შესახებ სარეიტინგო კლასების მიხედვით, ასევე ინფორმაციას ვადაგადაცილებული თანხების, სექტორების მიხედვით პოზიციების და HHI ინდექსის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების (LGD) და დეფოლტის ალბათობის (PD) დინამიკის შესახებ და ა.შ. ფინანსური ანგარიშგების და რისკების დეპარტამენტების თანამშრომლები საკრედიტო რისკის პოზიციის მონიტორინგის მიზნით ამზადებენ რეგულარულ ანგარიშგებას კლიენტის ბიზნესის და ფინანსური შედეგების სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე. გაუარესებული გადახდისუნარიანობის მქონე კლიენტებთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ინფორმაცია განსახილველად მიეწოდება რისკების კომიტეტს, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს. რეგულარულად ტარდება საკრედიტო პორტფელის საკრედიტო რისკის მონიტორინგი. მონიტორინგი მოიცავს სრულ შეფასებას რისკის მადის ლიმიტებთან მიმართებაში; პორტფელის გაზრდილი საკრედიტო რისკის მქონე სეგმენტების იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება საკვანძო რისკისა და ადრეული გაფრთხილების ინდიკატორები, უკუტესტირება, სტრეს ტესტირება და სხვა ინსტრუმენტები. საბჭოს დონის რისკების კომიტეტი ყოველკვარტალურად განიხილავს ბანკის სასესხო პორტფელის საკრედიტო რისკის პროფილს; პორტფელის ხარისხის განხილვის შეხვედრები იმართება სულ მცირე ყოველთვიურად და მასში მონაწილეობენ კომერციული დირექტორატისა და პრობლემური აქტივების მართვისა და სამართალწარმოების დეპარტამენტის წარმომადგენლები.

რისკის აპეტიტი	ბანკმა დანერგა საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ასახავს საკრედიტო რისკის კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურებს და ბანკის საკრედიტო რისკის მართვის სისტემებს. ისინი განიხილება ყოველწლიურად ან საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად. საკრედიტო რისკის მადის შესახებ განცხადება და დამხმარე ლიმიტები, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მტკიცდება, ბანკს ეხმარება საკრედიტო რისკის მიტიგაციაში. განცხადება შედგება რაოდენობრივი ლიმიტებისაგან, რითაც კონტროლდება და მონიტორინგს გადის ბანკის პორტფელების საერთო ხარისხი.

საბაზრო რისკები

რისკის განსაზღვრება	საბაზრო რისკის პოზიცია წარმოიქმნება აქტივებსა და ვალდებულებებს შორის ვადის ან ვალუტის შეუსაბამობისგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ბაზრის რყევებს, შესაბამისად, საბაზრო რისკის ყველაზე გავრცელებული წყაროა საპროცენტო განაკვეთის რისკი და სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი იზრდება ღია ან არასრულყოფილად ჰეჯირებული პოზიციიდან, განსაკუთრებით გაცვლითი კურსის დონის მოულოდნელი ცვლილებების გამო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის მონაწილის ადგილობრივ ან საანგარიშგებო ვალუტის ზარალი. ბანკის სავალუტო რისკი გამოითვლება, როგორც ღია პოზიციების ჯამი და ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულია მისი საზედამხედველო კაპიტალის 20%-მდე დონეზე დაცვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ინსტიტუტის მოგების და კაპიტალის მიმდინარე ან სამომავლო რისკი, რომელიც საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო ცვლილებებითაა გამოწვეული. საკრედიტო ინსტიტუტის პერსპექტივიდან, საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოიშვას როგორც სავაჭრო პორტფელისგან, ისე საბანკო ტრანზაქციებისგან (ტრადიციული საკრედიტო/სადეპოზიტო და საინვესტიციო ტრანზაქციები). ბანკისთვის დამახასიათებელი საპროცენტო განაკვეთის რისკებია: • გადაფასების რისკი, რისკი რომელიც წარმოიშობა მისაღები შემოსავლების და გადასახდელი ხარჯების ვადიანობის სხვადასხვა სტრუქტურისგან, ასევე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების ან სხვადასხვა პერიოდებზე დაფუძნებული ფასწარმოქმნიდან; გადაფასების რისკი წარმოიშობა, როცა აქტივების და ვალდებულების ვადების სტრუქტურა არაა თანხვედრაში და როცა ფასწარმოქმნა სხვადასხვა ინტერვალებში ან სხვადასხვა საფუძველის მქონე საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება (მაგალთად, მისაღები შემოსავლები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და ვალდებულებები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით). • შემოსავლიანობის მრუდი, ანუ შემოსავლის მრუდის ფორმის და დახრილობის ცვლილებებით გამოწვეული რისკი. •
რისკის იდენტიფიცირება და გაზომვა	საბაზრო რისკს ხაზინის დეპარტამენტთან და გენერალური რისკების მართვის დეპარტამენტთან კოორდინაციით მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO). ALCO აწესებს ლიმიტებს საბაზრო რისკებზე ვალუტების მიხედვით და ყურადღებით აკვირდება ბანკის რისკის მადის ჩარჩოს შესაბამისობას. პოზიციები და რისკის მეტრიკა რეგულარულად მოწმდება სხვადასხვა სარწმუნო სცენარის მიხედვით. ხაზინის დეპარტამენტი მონიტორინგს ახორციელებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან რეგულარული შეხვედრების საშუალებით. ამ შეხვედრების დროს ხაზინა თანამშრომლებისგან იღებს ექსპერტულ რეკომენდაციას თავიანთი სფეროების შესახებ, ახორციელებს ლიკვიდობის გეპების, სტრუქტურული საპროცენტო განაკვეთების პოზიციების ყოველდღიურ კონტროლს, და მართავს და აკონტროლებს უცხოური ვალუტის რისკის პოზიციას.

	საბაზრო რისკის მართვა ცნება რისკის ქვეშ მყოფი ღირებულებას (VaR) ეფუძნება. გარკვეული საბაზრო პირობების გათვალისწინებით, VaR არის საორიენტაციო მაჩვენებელი პოტენციური დანაკარგების რაოდენობის დასადგენად, რომელიც საინვესტიციო პორტფელმა კონკრეტულ ვადებში შეიძლება განიცადოს. VaR მიდგომა მოითხოვს პორტფელის მუშაობის დაშლას მის შემადგენელ რისკ ფაქტორებად, რაც შესაძლებელს გახდის პოტენციური ზარალის ყოვლისმომცველ შეფასებას. სავალუტო რისკის გასაზომად ბანკი აფასებს საშუალო "Bootstrap Value at Risk" ნებისმიერ ვალუტაზე (10 დღიანი ვადა, 99% ნდობის დონე) და პორტფელის 10-დღიან VaR-ს. საპროცენტო განაკვეთის რისკის შესამცირებლად და საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარების ზემოქმედების შესაფასებლად, საპროცენტო განაკვეთის რისკი იზომება ცალკე NII (წმინდა საპროცენტო შემოსავალი) და EVE (კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება) ეფექტისთვის. NII სენსიტიურობა გამოითვლება საპროცენტო განაკვეთების პარალელური ცვლის დაშვებით. მგრძნობელობის ანალიზი EVE-ზე კეთდება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების 6 სხვადასხვა სცენარით (პარალელური ზემოთ, პარალელურად ქვემოთ, ციცაბო, გაბრტყელების, მოკლე ზემოთ და მოკლე ქვემოთ.
რისკის მიტიგაცია	საბაზრო რისკის გაზომვისა და მართვისთვის ბანკმა ჩამოაყალიბა მოვალეობების გამიჯნული ხაზი: უმაღლესი მენეჯმენტი პასუხისმგებელია საბაზრო რისკის ზედამხედველობაზე. უმაღლესი მენეჯმენტის ჩართვა უზრუნველყოფს ბანკის პოლიტიკისა და პროცედურების, მათ შორის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის (ALM), საპროცენტო რისკის როგორც გრძელვადიან, ისე ყოველდღიურ რეჟიმში მართვის ადეკვატურობას, ბიზნესის სტრატეგიულ გეგმებთან შესაბამისობას. საბაზრო რისკის ეფექტური ზედამხედველობა მოითხოვს, რომ სახაზინო დეპარტამენტმა შეინარჩუნოს რისკის აღების შესაბამისი ლიმიტები, რისკის გაზომვის ადეკვატური სისტემები და სტანდარტები, პოზიციის შეფასების სტანდარტები და შედეგების გაზომვა, საპროცენტო განაკვეთის რისკის ყოვლისმომცველი ანგარიშგება და მენეჯმენტის განხილვის პროცესი, ასევე ეფექტური შიდა კონტროლი. ბანკმა შეიმუშავა საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს საბაზრო რისკის შეზღუდვისა და კონტროლისთვის კონკრეტული ელემენტების იდენტიფიკაციას და განსაზღვრას. ALM პოლიტიკა განსაზღვრავს ALCO-ის პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ხაზებს და ასევე იძლევა მიზნებს, საზღვრებსა და კრიტერიუმებს ლიკვიდობის გეპების ანალიზთან და ლიკვიდობის რისკის მართვასთან, დაფინანსებასთან და საბაზრო რისკის მართვის გადაწყვეტებთან დაკავშირებით. უცხოური ვალუტის მართვის პოლიტიკა იძლევა ინფორმაციას ღიური პოზიციის ლიმიტის და საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის შესახებ, რომელიც უდრის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს. ვინაიდან ეს ლიმიტი ბევრად უფრო მკაცრია, ვიდრე ეროვნული ბანკის ლიმიტი, ლიმიტის მართვა ასე უნდა იქნას გაგებული: ყოველდღიურად, სავალუტო პოზიციის გახსნა შესაძლებელია 20%-მდე ეროვნული ბანკის ლიმიტამდე, მაგრამ მხოლოდ მაქსიმუმ 8 კალენდარული დღის განმავლობაში და თუ ტრანზაქციის თარიღისთვის ბანკს საკმარისი დამატებითი კაპიტალი აქვს ქვემოთ აღწერილი VaR-ის გამოყენებით გამოთვლილი ზარალის დასაფარად. 8 დღის შემდეგ ლიმიტი (5%) უნდა შენარჩუნდეს. პოზიციის გაანგარიშება ხორციელდება კომერციული ბანკების ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გამოანგარიშებისა და შენარჩუნების წესის შესაბამისად.
რისკის მონიტორინგი	საბაზრო რისკის ზედამხედველობა და კონტროლი ხორციელდება იმისთვის, რომ უზრუნველყოს ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკის და პროცედურების როგორც გრძელვადიანი, ისე ყოველდღიური ადეკვატურობა და საბაზრო რისკის კონტროლის მკაფიო

	უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. ამ ლიმიტებთან შესაბამისობის შესახებ ასევე რეგულარულად ეცნობება დირექტორთა საბჭოს, პერიოდულად - სამეთვალყურეო საბჭოს და მის რისკების კომიტეტს. სავალუტო პოზიციები იმართება ბანკის უცხოური ვალუტის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. სავალუტო რისკების მონიტორინგი და კონტროლი თითოეული შესაბამისი უცხოური ვალუტით საბაზრო რისკების მართვის პასუხისმგებლობაა.
რისკის აპეტიტი	ბანკი ახორციელებს საპროცენტო და სავალუტო რისკის ანგარიშგებისა და განხილვის ყოვლისმომცველ პროცესს, ასევე ეფექტურ შიდა კონტროლს, ადგენს რისკის აღების შესაბამის ლიმიტებს, აყალიბებს ადეკვატურ სისტემებსა და სტანდარტებს რისკისა და შედეგების გაზომვის, პოზიციის შეფასების, ვადიანობის სხვაობის ხელახალი ღირებულების შესაფასებლად. ლიმიტები დგინდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკის მადის ფარგლებში.

ლიკვიდობის და დაფინანსების რისკი

რისკის განსაზღვრება და მთავარი მამოძრავებლები	ლიკვიდობა არის ბანკის უნარი, ჯეროვნად შეასრულოს მისი ფინანსური ვალდებულებები ჩვეულებრივ ან სტრესულ პირობებში. ლიკვიდობა არის ბანკის უნარი, დააფინანსოს აქტივების ზრდა და შეასრულოს ვალდებულებები მათი ვადის დადგომისას ისე, რომ არ გასწიოს მიუღებელი დანაკარგები. ბანკების როლი მოკლევადიანი დეპოზიტების გრძელვადიან სესხებად ტრანსფორმაციის პროცესში, ბანკს თავიდანვე დაუცველად აქცევს ლიკვიდობის რისკის წინაშე, ეს კი მთლიანად ბაზრებზე ახდენს ზეგავლენას. ფაქტობრივად ყველა ფინანსური ტრანზაქცია ან ვალდებულება გავლენას ახდენს ბანკის ლიკვიდობაზე. ლიკვიდობის რისკის ეფექტური მართვა ბანკს ეხმარება ფულადი ნაკადების მოძრაობის ვალდებულებების შესრულებაში. ამ ვალდებულებების ოდენობის წინასწარ ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან მათზე ზეგავლენას ახდენს გარე მოვლენები და ფინანსური ბაზრის სხვა აგენტების ქცევა. ლიკვიდობის რისკი ორი კომპონენტისგან შედგება: • დაფინანსების ლიკვიდობის რისკი - რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს ახალი დაფინანსების მოზიდვას, რომელიც აუცილებელია ვალდებულებების დროულად შესრულებისთვის; • საბაზრო ლიკვიდობის რისკი - რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს გაყიდოს აქტივები/ფულადი ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი ზარალის გარეშე.
რისკის გამოვლენა და გაზომვა	ლიკვიდობის რისკის დეფინიციიდან ცხადი ხდება, რომ ეს რისკი დგება, როდესაც ბალანსის როგორც აქტივებიდან, ისე ვალდებულებებიდან მიღებული ლიკვიდობა ნაკლებია ლიკვიდობის საჭიროებაზე. ამდენად, ლიკვიდობის რისკის ძირითადი წყაროებია: საბაზრო რისკი - ბანკის აქტივების ღირებულების დაკარგვის რისკი საპროცენტო განაკვეთების, გაცვლითი კურსის, ფასიანი ქაღალდების და სხვადასხვა საქონლის საბაზრო ფასების რყევების გამო, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ამ აქტივებიდან ლიკვიდობის წარმოქმნის ნაკლებ პოტენციალს (გაყიდვის ან რეპოს გზით). საკრედიტო რისკი - რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი სრულად არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფინანსურ ვალდებულებას. ამას პირდაპირი ზეგავლენა ექნება მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე და, შესაბამისად, ლიკვიდობაზე, გაზრდილი საკრედიტო რისკი არის იმპულსი დაფინანსების პროვაიდერებისთვის, რათა შეამცირონ/გაზარდონ დაფინანსება, ან საერთოდ უარი თქვან მის უზრუნველყოფაზე. საოპერაციო და შესაბამისობის რისკები - ფულად ნაკადებზე პირდაპირი ზემოქმედების გარდა, არსებობს კონტრაგენტების მხრიდან ნდობის დაკარგვის რისკი (რეპუტაციის რისკის ელემენტები) თანმდევი მოვლენებით.

	ლიკვიდობის/დაფინანსების რისკის შესაფასებლად ბანკი ეყრდნობა რიგ მარეგულირებელ და შიდა საზომს: მან შეიმუშავა ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის ჩარჩო ლიკვიდობისა და დაფინანსების მართვასთან დაკავშირებული პროცესებისა და ლიმიტის სისტემების დეტალური განმარტებით.
რისკის მიტიგაცია	ბაზისბანკი ლიკვიდობისა და დაფინანსების რისკებს ALM პოლიტიკისა და ლიკვიდობის მართვის წესის შესაბამისად მართავს, სადაც განსაზღვრულია ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული დეტალური პროცესები და ლიმიტების სისტემა. ლიკვიდობის ყოველდღიური მართვა ხაზინის პასუხისმგებლობაა, კონტროლი და ALCO-სთვის ანგარიშგება კი აქტივ-პასივების მართვის პასუხისმგებლობა. ლიკვიდობის რისკი ILAAP-ის ფარგლებში ფასდება. ლიკვიდობის მართვის პროცესი გულისხმობს ლიკვიდობის მოთხოვნების დადგენას და რეგულარულ ხელახალ შეფასებას ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურისა და ზოგადი საბაზრო პირობების გათვალისწინებით; ლიკვიდობის რისკის შესაბამისი ლიმიტების შემუშავებას და კონტროლს; დაფინანსების სტრუქტურისა და შეუსაბამობის მოცულობის, სახსრების მოზიდვის შესაძლებლობების და ა.შ. საკითხებს, ლიკვიდობისა და ფონდების მართვის პრინციპების შემუშავებას და მონიტორინგს; ლიკვიდობის პროგნოზირებას ნორმალურ ბიზნეს პირობებში და სტრესულ სცენარებში; საგანგებო სიტუაციების გეგმის შემუშავებას, რომელმაც ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს საგანგებო სიტუაციებში ლიკვიდობის დეფიციტის აღმოფხვრის სტრატეგიები. დაფინანსების სხვადასხვა წყაროს სტაბილურობისა და ღირებულების დაბალანსებით ბანკი ცდილობს ვალდებულებების უწყვეტ ოპტიმიზაციას. ამ მიზნის მისაღწევად, ბანკის სტრატეგია არის ეფექტური დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროების და დაფინანსების ვადების ქონა. ყველა თავის ძირითად დაფინანსების პროვაიდერთან (როგორც საბითუმო, ისე საცალო) ბანკი მჭიდრო ურთიერთობებს ინარჩუნებს, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი სახსრების მოზიდვა, სტრესის პირობებში გადინების თავიდან აცილების/შემცირების მიზნით. ბანკის ძირითადი დაფინანსების წყაროა არაუზრუნველყოფილი საცალო და არაუზრუნველყოფილი საბითუმო დაფინანსება. დაფინანსების ძირითადი წყაროების გარდა, ბანკი იყენებს/შეიძლება გამოიყენოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები, როგორიცაა დაფინანსება მშობელი კომპანიისგან, სავალო ინსტრუმენტების გამოშვება, აქტივების რეალიზაცია. *ლიკვიდობის/დაფინანსების რისკის შესაფასებლად ბანკი ეყრდნობა რიგ საზედამხედველო და შიდა მეტრიკას, ესენია: პროგნოზირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება, საკონტრაქტო/ქცევითი/სტრესის გეპის სცენარები, გარებალანსური ვალდებულებების გამოყენება, (კუმულაციური ვადიანობის შეუსაბამობის ლიმიტი, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)).* *ბანკში ლიკვიდობის რისკის კონტროლის სისტემა ეფუძნება უფლებამოსილებების გამიჯვნას და ლიმიტების სისტემას. კონტროლის სისტემა აგებულია დაცვის სამი ხაზის პრინციპზე. წინა ხაზის დეპარტამენტები მოქმედებენ როგორც დაცვის პირველი ხაზი, მართავენ რისკებს მათთვის დაწესებული ლიმიტებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში. რისკის მართვის ფუნქცია, IT რესურსები და ანგარიშგება, როგორც დაცვის მეორე ხაზი, პასუხისმგებელია რისკის მართვისა და კონტროლის ჩარჩოს შექმნაზე/დანერგვაზე, დადგენილ ლიმიტებთან, პროცედურებთან და პოლიტიკასთან შესაბამისობის მონიტორინგზე. შიდა აუდიტი, როგორც დაცვის მესამე ხაზი, ანგარიშვალდებულია აუდიტის კომიტეტის წინაშე და ატარებს რისკის მართვისა და კონტროლის სისტემის დამოუკიდებელ შეფასებას.*
რისკის მონიტორინგი	*დაფინანსების ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ამჟამად ბაზელ III-ზე დაფუძნებულ შემდეგ პარამეტრებს იცავს:*

- *ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR): მარეგულირებლის მეტრიკა, რომლის მიზანია სტრესის მიმართ ბანკის მოკლევადიანი გამძლეობის გაზრდა, კერძოდ, ბანკი უნდა ფლობდეს მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების საკმარის რაოდენობას, რათა შეძლოს 30 დღიანი სტრესის დაძლევა.*
- *წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR): მარეგულირებლის მეტრიკა, რომელიც მიზნად ისახავს ლიკვიდობის საშუალო და გრძელვადიანი რისკის შეფასებას. კოეფიციენტი გამოითვლება როგორც ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების თანაფარდობა სტაბილური დაფინანსების საჭიროებასთან.*

ბანკი დამატებით ითვლის და აკონტროლებს ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტის შიდა ბუფერულ მოთხოვნას, რომელიც ემატება LCR-ზე მარეგულირებლის მინიმალურ მოთხოვნას. ბუფერის დანიშნულებაა უზრუნველყოს LCR კოეფიციენტის დაცვა მოულოდნელი რყევებისგან, რაც ასევე შეესაბამება ბანკის რისკის მადის მოთხოვნებს. ლიკვიდობის ბუფერი ამ სტრატეგიის მოკლევადიანი ნაწილის რეალიზაციაა. ლიკვიდობის ბუფერი მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტის წინააღმდეგ პირდაპირი ჰეჯირებაა. სტრესის პირობებში ჰოტენციური ლიკვიდობის დეფიციტზე მოკლევადიანი რეაგირება შეიძლება სხვა არაფერი იყოს, გარდა ლიკვიდური აქტივების ფულად გადაქცევისა. ლიკვიდური ბუფერი მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივებისგან შედგება. მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების განმარტება იგივეა, რაც სებ-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის ანგარიშგებაში. ლიკვიდობის ბუფერი დაკალიბრებულია სტრეს ტესტის შედეგების მიხედვით და მისი მოცულობა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბანკის მინიმალური გადარჩენის პერიოდი, რომელიც განისაზღვრება მოცემული სტრესული სცენარების მიხედვით რისკის მადის მიხედვით. ლიკვიდურობის გეპის შევსების საერთო შესაძლებლობამ მინიმალური გადარჩენის პერიოდის შემდეგ ბანკის გადახდისუნარიანობა უნდა უზრუნველყოს.

ლიკვიდობის გაზრდილი რისკის დამატებითი ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნების მონიტორინგის მიზანი ლიკვიდობისა და დაფინანსების ჰოზიციების ჰოტენციური სისუსტეების დროული გამოვლენაა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას რისკის მადით განსაზღვრული სტრატეგიის შესრულებას. ასეთი სისუსტეების გამოვლენა იწვევს საკითხის ესკალაციას, რასაც საჭიროების შემთხვევაში უნდა მოჰყვეს შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება (საგანგებო/რეაბილიტაციის გეგმის ფარგლებში).

ILAAP-ის ფარგლებში, დაფინანსების წყაროების კონცენტრაციით გამოწვეული დაფინანსების პროფილის სტაბილურობის რისკების შესაფასებლად, ბანკი აკეთებს დაფინანსების პროფილის სტაბილურობის შეფასებას, ბაზარზე დაშვების რისკების შეფასებას, დაფინანსების გეგმის მიხედვით დაფინანსების რისკის პროფილის ჰოტენციური ცვლილების შეფასებას. ბანკისთვის საბითუმო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის რისკი მჭიდროდ უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა გადაჭარბებული მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკი, მაღალი/გაურკვეველი საკრედიტო რისკის მქონე ჰორტფელი, დამდგარი ან აღქმული მაღალი საოპერაციო რისკი, სამართლებრივი რისკი, გაურკვეველი სტრატეგია, საკრედიტო რეიტინგის გაუარესების შესაძლებლობა.

თითოეული ლიმიტის/მიზნის დარღვევისთვის ბანკმა ჩამოაყალიბა შესაბამისი ესკალაციის პროცედურა. ბანკის ლიკვიდურობის დეფიციტის შევსების შესაძლებლობა შეიძლება განიმარტოს, როგორც ბანკის გეგმა, ჰოტენციურ სტრესულ სცენარებს უპასუხოს ნორმალური ბიზნეს გარემოსთვის ჭარბ ლიკვიდობაზე წვდომით მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. გარღვევის შევსების შესაძლებლობები, გარდა ლიკვიდური აქტივებისა, შეიძლება გულისხმობდეს ბანკის გეგმას პროგნოზირებული ლიკვიდობის გამოშუშავების მიზნით, მოიზიდოს ახალი სახსრები, არსებულ ბიზნესში შეიტანოს ცვლილებები ან გაატაროს სხვა უფრო ძირეული ღონისძიებები. უპირველეს ყოვლისა, გეპის

	შევსების შესაძლებლობა ბანკის მიერ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში განსახორციელებელი სტრატეგიაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბანკის მიერ საგადახდო ვალდებულებების შესრულება.
რისკის აპეტიტი	ბანკმა შეიმუშავა ლიკვიდობის ლიმიტების/მიზნების ჩარჩო, რომელიც ადეკვატურად ასახავს ბანკის ბიზნეს მოდელს, სირთულეს და სხვადასხვა მატერიალურ რისკ ფაქტორს. ამ ჩარჩოს მიზანია უზრუნველყოს დაფინანსების დივერსიფიცირებული სტრუქტურა და საკმარისი ხელმისაწვდომი ლიკვიდობის ბუფერი. ლიმიტებს რისკების ერთეულის წარდგენის საფუძველზე ადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი. რისკის ლიმიტების დაკალიბრება და რისკის მადასთან შესაბამისობა რეგულარულად კონტროლდება სტრეს ტესტების შედეგების გათვალისწინებით.

კაპიტალის რისკი

რისკის განსაზღვრება და მთავარი მამოძრავებლები	კაპიტალის რისკი არის ბიზნეს მიზნების ან მარეგულირებლის მოთხოვნების შეუსრულებლობის რისკი ნორმალური ან სტრესულ სცენარებში არასაკმარისი კაპიტალის გამო. მენეჯმენტის მიზნები კაპიტალის მართვის თვალსაზრისით არის კაპიტალის შესაბამისი დონის შენარჩუნება ბიზნეს სტრატეგიის მხარდასაჭერად, მარეგულირებლის და სტრეს ტესტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დამატებითი კაპიტალის მოხმარების სხვადასხვა სცენარის მიხედვით დასათვლელად ბანკი ატარებს სტრეს-ტესტირებას და სენსიტიურობის ანალიზს. ბანკის მენეჯმენტის ჩართულობით კაპიტალის პროგნოზები, ასევე სტრეს-ტესტირების შედეგები და „რა მოხდება, თუ“ტიპის სცენარები აქტიურად მონიტორინგდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალის გონივრული მართვა და საჭიროების შემთხვევაში დროული ქმედებები. 2023 წელს ჯგუფმა და ბანკმა საზედამხედველო კაპიტალის ყველა მოთხოვნა შეასრულეს.
რისკის გამოვლენა და გაზომვა	ბაზელის ჩარჩოს მეორე პილარის ფარგლებში ბანკმა შეიმუშავა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესი (ICAAP). ICAAP წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტის თვითშეფასებას ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო კაპიტალის შესახებ. ბანკის ICAAP ჩარჩო სრულად შეესაბამება მისი საქმიანობის ზომას, სირთულეს და რისკის პროფილს და შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: **რისკის სტრატეგიის განმარტება:** რისკის სტრატეგია გამომდინარეობს ბანკის ბიზნეს სტრატეგიიდან, მოიცავს ბანკის რისკის მადას და რისკის მართვის ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს რისკების სათანადო კონტროლს. **რისკის შესაბამისი ტიპების იდენტიფიკაცია, გაზომვა და კონტროლი:** ICAAP-ის ჩარჩოს მიხედვით, ბანკი განსაზღვრავს ყველა შესაბამის რისკს და რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინსტრუმენტებს ამ რისკებისადმი მისი ზემოქმედების შესაფასებლად. ამ ძალისხმევის მიზანია დაწესებულების საკუთარი გათვლების საფუძველზე შეფასდეს ბანკის რისკების დასაფარად საჭირო კაპიტალის (ან ლიკვიდობის) ადეკვატური დონე. კაპიტალის ეს დონე (და ლიკვიდობის საჭიროება) პირველი პილარის კაპიტალის გაანგარიშებით გამოთვლილისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს. **სტრეს-ტესტირება:** სტრეს-ტესტირების ჩარჩო შემუშავებულია გამონაკლისი, მაგრამ შესაძლო ზემოქმედების მიმართ ბანკის მოწყვლადობის შესაფასებლად. **კაპიტალის დაგეგმვა:** კაპიტალის დაგეგმვა სტრატეგიული დაგეგმვის ნაწილია და გულისხმობს კაპიტალის მოთხოვნების პროგნოზირებას ICAAP-ის ჩარჩოს მიხედვით, მათ შორის გარე მოვლენების,შიდა მმართველობის ჩარჩოს/შიდა უსაფრთხოების ხაზების შესაძლო ეფექტებს: ICAAP ასევე შედგება სათანადო შიდა და რისკის მართვის ჩარჩოს შესახებ გაიდლაინებისგან.

რისკის მონიტორინგი	*ბანკი ექვემდებარება სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაციას, რომელიც ეფუძნება ბაზელ III-ის სახელმძღვანელო პრინციპებს. კაპიტალის ამჟამინდელი მოთხოვნები მოიცავს პირველი პილარის მოთხოვნებს, კომბინირებულ ბუფერს (კონსერვაციის ბუფერი) და მეორე პილარის ბუფერებს (კონცენტრაცია, რისკის ზოგადი შეფასების პროგრამა (GRAPE), ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკი (CICR), საკრედიტო რისკის კორექტირება (CRA) და სტრესის ტესტის ბუფერი - ამჟამად ნული).* *ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკების შესამცირებლად ბანკი ინარჩუნებს აქტიურად მართულ, მტკიცე კაპიტალის ბაზას. კაპიტალის ადეკვატურობის მართვის შიდა ჩარჩოს ფარგლებში, არახელსაყრელ ეკონომიკურ პირობებში და ბაზრისა და მარეგულირებელი მოვლენების პირობებში საკუთარი პოზიციის გამოსაცდელად ბანკი მუდმივად აკონტროლებს საბაზრო პირობებს და ატარებს სტრეს-ტესტებს. ბანკების უნარზე შეასრულოს ეროვნული ბანკის არსებული ან შეცვლილი მოთხოვნები შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებმა, მათ შორის ბანკის კონტროლს გარეთ, მაგალითად ასეთია: რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ზრდა, აქტივების ხარისხის გაუარესების შედეგად მიღებული ზარალი, კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა, ხარჯების შემცირება და/ან გაზრდა და ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება. ამიტომ, კაპიტალის სტრუქტურის ანალიზისა და კაპიტალის დაგეგმვა ბანკისთვის პრიორიტეტულია ბიზნეს გეგმის მხარდასაჭერად.*
რისკის აპეტიტი	კაპიტალის დაგეგმვა ბიზნეს დაგეგმვის ნაწილია, რომელიც სრულდება ბიზნეს გეგმისა და ბიუჯეტის მომზადების პროცედურის საფუძველზე. თითოეული მატერიალური რისკის ტიპისთვის კაპიტალის დაგეგმვას რისკის მფლობელები ახორციელებენ და შემდეგ აჯამებს რისკის მენეჯმენტი, კაპიტალის დაგეგმვას განსაზღვრული სტრესული სცენარების გამოყენებით ასევე ამზადებს რისკის მენეჯმენტი. ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ბანკის საწარმოთა რისკის მართვის ფუნქცია კაპიტალის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილია, კერძოდ, ეფექტურობის უზრუნველყოფა გულისხმობს კაპიტალის გამოყენების ოპტიმიზაციას მისი რისკის პოზიციის დონის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პოტენციური ზარალის დასაფარად საკმარისი კაპიტალის გამოყოფას.

ფინანსური დანაშაულის რისკი

რისკის განსაზღვრება	ფინანსური დანაშაულის რისკი გულისხმობს უკანონო ქმედების ხელშეწყობას, ნებით თუ უნებლიედ, როგორიცაა ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, სანქციებისვის თავის არიდება, მექრთამეობა და კორუფცია.
რისკის მთავარი მამოძრავებლები	ფინანსური დანაშაულის რისკების ძირითადი წყაროებია: - დამახასიათებელი რისკი, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტებთან, სერვისებთან და მიწოდების არხებთან; - რისკების მიუღებელი დონის მქონე კლიენტების ბიზნეს საქმიანობა; - არაადეკვატური პროცესები და კონტროლი რისკების იდენტიფიცირებისა და შესამცირებლად.
რისკის გამოვლენა და შეფასება	რისკის მართვის პროცესი გულისხმობს რისკების იდენტიფიკაციას, რომელიც დაცვის პირველი და მეორე ხაზების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად რეგულარულად ხორციელდება. რისკების შეფასება ეფუძნება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს და კონტროლის ადეკვატურობის შეფასებას. გამოვლენილი და შეფასებული რისკების შედეგები რეგულარულად ეცნობება უფროს მენეჯმენტს.
რისკის მიტიგაცია	ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლა და მოქმედი კანონებისა და რეგულაციების დაცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად. კომპლექსური ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნების

დაკმაყოფილების მიზნით, ბანკი მუდმივად ავითარებს ფინანსური დანაშაულის რისკების მართვას და შესაბამისობაში მოჰყავს მიმდინარე მოვლენებთან და გამოწვევებთან.

ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ბანკის სტრატეგიისა და რისკის მადის საფუძველია. ბაზისბანკი მოწოდებულია ებრძოლოს ფინანსურ დანაშაულს, შექმნას და ფინანსური დანაშაულის რისკების იდენტიფიცირების, გაგებისა და შემცირების მიზნით განახორციელოს ფინანსური დანაშაულის რისკების მართვის პროგრამა (AFC პროგრამა). AFC პოლიტიკა ადგენს ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს პოტენციური შესაბამისობის, მარეგულირებელი და რეპუტაციის რისკების შესამცირებლად, რომლებიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების (AML/CTF), საერთაშორისო სანქციების, მექრთამეობისა და კორუფციის (ABC) შესახებ კანონების, რეგულაციების და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევებთან.
AGC პროგრამის ძირითადი განცხადებებია:
- AFC-ის დამახასიათებელი რისკების იდენტიფიცირების, გაგების, მართვისა და შემცირების მიზნით ბანკი ავითარებს და ინარჩუნებს AFC რისკის საფუძვლიან შეფასებას. რისკის შემცირების ღონისძიებები შემუშავებულია და ხორციელდება რისკების ადეკვატურად და ეფექტურად გასაკონტროლებლად. ნარჩენი რისკები იმართება ბანკის რისკის მადის შესაბამისად.
- AFC რისკის შეფასების და რისკის მადის შესაბამისად, ბანკი განსაზღვრავს და ახორციელებს კლიენტების მიღების პოლიტიკას, რომელიც ასახავს კლიენტების აკრძალულ და შეზღუდულ ტიპებსა და საქმიანობას.
- სამეთვალყურეო საბჭო მკაფიოდ აცნობიერებს AFC-ის რისკებს, აკონტროლებს AFC-ის რისკის მართვის პროგრამას და მის ეფექტურობას; და პასუხისმგებელია ზემოდან სათანადო ამინდის შექმნაზე.
- სამეთვალყურეო საბჭო დირექტორთა საბჭოს, უფროს მენეჯმენტსა და AFC-ის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს მკაფიო როლებსა და პასუხისმგებლობებს უნაწილებს. დირექტორთა საბჭო AFC პროგრამის მენეჯმენტთან დაკავშირებით ნიშნავს შესაბამისი დონის პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილების მქონე პერსონალს და უზრუნველყოფს საკმარის რესურსებს.
- AFC რისკის ეფექტური მართვისთვის ბანკი განსაზღვრავს და ახორციელებს AFC-ის ოპერაციულ მოდელს, რომელშიც შედის დაცვის სამ ხაზზე განლაგებული შიდა ორგანიზაცია როლებითა და პასუხისმგებლობებით.
- ბანკი უზრუნველყოფს AFC-ის ძლიერი და ეფექტური პროგრამის განხორციელებას, რომელიც მოიცავს:
- მარეგულირებელი ზედამხედველობა ახალ ან განახლებულ რეგულაციებზე, ინდუსტრიის სტანდარტებსა და ტენდენციებზე;
- დოკუმენტირებული და სათანადოდ დამტკიცებული პოლიტიკა, პროცედურები და მეთოდოლოგია;
- ეფექტური კონტროლის პროცესები თითოეულ ძირითად მოთხოვნაზე, ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემებით;
- კომპანიის ძლიერი კულტურა, AFC თემებზე საბჭოსგან, AML& სანქციებთან შესაბამისობის დეპარტამენტისა და შესაბამისობის განყოფილებისგან მუდმივი კომუნიკაცია, AFC-ის ყველა რისკისა და მოთხოვნის თემებზე რეგულარული სატრენინგო პროგრამა;
- დაცვის მეორე ხაზის მიერ განხორციელებული ხარისხის უზრუნველყოფისა და ტესტირების მეშვეობით ძირითადი პროცესებისა და კონტროლის მონიტორინგი;
- დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად საკითხების შესაბამის ფუნქციებსა და კომიტეტებთან ანგარიშგება და ესკალაცია;
- დაცვის მესამე ხაზის მიერ რეგულარული აუდიტი, ყველა დამახასიათებელი AFC რისკის გათვალისწინებით; და
- დოკუმენტბრუნვის ადეკვატური პროცესები, ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად.

რისკის მონიტორინგი	ბანკს დანერგილი აქვს შიდა ორგანიზაცია და სისტემები, რომლებიც მისი ზომის, საქმიანობისა და სირთულის, ასევე AFC რისკების ადეკვატურია. შიდა კონტროლის სისტემა მოიცავს მინიმუმ შემდეგს: • ყველა შესაბამისი მხარისთვის „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC) ინფორმაციის მიწოდების და შენახვის სისტემები; • მომხმარებელთა რისკის შეფასების შესრულებისა და შენარჩუნების სისტემები; • სისტემები, რომლებიც AML/CTF და საერთაშორისო სანქციების თვალსაზრისით ამოწმებს კლიენტებს და შესაბამის მხარეებს; • გარიგებებისა და ტრანზაქციების შემოწმების სისტემები AML/CTF და საერთაშორისო სანქციების თვალსაზრისით, სანქციების გვერდის ავლის ჩათვლით; • მომხმარებელთა საქმიანობის მონიტორინგის სისტემები AML/CTF და საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის თვალსაზრისით (აქტივობის მონიტორინგი a-priori ან post-factum); • სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს შემთხვევების მოხსენებას და მართვას პირველი და მეორე ხაზის დაცვასა და AML/CTF შესაბამისობის დეპარტამენტს შორის და AML-ის შესაბამისობის ხელმძღვანელსა და შესაბამის ორგანოებს შორის; • საწარმოს ფართო ბიზნესის რისკის შეფასების სისტემა; • ხარისხის უზრუნველყოფისა და ტესტირების შეგროვებისა და შენარჩუნების სისტემები.
რისკის აპეტიტი	ბაზისბანკმა ფინანსური დანაშაულის მიმართ ჰოლისტიკური მიდგომა შეიმუშავა და შექმნა ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის (AFC) ჩარჩო, რათა თავიდან აიცილოს და შესაბამისი კონტროლი დააწესოს შემდეგი ძირითადი რისკის სფეროებზე: ფულის გათეთრება (ML) და ტერორიზმის დაფინანსება (TF); საერთაშორისო სანქციებთან და ემბარგოებთან შეუსაბამობა და გვერდის ავლის მცდელობები; მექრთამეობა და კორუფცია; თაღლითობა და ინტერესთა კონფლიქტი. ბანკის რისკის მადა მოიცავს შიდა კონტროლისა და ზომების შემუშავების, განახლებისა და განხორციელების უწყვეტ პროცესებს ფინანსური დანაშაულის რისკის ხსენებული ტიპების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და შერბილების მიზნით და მაღალრისკიან მომხმარებლებსა და ტრანზაქციებზე მეტი კონტროლის გამოყენებით. ეს კომბინირებული მიდგომა ბანკს საშუალებას აძლევს უკეთ გაიაზროს მათი რისკის ზემოქმედება და პრიორიტეტულად მიიჩნიოს მენეჯმენტის ამ თემებზე ფოკუსი. AFC ჩარჩოს შესაბამისად, ბაზისბანკი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომას იყენებს, მათ შორის იგულისხმება საგადასახადო დანაშაულები, მექრთამეობა, კორუფცია, სერიოზული თაღლითობა და ადგილობრივი რეგულაციებისა და FATF-ის მიერ განსაზღვრული ყველა ძირითადი დანაშაული. ჩვენ მზად ვართ დავიცვათ გაეროს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების სანქციები. ბანკი ინარჩუნებს ნულოვანი ტოლერანტობას კლიენტის ან კონტრაგენტის ურთიერთობა დაამყაროს ან შეინარჩუნოს რომელიმე შემდგომ ჩამოთვლილ სიაში მითითებულ სუბიექტთან ან ფიზიკურ პირთან ან სადაც სხვაგვარად აკრძალულია ადგილობრივი კანონით ან რეგულაციებით. ბანკს ასევე არ აქვს აპეტიტი განახორციელოს ტრანზაქციები ან სხვა სახის საქმიანი ურთიერთობა რომელიმე ასეთ სუბიექტთან ან ფიზიკურ პირთან. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ბანკმა დანერგა ავტომატური ინსტრუმენტი, რომელიც კლიენტებისა და ტრანზაქციების საერთაშორისო სანქციების OFAC, UN, EU, UK და სხვა შესაბამის სიებში რეალურ დროში შემოწმებას უზრუნველყოფს.

შესაბამისობის (კომპლაენსის) რისკი

რისკის განსაზღვრება	შესაბამისობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც პოტენციური საფრთხე ან საფრთხე, რომელიც ბანკს წარმოექმნება მოქმედი კანონების, რეგულაციების, პოლიტიკის ან სტანდარტების შეუსრულებლობის გამო. ბაზელის კომიტეტის მიხედვით შეუსრულებლობის რისკი არის „საკანონმდებლო ან მარეგულირებელი სანქციების, მატერიალური ფინანსური ზარალის ან რეპუტაციის დაკარგვის რისკი, რომელიც ბანკმა შეიძლება განიცადოს კანონების, რეგულაციების, წესების - მარეგულირებელი ორგანიზაციის სტანდარტების და ქცევის კოდექსებისშეუსრულებლობის შედეგად, რომლებიც მიესადაგება მის საბანკო საქმიანობას (შესაბამისობის კანონები, წესები და სტანდარტები) (ბაზელის კომიტეტი, 2005 წ.).
რისკის მთავარი მამოძრავებლები	ბაზისბანკი, როგორც კომერციული ბანკი, რთულ და განვითარებად მარეგულირებელ გარემოში ოპერირებს. შესაბამისობის რისკს ქმნის ბანკის საქმიანობის საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფის სირთულე. ბანკი განსაზღვრავს შემდეგ არსებით რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება შესაბამისობაზე უარის თქმის/დაუცველობის გამო: • სამართლებრივი და მარეგულირებელი ჯარიმების რისკი შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ჯარიმები, სანქციები და მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებული სამართლებრივი ქმედებები, როგორიცაა: შეზღუდვები, სპეციალური ღონისძიებები, ხელმოწერის უფლებამოსილების შეჩერება და ა.შ. • ფინანსური ზარალი ჯარიმებმა, იურიდიულმა მოსაკრებლებმა და შეუსაბამობის საკითხების გამოსწორებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი. გარდა ამისა, შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ბიზნეს ოპერაციების შეფერხება, რაც გავლენას მოახდენს შემოსავალზე. • რეპუტაციული ზიანი შეუსრულებლობამ შეიძლება შელახოს ბანკის რეპუტაცია. ნეგატიურმა პიარმა, მომხმარებელთა ნდობის დაკარგვამ და ბრენდის იმიჯის დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი შედეგები და გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ლოიალობაზე. • გაძლიერებული შემოწმება შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს მარეგულირებლის კონტროლისა და მონიტორინგის გაძლიერება, რაც ბანკს გაუზრდის საზედამხედველო ტვირთს და მოითხოვს დამატებით რესურსებს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
რისკის გამოვლენა	შესაბამისობის რისკების იდენტიფიცირება ბანკისთვის რისკის ეფექტური მართვის მნიშვნელოვანი ასპექტია. ზემოაღნიშნული მოვალეობის შესასრულებლად, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი ფუნქცია განსაზღვრავს და სისტემურად, კატალოგის სახით ინახავს ყველა მოქმედ კანონსა და რეგულაციას, რომელიც ბანკმა უნდა დაიცვას. კატალოგის საფუძველზე ბანკი აღიარებს შეუსაბამობის პოტენციურ სფეროებს ბიზნეს ოპერაციებში, პროცესებსა და ფუნქციებში. შესაბამისობის განყოფილება ატარებს ბიზნეს ოპერაციების, პოლიტიკისა და პრაქტიკის რეგულარულ შიდა შეფასებებს, რათა უზრუნველყოს მათი კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობა. შესაბამისობის განყოფილება, ისევე როგორც სამართლებრივი მხარდაჭერის ფუნქციები რეგულარულად აკვირდებიან მარეგულირებლის ინიციტრებულ ცვლილებებს და განიხილავენ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების განახლებებს.
რისკის შეფასება და გაზომვა	შესაბამისობის რისკის შეფასების მიზანია კანონებისა და რეგულაციების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და რაოდენობრივი განსაზღვრა. ბუნების, გავლენისა და ალბათობის მიხედვით შესაბამისობის რისკები იყოფა მაღალ, საშუალო ან დაბალ კატეგორიებად. რისკები პრიორიტეტულია მათი

	მნიშვნელობისა და შეუსრულებლობის პოტენციური შედეგების მიხედვით. თუ შესაძლებელია, ბანკი იყენებს რისკების გაზომვის რაოდენობრივ მეთოდებს, რათა პოტენციურ ჯარიმებს ან ზარალს ფულად ღირებულებები მიაწეროს. ხარისხობრივი მეთოდები გულისხმობს ექსპერტულ შეფასებას და სცენარების ანალიზს.
რისკის მიტიგაცია	იდენტიფიცირებული და გაზომილი შესაბამისობის რისკების პოტენციური ზემოქმედების შესამცირებლად, ბაზისბანკი განიხილავს ისეთ ნაბიჯებს, როგორიცაა: - ისეთ საქმიანობებში ან ოპერაციებში ჩართულობის თავიდან არიდება, რომლებიც შესაბამისობის მაღალ რისკებს წარმოადგენს; - შესაბამისობის რისკების ალბათობის ან სიმძიმის შესამცირებლად ზომების მიღება; - შიდა კონტროლის გაძლიერება, პროცესების გაუმჯობესება და პოზიციის შესამცირებლად დამატებითი გარანტიების შექმნა.
რისკის მონიტორინგი	შესაბამისობის ძირითადი სფეროების სისტემატური გადახედვისა და ახლად გამოვლენილი და ადრე აღიარებული რისკების კონტროლის მიზნით, შესაბამისობის ფუნქციამ შეიმუშავა საკონტროლო სიები და ატარებს შესაბამისობის გარღვევების პერიოდულ შეფასებას. შესაბამისობის განყოფილება აწარმოებს შესაბამისობის მონიტორინგის საქმიანობის დოკუმენტაციას და აწარმოებს ჩანაწერებს სამართლებრივი მოსაზრებების, შეფასებებისა და შესაბამისობის საკითხების გადასაჭრელად განხორციელებული ქმედებების შესახებ. ჩვენ მზად ვართ დავიცვათ გაეროს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების სანქციები. ბანკი ნულოვან ტოლერანტობას ინარჩუნებს იმ სუბიექტთან ან ფიზიკურ პირთან კლიენტის ან კონტრაგენტის ურთიერთობის დამყარების ან შენარჩუნებისადმი, რომელც რომელიმე შემდგომ ჩამოთვლილ სიაშია შეყვანილი ან სადაც სხვაგვარად აკრძალულია ადგილობრივი კანონით ან რეგულაციებით. ბანკს ასევე არ აქვს აპეტიტი განახორციელოს ტრანზაქციები ან სხვა სახის საქმიანი ურთიერთობა რომელიმე ასეთ სუბიექტთან ან ფიზიკურ პირთან. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ბანკმა დანერგა ავტომატური ინსტრუმენტი, რომელიც კლიენტებისა და ტრანზაქციების საერთაშორისო სანქციების OFAC, UN, EU, UK და სხვა მოქმედ სიებში რეალურ დროში შემოწმებას უზრუნველყოფს.
რისკის აპეტიტი	რისკის მადა არის შესაბამისობის რისკის მინიმუმამდე შენარჩუნება და ყველა მარეგულირებლის ყველა მოთხოვნის დაცვა.

ESG რისკი

რისკის განსაზღვრება და მთავარი მამოძრავებლები	ESG ფართო ტერმინია, რომელიც გულისხმობს გარემოსდაცვითი (E), სოციალური (S) და მმართველობის (G) კრიტერიუმების ჩართვას ბანკის მიერ მიღებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებებში, რაც პასუხისმგებელი ან მდგრადი საინვესტიციო პრაქტიკის გამოვლინება იქნება. ბანკის ESG რისკები გულისხმობს პოტენციურ ნეგატიურ ზემოქმედებას, რომელიც გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებს შეიძლება ჰქონდეს კლიენტებზე, მსესხებლებზე, სხვა კონტრაგენტებზე და თავად ბანკზე. ბანკს შეიძლება შეექმნას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები, მათ შორის გარემოსდაცვითი რეგულაციების მიმართ დაუცველი ინდუსტრიების ზემოქმედება, ექსტრემალური ამინდის მოვლენების შედეგად გამოწვეული ფიზიკური რისკები და გარდამავალი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია დაბალი ნახშირბადის ეკონომიკაზე გადასვლასთან. ბანკი ასევე შეიძლება ექვემდებარებოდეს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დარღვევასთან, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების ცუდი ისტორიის მქონე რეგიონებში მოქმედი პროექტების ან კომპანიების დაფინანსებისას, ისევე როგორც რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი ბიზნესების დაფინანსებასთან, რომლებიც არაეთიკურ შრომით პრაქტიკას

	ეწევიან, თანამშრომლებს უქმნიან ცუდ სამუშაო პირობებს, იყენებენ ბავშვთა შრომას ან მუშაკებს აძლევენ არაადეკვატურ უფლებებს. მმართველობის რისკები ეხება მარეგულირებლის და შესაბამისობის რისკებს, მათ შორის ESG შესაბამისობას, კორპორატიულ მმართველობას და კორპორატიულ ეთიკას, რომელიც მხარს უჭერს ფულის გათეთრების, გადასახადებისგან თავის არიდების და სხვა ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას. რისკებმა, რომლებიც წარმოიქმნება ESG-ის განვითარებადი რეგულაციებისა და სტანდარტების შეუსრულებლობის გამო, შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგები, ჯარიმები და მარეგულირებლის ქმედებები. ESG–ის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის დაზიანება, რადგან დაინტერესებულმა მხარეებმა, მათ შორის კლიენტებმა, ინვესტორებმა და საზოგადოებამ, შესაძლოა ორგანიზაცია აღიქვას, როგორც უპასუხისმგებლო ან არაეთიკური. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დანერგვისა და ეფექტიანად აღსრულების მიზნით, 2018 წელს „ბაზისბანკმა“ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გარემოსა და სოციალური რისკების მართვის საკუთარ პოლიტიკაში და შეიმუშავა Due Diligence-ის და E&S risk assessment (ეკოლოგიური და სოციალური რისკის შეფასების) პროცედურები. ბანკის მიერ ასევე დადგინდა გამონაკლისების სია (Exclusion List), რომლითაც ჩამოთვლილია იმ საქმიანობათა სია, რომლებსაც არ აფინანსებს ბანკი; ამგვარ გამონაკლისებს მიეკუთვნება საქმიანობები, რომლებიც რაღაც ფორმით შეიძლება უკავშირდებოდეს იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოებას/ვაჭრობას, იძულებით და ბავშვთა შრომას, არალეგალურ ფარმაცევტულ პროდუქტებს, პესტიციდებისა და ჰერბიციდების განსაზღვრული ტიპების წარმოებას/ვაჭრობას, აზარტულ თამაშებსა და კაზინოებს და ა.შ. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები ემყარება როგორც საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე საუკეთესო პრაქტიკას და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციებს. ეკოლოგიური და სოციალური რისკების შეფასების ფარგლებში, ყველა ტიპის ბიზნეს სესხი გადის სტანდარტულ პროცედურას, რომლის ფარგლებშიც ხდება პროექტის გადამოწმება გამონაკლისების სიაში. შემდეგ ეტაპზე კლიენტის მიერ მიწოდებულ მონაცემებზე და დოკუმენტებზე, ადგილზე ვიზიტის შედეგად გაკეთებულ შეფასებებსა და დამოუკიდებელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხდება პოტენციური კლიენტის პასუხისმგებლობის და მის მიერ ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვის ხარისხის შეფასება. 2023 წელს, პარტნიორი IFI-ის მხარდაჭერით, ბანკმა დაიწყო ტექნიკური დახმარების პროგრამა, „მწვანე დაკრედიტების მეინსტრიმინგი ბაზისბანკში“. ტექნიკური დახმარების პროექტი განაახლებს ბანკის ESG ეკოსისტემას და შექმნის ახალ გარემოს, რომელიც შეესაბამება თანამედროვე საბანკო სისტემის უმაღლეს ESG სტანდარტებს. პროექტი სავარაუდოდ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება და დასრულების შემდეგ, ბანკი ისარგებლებს დახვეწილი ESG სტრატეგიით, ძირითადი პრიორიტეტებით და მიზნებით და KPI-ების ნაკრებით, მდგრადობის გეგმით და მდგრადობის მართვის დახვეწილი სტრუქტურით, უფრო მოწესრიგებული, მდგრადობაზე ორიენტირებული დაკრედიტების ჩარჩოებით და პოლიტიკით, ასევე სპეციალური მწვანე პროდუქტებით, რითაც წვლილს შეიტანს ბაზრის ეკოლოგიურ განვითარებაში.
რისკის გამოვლენა და გაზომვა	ESG რისკების იდენტიფიცირება ბანკისთვის შესაბამისი ESG ფაქტორების გაგებით იწყება. ეს ფაქტორები მოიცავს კლიმატის ცვლილებას, შრომის პრაქტიკას, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტს, მრავალფეროვნებას და ინკლუზიას, მონაცემთა უსაფრთხოებას, კორპორატიულ მმართველობას და ა.შ. ყველაზე მნიშვნელოვანი ESG საკითხების გამოსავლენად, მათ შორის თანამშრომლებისთვის, კლიენტებისთვის, ინვესტორებისთვის და ა.შ.ბანკმა ჩაატარა მატერიალურობის შეფასება ბანკისა და მისი დაინტერესებული

	მხარეებისთვის და სწორედ ამის შემდეგ ბანკმა ჩამოაყალიბა ზემოაღნიშნული ESG სტრატეგია. ESG რისკის იდენტიფიკაცია და გაზომვა ინტეგრირებულია ბანკის რისკის ჩარჩოში, სადაც ESG რისკი განიხილება ტრადიციულ ფინანსურ და არაფინანსურ რისკებთან ერთად. თუმცა, ბანკი მუშაობს არსებული ESG რისკების მართვის გაუმჯობესებაზე, მათ შორის მარეგულირებელ მოთხოვნებთან კორექტირებაზე, არაუგვიანეს 2024 წლის ბოლოს.
რისკის მიტიგაცია	ESG რისკების შესაფასებლად და ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემასთან (ESMS) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკს დიუ დილიჯენსის პროცესები თავის ბიზნეს ოპერაციებში აქვს ინტეგრირებული, რასაც ახალ ინვესტიციებში ან საქმიან ურთიერთობებში შესვლისას იყენებს.

საოპერაციო რისკი

რისკის განსაზღვრება	საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური შიდა პოლიტიკით, სისტემისა და კონტროლის წარუმატებლობით, ადამიანური შეცდომებით, თაღლითობის ან მენეჯმენტის წარუმატებლობით, გარე მოვლენებითა და ბუნებრივი კატასტროფებით.
რისკის ძირითადი წყაროები	ბანკი არაერთი საოპერაციო რისკის წინაშე დგას, მათ შორისაა შიდა და გარე თაღლითური აქტივობები, პროცესების, პროცედურების ან კონტროლის დარღვევა; და სისტემის გაუმართაობა გარე მხარის მხრიდან, რომლის მიზანია ბანკის დამხმარე ინფრასტრუქტურა მიუწვდომელი გახადოს შესაბამისი მომხმარებლებისთვის, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება საფრთხე შეუქმნას სენსიტიურ ინფორმაციას და ბანკის, მისი კლიენტების, კონტრაგენტების ან კლიენტების ფინანსურ ტრანზაქციებს. გარდა ამისა, ბანკი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც იწვევს კრიტიკული ფუნქციების შემსრულებელი სისტემების შეფერხებას, და რომელიც წარმოიქმნება მის კონტროლს მიღმა მოვლენებით, რამაც ბანკს შეიძლება მიაყენოს ზარალი ან კლიენტების მომსახურების შემცირება და/ან ფინანსური ზარალი. ზემოთ განხილული რისკები ასევე აქტუალურია, როდესაც ბანკი ეყრდნობა მომსახურების გარე მომწოდებლებს, რადგან ბანკს შეიძლება არ ჰქონდეს პირდაპირი კონტროლი მესამე მხარის მიერ შესრულებულ საქმიანობაზე.
რისკის გამოვლენა	ბანკი სისტემატურად გამოავლენს, აანალიზებს და დოკუმენტაციას უკეთებს პოტენციურ საოპერაციო რისკებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მიზნების მიღწევაზე. იგი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბიზნესის ამოცანების წარმატებით შესრულებას და საოპერაციო საქმიანობის განხორციელებას. ბანკი იყენებს სხვადასხვა საიდენტიფიკაციო ინსტრუმენტებს: ახალი პროდუქტები/პროცესები - პროდუქტებისა და შიდა პროცესების ანალიზმა და ასახვამ შეიძლება გამოავლინოს წარუმატებლობის პოტენციური წერტილები ან სუსტი ადგილები, სადაც შეიძლება მოხდეს საოპერაციო

	რისკები. ეს მეთოდი გვეხმარება დამოკიდებულებების, დაბრკოლებებისა და გაუმჯობესების პოტენციური სფეროების გაგებაში. მესამე მხარის რისკები - რისკები, რომლებიც დაკავშირებულია იმ მომწოდებლებთან, მოვაჭრეებთან და პარტნიორებთან, რომლებიც მონაწილეობენ განვითარებისა და განხორციელების პროცესში. გარე მხარეებზე დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს დაუცველობა, რომელიც მართვას საჭიროებს, ამიტომ ბანკი ასახავს მესამე მხარეებზე დამოკიდებულ ყველა პროცესს, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს პოტენციური წარუმატებლობა. ძირეული მიზეზის ანალიზი - ინციდენტების დროს, ძირეული მიზეზის ანალიზის ჩატარება ეხმარება პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებას. ეს მეთოდი გვეხმარება სისტემური საკითხების გამოვლენაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საოპერაციო რისკები. RCSA – რისკისა და კონტროლის თვითშეფასება მოიცავს დაცვის პირველი ხაზის თვითშეფასებას, - ამ დროს საოპერაციო რისკების შესამცირებლად ფასდება არსებული კონტროლის ეფექტურობა. ეს მეთოდი გვეხმარება კონტროლის სისუსტეების და გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირებაში. ზარალის მონაცემების ანალიზი - ისტორიული დანაკარგების მონაცემებისა და ინციდენტების გაანალიზებამ შეიძლება ღირებული ინფორმაცია მოგვაწოდოს განმეორებადი საოპერაციო რისკებისა და მათი ძირითადი მიზეზების შესახებ. ეს მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომა რისკის შემცირების ძალისხმევის პრიორიტეტიზაციაში გვეხმარება. ამ ინსტრუმენტებისა და მეთოდების კომბინაციის გამოყენებით ბანკი იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს გაურკვევლობის მართვისას მიზნების მისაღწევად. ის ქმნის რისკების მართვის უფრო ფართო პროცესის საფუძველს, რომელიც მოიცავს რისკის შეფასებას, მიტიგაციას, მონიტორინგს და კონტროლს.
რისკის შეფასება	საბანკო სერვისების სწრაფად ცვალებადი გარემოს მასშტაბისა და სირთულის, ასევე მასთან დაკავშირებული შესაძლო საოპერაციო რისკების გათვალისწინებით, პროცესების, პროცედურების, კონტროლისა და სისტემების გაუმჯობესების მნიშვნელობა გადამწყვეტია რისკის პრევენციის უზრუნველსაყოფად. საოპერაციო რისკის ზედამხედველობისა და შერბილების მიზნით, ბანკმა დააწესა საოპერაციო რისკის მართვა სამ დონეზე: ბიზნეს ერთეულების/დეპარტამენტების დონეზე, საოპერაციო რისკების მართვის დონეზე და შიდა აუდიტის დონეზე. საოპერაციო რისკის მართვის განყოფილება მოქმედებს როგორც დაცვის მეორე ხაზი. ბანკის საოპერაციო რისკების პოლიტიკა ქმნის საოპერაციო რისკების გამოვლენის, შეფასების და მართვის ყოვლისმომცველ სისტემას. იგი შემუშავებულია 2011 წლის ივლისში გამოცემული ბაზელის კომიტეტის „საოპერაციო რისკების ჯანსაღი მართვის პრინციპები“ და ბანკის საერთო რისკის სტრატეგიის შესაბამისად. პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს (2014 წლის 13 ივნისის „კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის დებულება,). ის ბანკის რისკების მართვის საერთო საქმიანობის ნაწილია და განსაზღვრავს რისკების მართვის მთავარ პრინციპებს და ინსტრუმენტებს, აღწერს, თუ როგორ უნდა მოხდეს საოპერაციო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი ან შერბილება, რაც ბანკის რისკების მართვის შესაბამის პოლიტიკაში უნდა აისახოს. ის მიზნად ისახავს ბანკის საქმიანობაში საოპერაციო რისკის მართვის ჯანსაღი და ეფექტური პრაქტიკის ჩამოყალიბებას. პოლიტიკა პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის

	პოლიტიკისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე, რათა ბანკმა შეძლოს საოპერაციო რისკების მართვა, აგრეთვე ადგენს საოპერაციო რისკების მონიტორინგს, რისკის აპეტიტის მიმართ რისკების და მატერიალური კონტროლის საკითხებს. ბანკი კაპიტალის მოთხოვნის გაანგარიშებისთვის BIA (Basic Indicator Approach საბაზისო ინდიკატორების გაზომვის მეთოდი) მიდგომას იყენებს. ასევე გამოიყენება რისკების შეფასების უფრო განვითარებული მეთოდების ხარისხობრივი ელემენტები, რაც საოპერაციო რისკების უფრო მეტად ამომწურავი მართვის საფუძველს ქმნის.
რისკის მიტიგაცია	პოლიტიკა პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის პოლიტიკისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე, რათა ბანკმა შეძლოს საოპერაციო რისკების მართვა, აგრეთვე ადგენს საოპერაციო რისკების მონიტორინგს, რისკის აპეტიტის მიმართ რისკების და მატერიალური კონტროლის საკითხებს. პოლიტიკით განსაზღვრულია საოპერაციო რისკების გამოვლენის, შეფასების, მონიტორინგის, კონტროლის და შემცირების პრინციპები. იქმნება საოპერაციო რისკების გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის სისტემა და მუშავდება გაუთვალისწინებელი სიტუაციების და ბიზნესის უწყვეტობის გეგმები, რათა ბანკს ჰქონდეს უნარი, განაგრძოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ბიზნესის მკვეთრი ხელისშეშლის შემთხვევაში მინიმუმამდე დაიყვანოს დანაკარგები. ბანკი აიდენტიფიცირებს, აფასებს და განიხილავს რისკებს, რომლებიც საოპერაციო რისკის მოვლენებიდან წარმოიქმნება და უჩვეულო აქტივობების დროულად გამოვლენის მიზნით აქვს მუდმივი, ციკლური მონიტორინგის პროცესი. ბანკი ახორციელებს რისკისა და კონტროლის თვითშეფასების (RCSA) პროცესს, რომელიც გამოავლენს, აანალიზებს, აფასებს და იკვლევს საოპერაციო რისკების შემარბილებელ გეგმებს და შესაბამის კონტროლს, რაც უზრუნველყოფს გონივრულ გარანტიას, რომ ყველა ბიზნეს მიზანი შესრულდება. RCSA ფოკუსირებულია ნარჩენი რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებაზე ძირითად ბიზნეს პროცესებში, რომლებიც ექვემდებარება მაკორექტირებელ სამოქმედო გეგმებს. გარდა ამისა, აუთსორსინგის რისკის მართვის პოლიტიკის ამოქმედება, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს გააკონტროლოს აუთსორსინგის (მიმწოდებლის) რისკი, რომელიც წარმოიქმნება არასასურველი მოვლენებით და რისკის კონცენტრაციით, რომელიც გამოწვეულია გამყიდველის შერჩევის წარუმატებლობით, არასაკმარისი კონტროლით და ზედამხედველობით გამყიდველზე და/ან მომწოდებლის მიერ მიწოდებულ სერვისებზე; სხვა ზემოქმედებით გამყიდველზე; გარდა ამისა, საოპერაციო რისკების მართვის ფუნქციის ჩართვა ახალი პროდუქტებისა და სერვისების დამტკიცების პროცესში, მათთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად. საოპერაციო რისკი ასევე პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების ყოველდღიურ მართვაზე სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით. მომხმარებელთა საჩივრების, საოპერაციო რისკის მოვლენების მონაცემთა ბაზების ანალიზის გზით იგი განსაზღვრავს PDP-ის კანონის პოტენციურ დარღვევას და პერსონალური მონაცემების დაცვის გასაუმჯობესებლად და სწრაფად მზარდი ავტომატიზაციის გარემოში პერსონალური ინფორმაციის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად შემოაქვს ცვლილებები ოპერაციულ პრაქტიკაში. საოპერაციო რისკის ეფექტურად გაზომვისა და მართვის მიზნით, შექმნილია საოპერაციო რისკის მართვის შესაბამისი გარემო, რომელიც ითვალისწინებს საოპერაციო რისკის შიდა ანგარიშგებას; ის განიხილება, როგორც ცალკეული რისკის კატეგორია, რომელიც ერთი მხრივ დაკავშირებულია ბანკის უსაფრთხოებასთან და სიჯანსაღესთან, მეორე მხრივ, ოპერატიულად დამოუკიდებელი, სათანადოდ მომზადებული და კომპეტენტური პერსონალის მიერ მომზადებულ ყოვლისმომცველ შიდა აუდიტის ფუნქციასთან.

	თაღლითური ქმედებებით გამოწვეული საოპერაციო რისკების შემდგომ შესამცირებლად, ბანკმა დანერგა დახვეწილი და ციფრული თაღლითობის რეალურ დროში პრევენციის სისტემა, რომელიც აანალიზებს კლიენტის ქცევას გარე თაღლითობის საფრთხეების შემდგომი მინიმიზაციის მიზნით. Covid-19-ის უპრეცედენტო გავრცელების დროს ჯანმრთელობის საკითხებსა და საოპერაციო რისკებზე სათანადო რეაგირების უზრუნველსაყოფად ბაზისბანკმა შეიმუშავა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა. როგორც თანამშრომლების, ისე მომხმარებლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად, აუცილებელი სერვისების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და ყველა საოპერაციო და ფინანსური რისკის შესამცირებლად ბანკმა მიიღო პრევენციული ზომები. ბიზნესის უწყვეტობის ყველა ღონისძიება კოორდინირებული იყო საქართველოს მთავრობასთან და ეროვნულ ბანკთან და მათ მითითებებს ეფუძნებოდა.
რისკის აპეტიტი	შიდა პროცესების ან სისტემების არაადეკვატურობის ან წარუმატებლობის ან ადამიანური შეცდომის გამო, ან ოპერაციების შესრულების ან შესრულების დროს დაშვებული შეცდომების გამო, ბანკი ექვემდებარება ზარალის ან გაუმართლებელი ხარჯების რისკს. ბანკის კომპლექსური ოპერაციები ასევე აყენებს გარე და შიდა თაღლითობის რისკის წინაშე. გარე თაღლითობის მოვლენები შეიძლება წარმოიშვას მესამე მხარის ქმედებებიდან ბანკის წინააღმდეგ და, ყველაზე ხშირად, ეს მოიცავს პლასტიკურ ბარათებთან და ნაღდ ფულთან დაკავშირებულ მოვლენებს. შიდა თაღლითობები წარმოიქმნება ბანკის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ქმედებებიდან და ასეთი მოვლენები ნაკლებად ხდება. მიუხედავად ამისა, ბანკის აქტივების უკანონოდ მოპოვებისა და ექსპლუატაციის მიზნით თაღლითები ახალ ტექნიკას და მიდგომებს იყენებენ. ამიტომ ბანკისთვის მნიშვნელოვანია საოპერაციო რისკების მართვა და ფინანსურ მდგომარეობაზე მათი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება. საოპერაციო რისკის მადის შესახებ განცხადების თანახმად, ბანკს უნდა ჰქონდეს საოპერაციო რისკის ადეკვატური ტოლერანტობა, რათა შეინარჩუნოს დაბალი ხარჯები და ხელი შეუწყოს ბიზნესის ზრდას და ეფექტურ განვითარებას, უნდა ჰქონდეს დაბალი ტოლერანტობა შიდა თაღლითობის მიმართ და მიზნად უნდა დაისახოს სტრესის პირობებში მაღალი გამძლეობის მქონე ენერგიული საოპერაციო სისტემების შენარჩუნება.

ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკი

რისკის განსაზღვრება	ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკი შეიძლება განიმარტოს, როგორც გაურკვევლობის ეფექტი ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე, სადაც არსებობს შანსი, რომ ინფორმაციული აქტივის ან აქტივების ჯგუფის მოწყვლადობის გამო ზიანი მიადგეს ბანკს. ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკი არის პერსონალური მონაცემების ან სხვა მგრძნობიარე ინფორმაციის არასანქცირებული გამოყენების, კიბერთავდასხმების, ფიშინგისა და მონაცემთა მთლიანობის დარღვევის სხვა ფორმების შედეგად გამოწვეული რისკი. შესაბამისად, ინფორმაციული უსაფრთხოება ბაზისბანკის ერთ-ერთი მატერიალური არაფინანსური თემაა. იმისათვის რომ დაინტერესებული მხარეების მიერ ბანკისადმი ნდობა შენარჩუნდეს აუცილებელია ბანკის მომხმარებლებისა და პარტნიორების მონაცემებისა და ბანკის საინფორმაციო აქტივების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვა.
რისკის გამოვლენა	ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების ფუნქცია პასუხისმგებელია ინფორმაციის უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის

	მართვის პროცესების მუდმივ გაუმჯობესებაზე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან/კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და უზრუნველყოს კლიენტებისა და პარტნიორების უსაფრთხოება.
რისკის შეფასება	ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩო შექმნილია იმგვარად, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა და სტანდარტები ასახავდეს მზარდ ბიზნესის მოთხოვნებს, მარეგულირებლის მითითებებსა და კიბერ საფრთხეებს. ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების პოლიტიკები და ინსტრუქციები მხარს უჭერს ბანკს ხსენებული პარამეტრების დაცვაში საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით. ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების ფუნქცია ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი მმართველობის ჩარჩო, პოლიტიკა, პროცესები და ტექნიკური შესაძლებლობები ბანკში შესაბამისი ინფორმაციის უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკის სამართავად. ინფორმაციის უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების ფუნქცია მუშაობს ყველა ბიზნეს განყოფილებასთან/ერთეულთან და ბანკის ყველა თანამშრომელთან, რათა უზრუნველყოს ბანკის სისტემების დაცვა და უსაფრთხოდ გამოყენება ბანკის ბიზნეს მიზნების მისაღწევად.
რისკის მიტიგაცია და მონიტორინგი	წელიწადში ერთხელ მაინც, გარე აუდიტი ატარებს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების სრულ აუდიტს, ისევე როგორც აანალიზებს კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს, რათა შეაფასოს ბანკის შესაძლებლობების ეფექტურობა ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკისა და რეალურ სამყაროში კიბერშეტევის სცენარების გათვალისწინებით, რომელიც დაფუძნებულია შესაბამის რეგიონალურ და სექტორულ პერსპექტივებზე. ამგვარი აუდიტი ბანკს საშუალებას აძლევს ფართოდ დაინახოს არსებული სიტუაცია და გამოწვევები, რაც ხელს უწყობს ინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების სისტემების შემდგომ გაუმჯობესებას. გარდა ამისა, რეგულარულად ტარდება შეღწევადობის ტესტირებები. რადგან ბანკის თანამშრომლები ინფორმაციულ უსაფრთხოებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ, მათთვის რეგულარულად ტარდება ტრენინგები, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების საკითხებზე დისტანციური სწავლების კურსს, თაღლითობისა და ფიშინგის სიმულაციებსა და ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ საინფორმაციო ბროშურებს. ამგვარი ზომები თანამშრომლებს ეხმარება გაიაზრონ საკუთარი პასუხისმგებლობები და მოემზადდნონ სხვადასხვა საფრთხეებისთვის. COVID-19 პანდემიის შედეგად, ბანკმა გააქტიურა უსაფრთხო დისტანციური მუშაობის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა შიდა სამუშაოების გარემოს დაცვას შესაბამისი კიბერ საფრთხეებისგან. IT გუნდი უზრუნველყოფდა ეფექტურ ზედამხედველობას დისტანციური მუშაობის არხებზე.
რისკის აპეტიტი	რადგან კიბერშეტევები ბოლო წლებში უფრო დახვეწილი და რთული გახდა, მათ მიერ გამოწვეულლი საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდა. კიბერშეტევემა შესაძლებელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც წრაფად იცვლება, ამიტომ მუდმივ ყურადღებასა და ბაზარზე საუკეთესო პრაქტიკის ცოდნას მოითხოვს. ბოლო წლებში ბაზისბანკზე არცერთი მნიშვნელოვანი კიბერშეტევის მცდელობა არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ბანკის მზარდი დამოკიდებულება კომპლექსურ IT სისტემებზე ზრდის მის დაუცველობას და კიბერთავდასხმის მიერ გამოწვეულ ზემოქმედებას.კიბერუსაფრთხოების რისკის მადის შესახებ განცხადების თანახმად, ბანკს უნდა ჰქონდეს ძალიან დაბალი ტოლერანტობა მომხმარებელთა მონაცემების გამჟღავნების მიმართ, უნდა ჰქონდეს დაბალი ტოლერანტობა კიბერშეტევებისგან ფინანსური ზარალის მიმართ და უნდა ჰქონდეს ნულოვანი ტოლერანტობა კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ქმედებების მიმართ. ის მიზნად ისახავს თავდაცვის სიღრმისეული სტრატეგიის გაძლიერებას და მუდმივ გაუმჯობესებაზე მუშაობას.

სს ბაზისბანკი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადებაზე

სს „ბაზისბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) მენეჯმენტი პასუხისმგებელია 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის შექმნაზე, რომელსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ისეთი ხელმძღვანელობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც თავისუფალი იქნება თაღლითობის ან შეცდომის გამო არსებითი შეცდომისაგან.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;
- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ხელმძღვანელობის ანგარიშში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაციის ჩართვაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე ხელმძღვანელობის ანგარიშში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, რომელიც ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინები შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მენეჯმენტის ანგარიში დაამტკიცა ბანკისა და ჯგუფის მმართველმა საბჭომ 2024 წლის 9 აგვისტოს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____ _____

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი

სს ბაზისბანკი

მოქმედ კანონებსა და რეგულაციების შესაბამისობაზე პასუხისმგებლობის განცხადება

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

- სს ბაზისბანკის („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) ხელმძღვანელობის ანგარიში და ცალკეული და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადდა მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.
- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად და სრულად, ზუსტად და სამართლიანად ასახავს აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავლებს და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსურ შედეგებს და ბანკისა და ჯგუფის ფულად ნაკადებს.
- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ხელმძღვანელობის ანგარიში მოიცავს ბიზნესის განვითარების, ბანკისა და ჯგუფის შედეგებისა და პოზიციის სამართლიან და ყოვლისმომცველ მიმოხილვას და მათ წინაშე მდგარ ძირითად რუსკენს.

პასუხისმგებლობის განცხადება დაამტკიცდა ბანკისა და ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭომ და მმართველმა საბჭომ 2024 წლის 9 აგვისტოს..

_____ _____

ჭან ძუნი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

Deloitte & Touche LLC
Tax ID: 204422240
City Tower Business Center,
70 Vazha-Pshavela Ave., 16th floor,
Tbilisi, 0186, Georgia

Tel: +995 (32) 224 45 66
Fax: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

სს ბაზისბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება სს ბაზისბანკის („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) ცალკეულ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ჩვენს 2024 წლის 20 მარტით დათარიღებულ აუდიტის დასკვნაში. აუდიტირებული ცალკეული და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არ ასახავს იმ მოვლენების შედეგებს, რომლებიც მოხდა ცალკეული და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ჩვენი აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ. ხელმძღვანელობის ანგარიშში აღწერილი მოვლენების გავლენა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ჩვენი აუდიტორელი დასკვნის თარიღის შემდეგ ცალკეულ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ იყო აუდიტირებული ჩვენს მიერ.

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადებასა და წარდგენაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ცალკეული და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით არის ის, რომ წავიკითხოთ ხელმძღვანელობის ანგარიში მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და შევაფასოთ, არის თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ცალკეულ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან. ან აუდიტის დროს მიღებულ ჩვენს ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ ჩანს არსებითად არასწორი. ჩვენ არ გავცემთ რწმუნებას ხელმძღვანელობის ანგარიშთან დაკავშირებით.

ჩვენ წავიკითხეთ ხელმძღვანელობის ანგარიში და გაწეული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ხელმძღვანელობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეულ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის დროს მიღებულ ჩვენს ცოდნას; და

- ხელმძღვანელობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის რეგულაციებს.

ჯამალ ჰასანოვი (რეგ. # SARAS-A-844170)

შპს “დელოიტი და ტუშის სახელით” (რეგ. # SARAS-F-107265)

2024 წლის, 9 აგვისტო
თბილისი, საქართველო

ბაზისბანკის ჯგუფი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერი

ბაზისბანკის ჯგუფი

სარჩევი

		Page
განცხადება მენეჯმენტის პასუხისმგებლობის შესახებ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ		1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა		2-4
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები		
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში		5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში		6
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში		7-7
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში		9-10
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები		
1	შესავალი	11
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	12
3	ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
4	კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს	37
5	ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა	40
6	ახალი ბუღალტრული განცხადებები	43
წინამდებარე ფინანსური ანგარიშის დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფს და ბანკს არ ჰქონდათ გამოყენებული შემდეგი ახალი და გადამუშავებული IFRS სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა:		43
7	ფული და ფულის ეკვივალენტები	44
8	სავალდებულო რეზერვები სებ-ში	45
9	მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	45
10	ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	46
11	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	47
12	ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	75
13	დაზღვევის და გადაზღვევის კონტრაქტები	77
14	სხვა აქტივები	83
15	შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები	84
16	გამოყენების უფლებების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები	86
17	ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	87
18	კლიენტთა ანგარიშები	88
19	ნასესხები სახსრები	89
20	სხვა ვალდებულებები	90
21	სუბორდინირებული ვალები	90
22	სააქციო კაპიტალი	91
23	დივიდენდები	91
24	წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა	92
25	საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	93
26	საკომისიო შემოსავალი და ხარჯი	94
27	დაზღვევის და გადაზღვევის მომსახურების შედეგები	95
28	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	95
29	მოგების გადასახადები	97
30	დაფინანსების საქმიანობისგან წარმოშობილი ვალდებულებების რეკონსილაცია	99
31	ფინანსური რისკების მართვა	100
32	კაპიტალის მართვა	127
33	პირობითი ვალდებულებები	130
34	სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება	137
35	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის	142
36	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	146
37	აბრევიატურები	147

ბაზისბანკის ჯგუფი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განცხადება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ

ბაზისბანკის (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთად „ჯგუფის“) მენეჯმენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად წარადგენს სს ბაზისბანკის და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშს, სრული შემოსავლის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებებს („კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შედარებადი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც IFRS სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ საქმიანობაზე; და
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის შეფასება.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შექმნა და განხორციელება ჯგუფის მასშტაბით;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც საკმარისი იმისთვის, რომ აჩვენოს და ახსნას ჯგუფის ტრანზაქციები და გონივრული სიზუსტით ნებისმიერ დროს გაამჟღავნოს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა და რომელიც მას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები შეესაბამება IFRS-ს.
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების დასაცავად ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც მას გონივრულად აქვს ხელმისაწვდომი; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია და გამოვლენა.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა ჯგუფის მენეჯმენტის საბჭოს მიერ 2024 წლის 20 მარტს.

მენეჯმენტის საბჭოს სახელით:

_____	_____
დავით ცაავა	**ლია ასლანიკაშვილი**
გენერალური დირექტორი	**გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები**

Deloitte & Touche LLC
Tax ID: 204422240
City Tower Business Center,
70 Vazha-Pshavela Ave.,
16th floor, Tbilisi, 0186, Georgia

Tel: +995 (32) 224 45 66
Fax: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ბაზისბანკის აქციონერებს

დასკვნა

აუდიტი ჩაუტარდა სს ბაზისბანკის („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; და ფინანსური ანგარიშების განმარტებებს, რომლებიც მოიცავს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი დასკვნით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები ყველა არსებითი ასპექტით სამართლიანად წარმოადგენს ჯგუფის და ბანკის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური საქმიანობის შედეგებს და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების(“IFRSs”) მიხედვით.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ISAs“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით, ჩვენი პასუხისმგებლობა განხილულია ჩვენი ანგარიშის თავში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების მუხლის თანახმად, (IESBA კოდექსი), ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან. ჩვენ ასევე შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური მოვალეობები. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულება საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის.

საკითხის ხაზგასმა

ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-5 განმარტებას, რომელიც ეხება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შესაბამისი მაჩვენებლების ხელახლა განცხადებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება შეცვლილი არ არის.

Deloitte.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშში შეტანილ ინფორმაციას, რომელიც მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ არ შეიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და მათზე ჩვენი აუდიტორის ანგარიშს. მენეჯმენტის ანგარიში სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენეულ აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და ვიმსჯელოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის შედეგად მიღებულ ჩვენს ცოდნასთან, ან სხვაგვარად ჩანს თუ არა, რომ ის არსებითად მცდარია. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორადაა განცხადებული, ჩვენ ვალდებულნი ვართ ამ ფაქტის შესახებ გავაკეთოთ განცხადება.

ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მენეჯმენტის და მმართველობის ფუნქციის მქონე პირების მოვალეობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისმშესაბამისად; ის ასევე პასუხისმგებელია ისეთ შიდა კონტროლზე, როგორსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომლებშიც არ იქნება არსებითი უზუსტობები, სულერთია ტყუილის, თუ შეცდომის შედეგად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტის მოვალეობაა, შეაფასოს ჯგუფის და ბანკის უნარი, გააგრძელოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საჭიროებისას გაამჟღავნოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდი, თუ მენეჯმენტი არ აპირებს ჯგუფის ან ბანკის ლიკვიდაციას, ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარი ქმედების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირები ჯგუფის და ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე არიან პასუხისმგებელი.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი ამოცანებია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ მთლიანად კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებში არსებითი უზუსტობები არ არის, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, და გამოვცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არაა იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის მიაკვლევს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს ტყუილმა ან შეცდომამ და არსებითად ითვლება, თუ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, აჩენს გონივრულ მოლოდინს, რომ გავლენას მოახდენს მომხმარებლების მიერ ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით გაკეთებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

Deloitte.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარება მოითხოვს, აუდიტის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, ვამზადებთ და ვასრულებთ აუდიტის ისეთ პროცედურებს, რომლებიც ასეთ რისკებზეა ორიენტირებული და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის. იმის რისკი, რომ აუდიტი ვერ მიაკვლევს ტყუილით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის ვერმიკვლევის, რადგან ტყუილი შეიძლება გულისხმობდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციებს ან შიდა კონტროლის გადამეტებას.
- ვიღებთ აუდიტისთვის რელევანტურ ინფორმაციას შიდა კონტროლის შესახებ, გარემოებების შესაბამისი აუდიტის პროცედურების მომზადების მიზნით და არა ჯგუფის და ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის კანონზომიერებას და მენეჯმენტის მიერ მოწოდებული სააღრიცხვო პროგნოზების და მასთან დაკავშირებული გამჟღავნებების გონივრულობას.
- ვამზადებთ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონზომიერად იყენებს მენეჯმენტი ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდს და მიღებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე ვასკვნით, არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის და ბანკის უნარი, მუშაობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენი მოვალეობაა, აუდიტის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშის შესაბამის გამჟღავნებებში, ან, თუ ასეთი გამჟღავნებები არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები აუდიტის ანგარიშის მომზადების დროს მიღებულ აუდიტის მტკიცებულებებს ეფუძნება. თუმცა, მომავლის მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ან ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით მუშაობის გაგრძელების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების საერთო პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, გამჟღავნებების ჩათვლით; ასევე იმას, წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები მიმდინარე ტრანზაქციებს და მოვლენებს იმგვარად, რომ სამართლიანად იყოს წარმოდგენილი.
- ვიღებთ საკმარის ადეკვატურ აუდიტის მტკიცებულებას ჯგუფის ბიზნეს-ერთეულების ან ბიზნეს-საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით და ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენს დასკვნაზე პასუხს ვაგებთ მხოლოდ ჩვენ.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირებთან ვაწარმოებთ კომუნიკაციას, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და ვადებზე, აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებზე, მათ შორის აუდიტის დროს აღმოჩენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

ჯამალ ჰასანოვი

Deloitte & Touche LLC-ის სახელით

20 მარტი 2024
თბილისი, საქართველო

.

ბაზისბანკის ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი	განმრტ	31 დეკ 2023 ბანკის ინდ	31 დეკ 2023 კონსოლიდ	31 დეკ 2022 ბანკის ინდ	31 დეკ 2022 კონსოლიდ (ხელახ გან)*
აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	282,582	284,010	277,659	278,068
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	8	184,600	184,600	218,587	218,587
მოთხოვნები სხვა ბანკ მიმ	9	-	15,426	-	12,593
ინვესტიციები სავალო ფას ქაღ	10	378,159	378,461	394,063	394,362
ინვესტიციები შვილობ კომპ	1	24,797	-	20,797	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანს	11	2,493,970	2,493,970	2,086,777	2,086,777
ფინანსური ლიზინგიდან მისაღ შემოს	12	-	26,136	-	17,680
გადაზღვ კონტრ აქტივები	13	-	74,974	-	2,474
საინვესტიციო ქონება		-	1,299	-	1,657
სხვა ფინანსური აქტივები		2,269	2,269	3,486	3,486
სხვა აქტივები	14	28,574	33,065	30,932	34,616
შენობა-ნაგ. მოწყობ და არამატ აქტ	15	107,079	107,375	105,081	105,223
გამოყ უფლ მქონე აქტივები	16	17,364	17,364	21,582	21,582
მთლიანი აქტივები		**3,519,394**	**3,618,949**	**3,158,964**	**3,177,105**
ვალდებულებები					
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	17	277,084	284,866	303,462	310,707
კლიენტთა ანგარიშები	18	2,199,455	2,192,372	1,965,810	1,960,740
ნასესხები სახსრები	19	379,621	382,344	342,937	342,937
საიჯარო ვალდებულებები	16	15,970	15,970	18,576	18,576
სადაზღვევო ვალდებულებები	13	-	77,101	-	3,192
სხვა ფინანსური ვალდებულებები		3,961	3,961	5,858	5,858
მიმდ მოგების გადასახ ვალდებულება	29	13,518	13,518	913	913
გადავადებული მოგების გადასახ ვალდ	29	1,996	1,996	11,449	11,449
ვალდ.და ხარჯ. რეზერვები	33	1,655	1,655	1,297	1,297
სხვა ვალდებულებები	20	16,903	18,041	9,478	10,622
სუბორდინირებული ვალი	21	106,383	106,383	56,933	56,933
მთლიანი ვალდებულებები		**3,016,546**	**3,098,207**	**2,716,713**	**2,723,224**
კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	22	17,319	17,319	17,091	17,091
საემისიო შემოსავალი	22	104,498	104,498	101,066	101,066
წილ ინსტრ გადახდ რეზერვი	24	-	-	2,606	2,606
შენობა ნა გადაფასების რეზერვი		10,870	11,708	10,870	11,708
სავალო ვალდ გადაფას რეზერვი FVOCI-ით		(201)	(201)	3,472	3,472
გაუნაწილებელი მოგება		370,362	387,418	307,146	317,938
მთლიანი კაპიტალი		**502,848**	**520,742**	**442,251**	**453,881**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**3,519,394**	**3,618,949**	**3,158,964**	**3,177,105**

** ხელახლა განცხადების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ განმარტებაში 5.*

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 20 მარტს.

_____ _____

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები

11-147 გვერდებზე მოცემული განმარტებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.

ბაზისბანკის ჯგუფი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2023		2022	
ათასი ლარი	განმარ	ბანკის ინდ	კონსოლიდ	ბანკის ინდ	კონსოლიდ (ხელ განცხ)*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	25	308,198	310,310	256,269	258,167
საპროცენტო ხარჯი	25	(173,227)	(173,696)	(132,431)	(132,326)
საპროცენტო და მსგავსი შემოსავლის წმ მარჟა		**134,971**	**136,614**	**123,838**	**125,841**
საკრედ ზარ რეზერვი ფინ აქტივებზე	7, 8, 9, 10, 11	(4,290)	(4,355)	(50,174)	(50,087)
საპროცენტო და მსგავსი შემოსავლის წმინდა მარჟა საკრედიტო ზარალის რეზერვის შემდეგ		**130,681**	**132,259**	**73,664**	**75,754**
საკომისიო შემოსავალი	26	19,058	19,052	13,269	13,226
საკომისიო ხარჯი	26	(6,195)	(6,195)	(5,051)	(5,051)
დაზღ მომსახ შედეგი		-	(97,209)	-	9,755
გადაზღ მომსახ შედეგი		-	98,058	-	(6,273)
ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან		-	6,107	-	3,352
მოგებას გამოკლ. ფინ. დერივატ. გამოწვ. დანაკარგები		(2,216)	(2,216)	(1,558)	(1,558)
მოგებას გამოკლ. უცხ. ვალუტ. ვაჭრ.გამოწვ. დანაკარგები		11,225	11,233	18,498	18,441
უცხ. ვალუტ. გადაანგარიშ. მოგებას გამოკლ. დანაკარგები		(452)	(452)	(9,002)	(9,002)
მოსალ საკრ დანაკ საკრედიტო ვალდებულებებიდან		(356)	(356)	(161)	(161)
საკრ პორტფ შესყიდვიდან მიღებ მოგება		-	-	57,774	57,774
სხვა საოპ მოგ, წმ.		8,366	8,542	4,036	4,101
ადმინისტრ და სხვა საოპერაციო ხარჯები	28	(80,719)	(82,652)	(69,630)	(73,793)
მოგება დაბეგვრამდე		**79,392**	**86,171**	**81,839**	**86,565**
მოგების გადასახადის ხარჯი	29	(8,771)	(9,286)	(12,202)	(12,673)
წლის მოგება		**70,621**	**76,885**	**69,637**	**73,892**
სხვა სრული შემოსავალი:					
მუხლები, რომლებიც შეიძლება არ გადაკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:					
მოგებას გამოკლ ზარალი წლის განმავლობაში, რომლებიც გამოწვეულია FVOCI-ით აღიარებული სავალო ვალდებულებებით წლის განმავლობაში		(3,673)	(3,673)	4,390	4,390
მუხლები, რომლებიც არ გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში:					
შენობა-ნაგებობების გადაფასების ცვლ	29	-	-	(2,718)	(2,718)
წლის სხვა სრული შემოსავალი		**(3,673)**	**(3,673)**	**1,672**	**1,672**
წლის სრული შემოსავალი სულ		**66,948**	**73,212**	**71,309**	**75,564**

** ხელახალი განცხადების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია განმარტებაში 5.*

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 20 მარტს.

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები

11-147 გვერდებზე მოცემული განმარტებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.

ბაზისბანკის ჯგუფი

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი	განმ	საკუთრებიდან მიმდინარე კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის რეზერვი	FVOCI-ით ღირებული ფასიანი ქაღალდების რეზერვი	შენახვის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს, როგორც განცხადებული იყო		**16,057**	**74,923**	**2,440**	**(918)**	**14,426**	**244,477**	**351,405**
IFRS 17-ის თავდაპირველი გამოყენების შედეგი*		-	-	-	-	-	(431)	(431)
ხელახლა განცხადებული საბალანსო უწყისი 202 წ 1 იანვ		**16,057**	**74,923**	**2,440**	**(918)**	**14,426**	**244,046**	**350,974**
წლის მოგება (ხელ განცხ*)		-	-	-	-	-	73,892	73,892
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	4,390	(2,718)	-	1,672
2022 წ სრული შემოსავალი სულ (ხელახლა განცხადებული)*		-	-	-	4,390	(2,718)	73,892	75,564
აქციების გამოშვება	22	1,034	26,143	-	-	-	-	27,177
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის დარიცხვები	24	-		166	-	-	-	166
ბალანსი 2022 წლის 31 დეკ		**17,091**	**101,066**	**2,606**	**3,472**	**11,708**	**317,938**	**453,881**
წლის მოგება		-	-	-	-	-	76,885	76,885
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	(3,673)	-	-	(3,673)
სრული შემოსავალი 2023		-	-	-	(3,673)	-	76,885	73,212
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის დარიცხვები	24	-	-	160	-	-	-	160
აქციების გამოშვება	22	228	3,432	(2,766)	-	-	-	894
დეკლარირებული დივიდენდ	23	-	-	-	-	-	(7,405)	(7,405)
ბალანსი 2023 წ 31 დეკ		**17,319**	**104,498**	**-**	**(201)**	**11,708**	**387,418**	**520,742**

** ხელახალი განცხადების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია განმარტებაში 5.*

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 20 მარტს.

_____ _____

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები

11-147 გვერდებზე მოცემული განმარტებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.

ბაზისბანკის ჯგუფი

კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი	განმ	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავ	წილ ინსტრ გადახ რეზ	FVOCI-ით ღიარებული ფას ქაღ ადაფას რეზ	შენ-ნაგებ ადაფას რეზ	გაუნაწ მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2022 წლის 1 იანვ		**16,057**	**74,923**	**2,440**	**(918)**	**13,588**	**237,509**	**343,599**
წლის მოგება		-	-	-	-	-	69,637	69,637
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	4,390	(2,718)	-	1,672
2022 წლის სრული შემოსავალი სულ		-	-	-	4,390	(2,718)	69,637	71,309
აქციების გამოშვება	22	1,034	26,143	-	-	-	-	27,177
Share-based payment accruals	24	-	-	166	-	-	-	166
ბალანსი 2022 წლის 31 დეკ		**17,091**	**101,066**	**2,606**	**3,472**	**10,870**	**307,146**	**442,251**
წლის მოგება		-	-	-	-	-	70,621	70,621
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	(3,673)	-	-	(3,673)
2023წ სრული შემოსავალი სულ		-	-	-	(3,673)	-	70,621	66,948
წილობრ ინსტრ გადახდის დარიცხვები	24	-	-	160	-	-	-	160
აქციების გამოშვება	22	228	3,432	(2,766)	-	-	-	894
დეკლარირებული დივიდ	23	-	-	-	-	-	(7,405)	(7,405)
ბალანსი 2023წ 31 დეკემბერს		**17,319**	**104,498**	**-**	**(201)**	**10,870**	**370,362**	**502,848**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 20 მარტს.

_____ _____

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები

11-147 გვერდებზე მოცემული განმარტებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.

ბაზისბანკის ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

		2023		2022	
ათასი ლარი	**განმ**	**ბანკის ინდ**	**კონსოლიდ**	**ბანკის ინდ**	**კონსოლიდ**
ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან					
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		304,385	306,497	239,559	241,457
გადახდილი პროცენტი		(170,061)	(170,530)	(121,474)	(121,369)
მიღებული საკომისიო	26	19,058	19,052	13,269	13,226
გადახდილი საკომისიო	26	(6,195)	(6,195)	(5,051)	(5,051)
ფინანსური დერივატივებიდან მიღებული შემოს		(2,216)	(2,216)	(987)	(987)
უცხ ვალუტ ვაჭრ მიღ შემოს		11,225	11,233	18,498	18,441
მიღებული სხვა საოპ შემოს		7,175	7,351	3,971	4,036
დაზღვევიდან ფულის შემოდინება		-	12,317	-	8,587
დაზღვევიდან ფულის გადინება		-	(6,485)	-	(4,280)
იჯარიდან მიღ შემოს		-	6,107	-	3,352
დასაკუთ ქონ რეალიზ მიღ შემოს		10,822	10,822	4,945	4,945
გადახდილი თანამშრომელთა ხარჯები		(42,386)	(45,470)	(35,293)	(37,846)
გადახდილი ადმინ და სხვა საოპ ხარჯები		(33,706)	(36,299)	(19,055)	(18,982)
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,315)	(4,885)	(6,871)	(7,137)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**93,786**	**101,299**	**91,511**	**98,392**
წმინდა (ზრდა))/შემცირება:					
- მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ და სავალდებულო რეზერვები სებ-ში		32,673	29,840	(73,939)	(73,658)
- კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(397,803)	(400,992)	(263,262)	(256,679)
- სადაზღვევო აქტივები		-	(2,915)	-	(9,180)
- ფინ ლიზ მისაღ შემოს		-	3,125	-	(6,496)
- სხვა ფინანსური აქტივები		1,353	(7,103)	(2,189)	(12,136)
- სხვა აქტივები		(67,443)	(68,294)	(10,836)	(9,783)
წმინდა ზრდა/(შემცირება):					
- ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		(26,562)	(26,025)	87,932	92,870
- კლიენტთა ანგარიშები		234,756	232,743	560,256	556,813
- სხვა ფინანსური ვალდებულებები		(1,897)	(1,897)	4,547	4,620
- სადაზღვევო ვალდებულებები		-	-	-	6,988
- სხვა ვალდებულებები		5,607	8,778	2,486	2,694
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან(/ამ საქმიანობაში გამოყენებული)		**(125,530)**	**(131,441)**	**396,506**	**394,445**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
FVOCI-ით აღრიცხული სავალო ვალდებულებების განკარგვიდან მიღებული შემოსავალი		71,899	72,198	-	-
სავალო ფას ქაღ განკარგვიდან/გამოსყიდ მიღ შემოს		96,822	96,822	86,879	86,879
სს ვითიბი ბანკი საქართველოს სასესხო და სადეპოზიტო პორტფელების შეძენა		-	-	(63,359)	(63,359)
სავალო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(93,857)	(93,857)	(262,804)	(262,804)
შენობის და დანადგ შესყიდვა		(2,067)	(2,125)	(68,501)	(68,512)
შენობის და დანადგ განკარგვიდან მიღ შემოს		70	70	3	3
არამატ აქტ შესყიდვა		(3,270)	(3,270)	(2,635)	(2,635)
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		(4,000)	-	-	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან (/ამ საქმიანობაში გამოყენებული)		**65,597**	**69,838**	**(310,417)**	**(310,428)**

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)

		2023		2022	
ათასი ლარი	**განმ**	**ბანკის ინდ**	**კონსოლიდ**	**ბანკის ინდ**	**კონსოლიდ**
ფულ. ნაკ. მოძრ. დაფინ. საქმიანობიდან					
შემოს. სხვა ნასესხები სახსრებიდან	30	244,778	247,467	217,368	217,368
სხვა ნასესხ. სახს. დაფარვა	30	(215,905)	(215,905)	(252,315)	(252,315)
შემოსავალი სუბორდინირებული ვალებიდან	29	46,357	46,357	46,232	46,232
სალიზ. ვალდ. ძირით.თანხის დაფარვა	16	(3,335)	(3,335)	(4,701)	(4,701)
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	22	3,660	3,660	27,177	27,177
გადახდილი დივიდენდები	23	(7,405)	(7,405)	-	-
წმინდა ფული დაფინანსების საქმიანობიდან (/ამ საქმიანობაში გამოყენებული)		**68,150**	**70,839**	**33,761**	**33,761**
გაცვლითი კურსის ცვლლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		**(3,294)**	**(3,294)**	**(31,502)**	**(31,503)**
ფულის და ფულის ეკვ წმინდა ზრდა/(შემცირება)		**4,923**	**5,942**	**88,348**	**86,275**
ფული და ფულის ეკვ წლის დასაწყისში	7	**277,659**	**278,068**	**189,311**	**191,793**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	**282,582**	**284,010**	**277,659**	**278,068**

2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფმა განახორციელა შემდეგი უნაღდო ოპერაციები:

- 2023 წელს კლიენტებზე გაცემულ სესხებზე ანგარიშსწორება განხორციელდა გირაოს დასაკუთრებით 4,281 ათასი ლარის ოდენობით (2022: 9,097 ათასი ლარი).
- 2022 წელს სს „ვითიბი ბანკი საქართველოდან“ 755,688 ათასი ლარის წმინდა საბალანსო ღირებულების სასესხო პორტფელი შეიძინა 665,148 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების სადეპოზიტო პორტფელის და 63,359 ათასი ლარის ოდენობის დამატებითი ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ. 2023 წელს მსგავსი გარიგებები არ განხორციელებულა.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 20 მარტს.

დავით ცაავა	**ლია ასლანიკაშვილი**
გენერალური დირექტორი	**გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები**

11-147 გვერდებზე მოცემული განმარტებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.

ბაზისბანკის ჯგუფი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

1 შესავალი

ბანკი (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა და ფუნქციონირებს საქართველოში. სარეგისტრაციო ორგანო: მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო. სარეგისტრაციო ნომერი: 4/5-44, საიდენტიფიკაციო კოდი 203841833. ბანკი არის სააქციო საზოგადოება, შეზღუდული აქციებით და დაარსებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უშუალო და საბოლოო მშობელი კომპანია იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd. ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი პირი იყო ბ-ნი მი ენხვა.

	წილები პროცენტულად 31 დეკემბრის მდგომარ	
აქციონერები	**2023**	**2022**
Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd	91.548%	92.770%
ბ-ნი მი ზაიქი	6.461%	6.547%
სხვა მცირე წილის მფლობელები	1.991%	0.682%

ძირითადი საქმიანობა: ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა კომერციული და საცალო საბანკო ოპერაციების განხორციელება საქართველოში. ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკის (“სებ”) მიერ გაცემული სრული საბანკო ლიცენზიის საფუძველზე საქმიანობას ახორციელებს 1993 წლიდან.

ბანკი დეპოზიტების დაზღვევის სახელმწიფო სქემის მონაწილეა. სქემა შემოღებულ იქნა 2017 წლის 17 მაისს მიღებული „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის“ შესახებ საქართველოს კანონით. 2022 წლის 1 იანვრიდან სისტემას იურიდიული პირები დაემატა. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის, ანუ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების პროცესების დადგომისას, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო იძლევა გარანტიას ფიზიკური პირების დეპოზიტების 100%-იან ანაზღაურებაზე, თითო პიზიკურ პირზე 15 000 ლარამდე თანხით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს 926 თანამშრომელი ჰყავდა (2022: 911). აქედან 881 ბანკის თანამშრომელია, 45 შვილობილი კომპანიების (2022: 867 ბანკის და 42 შვილობილების).

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0103, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი #1.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ათასი ქართული ლარით (“ლარი”), სხვაგვარად მითითებულის გარდა.

შვილობილი საწარმოები: წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მოიცავს შემდეგ მთავარ შვილობილ საწარმოს:

			წილი პროცენტულად 31 დეკ მდგ	
სახელი	**დაარსების ქვეყანა**	**ძირითადი საქმიანობა**	**2023**	**2022**
Basis Asset Management – Holding LLC	Georgia	აქტივების მართვა	100%	100%
სს BB დაზღვევა	Georgia	დაზღვევა	100%	100%
სს BB ლიზინგი	Georgia	ლიზინგი	100%	100%

შპს ჰოლდინგი Basis Asset Management ”ბაზის ესეთ მენეჯმენტ”. კომპანია დაარსდა და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრაციის ორგანო - საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი 404417984. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაფუძნებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქონების ფლობა ლიზინგით გასაცემად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო,

თბილისი, 0103, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი #1. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰოლდინგის კაპიტალი იყო 3.8 მილიონი ლარი (2022: 3.8 მილიონი ლარი)

სს BB დაზღვევა(ყოფილი Hualing Insurance "ჰუალინგ დაზღვევა".) დაარსდა 2017 წლის დეკემბერში და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია არის სააქციო საზოგადოება, შეზღუდული აქციებით, და შექმნილია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. რეგისტრაციის ორგანო - საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი 406232214. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობა არის სადაზღვევო ბიზნეს-ოპერაციების წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰუალინგ დაზღვევის კაპიტალი 6 მილიონი ლარი იყო (2022: 6 მილიონი ლარი).

საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა 2017 წლის 27 დეკემბრიდან კომპანიაზე გასცა სიცოცხლის და არა-სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიები.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0103, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი #1.

სს BB ლიზინგი (ყოფილი BHL Leasing "ბი-ეიჩ-ელ ლიზინგი") დაარსდა და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრაციის ორგანო - საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტოფიკაციო კოდი 406233534. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაფუძნებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან წამებულის გამზირი #1. ბანკმა დააარსა ლიზინგის შვილობილი კომპანია 2018 წლის დეკემბერში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალი 15 მილიონ ლარს შეადგენდა (2022: 11 მილიონი ლარი). კომპანია მომხმარებელს ფინანსური ლიზინგის შემდეგ პროდუქტებს სთავაზობს:

- სატრანსპორტო საშუალებების ლიზინგი
- ძირითადი საშუალებების ლიზინგი (მოწყობილობა, დანადგარები, ტექნიკა და ა.შ.)
- შეღავათიანი აგროლიზინგი (APMA)
- ლიზინგი „აწარმოე საქართველოში" პროგრამის ფარგლებში
- გაყიდვები და უკულიზინგი

აბრევიატურები. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული აბრევიატურების ლექსიკონი მოცემულია განმარტებაში 37.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფი მგრძნობიარეა ეკონომიკურ და ბიზნესგარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი და საქართველოს ფინანსური ბაზრის სირთულეებისადმი, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავ ვითარდება, მაგრამ განსხვავებული ინტერპრეტაციების და ხშირი ცვლილების საგანია, რაც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ სირთულეებთან ერთად გამოწვევებს უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს. კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია მენეჯმენტის შეფასებები ჯგუფის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნესგარემოს გავლენის შესახებ. მომავალში ბიზნესგარემო შეიძლება განსხვავებული იყოს მენეჯმენტის შეფასებისგან.

წინასწარი შეფასებით, საქართველომ 2023 წელს მშპ-ის 7%-იან ზრდა აჩვენა. 2021 და 2022 წლებში ორნიშნა ზრდის საბაზისო ეფექტის გათვალისწინებით, საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

კვლავ ძლიერია, რასაც მხარს უჭერს ძლიერი სახელმწიფო და ფისკალური პოლიტიკა, გაზრდილი მოხმარება და ძლიერი ფინანსური სექტორი.

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე გაზრდილი სტაბილურობის რისკების მიუხედავად, მასიური მიგრაციის შედეგად ეკონომიკური აქტივობის დადებითი გავლენა ასტიმულირებს მოხმარებას და, სავარაუდოდ, საშუალოვადიან პერიოდში ასეც გაგრძელდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2024 წელს 4,7%-იანი, ხოლო 2025 წელს 5,2%-იან ზრდა იქნება.

წლიური ინფლაცია საქართველოში 2023 წლის აპრილიდან 3%-ზე დაბალია და 2023 წლის დეკემბერში 0.4% შეადგინა. 2023 წლის საშუალო წლიურმა ინფლაციამ კი 2.6% შეადგინა. ეს იყო საქონლის დაბალი ფასების, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე გადაზიდვის ხარჯების შემცირების და ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან მიმართებაში ლარის გამყარების შედეგი. მიწოდების ჯაჭვის შეფერხების ძირითად რისკებს რუსეთზე დაწესებული სანქციები ქმნის, რაც გავლენას ახდენს სურსათისა და ენერგეტიკული პროდუქტების ფასებზე გლობალური მასშტაბით.

ცენტრალური ბანკის მიერ მიზნობრივი ინფლაცია 3%-ის ფარგლებშია თარგეთირებული. საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში სტაბილიზაციის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა თანდათან შეამცირა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი: 2023 წლის 11%-დან 2023 წლის დეკემბერში 9%-მდე. მოსალოდნელია, რომ ინფლაციის შემცირების ხელშემწყობი ფაქტორები ისევ იარსებებს მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ შემდგომში დასტაბილურდება, რაც წლის ბოლომდე ინფლაციის მიზნობრივ ნიშნულთან მიახლოებას დაეხმარება. მოსალოდნელია, რომ ამას თან მოჰყვება საერთო მოთხოვნის ნორმალიზება და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის თანდათანობითი შემცირება.

საქართველოს საბანკო სექტორი სტაბილურია, აქტივების კარგი ხარისხით, მაღალი მომგებიანობითა და მაღალი კაპიტალიზაციით. მაღალი დოლარიზაცია და სუსტი საგარეო ფინანსები კვლავ ის ძირითადი ფაქტორია, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. სებ-ის მიერ დანერგილი მაკროპრუდენციული ღონისძიებები მიზნად ისახავს სავალუტო სესხების ზრდის დონის თანდათანობით შემცირებას, მაგრამ ამის მიღწევას დრო დასჭირდება.

გეოპოლიტიკური რისკები რუსეთთან მიმართებაში კვლავ მაღალია, უმეტესად სანქციების აღსრულების ნაწილში მაღალი საერთაშორისო ყურადღების კონტექსტში, მაგრამ მთავრობა და ეროვნული ბანკი მზად არიან შეამსუბუქონ ეს რისკები და ბაზრის დასაცავად არაერთი ღონისძიება იქნა მიღებული.

2023 წლის დეკემბერში ევროსაბჭომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა, რაც გაწევრიანების პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯია. კანდიდატის სტატუსი აუმჯობესებს საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და ინვესტიციების პერსპექტივებს.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები (შემდგომში: „ფინანსური ანგარიშები“) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") შესაბამისად ისტორიული ღირებულების პრინციპით, რომელიც იცვლება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით და შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის, სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივებისა და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში (FVTPL) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) აღებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით. ქვემოთ ახსნილია ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების შედგენისას. ეს პოლიტიკა განუხრელად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. იხ. განმარტება 5.

ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დროს, მენეჯმენტს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ ჯგუფს და ბანკს გააჩნიათ ადეკვატური რესურსები, საიმისოდ, რომ გააგრძელონ ფუნქციონირება უახლოეს მომავალში.

მენეჯმენტმა განიხილა ბანკისა და ჯგუფის შესაძლებლობა, გააგრძელონ საქმიანობა, როგორც

ბაზისბანკის ჯგუფი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ფუნქციონირებადმა საწარმომ. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფისა და ბანკის ბიზნეს საქმიანობა, სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობები მისი მიზნების მიღწევაში და მუშაობის შედეგები. მენეჯმენტმა შეასრულა ჯგუფისა და ბანკის ფინანსური პროგნოზების შეფასება და საკვანძო პოზიციების ტესტირება, მათ შორის ფინანსური გეგმა და სტრატეგიის განხორციელება, მომგებიანობა, კაპიტალი და გადახდისუნარიანობა, ლიკვიდობა.

ამის საფუძველზე, მენეჯმენტი ადასტურებს, რომ მათ აქვთ გონივრული მოლოდინი, რომ ბანკს და ჯგუფს აქვთ ადეკვატური რესურსები ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში საოპერაციო არსებობის გასაგრძელებლად. მენეჯმენტმა არ იცის რაიმე არსებითი გაურკვევლობა, რომელიც დაკავშირებულია მოვლენებთან ან პირობებთან, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს ბანკისა და ჯგუფის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ამრიგად, ისინი აგრძელებენ ბუღალტრული აღრიცხვის უწყვეტი საქმიანობის (ფუნქციონირებადი საწარმოს) პრინციპის გამოყენებას კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები. შვილობილი საწარმოები ის საინვესტიციო ობიექტებია, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს (ა) აქვს უფლებამოსილება, წარმართოს საინვესტიციო ობიექტების ის შესაბამისი საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ მოგებაზე; (ბ) ამ ობიექტებში მისი მონაწილეობიდან გამომდინარე, აქვს პოზიცია ან უფლება მათ ცვლად მოგებაზე და (გ) აქვს უნარი, გამოიყენოს მისი, როგორც ინვესტორის უფლებამოსილება, ზეგავლენა მოახდინოს ამ ობიექტების მოგების მოცულობაზე.

ძირითადი უფლებების, მათ შორის, პოტენციური ხმის უფლებების, არსებობა და ეფექტი მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს უფლებები სხვა სუბიექტზე.

შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად ითვლება იმ დღიდან, როცა კონტროლი გადადის ჯგუფზე, და დეკონსოლიდირდება კონტროლის შეწყვეტის დღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის თვითღირებულების მეთოდი გამოიყენება, თუ შეძენილი ერთეული წარმოადგენს ბიზნესს: მას აქვს შენატანები და არსებითი პროცესი, რომლებიც ერთად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შედეგების შექმნის უნარს. ეს განმარტება ასევე გამოიყენება ადრეული ეტაპის კომპანიებზე, რომლებსაც ჯერ არ აქვთ გამომუშავებული შედეგები. შეძენილი ერთეული ბიზნესის შეფასებისას, ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“, რომლის მიხედვითაც შეძენილი აქტივები არ განიხილება ბიზნესად, თუ მთლიანი აქტივების არსებითად მთელი რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში ან მსგავს აქტივების ჯგუფში.

კომპანიათაშორის ტრანზაქციები, ჯგუფის კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციების ნაშთები და არარეალიზებული მოგება გამოირიცხება; ასევე გამოირიცხება არარეალიზებული დანაკარგები, თუ ღირებულების ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ჯგუფის პოლიტიკის შესაბამის, ერთიან სააღრიცხვო პროცედურებს.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ შვილობილ კომპანიაში გაკეთებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურდა, გაუფასურების ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა ინვესტიციის საბალანსო ღირებულებასა და მის ანაზღაურებად ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება იანგარიშება, როგორც მისი სამართლიანი ღირებულების უმაღლეს სიდიდეს გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და გამოყენების ღირებულება. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღდგენილი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება შეფასებებში, რომლებიც გამოყენებული იყო ინვესტიციის თანხის ასანაზღაურებლად, გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების მომენტიდან.

ბაზისბანკის ჯგუფი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ფინანსური ინსტრუმენტები – გაანგარიშების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ორმხრივ ტრანზაქციაში გაანგარიშების დღეს. სამართლიანი ღირებულების ყველაზე უკეთესი მტკიცებულება აქტიურ ბაზარზე მისი ფასია. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, რომელზეც აქტივებისა და ვალდებულებების ტრანზაქციები ხორციელდება ისეთი სიხშირით და მოცულობით, რომელიც საკმარისია ფასწარმოქმნის შესახებ მუდმივად ინფორმაციის მიღებისთვის. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ითვლება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის და ბიზნესერთეულის მფლობელობაში მყოფი რაოდენობის პროდუქტი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის ასათვისებლად და ერთი ტრანზაქციის ფარგლებში ამ პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების მიცემამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური წარმოებულების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომლებიც ბაზარზე სავაჭროდ არ არის განთავსებული, იანგარიშება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნებოდა წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ანუ აქტივის) გაყიდვიდან, კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ, ან გადახდილი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ანუ ვალდებულების) გადაცემისთვის (კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ) გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ორმხრივ კომერციულ ტრანზაქციაში. ეს წესი გამოიყენება პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივების მიმართ, თუ ჯგუფი: (ა) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამ ჯგუფის მართვას ახორციელებს კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ან კონკრეტული კონტრაგენტის საკრედიტო რისკის მიმართ ბიზნესერთეულის წმინდა პოზიციის საფუძველზე, ამ ბიზნესერთეულის რისკების მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად; (ბ) ამ საფუძველზე, აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ინფორმაციას აწვდის ბიზნესერთეულის მთავარ მენეჯმენტს; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის, ფინანსური აქტივებით და ფინანსური ვალდებულებებით გამოწვეული კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ბიზნესერთეულის პოზიციის ხანგრძლივობა არსებითად იგივეა.

ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი „გაშლილი ხელის მანძილის“ (ე.წ. arm's length) პრინციპით შესრულებული ტრანზაქციების მოდელები ან ინვესტიციის ობიექტების ფინანსური მონაცემების განხილვა, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისთვის, რომლებზეც საერთაშორისო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების ანალიზი ტარდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგი დონეების მიხედვით: (ა) პირველი დონე მოიცავს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (ბ) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც ითვალისწინებს მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ, ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (გ) მესამე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ, ამ შემთხვევაში შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს). ითვლება, რომ სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლა მოხდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. იხ. 34. -ე განმარტება.

ბაზისბანკის ჯგუფი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც გაყიდვების აგენტების ფუნქციას ასრულებენ), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გადაცემის გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება (AC) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხის დაფარვები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალის რეზერვი. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯების ამორტიზაციას და დაფარვის თანხის პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. აქტივებისათვის, რომლებიც იყო შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებით ("POCI") თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებას განიცდის საკრედიტო რისკის გათვალისწინებით, ანუ, ის იანგარიშება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიხედვით და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FFVTPL -ით თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტით სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ მიმდინარე ბაზრების დაკვირვებად მაჩვენებლებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ EECL რეზერვის აღიარება ხდება ფინანსური აქტივებისათვის, რომლების შეფასებაც ხდება AAC-ს მიხედვით და სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფასდება FVOCI-ს მიხედვით, რაც იწვევს მომენტალურ სააღრიცხვო დანაკარგს.

ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში ("ჩვეულებრივი" შესყიდვა და გაყიდვა), აღირიცხება გარიგების დღეს, რომლის დროსაც ბანკი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ბაზისბანკის ჯგუფი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკის გამოყენებით ჯგუფი საზღვრავს უცხოური ვალუტის სამართლიან ღირებულებას, რომელიც არ ივაჭრება აქტიურ ბაზარზე. შეიძლება წარმოიშვას განსხვავება თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას შორის, რომელიც მიიჩნევა ტრანზაქციის ფასად და თავდაპირველი აღიარებისას მესამე დონის მონაცემების და შეფასების ტექნიკის გამოყენებით განსაზღვრულ თანხას შორის. თუ განსხვავებები დარჩება მოდელების მონაცემთა კალიბრაციის შემდეგ, ეს განსხვავებები თავდაპირველად აღიარდება სხვა აქტივებში ან სხვა ვალდებულებებში და საბოლოოდ ამორტიზდება წრფივი მეთოდით უცხოური ვალუტის ფორვარდების ვადის განმავლობაში. განსხვავებები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ შეფასებისას მხოლოდ პირველი და მეორე დონის მონაცემები გამოიყენება.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების შეფასების კლასიფიკაციას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: FVTPL სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით,, FVOCI - სამართლიანი ღირებულება სხვა შემოსავლის საშულებით და AC - ამორტიზირებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (1) ჯგუფის შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვის ბიზნესმოდელზე და (2) აქტივების ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნესი მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი აქტივებს რათა ფულადი ნაკადი აწარმოოს, იმის მიუხედავად, მიზნად აქვს ჯგუფს აღებული: (1) აქტივებიდან მიიღოს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულის ნაკადები ("ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით"), ან (2) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადები ("აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით) ან, თუ არც (1) და არც (2) მოდელი არ არის გამოყენებული, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც "სხვა" ბიზნესმოდელი და ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისათვის (პორტფელის დონეზე) და ეფუძნება ყველა არსებულ შესაბამის მტკიცებულებას იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ჯგუფი ახორციელებს შეფასების დღისთვის არსებული პორტფელისთვის განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად. ბიზნესმოდელის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორების, როგორებიცაა პორტფელის მიზნობრიობა და კომპოზიცია, წარსულის გამოცდილება, თუ როგორ გროვდებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისათვის, როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და როგორ ხორციელდება მენეჯერების კომპენსაცია. ჯგუფის მიერ მისი ფინანსური აქტივებისთვის ბიზნესმოდელების განსაზღვრისას გამოყენებული კრიტიკული მსჯელობა იხილეთ განმარტება 4 -ში.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როცა ბიზნესმოდელი ითვალისწინებს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობას და გაყიდვას, ჯგუფი აფასებს, ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). როცა დგინდება მათი ფულადი ნაკადების მოძრაობა SPPI მახასიათებლის შესაბამისია თუ არა, ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიცავს წარმოებულებს, განიხილება მთლიანობაში. შეფასების დროს, ჯგუფი ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობა ძირითადი დაკრედიტების პირობებს, ანუ პროცენტი შეიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის ანაზღაურებას, ფულის დროით ღირებულებას, სხვა ძირითად დაკრედიტების რისკებს და მოგების მარჟას.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები ქმნის რისკის პოზიციას ან ცვალებადობას, რომელიც შეუთავსებელია ძირითადი დაკრედიტების პირობებთან, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის პირველადი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი ხელახალი შეფასება. ფინანსური აქტივების SPPI ტესტირებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული კრიტიკული მსჯელობა იხ. განმარტება 4 -ში.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება პორტფელის მთლიანობაში მართვის ბიზნესმოდელი. რეკლასიფიკაციას პერსპექტივის ეფექტი აქვს და ხდება ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას ბიზნესმოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდებში არ შეუცვლია და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-ისათვის (მოსალოდნელი

საკრედიტო დანაკარგები). ჯგუფი წინასწარ აფასებს ECL-ს, AC-ით და FVOCI-ით სავალო ინსტრუმენტებისთვის და ასევე სასესხო ვალდებულებებით და ფინანსური გარანტიებით გამოწვეული პოზიციებისთვის. ჯგუფი აფასებს ECL-ს და აღიარებს საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყოველ საანაგარიშო თარიღისათვის. ECL-ის მაჩვენებელი ასახავს: (ა) მიუკერძოებლობას და შეწონილი თანხის ალბათობას, რომელიც დგინდება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასების გზით; (ბ) ფულის დროით ღირებულებას, (გ) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველგვარი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, გასული მოვლენების, არსებული პირობების და სამომავლო პირობების პროგნოზების თაობაზე საანგარიშო პერიოდის დასასრულს.

AC-ით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშში, სადაც არაა გათვალისწინებული ECL-ის რეზერვები. სასესხო ვალდებულებების და ფინანსური გარანტიებისთვის, ECL-ის ცალკე რეზერვი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშში ცალკე აღიარდება, როგორც ვალდებულება. FVOCI-ით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ცვლილებები ამორტიზებულ ღირებულებაში, სადაც არაა გათვალისწინებული ECL-ის რეზერვები, აღიარებულია მოგება-ზარალში. საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებები კი აღიარებულია OCI-ში, როგორც მოგებას გამოკლებული დანაკარგები სავალო ინსტრუმენტებზე FVOCI-ით.

ჯგუფი გაუფასურებაზე იყენებს სამეტაპიან მოდელს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ კრედიტის ხარისხში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საკრედიტო რისკის მიხედვით არ გაუფასურებულა თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1 ეტაპზე. 1 ეტაპის ფინანსურ აქტივებზე ECL ითვლება თანხით, რომელიც უდრის არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს მომდევნო 12 თვეში ან ვადის ბოლომდე მოსალოდნელი დეფოლტის მოვლენებიდან, თუ უფრო მოკლეა. („12-თვიანი ECL) თუ ჯგუფი თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ("SICR"), აქტივი 2 ეტაპზე გადადის და მისი ECL ითვლება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის მიხედვით, ანუ სახელშეკრულებო ვადის ბოლომდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების, თუ ასეთი არის, გათვალისწინებით („არსებობის მთელი პერიოდის ECL"). იმისთვის, თუ როგორ ადგენს ჯგუფი, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდა, იხ. განმარტება 31. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკის მიხედვითაა გაუფასურებული, აქტივი გადადის მე-3 ეტაპზე და მისი ECL ითვლება, როგორც არსებობის მთელი პერიოდის ECL. საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების და დეფოლტის ჯგუფისეული დეფინიცია იხ. განმარტებაში 31. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არის შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ("POCI აქტივები"), ECL ყოველთვის ითვლება, როგორც არსებობის მთლიანი პერიოდის ECL. განმარტება 31 გვთავაზობს ინფორმაციას მონაცემების, ვარაუდების და საპროგნოზო ტექნიკის შესახებ, რომლებიც ECL-ის გაანგარიშებისას გამოიყენება.

ფინანსური გარანტიების და საკრედიტო ვალდებულებებისთვის, ECL-ის რეზერვი „ვალდებულებების და ხარჯების რეზერვების" ნაწილში განცხადდება, როგორც ვალდებულება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR). იმისათვის, რათა განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში მომხდარ დეფოლტის რისკს საანგარიშო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკს. შეფასება ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შედარებით ზრდას და არა საანგარიშო პერიოდის ბოლოს რისკის გარკვეული დონის მიღწევას. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა არასათანადო ხარჯის და ძალისხმევის გაწევის გარეშე არსებულ გონივრულ და დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას, რაც მოიცავს მთელ რიგ ფაქტორებს, მათ შორის კონკრეტული კლიენტთა პორტფელების ქცევით ასპექტებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის ზრდის ქცევით მაჩვენებლებს ვადაგადაცილებამდე გამოავლენს და შესაბამის საპროგნოზო ინფორმაციას საკრედიტო რისკის შეფასებაში შეიტანს, ან ცალკეული ინსტრუმენტის, ან პორტფელის დონეზე. იხ. განმარტება 31.

ECL რომ კლიენტებზე გაცემულ ყველა სესხსა და ავანსზე იზომებოდეს არსებობის მთელი პერიოდის ECL-ით, (ანუ, ამჟამად 1 და 2 ეტაპებს მიკუთვნებულებიც, 12-თვიანი ECL-ით), მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,663 ათასი ლარით მეტი იქნებოდა (2022 წლის 31 დეკემბერს: 4,481 ათასი ლარით მეტი).

ბიზნესმოდელის შეფასება. ბიზნესმოდელი წარმართავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ბიზნედმოდელის შეფასებისას მენეჯმენტმა იმსჯელა ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგაციის დონისა

და პორტფელის განსაზღვრის შესახებ. გაყიდვების გარიგების შეფასებისას ჯგუფი განიხილავს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვების მიზეზებს და მოლოდინებს სამომავლო საქმიანობის შესახებ. გაყიდვების გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს პოტენციური ზარალის შემცირებას კრედიტის გაუარესების გამო, „ამოღების მიზნით ფლობის" ბიზნესმოდელის შესაბამისად მიიჩნევა. ვადის დადგომამდე სხვა გაყიდვები, რომლებიც არაა დაკავშირებული საკრედიტო რისკების მართვის საქმიანობასთან, ასევე შეესაბამება ბიზნესმოდელს „ამოღების მიზნით ფლობა“, იმ პირობით, რომ ისინი არაა ხშირი ან უმნიშვნელოა ღირებულებით, როგორც ცალკე, ისე აგრეგირებულად.

ჯგუფი გაყიდვების ტრანზაქციების მნიშვნელობას ამგვარად ადგენს: გაყიდვების ღირებულებას ადარებს პორტფელის ღირებულებას, ამ დროს გააჩნია, როგორია ბიზნესმოდელის შეფასება პორტფელის საშუალო პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ფინანსური აქტივის გაყიდვები, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესის სცენარში, ან ცალკეული მოვლენის საპასუხოდ, რომელიც ჯგუფის კონტროლის მიღმაა, არაა განმეორებადი და არ შეიძლება ჯგუფს მისი მოლოდინი ჰქონოდა, განიხილება, როგორც შემთხვევითი და ბიზნესმოდელის ამოცანას აცდენილი და არ იმოქმედებს შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ბიზნესმოდელი „ამოღების მიზნით ფლობა“ ნიშნავს, რომ აქტივების ფლობის მიზანია ფულადი ნაკადების ამოღება, მაგრამ გაყიდვაც ასევე ბიზნესისმოდელის მიზნის ნაწილია, მაგალითად, ლიკვიდობის საჭიროებების მართვა, კონკრეტული ამონაგების მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის შეთანხმება იმ ვალდებულებების ხანგრძლივობასთან, რომლებიც აფინანსებს ამ აქტივებს.

ნარჩენ კატეგორიაში შედის ფინანსური აქტივების ის პორტფელები, რომელთა მართვა ხდება ფულადი ნაკადების რეალიზაციის მიზნით, ძირითადად, გაყიდვის გზით, მაგალითად, სადაც არსებობს ვაჭრობის მაგალითი. საკონტრაქტო ფულადი ნაკადის ამოღება ამ ბიზნესმოდელისთვის ხშირად შემთხვევითობის საფუძველზე ხდება.

იმის განსაზღვრა, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). იმის დადგენა, ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადი არის თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა, მსჯელობას მოითხოვს.

ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება არ ემთხვევა სავალო ინსტურმენტის საბაზო საპროცენტო განაკვეთში ჩადებულ შინაარსს, მაგალითად, სესხი იხდის სამთვიან ბანკთაშორის განაკვეთს, მაგრამ პროცენტი იცვლება ყოველ თვეში. ფულის შეცვლილი დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების საორიენტაციო სავალო ინსტრუმენტთან შედარების საშუალებით, რომელსაც SPPI ფულადი ნაკადები აქვს, როგორც თითოეული პერიოდისთვის, ისე კუმულაციურად, ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში. შეფასება ჩატარდა ყველა გონივრულად შესაძლებელი სცენარისთვის, მათ შორის გონივრულად შესაძლებელი ფინანსური სტრესის სიტუაციისთვის, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფინანსურ ბაზრებზე. ჯგუფმა გამოიყენა 10%-იანი ბარიერი იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად განსხვავდება თუ არა საორიენტაციო ინსტრუმენტებს დაპირისპირებული განსხვავებები. ფულადი ნაკადების მქონე სცენარის შემთხვევაში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საორიენტაციო მაჩვენებლისაგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და ინსტრუმენტის აღრიცხვა ხდება FVTPL- ით.

ჯგუფმა დაადგინა და გაითვალისწინა სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან რაოდენობას. SPPI-ს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია იმ შემთხვევაში, თუ სესხი ადრეული ანგარიშსწორების საშუალებას იძლევა, ხოლო წინასწარ გადახდილი თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს, გარდა ამისა, გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას გამოკლებული შემდგომი ძირითადი დაფარვები, ანუ გადახდები პროცენტის გარდა, რომელიც განისაზღვრება ეფექტური პროცენტის მეთოდით. ამ პრინციპის გამონაკლისის სახით სტანდარტი ასევე ფარავს იმ ინსტრუმენტებს, რომლებსაც აქვთ წინასწარი გადახდის მახასიათებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI–ის შესასრულებლად შემდეგ პირობას: (i) აქტივი წარმოიქმნება პრემიით ან დისკონტით, (ii) წინასწარი გადახდის თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო პარიტეტულ თანხასა და დარიცხულ პროცენტს, ასევე გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის, და (ii) წინასწარი გადახდის მახასიათებლის სამართლიანი ღირებულება არ არის არსებითი საწყის აღიარებაში.

ინსტრუმენტები, რომლებმაც ვერ გაიარეს SPPI ტესტი, აღირიცხება FVTPL– ით.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როცა ჯგუფი ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. იმის დასადგენად, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს, შემდეგი მაჩვენებლები გამოიყენება: სესხების 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება და ჩამოწერის დღეს უზრუნველყოფის არარსებობა. ბანკი ასევე ჩამოწერს სესხებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ვადაგადაცილებული ვალდებულების აღსრულების პროცესი დასრულებულია და ყველა არსებული უზრუნველყოფა გაყიდულია აუქციონზე, ან დასაკუთრებულია. დარჩენილი არაუზრუნველყოფილი ვალდებულება ჩამოიწერება, მაშინაც კი, როცა ჩამოწერის მომენტისთვის ვალდებულების ვადაგადაცილებული ნაწილი არ არსებობს.

ექსპერტული რეკომენდაციის მიხედვით, ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როცა ჯგუფი ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ამოღება უმნიშვნელოა დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლებისთვის, იმის განსაზღვრა, რომ ფულადი ნაკადების მეშვეობით აღდგენის გონივრული მოლოდინი არ არსებობს, მენეჯმენტის განსჯაზეა დამოკიდებული და ცალკეული კლიენტების მახასიათებლებს ითვალისწინებს.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და თან 1) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან 2) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება, როცა კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ხანდახან ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებას მართავს ან სხვაგვარად ცვლის მათ.

როდესაც ფინანსური აქტივები ხელშეკრულებით იცვლება (მაგ. ხელახალი მოლაპარაკება), ჯგუფი აფასებს არის თუ არა ცვლილება არსებითი და უნდა გამოიწვიოს თუ არა თავდაპირველი აქტივის აღიარების შეწყვეტა და ახალი აქტივის აღიარება სამართლიანი ღირებულებით. ეს შეფასება ეფუძნება პირველ რიგში ხარისხობრივ ფაქტორებს, რომლებიც აღწერილია შესაბამის საღრიცხვო პოლიტიკაში და საჭიროებს მნიშვნელოვან მსჯელობას. კერძოდ, ჯგუფი იყენებს მსჯელობას, როცა წყვეტს, უნდა შეუწყდეს თუ არა აღიარება კრედიტით გაუფასურებული, ხელახალ მოლაპარაკებებს დაქვემდებარებული სესხებას და უნდა ჩაითვალოს თუ არა ახალი აღიარებული სესხები თავდაპირველი აღიარებისას კრედიტით გაუფასურებულად. აღიარების შეწყვეტის შესახებ შეფასება დამოკიდებულია იმაზე, შეიცვლება თუ არა რისკები და სარგებელი, ანუ მოსალოდნელი (და არა სახელშეკრულებო) ფულადი ნაკადების ცვალებადობა ასეთი მოდიფიკაციის შედეგად.

როცა ხარისხობრივი ანალიზის შედეგად ბანკი ვერ აღმოაჩენს ისეთ კრიტერიუმებს, რომელიც აღიარების შეწყვეტამდე მიიყვანს, საჭიროა დამატებითი რაოდენობრივი ტესტირების ჩატარება. ამ დროს მოდიფიკაცია ძირეულად მიიჩნევა, თუ შეცვლილი პირობებით ფულადი ნაკადების მიმდინარე წმინდა ღირებულება, გადახდილი ან მიღებული საკომისიოს ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება მოდიფიკაციამდელი ფინანსური აქტივის დარჩენილი ფულადი ნაკადების მიმდინარე წმინდა ღირებულებისგან. ორივე მათგანი დისკონტირდება მოდიფიკაციამდელი ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

როცა ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესახებ ხდება ხელახალი მოლაპარაკება ან მათი სხვაგვარი ცვლილება და ამგვარი ხელახალი მოლაპარაკება ან მოდიფიკაცია არ სრულდება ამ ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტით, ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის ბრუტო

საბალანსო ღირებულებას და მოგება-ზარალში აღიარებს მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს. ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულება ხელახლა გაანგარიშდება, როგორც ხელახალ მოლაპარაკებას დაქვემდებარებული ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაწეული ხარჯები ან საკომისიოები აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილ პერიოდში.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ჯგუფი თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს სამართლიანი ღირებულებით. აღიარების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დადგენისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

სამართლიანი ღირებულებით აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებულ აქტივს შორის განსხვავება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავების არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ მიეწერება.

ისეთ სიტუაციაში, სადაც აღიარების შეწყვეტა გამოწვეული იყო კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების გაკეთების უუნარობით, ჯგუფი თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რითაც აფასებს, აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით.

ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც საბოლოოდ AC-ით დათვლილი, გარდა, 1) FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება დერივატივებზე, რეალიზაციისთვის განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ. ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციებზე), შემსყიდველის მიერ აღიარებულ ვალდებულებებზე ბიზნესკომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და 2) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

ჯგუფსა და ჯგუფის სავალო ინსტრუმენტების თავდაპირველი კრედიტორებს შორის ძირეულად განსხვავებული პირობების ურთიერთგაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების ძირეული მოდიფიკაციები აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ამოწურვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები ძირეულად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით, ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, მათ შორის გადახდილი საკომისიოები, მიღებული და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული საკომისიოების გამოკლებით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისგან. ამასთან, გასათვალისწინებელია სხვა ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა ინსტრუმენტის ვალუტა, საპროცენტო განაკვეთის ტიპების ცვლილება, ინსტრუმენტის ახალი კონვერსიის მახასიათებლები და სესხების კოვენანტების ცვლილება.

თუ სავალო ინსტრუმენტების ურთიერთგაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც ამოწურული, შესაბამისი ხარჯები და საკომისიოები აღიარდება, როგორც ამოწურვის მოგების ან ზარალის ნაწილი. თუ ურთიერთგაცვლა და მოდიფიკაცია არ აღიარდება ამოწურვად, ვალდებულების საბალანსო

ღირებულება კორექტირდება გაწეული ხარჯებით და საკომისიოებით და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების არსებობის დარჩენილ პერიოდზე.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ სრულდება ამოწურვით, აღირიცხება, როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებების განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციებს არ მიეწერება.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები ის მუხლებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებებს და რეპო და უკურეპო ხელშეკრულებებს სხვა ბანკებთან, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომლებიც დაბლოკილია სამ თვეზე მეტი ხნით, ამოღებულია კატეგორიიდან „ფული და ფულის ეკვივალენტები“ როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, ისე ფულადი ნაკადების მოძრაობის განცხადების მიზნებისთვის. ფული და ფულის ეკვივალენტები AC-ით აღირიცხება.

ფულადი სახსრები სებ-ში. სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრების რეზერვი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც არ შეიძლება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დაფინანსებისთვის და ამიტომ, ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის, არ მიიჩნევა ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემადგენელ ნაწილად.

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება, როცა ჯგუფი ფულს კონტრაგენტთა ბანკებში ავანსის სახით გადარიცხავს. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში. ბიზნესმოდელიდან და ფულადი ნაკადების მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი სავალო ფასიან ქაღალდებში გაკეთებულ ინვესტიციებს აკლასიფიცირებს, როგორც AC-ით, FVOCI-ით ან FVTPL-ით აღრიცხულს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია AC-ით, თუ მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციაა და როცა ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და თუ ისინი თვითნებურად არ არის FVTPL დანიშნულების, სააღრიცხვო შეუსაბამობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

სავალო ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია FVOCI-ით, თუ მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაცია და გაყიდვაა, როცა ასეთი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და თუ არ არის FVTPL დანიშნულების. ამ აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნალი საკრედიტო ზარალის მეთოდით პროგნოზირებული გაუფასურების რეზერვი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. საბალანსო ღირებულების ყველა სხვა ცვლილება აღიარდება OCI-ში. როცა სავალო ფასიანი ქაღალდის აღიარება წყდება, ადრე OCI-ში აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი OCI-დან გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში აღირიცხება FVTPL-ით, თუ ისინი არ აკმაყოფილებს AC-ის ან FVOCI-ის კრიტერიუმებს. ჯგუფს ასევე შეუძლია ინვესტიციებს სავალო ფასიან ქაღალდებში FVTPL დანიშნულება მიანიჭოს თავდაპირველი აღიარებისას, თუ ამ ალტერნატივის არჩევა მნიშვნელოვნად შეამცირებს ბუღალტრულ შეუსაბამობას იმ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც აღიარდება ან ანგარიშდება სხვადასხვა სააღრიცხვო საფუძვლებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები ჩაიწერება, როცა ჯგუფი გასცემს ფულს კლიენტისგან მისაღები სესხის შესასყიდად ან წარმოშობისთვის. ბიზნესმოდელიდან და ფულადი ნაკადების მოძრაობის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი კლიენტებზე გაცემულ სესხებს და ავანსებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში: 1) AC: სესხები, რომლებიც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციისთვისაა განკუთვნილი და ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და სესხები, რომლებსაც თვითნებურად არ მიენიჭება FVTPL დანიშნულება, და 2) FVTPL: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებს SPPI ტესტს ან სხვა AC ან FVOCI

კრიტერიუმებს ითვლება FVTPL-ით.

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება ECL მოდელების მიხედვით. განმარტება 31 შეიცავს ინფორმაციას ECL გაანგარიშებაში გამოყენებული მონაცემების, ვარაუდების და პროგნოზების ტექნიკის შესახებ, მათ შორის ახსნას, თუ როგორ შეაქვს ჯგუფს საპროგნოზო ინფორმაცია ECL მოდელებში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა. დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებსაც ჯგუფი მიიღებს ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. თავდაპირველად აქტივები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შეიტანება კატეგორიაში „შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა“, „სხვა ფინანსური აქტივები,“ „საინვესტიციო ქონება“ ან „სასაქონლო-მატერიალური მარაგები“ სხვა აქტივებში, გააჩნია მათ ბუნებას და ჯგუფის მიზანს ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ისინი წინასწარ ითვლება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული აქტივების მარაგები აღირიცხება უმცირესი ღირებულებით, ანუ წმინდა რეალიზებადი ღირებულებით. სარეალიზაციო ან გრძელვადიან აქტივებთან და გასხვისების ჯგუფებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკას ჯგუფი იყენებს დასაკუთრებულ უზრუნველყოფაზე, როცა ამგვარი კლასიფიკაციისთვის შესაბამისი პირობები დაცულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სასესხო ვალდებულებები. ჯგუფი გასცემს ვალდებულებებს სესხებზე. ეს ვალდებულებები გამოუთხოვადი ან გამოთხოვადია მხოლოდ მატერიალურ უარყოფით ცვლილებასთან მიმართებაში. ამგვარი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რაც როგორც წესი დასტურდება მიღებული საკომისიოებით. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით ვალდებულების არსებობის პერიოდში, გარდა სესხების წარმოშობის ვალდებულებებისა, თუ არის იმის ალბათობა, რომ ჯგუფი კონკრეტულ დაკრედიტების ხელშეკრულებას დადებს და არ მოელის ამ სესხის გაყიდვას წარმოშობიდან მოკლე ვადაში; ამგვარი სასესხო ვალდებულების საკომისიოები გადავადდება და შეიტანება სესხის საბალანსო ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებები ითვლება 1) თავდაპირველი აღიარების თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ბალანსით, პლუს 2) ზარალის რეზერვის თანხით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით, თუ ვალდებულება ითვალისწინებს სესხის გაცემას საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე ქვემოთ, რა შემთხვევაშიც დათვლა ხდება ამ ორი თანხიდან უმაღლესით. სასესხო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას. იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც მოიცავს როგორც სესხს ისე აუთვისებელ ვალდებულებას და როცა ჯგუფს არ შეუძლია ცალკე განსხვავოს აუთვისებელი ვალდებულების და სესხის კომპონენტის ECL, აუთვისებელი ვალდებულების ECL აღიარდება სესხზე ზარალის რეზერვთან ერთად. რამდენადაც კომბინირებული ECL-ები აჭარბებს სესხის ბრუტო საბალანსო ღირებულებას, ისინი აღიარებულია ვალდებულებად.

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები მოითხოვს, რომ ჯგუფმა სპეციალური გადახდები გააკეთოს, რათა გარანტიის მფლობელს აუნაზღაუროს მის მიერ გაწეული ზარალი, რომელიც გამოიწვია კონკრეტული დებიტორის მიერ ვადადამდგარი ვალდებულების გაუსტუმრებლობამ სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების თანახმად. ფინანსური გარანტირები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რისი დასტურიცაა მიღებული საკომისიოები. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის არსებობის პერიოდში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ითვლება, როგორც უმაღლესი მაჩვენებელი ამ სიდიდეებს შორის: 1) გარანტირებული პოზიციის ზარალის რეზერვის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი ზარალის მეთოდით და 2) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი თავდაპირველი აღიარებისას. ამასთან, ECL ზარალის რეზერვი აღიარდება იმ მისაღები საკომისიოებისთვის, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში აღიარებულია, როგორც აქტივი.

ეფექტიანობის გარანტიები. ეფექტიანობის გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც

ითვალისწინებს კომპენსაციას იმ შემთხვევებში, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს კონტრაქტით დაკისრებულ ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტებით არაფინანსური ეფექტიანობის რისკი გადაეცემა საკრედიტო რისკთან ერთად. ეფექტიანობის გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ადასტურებს მიღებული საკომისიოები. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის არსებობის პერიოდში. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ითვლება, როგორც უმაღლესი მაჩვენებელი ამ სიდიდეებს შორის: 1) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი თავდაპირველი აღიარებისას და 2) თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონტრაქტზე ანგარიშსწორებისთვის საჭირო დანახარჯის საუკეთესო წინასწარი შეფასება, დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებით. როცა ჯგუფს კონტრაქტით მინიჭებული აქვს უფლება, ეფექტიანობის გარანტიის კონტრაქტების ანგარიშსწორებისთვის გადახდილი თანხების ამოსაღებად მიმართოს კლიენტს, ეს თანხები გარანტიის მიმღებისთვის ზარალის ანაზღაურების გადაცემისას აღიარდება, როგორც აქტივი. ეს საკომისიოები აღიარდება მოგება-ზარალის „საკომისიო შემოსავლების“ კატეგორიაში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს გაქირავებიდან შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის, ან ორივე მიზნით, და რომელიც ჯგუფის მიერ არ არის დაკავებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს აქტივებს მშენებლობის პროცესში, რომელიც მომავალში გამოიყენება საინვესტიციო ქონებად.

საინვესტიციო ქონება განცხადებულია თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა განცხადდება თვითღირებულებით ან გადაფასებული თანხებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა.

საკმაო რეგულარულობით, შენობები გადაფასებას ექვემდებარება, რათა ზუსტად იყოს ცნობილი, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ ღირებულებისგან, რომელიც დადგინდებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებისას. საბალანსო ღირებულების ზრდა, რომელსაც გადაფასებისას აქვს ადგილი, კრედიტდება სხვა სრულ შემოსავალში და ზრდის გადაფასების ნამეტს კაპიტალში. შემცირება, რომელიც აოფსეტებს იმავე აქტივის წინა ზრდებს, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და ამცირებს ადრე აღიარებულ გადაფასების ნამეტს კაპიტალში; ყველა სხვა შემცირება აღირიცხება წლის მოგება-ზარალში. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გადაფასების რეზერვი, რომელიც კაპიტალშია შეტანილი, პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში, როცა გადაფასების ნამეტი რეალიზდება აქტივის აქტიური მოხმარებიდან გამოსვლის ან გასხვისებისას.

თუ არ არსებობს სამართლიანი ღირებულების ბაზრიდან გამომდინარე მტკიცებულება, მაშინ სამართლიანი ღირებულება წინასწარ ფასდება შემოსავლის მიდგომის გამოყენებით.

მცირე შეკეთებების ხარჯები და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები მათი გაწევისას ტარდება. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის დიდი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზაციას გადის, გამოცვლილი ნაწილი კი აღირიცხება, როგორც აქტიური მოხმარებიდან გამოსული.

საიჯარო ქონების გაუმჯობესება არის ჯგუფის მიერ დაქირავებულ საკუთრებაში განხორციელებული ცვლილებები მისი კონკრეტული ბიზნეს საჭიროებებისა და პრეფერენციების შესაბამისად. საოფისე აღჭურვილობა, მანქანები, იჯარის გაუმჯობესებები განცხადდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გარეშე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გაუფასურების რამე ნიშნები. თუ არის, მენეჯმენტი წინასწარ აფასებს ამოსაღები თანხის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება, როგორ აქტივის სამართლიანი ღირებულების უმაღლეს მაჩვენებელს გამოკლებული გასაყიდი ხარჯები და ღირებულების გამოყენებული სიდიდე. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოსაღებ თანხამდე და წლის მოგება-

ზარალში აღიარდება გაუფასურების ზარალი იმ ოდენობით, რომ აჭარბებდეს კაპიტალში აღიარებულ გადაფასების ნამეტს.

აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ამობრუნდება, თუ დაფიქსირდება ცვლილებები ღირებულების გამოყენებული სიდიდის ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდი ხარჯების პროგნოზირებისთვის გამოყენებულ მაჩვენლებლებში.

გასხვისებისას მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც დადგინდება შემოსული თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება წლის მოგება-ზარალში (სხვა ოპერაციულ შემოსავალში ან ხარჯებში, წმინდა).

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისას და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანისას. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ჯგუფის მიერ კონტროლირებად, იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, აისახება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ კი არსებობს დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მოპოვების ალბათობა, რომელიც აღემატება გაწეულ ხარჯებს. კაპიტალიზებული ხარჯები არის გარე კონტრაქტორების მიერ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მომსახურების მისაღებად გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაწევისას. კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს ფუნქციური ვადის გარეშე ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რაც შიდა მსჯელობით დგინდება.

ცვეთა. ცვეთა არ ვრცელდება მიწასა და მშენებლობაზე. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის კატეგორიის სხვა მუხლებზე ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით და მათი თვითღირებულება ან გადაფასებული თანხები მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე ნაწილდება მათ ნარჩენ ღირებულებაზე.

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	50
საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა	5
ბანკომატი	10
სალიზინგო ქონების გაუმჯობესება	1 to 5
ავტოტრანსპორტი	5
აქტივების გამოყენების უფლება	1 to 10
პროგრამული უზრუნველყოფა ფუნქციური ვადიანობის გარეშე	10
ლიცენზიები ფუნქციური ვადიანობის გარეშე	8

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საპროგნოზო თანხა, რომელსაც ჯგუფი აქტივის რეალიზაციიდან ამჟამად მიიღებდა, გამოკლებული გასხვისების შესაძლო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ასაკიანია და იმ მდგომარეობაშია, რომ მოსალოდნელია, სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლო პერიოდი ჰქონდეს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადა განიხილება და თუ საჭიროა კორექტირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

იჯარის აღრიცხვა, როცა ჯგუფი მოიჯარეა. ჯგუფს იჯარით აღებული აქვს ოფისი და შენობები. იჯარით აღებული ქონება აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება იმ დღეს, როცა იჯარით აღებული ქონება ჯგუფის მიერ გამოსაყენებლად მზადაა. თითოეული საიჯარო გადასახდელი განაწილებულია ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯს შორის. ფინანსური ხარჯი ტარდება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში, რითაც დგინდება

ვალდებულების დარჩენილი ნაწილის მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული პერიოდისთვის.

აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება თვითღირებულებით და მისი ცვეთა განისაზღვრება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირესი ღირებულებით, წრფივი მეთოდით.

იჯარიდან გამომდინარე ვალდებულებები თავდაპირველად ანგარიშდება მიმდინარე ღირებულებით. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი სალიზინგო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითი ფიქსირებული გადახდები), გამოკლებული მისაღები საიჯარო შეღავათები, თუ ასეთი არის;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ინდექსს ან განაკვეთს ეფუძნება;
- ის თანხები, რომლებიც მოიჯარემ უნდა გადაიხადოს ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში;
- შესყიდვის ოფციის ფასი, თუ მოიჯარე გონივრულად დარწმუნებულია რომ ამ ოფციას გამოიყენებს, და
- იჯარის შეწყვეტისთვის დაწესებული ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის პირობები ითვალისწინებს მოიჯარის მიერ ამ ოფციის გამოყენებას.

იჯარის გადახდა დისკონტირდება იჯარის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი ვერ დადგინდა, გამოიყენება მოიჯარის დამატებითი მსესხებლის განაკვეთი, ანუ ის განაკვეთი, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის შესაძენად თანხის სესხების შემთხვევაში, მსგავს ეკონომიკურ გარემოში მსგავსი პირობებით.

აქტივების გამოყენების უფლება ანგარიშდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი გაანგარიშების თანხა;
- დაწყების დღემდე ან ამ დღეს გადახდილი იჯარის თანხა, გამოკლებული რაიმე საიჯარო შეღავათი;
- რაიმე თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აღდგენის ხარჯები.

ზემოხსენებულიან გამონაკლისის სახით, ჯგუფი მოკლევადიან იჯარას და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარას აღრიცხავს საიჯარო გადასახდელების საოპერაციო ხარჯებად აღიარებით, წრფივი მეთოდით.

საიჯარო პირობების განსაზღვრისას, ჯგუფის მენეჯმენტი ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ვადის გაგრძელების ოფციის ეკონომიკურ სტიმულს, ან არ იყენებს შეწყვეტის ოფციას. ვადის გაგრძელების ოფციები (ან შეწყვეტის ოფციის შემდგომი პერიოდები) საიჯარო პირობებში შედის თუ არსებობს გონივრული დარწმუნება, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

ამგვარი შეფასება გადაისინჯება, თუ ადგილი ექნება მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებათა მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც გავლენას მოახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ჯგუფის მიერ საოპერაციო იჯარების აღრიცხვა, როცა ჯგუფი მეიჯარეა. როცა აქტივები იჯარით გაიცემა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებით, იჯარიდან მისაღები შემოსავლები აღიარდება საიჯარო შემოსავლად წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები. როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც გადაცემს მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკებს და სარგებელს მოიჯარეს, იჯარით გადაცემული აქტივები აისახება როგორც მისაღები ფინანსური იჯარა და აისახება სამომავლო იჯარის გადასახადების მიმდინარე ღირებულებით. ფინანსური იჯარიდან მისაღები შემოსავლები თავდაპირველად აღიარდება დასაწყისში (იჯარის ვადის დაწყებისთანავე) თავდაპირველად დაწესებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (იჯარის ხელშეკრულების ადრინდელი თარიღი და მხარეების მიერ კონტრაქტის ძირითადი დებულებების მიღების თარიღი).

მთლიანი მისაღები შემოსავლებისა და დღევანდელი ღირებულების სხვაობა წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. აღნიშნული შემოსავალი ექვემდებარება აღიარებას იჯარის ვადის განმავლობაში წმინდა ინვესტიციების (დაბეგვრამდე) მეთოდის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოგების მუდმივ პერიოდულ ნორმას. იჯარის ორგანიზებასთან და მოლაპარაკების ჩატარებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები შედის ფინანსური იჯარის დებიტორული დავლიანების პირველად შეფასებაში და ამცირებს იჯარის პერიოდში აღიარებულ მოგების თანხას. იჯარის ფინანსური მოგება ცალკე მუხლად აისახება წლიურ მოგება-ზარალში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში.

საკრედიტო დანაკარგების რეზერვის აღიარება ხორციელდება საერთო ECL (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები) მოდელის შესაბამისად, გამარტივებულიმიდგომით, მთელი სასიცოცხლო პერიოდის ECL-ით. ECL-ი დგინდება იგივე მეთოდით, რაც სესხებისათვის და ავანსებისათვის, რომლების შეფასება ხდება AC (ამორტიზირებული ღირებულების)-ით და აღირიცხება სარეზერვო ანგარიშით დებიტორული დავალიანების სუფთა საბალანსო ღირებულების ჩამოწერისათვის მოყვანილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ღირებულებაში, ფინანსური იჯარით გათვალისწინებული დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთით.

სამომავლო სავარაუდო ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს იჯარას დაქვემდებარებული აქტივების შეძენა-გაყიდვების შედეგად.

ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ. სხვა ბანკების მიმართ ვალდებულებები იწერება, როცა ფული ან სხვა აქტივები გაიცემა ჯგუფზე კონტრაგენტი ბანკების მხრიდან. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება AC-ით. თუ ჯგუფი შეისყიდის მის საკუთარ ვალს, ვალდებულება მოიხსნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის სხვაობა შეიტანება ვალის ადრეული გაუქმებით გამოწვეულ მოგებაში ან ზარალში.

კლიენტთა ანგარიშები. კლიენტთა ანგარიშები არის ფიზიკური პირების, სახელმწიფო ან კორპორაციული კლიენტების არაწარმოებული ვალდებულებები და აღირიცხება AC-ით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდულ საკრედიტო რესურსებს, რომლებიც აღირიცხება AC-ით.

სუბორდინირებული ვალი. სუბორდინირებული ვალის გადახდა შეიძლება ლიკვიდაციის დროს, როცა სხვა უფრო მაღალი პრიორიტეტის კრედიტორების მიმართ არსებული ვალდებულებები შესრულებულია. სუბორდინირებული ვალი აღირიცხება AC-ით.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება AC-ით. თუ ჯგუფი ყიდულობს საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებს, ისინი ამოღებულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის შედის ვალის ვადის გასვლისგან წარმოშობილ მოგებაში.

აქციონერისგან მიღებული სუბორდინირებული ვალის აღრიცხვა. აქციონერმა (შპს სინძიანგ ჰუალინგ ინდასთრი ენდ თრეიდ (გრუფ) კო) ჯგუფზე გასცა სუბორდინირებული ვალი 4,900 ათასი აშშ დოლარის ოდენობით წლიური 7% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, და 2,588 ათასი აშშ დოლარის ოდენობით წლიური 7% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, რომელთა გადახდაც მოხდება ყოველწლიურად მისი ვადის დადგომამდე, 2026 წლის აგვისტომდე და 2030 წლის სექტემბრამდე.

სესხები თავდაპირველად აღიარებული იქნა და შემდგომში აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამორტიზებული სახელშეკრულებო ღირებულებით. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია 35-ე განმარტებაში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, სავალუტო ხელშეკრულებების, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების სვოპების ჩათვლით, სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება.

ჯგუფი ახდენს კონტრაგენტ ბანკებთან არსებული სესხების ოფსეტირებას ვალუტების უერთიერთგაცვლის მიზნით. იურიდიული თვალსაზრისით განცალკევებული ასეთი სესხები აგრეგირდება და აღირიცხება, როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი), სადაც 1) სესხები გაიცემა ერთდროულად, 2) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი, 3) არის ერთი და იგივე რისკის ქვეშ და 4) არ არსებობს ასეთი ტრანზაქციების ცალკე სტრუქტურირების ბიზნეს-საფუძველი, რაც ასევე მიიღწეოდა ერთი ტრანზაქციით.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღრიცხულია აქტივების სახით, როცა სამართლიანი ღირებულება დადებითი რიცხვია, და ვალდებულების სახით, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითი რიცხვია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები შეიტანება წლის მოგება-ზარალში (მოგებას გამოკლებული დანაკარგები წარმოებულებზე). ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

წარმოებული ინსტრუმენტების და გარკვეული სხვა ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება. იმ ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც შეფასდა იმ დაშვებებით, რომელიც არ ეყრდნობოდა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მოცემულია განმარტებაში 34.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია იმ კანონმდებლობის თანახმად, რომელიც ძალაშია, ან ძირითადად ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდება ტრანზაქციებს, რომლებიც ასევე აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

2023 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ძალაში. გარკვეული ცვლილებები შევიდა საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი სუბიექტების დაბეგვრის რეჟიმში, მათ შორის იყო საპროცენტო შემოსავლების აღრიცხვის სტანდარტების განსაზღვრა და შესაძლო დანაკარგების რეზერვები. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების მიხედვით:

- კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მოგების გადასახადის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვებს შორის.

- კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აღიარებენ სესხებზე დარიცხულ პროცენტს, როგორც შემოსავალს და გამოაკლებენ მთლიანი შემოსავლიდან სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვებს IFRS-ის მიხედვით.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

- კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი კორპორაციული მოგების გადასახადის განაკვეთი არის 20%.

- კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ 2023 წლის მოგებიდან და შემდგომი პერიოდებიდან გაცემული დივიდენდები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და არ უნდა ჩაითვალოს დივიდენდების მიმღების მთლიან შემოსავალში.

- 2024 წლის იანვრამდე სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის მოგების გადასახადის ობიექტი იქნება სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვებს შორის.

დაბეგვრადი მოგება ან ზარალი ეყრდნობა წინასწარ შეფასებებს, თუ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ავტორიზებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოებში გაგზავნამდე. გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ჩაიწერება ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიაში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღირიცხება საგადასახადო ზარალის გადასატანებისთვის საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებების გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების გათავისუფლების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების დროებითი განსხვავებებისთვის ისეთ ტრანზაქციებში, რომელიც არ არის ბიზნესის კომბინაცია, თუ ტრანზაქცია, როცა თავდაპირველად აღირიცხება, არ ახდენს გავლენას არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთები ითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან ძირითადად ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, და რომლებიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება იმ პერიოდში, როცა დროებითი განსხვავებები ამობრუნდება ან საგადასახადო ზარალის გადასატანების ათვისება მოხდება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები განეტოვდება მხოლოდ ჯგუფის ცალკეული კომპანიების შიგნით.

იჯარის გადახდებისთვის გადასახადები გამოქვითვა ნაწილდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის ცვეთასა და საიჯარო ვალდებულების პროცენტის ხარჯს შორის. შედეგად, ახალი იჯარის თავდაპირველი აღიარებისას, სადაც ჯგუფი მოიჯარეა, დროებითი განსხვავებები არ წარმოიშობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გაქვითვადი დროებითი განსხვავებების და საგადასახადო ზარალის გადასატანებისთვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არის ალბათობა, რომ იქნება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომლიდანაც მოხდება გაქვითვა.

გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება შესყიდვისშემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე და სხვა შესყიდვისშემდგომ ცვლილებებზე შვილობილი კომპანიების რეზერვებში, როცა ჯგუფი აკონტროლებს შვილობილი კომპანიის დივიდენდების პოლიტიკას და როცა არის ალბათობა, რომ პროგნოზირებად მომავალში განსხვავება არ ამობრუნდება დივიდენდების სახით ან სხვაგვარად.

მიმდინარე გადასახადი ის თანხაა, რომლის გადახდაც ან რომლის ამოღებაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის (დან) მიმდინარე და წინა პერიოდების დაბეგვრად მოგებასთან ან დანაკარგებთან დაკავშირებით.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციებს მენეჯმენტი ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება საშემოსავლო გადასახადის იმ პოზიციებზე, რომლებიც მენეჯმენტის განსაზღვრებით, სავარაუდოდ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ ამ პოზიციებთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოებს კითხვები ექნებათ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლომდე, და ნებისმიერ ცნობილ სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებას ასეთ საკითხებთან დაკავშირებით. საჯარიმო, საპროცენტო და საგადასახადო ვალდებულებები, გარდა შემოსავლებისა, აღიარდება მენეჯმენტის შეფასების მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების

დასაფარად საჭირო ხარჯების შესახებ.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. ისინი დაირიცხება, როცა ჯგუფს აქვს წარსულის მოვლენებით გამოწვეული მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, როცა არის ალბათობა, რომ ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის სახით არსებული რესურსების გადინება და როცა შეიძლება ვალდებულების სანდო ოდენობის განსაზღვრა.

საქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. უშუალოდ ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც გამოქვითვა მიღებული ანაზღაურებიდან, დაბეგვრის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული სამართლიანი ღირებულების თანხა იწერება კაპიტალში, როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდები. დივიდენდები იწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როცა ისინი დეკლარირდება. ბანკის კანონით მოთხოვნილი სააღრიცხვო დოკუმენტები წარმოადგენს მოგების განაწილების და სხვა ასიგნებების საფუძველს. ნებისმიერი დივიდენდები, რომლებიც დეკლარირებულია საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებამდე, ნებადართულია გამოსაშვებად. იხილეთ განმარტება 23.

საპროცენტო მოგების და ხარჯის აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი იწერება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა FVTPL-ით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარიცხვის მეთოდით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდით გადავადდება მხარეთა შორის კონტრაქტის საფუძველზე გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო, (როგორც საპროცენტო მოგების და ხარჯის ნაწილი) რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე მიბმული საკომისიოები მოიცავს წარმოშობის საკომისიოებს, რომლებიც კომპანიამ მიიღო ან გადაიხადა ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შესყიდვასთან ან ფინანსური ვალდებულების ემისიასთან დაკავშირებით, მაგალითად ასეთია გადახდისუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიების ან უზრუნველყოფის შეფასების და ჩაწერის საკომისიო, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკების და ტრანზაქციის დოკუმენტების დამუშავების საკომისიო. ჯგუფის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით გაცემული სესხებისთვის მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულების საკომისიოები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ნაწილია, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას გააფორმებს და არ მოელის ამ სესხის გაყიდვას მისი წარმოშობიდან მოკლე პერიოდში. ჯგუფი სასესხო ვალდებულებების FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების დანიშნულებას არ ანიჭებს.

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც წარმოშობილი ან შესყიდული საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ადისკონტებს მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობას (მათ შორის თავდაპირველად მოსალოდნელ საკრედიტო რისკების დანაკარგებს) სამართლიან ღირებულებაზე თავდაპირველი აღიარებისას (როგორც წესი, წარმოდგენილია შესასყიდი ფასით). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია საკრედიტო რისკის მიხედვით.

საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე 1) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა (მე-3 ეტაპის), რომლებზეც საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება AC-ზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით, ECL რეზერვის გამოკლებით, და 2) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, რისთვისაც საწყისი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ვრცელდება AC-ით.

თუ მე-3 სტადიაზე კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივზე საკრედიტო რისკი შემდგომში გაუმჯობესდება ისე, რომ აქტივი აღარ არის კრედიტით გაუფასურებული და გაუმჯობესება შეიძლება

ობიექტურად დაკავშირებული იყოს მოვლენასთან, რომელიც მოხდა მას შემდეგ, რაც აქტივი განისაზღვრა, როგორც გაუფასურებული (ანუ აქტივი გაჯანსაღდება), აქტივი რეკლასიფიცირდება მე-3 ეტაპიდან და საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. დამატებითი საპროცენტო შემოსავალი, რომელიც ადრე არ იყო აღიარებული მოგება-ზარალში იმის გამო, რომ აქტივი იყო მე-3 სტადიაზე, მაგრამ ახლა მოსალოდნელია მისი მიღება აქტივის გაჯანსაღების შემდეგ, აღიარდება, როგორც გაუფასურების ამობრუნება.

საკომისიო შემოსავალი. საკომისიო შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში წრფივი მეთოდით მომსახურების გაწევის პარალელურად, როცა კლიენტი ერთდროულად მიიღებს და მოიხმარს ჯგუფის მუშაობის შედეგად მიღებულ სარგებელს. ამგვარი შემოსავალი მოიცავს ანგარიშის წარმოების პერიოდულ საკომისიოებს, ანგარიშის მომსახურების საკომისიოებს და ა.შ. ცვლადი საკომისიოები აღიარდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მენეჯმენტი გადაწყვეტს, რომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი ამობრუნება არ მოხდება.

სხვა საკომისო შემოსავალი აღიარდება ისეთ დროს, როცა ჯგუფი დააკმაყოფილებს ეფექტიანობის ვალდებულებას, როგორც წესი, მიმდინარე ტრანზაქციის შესრულების შემდეგ. მიღებული ან მისაღები საკომისიოს თანხა წარმოადგენს იმ მომსახურების ტრანზაქციის ფასს, რომელიც აშკარად ეფექტიანობის მოვალეობის შესრულებას წარმოადგენს. ამგვარი შემოსავალი მოიცავს კლიენტის სახელით უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის ორგანიზების საკომისიოს, საგადახდო ტრანზაქციების დამუშავების საკომისიოს, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საკომისიოს, ინკასაციის ან ნაღდი ფულის განაწილების საკომისიოს, ასევე მესამე მხარესთან მოლაპარაკებით ან ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობით გამოწვეულ საკომისიოს, მაგალითად სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის შესახებ, ან ბიზნესის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ.

სესხების სინდიცირების საკომისიოები აღიარდება შემოსავლად, როცა სინდიკაცია დასრულდება და ჯგუფი თავისთვის არ იტოვებს სესხის არცერთ ნაწილს, ან იტოვებს ნაწილს იმავე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც სხვა წევრებისთვისაა განსაზღვრული.

უცხოური ვალუტის გაყიდვა და ყიდვა და ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფი ყიდის და ყიდულობს ვალუტებს სალაროს და საბანკო ანგარიშების საშუალებით, ასევე ვალუტის კონვერტაციის საშუალებით. ტრანზაქციები სრულდება ჯგუფის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსებით, რომლებიც განსხვავდება კონკრეტული დღის ოფიციალური სპოტ კურსებისგან. ოფიციალურ განაკვეთებსა და ჯგუფის განაკვეთებს შორის განსხვავებები აღიარებულია, როგორც შემოსავლებს გამოკლებული უცხოური ვალუტის ვაჭრობით გამოწვეული დანაკარგები დროის იმ მონაკვეთში, როცა კონკრეტული ეფექტიანობის ვალდებულება კმაყოფილდება.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული ბიზნესერთეულის ფუნქციური ვალუტა არის იმ უშუალო ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეს ბიზნესერთეული მოღვაწეობს. ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციური ვალუტა, ასევე ჯგუფის საპრეზენტაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი. (“GEL”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები თითოეული ბიზნესერთეულის ფუნქციურ ვალუტაში გადაანგარიშდება სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსით შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ტრანზაქციებზე ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივების და ვალდებულებების თითოეული ბიზნესერთეულის ფუნქციურ ვალუტაში სებ-ის წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშებით გამოწვეული სავალუტო მოგება და დანაკარგები აღიარდება წლის მოგება-ზარალში (როგორც უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების მოგებას გამოკლებული დანაკარგები).

წლის ბოლოს არსებული კურსებით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ანგარიშდება ისტორიული ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით ითვლება, მათ შორის წილობრივი ინვესტიციები, გადაანგარიშდება იმ გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც ძალაშია სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს.

გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტები არაფულად მუხლებზე, რომელიც უცხოურ ვალუტაში

სამართლიანი ღირებულებით ითვლება, იწერება, როგორც მათი სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი.

ჯგუფის ბიზნესერთეულებს შორის სესხები და მასთან დაკავშირებული საკურსო მოგება ან დანაკარგები გამოირიცხება კონსოლიდაციის დროს.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოური ვალუტის ნაშთების გადაანგარიშებისას გამოყენებული მთავარი გაცვლითი კურსი იყო:

	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
USD 1 = GEL	2.6894	2.7020
EUR 1 = GEL	2.9753	2.8844

ოფსეტირება. ფინანსური აქტივების და ვალდებულების ოფსეტირება და წმინდა თანხის განცხადება ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ოფსეტირების კანონის ძალის მქონე უფლება და არის ან წმინდად ანაზღაურების, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების ანაზღაურების განზრახვა. ასეთი ოფსეტირების უფლება ა) არ უნდა იყოს პირობითი მომავლის მოვლენაზე და ბ) უნდა იყოს კანონის ძალის მქონე ყველა ჩამოთვლილ გარემოებაში: 1) ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას, 2) დეფოლტის შემთხვევაში და 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

თანამშრომელთა ხარჯები და მსგავსი დაგროვებითი სქემები. ხელფასები, ანაზღაურებული წლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები დაირიცხება იმ წელს, როცა შესაბამისი მომსახურება გაიწევა ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გააკეთოს საპენსიო ან მსგავსი ბენეფიტური გადახდები, გარდა კანონით დადგენილი დაგროვებითი სქემისა.

წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა. წილობრივი ინსტრუმენტებით შედგენილი საკომპენსაციო გეგმის თანახმად, ჯგუფი იღებს მომსახურებებს მენეჯმენტისგან, როგორც ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურებას. წილობრივი ინსტრუმენტების გაცემის სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურებების სამართლიანი ღირებულება აღიარდება ხარჯად. ხარჯად გასაწერი მთლიანი თანხა განისაზღვრება გრანტად გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიხედვით, რომელიც გამორიცხავს არასაბაზრო სერვისის და ეფექტიანობის მინიჭების (უფლების გადაცემის) პირობების გავლენას. არასაბაზრო მინიჭების პირობები შეტანილია მისანიჭებელი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ ვარაუდებში. ხარჯად გაწერილი მთლიანი თანხა აღიარდება მინიჭების პერიოდში; ეს ის პერიოდია, როცა აქციებზე უფლების გადაცემის ყველა კონკრეტული პირობა უნდა დაკმაყოფილდეს. საბალანსო უწყისის თითოეულ თარიღზე ჯგუფი გადასინჯავს თავის წინასწარ შეფასებებს არასაბაზრო პირობებით მისანიჭებელი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ. ის აღიარებს თავდაპირველი პროგნოზების გადასინჯვის ზეგავლენას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოგებაზე ან ზარალზე, რასაც კაპიტალში შესაბამისი კორექტირება მოჰყვება. კაპიტალის ზრდა დარიცხულ აქციებზე, წილობრივი ანგარიშსწორების სქემებიდან გამომდინარე, აღირიცხება აქციებით ანგარიშსწორების რეზერვის კატეგორიაში. აქციებზე უფლების გადაცემის პირობების დაკმაყოფილებისას, აქციებით ანგარიშსწორების რეზერვი, რომელიც გადაცემულ აქციებს მიეწერება, გადაიტანება სააქციო კაპიტალში და საემისიო შემოსავალში.

სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტების კლასიფიკაცია და აღრიცხვა: თავისი ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი აფორმებს სადაზღვევო კონტრაქტებს, რომლის მიხედვითაც იგი იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს თავისი დაზღვეულისგან. ჯგუფი თავისი ჩვეულებრივი საქმიანობისას ასევე აფორმებს გადაზღვევის კონტრაქტებს, რათა კომპენსაცია გაუწიოს სხვა სუბიექტებს ამ სუბიექტების მიერ გაცემული ერთი ან მეტი სადაზღვევო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ზარალებისთვის. ჯგუფი არ აფორმებს კონტრაქტებს უშუალო მონაწილეობით.

კომპონენტების გამიჯვნა სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტებიდან: ამჟამად, ჯგუფის პროდუქტები არ შეიცავს რაიმე განსხვავებულ კომპონენტს, რომელიც მოითხოვს განცალკევებას IFRS 17-ის მიხედვით.

კონტრაქტების გაერთიანება: ჯგუფისთვის აგრეგაციის დონე განისაზღვრება პირველ რიგში პორტფელებად დაწერილი ბიზნესის დაყოფით. პორტფელი მოიცავს მსგავსი რისკების მქონე კონტრაქტების ჯგუფებს, რომლებიც იმართება ერთად. პორტფელი შემდგომში იყოფა დაწყებისას მოსალოდნელი მომგებიანობის მიხედვით სამ კატეგორიად: ზარალიანი კონტრაქტები, კონტრაქტები, რომლებზეც არ არსებობს ზარალიანობის მნიშვნელოვანი რისკი და დანარჩენი. შემდგომში პორტფელი აღიარებისა და გაანგარიშების მიზნითიყოფა გამოშვების წლის და მომგებიანობის მიხედვით.

კონტრაქტების ჯგუფის მომგებიანობა ფასდება აქტუარული შეფასების მოდელებით, რომლებიც ითვალისწინებს არსებულ და ახალ ბიზნესს. ჯგუფი ვარაუდობს, რომ პორტფელში არცერთი კონტრაქტი არ არის ზარალიანი თავდაპირველი აღიარებისას, თუ ფაქტები და გარემოებები სხვაგვარად არ მიუთითებს.

ჯგუფი ყოფს გადაზღვევის კონტრაქტების პორტფელებს, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი იგივე პრინციპებითაა აღრიცხული, გარდა იმისა, რომ მითითებები ზარალიან კონტრაქტებზე ეხება კონტრაქტებს, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წმინდა მოგებას აჩვენებს.

აღიარება და აღიარების შეწყვეტა: სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფი (ან გაცემული გადაზღვევის კონტრაქტები) აღიარდება შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრე: კონტრაქტების ჯგუფის დაფარვის პერიოდის დასაწყისი, თარიღი, როდესაც დაზღვეულის პირველ გადახდას ჯგუფში უდგება ვადა, (ან, ასეთი თარიღის არარსებობის შემთხვევაში, პირველი გადახდის მიღებისას) და ზარალიანი კონტრაქტების ჯგუფის შემთხვევაში, თარიღი, როდესაც ჯგუფი ხდება ზარალიანი.

გადაზღვევის კონტრაქტების ჯგუფი აღიარდება გადაზღვევის კონტრაქტების ჯგუფის დაფარვის პერიოდის დასაწყისიდან, ან, თუ გადაზღვევის კონტრაქტი დადებულია ზარალიანი სადაზღვევო კონტრაქტების ძირითადი ჯგუფის დაფარვის მოლოდინში, ამ ზარალიანი ჯგუფის პირველი აღიარებისას.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ამ ჯგუფს ახალ კონტრაქტებს ამატებს, როდესაც ეს კონტრაქტი აკმაყოფილებს ზემოთ დადგენილ ერთ-ერთ კრიტერიუმს.

სადაზღვევო ხელშეკრულების აღიარება წყდება, როდესაც მისით დაფარული ვალდებულება ამოიწურება გადახდის ან ვადის გასვლის შედეგად, ან თუ ხელშეკრულების პირობები ისე შესწორდება, რომ ხელშეკრულებას არსებითად განსხვავებული სააღრიცხვო დამუშავება დასჭირდებოდა, ეს ცვლილებები რომ თავიდანვე არსებულიყო. კონტრაქტის აღიარების შეწყვეტა გულისხმობს შესრულების ფულადი ნაკადების, სახელშეკრულებო მომსახურების მარჟის და იმ ჯგუფის დაფარვის ერთეულების კორექტირებას, რომელშიც ის შედიოდა.

პრემიის განაწილების მოდელი ("PAA"): ჯგუფი იყენებს PAA-ს ყველა სადაზღვევო კონტრაქტზე, რომელსაც ის გასცემს და გადაზღვევის კონტრაქტზე, რომელსაც ფლობს, რადგან IFRS 17-ში მითითებული დასაშვებობის კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

კონტრაქტების ჯგუფისთვის, რომელიც არ არის ზარალიანი თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ვალდებულებას დარჩენილ ნაწილზე ვალდებულებას შემდეგნაირად ანგარიშობს:

- პრემიები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიღებული პირველადი აღიარებისას
- გამოკლებული ამ თარიღისთვის დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადები, გარდა იმ კონტრაქტებისა, რომლებიც ერთი წლის ან ნაკლებია, სადაც ეს ხარჯია,

- პლიუს ან მინუს ნებისმიერი თანხა, რომელიც წარმოშობა სადაზღვევო შესყიდვის ფულადი ნაკადებისთვის აღიარებული აქტივის იმ დღეს აღიარების შეწყვეტით,

- ნებისმიერი სხვა აქტივი ან ვალდებულება, რომელიც ადრე იყო აღიარებული იმ ფულადი ნაკადებისთვის, რომელიც დაკავშირებულია კონტრაქტების ჯგუფთან, რომელსაც ჯგუფი იხდის ან იღებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფის აღიარებამდე.

გადაზღვევის კონტრაქტების ჯგუფისთვის, ჯგუფი ანგარიშობს თავის გადაზღვევის აქტივებს, რომელსაც ფლობს იმავე საფუძველზე, როგორც სადაზღვევო კონტრაქტებს, რომლებსაც ის გასცემს. თუმცა, ისინი ადაპტირებულია ისე, რომ ასახოს დადებული გადაზღვევის კონტრაქტების მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდება გაცემული სადაზღვევო კონტრაქტებისაგან, მაგალითად, ხარჯების წარმოქმნა ან დანახარჯების შემცირება და არა შემოსავალი.

ჯგუფი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს დარჩენილი დაფარვის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, როგორც პერიოდის დასაწყისში დარჩენილ დაფარვის ვალდებულებას:

- პლუს პერიოდში მიღებული პრემიები

- მინუს სადაზღვევო შესყიდვის ფულადი ნაკადები, გარდა ქონების დაზღვევის პროდუქტის ხაზისა, რომლისთვისაც ჯგუფი ირჩევს გახარჯოს სადაზღვევო შესყიდვის ფულადი ნაკადები, მათი გაწევისას;

- პლუს ნებისმიერი თანხა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის შესყიდვის ფულადი ნაკადების ამორტიზაციასთან, რომლებიც ჯგუფისთვის აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ხარჯად;

- პლუს დაფინანსების კომპონენტის ნებისმიერი კორექტირება, სადაც ეს შესაძლებელია;

- მინუს პერიოდის გაწეული მომსახურებისთვის სადაზღვევო შემოსავალად აღიარებული თანხა;

- მინუს ნებისმიერი საინვესტიციო კომპონენტი, რომელიც გადახდილია ან გადაეცემა წარმოშობილი ზარალების ვალდებულებას.

ჯგუფი დამდგარ ზარალებზე ვალდებულებას აფასებს დამდგარ ზარალებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესრულების სახით. შესრულების ფულადი ნაკადები აერთიანებს, მიუკერძოებლად, ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე, ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, დროისა და გაურკვევლობის შესახებ, ისინი ასახავს მიმდინარე შეფასებებს ჯგუფის პერსპექტივიდან და მოიცავსარაფინანსური რისკის ცალსახა კორექტირებას (რისკის კორექტირება).

როცა დაფარვის პერიოდის განმავლობაში, ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ, რომ სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფი ზარალიანია, ჯგუფი წმინდა გადინების ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში, რის შედეგადაც ჯგუფის ვალდებულების საბალანსო ღირებულება უტოლდება შესრულების ფულად ნაკადებს. ასეთი ზარალიანი ჯგუფის დარჩენილი დაფარვის ვალდებულებისთვის ჯგუფის მიერ დადგენილია ზარალის კომპონენტი, რომელიც აღწერს აღიარებულ ზარალს.

დაზღვევის შესყიდვის ფულადი ნაკადები ნაწილდება წრფივი მეთოდით, როგორც პრემიის ნაწილი მოგება-ზარალში (დაზღვევის შემოსავლების მეშვეობით).

დადებული გადაზღვევის კონტრაქტების შემდგომი გაანგარიშება ექვემდებარება იმავე პრინციპებს, რაც გაცემული სადაზღვევო კონტრაქტებისთვის და ადაპტირებულია გადაზღვევის კონკრეტული მახასიათებლების ასახვაზე.

პერიოდის სადაზღვევო შემოსავალი არის პერიოდისთვის გამოყოფილი მოსალოდნელი პრემიის შემოსავალი (გარდა რაიმე საინვესტიციო კომპონენტისა). ჯგუფი პრემიებზე მოსალოდნელ

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

შემოსულობებს სადაზღვევო კონტრაქტის მომსახურების თითოეულ პერიოდზე დროის გასვლის მიხედვით ანაწილებს. მაგრამ თუ დაფარვის პერიოდის განმავლობაში რისკის გამოთავისუფლების მოსალოდნელი მიმდინარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება დროის გასვლისგან, მაშინ განაწილება ხდება სადაზღვევო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მოსალოდნელი დროის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ცვლის ზემოთ მოცემულ ორ მეთოდს შორის განაწილების საფუძველს, თუ იცვლება ფაქტები და გარემოებები. ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ჯგუფი ცალ-ცალკე ასახავს გადამზღვევისაგან მოსალოდნელი თანხების ამოღებას და გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილებას. გადაზღვევის ფულად ნაკადებს, რომლებიც დამოკიდებულია მიმდინარე კონტრაქტებთან დაკავშირებულ ზარალებზე, იმ ზარალების ნაწილად მიიჩნევს, რომელთა ანაზღაურებაც მოსალოდნელია გადაზღვევის ხელშეკრულებით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჯგუფი თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის დროს აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით.

მსჯელობით დგინდება ამ ტრანზაქციების ფასი საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა მინიჭებული, როცა ამგვარი ტრანზაქციებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

განსჯის საფუძველი დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციებზე ფასის დადგენა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. განმარტება 35 განიხილავს დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების პირობებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა ლიკვიდობის მიხედვით. ჯგუფს არ აქვს მკაფიოდ იდენტიფიცირებადი საოპერაციო ციკლი და, შესაბამისად, მოკლე და გრძელვადიან აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ცალ-ცალკე არ წარმოადგენს. ამის ნაცვლად, აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადის შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზის მათი ვადიანობის მიხედვით იხილეთ განმარტებაში 31. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს ინფორმაციას იმ თანხების შესახებ, რომელთა ანგარიშსწირება ან ამობრუნება მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტ თვემდე და მის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშის მუხლებში, რომლებიც არ არის გაანალიზებული განმარტება 31-ში.

	31 დეკემბერი, 2023			31 დეკემბერი, 2022		
	თანხები, რომელთა ანგარიშსწორება ან ამობრუნებაა მოსალოდნელი			თანხები, რომელთა ანგარიშსწორება ან ამობრუნებაა მოსალოდნელი		
ათასი ლარი	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	ანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ	ანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ანმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	284,010	-	284,010	278,068	-	278,068
ფულადი სახსრები სებ-ში	184,600	-	184,600	218,587	-	218,587
მოთხ სხვა ბანკ მიმართ	6,342	9,084	15,426	12,593	-	12,593
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	136,143	242,318	378,461	351,902	42,460	394,362
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	829,803	1,664,167	2,493,970	997,402	1,089,375	2,086,777
კლიენტებზე გაცემული ფინანსური ლიზინგი	2,559	23,577	26,136	4,595	13,085	17,680
გადაზღვევის კონტრ აქტივები	74,974	-	74,974	2,474	-	2,474
საინვესტიციო ქონება	-	1,299	1,299	-	1,657	1,657
სხვა ფინანსური აქტივები	2,269	-	2,269	3,351	135	3,486
სხვა აქტივები	6,651	26,414	33,065	6,651	27,965	34,616

ბაზისბანკის ჯგუფი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

	31 დეკემბერი, 2023			31 დეკემბერი, 2022		
	თანხები, რომელთა ანგარიშსწორება ან ამობრუნებაა მოსალოდნელი			თანხები, რომელთა ანგარიშსწორება ან ამობრუნებაა მოსალოდნელი		
ათასი ლარი	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ
შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა	-	107,375	107,375	-	105,223	105,223
გამოყ უფლ მქონე აქტ	-	17,364	17,364	-	21,582	21,582
მთლიანი აქტივები	**1,527,351**	**2,091,598**	**3,618,949**	**1,875,623**	**1,301,482**	**3,177,105**
ვალდებულებები						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	284,866	-	284,866	310,707	-	310,707
კლიენტთა ანგარიშები	1,780,439	411,933	2,192,372	1,873,209	87,531	1,960,740
სხვა ნასესხები სახსრები	224,975	157,369	382,344	242,099	100,838	342,937
სალიზინგო ვალდებულებები	3,559	12,411	15,970	3,251	15,325	18,576
დაზღ ხელშეკრ ვალდებ	77,101	-	77,101	3,192	-	3,192
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,961	-	3,961	5,858	-	5,858
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	13,518	-	13,518	913	-	913
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	-	1,996	1,996	-	11,449	11,449
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები	1,655	-	1,655	1,297	-	1,297
სხვა ვალდებულებები	18,041	-	18,041	10,622	-	10,622
სუბორდინირებული ვალები	-	106,383	106,383	-	56,933	56,933
მთლიანი ვალდებულებები	**2,408,115**	**690,092**	**3,098,207**	**2,451,148**	**272,076**	**2,723,224**

4 კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს

ჯგუფი აკეთებს პროგნოზებს და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. წინასწარი შეფასებები და მოსაზრებები მუდმივ განხილვას გადის და ითვალისწინებს მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის იმ მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც იმ გარემოებებში გონივრულად მიიჩნევა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, მენეჯმენტი ასევე აყალიბებს მოსაზრებებს, გარდა საპროგნოზო შეფასებებისა. ქვემოთ იხილავთ იმ მოსაზრებებს, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე, ასევე იმ პროგნოზებს, რომელთაც მომავალ ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა შეუძლია:

ECL შეფასება და საპროგნოზო ინფორმაციის შეტანა ECL მოდელებში. ECL-ების შეფასება მნიშვნელოვანი პროგნოზია, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის დადგენას, მოდელების და მონაცემების გამოყენებას. ECL მეთოდოლოგია დეტალურად მოცემულია განმარტება 31-ში. საკრედიტო ზარალის რეზერვზე დიდი ზეგავლენა შემდეგ კომპონენტებს აქვს: დეფოლტის განსაზღვრება, SICR, დეფოლტის ალბათობა, (PD) რისკი დეფოლტის შემთხვევაში (EAD) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD), ასევე მაკროეკონომიკური სცენარის მოდელებს. უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკური პარამეტრები მეტად ცვალებადია, ამიტომ მათ ECL-ზე გავლენა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს მოცემული სიტუაციიდან და კონკრეტული მაკროეკონომიკური პროგნოზებიდან გამომდინარე. ჯგუფი ECL შეფასებაში იყენებს საპროგნოზო მაკროეკონომიკური ინფორმაციის ორ ყველაზე კრიტიკულ კომპონენტს: PD და LGD. განმარტება 31 აჩვენებს ინფორმაციას ECL შეფასებაში PD და LGD მოდელების გამოყენების დროს შეტანილ მონაცემებს, გაკეთებულ დაშვებებს და წინასწარ შეფასებას, ასევე ხსნის, თუ როგორ იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას ECL მოდელებში.

SICR-ის შეფასება და ECL-ების გაანგარიშება ორივე მოითხოვს საპროგნოზო ინფორმაციას. ეკონომიკური ცვლადების პროგნოზები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“, „ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარი“ და „პესიმისტური ეკონომიკური სცენარი“) გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და მოსალოდნელი მაკროეკონომიკური განვითარების საუკეთესო შეფასებას იძლევა. ჯგუფმა გამოავლინა გარკვეული ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო რისკებთან და ECL-ებთან. შესაბამისი ეკონომიკური ცვლადების გავლენა PD-ზე განისაზღვრა სტატისტიკური რეგრესიის ანალიზის შესრულებით, რათა გავიგოთ რა გავლენა ჰქონდა ისტორიულად ამ ცვლადებში მომხდარ ცვლილებებს დეფოლტის მაჩვენებლებზე. საბოლოო PD მოდელები კორექტირებულია შესაბამისი მაკროეკონომიკური ცვლადებით, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დეფოლტის მაჩვენებლებზე, მშპ-ს ზრდაზე საცალო PD მოდელებისთვის და უმუშევრობაზე კორპორაციული PD მოდელებისთვის).

ჯგუფმა მაკროეკონომიკური ცვლადები LGD-ის ფორმულებში შეიტანა, კერძოდ LGD2 ფორმულებში, და და გააერთიანა უძრავი ქონების ფასის ინდექსის მიხედვით დაკორექტირებული უზრუნველყოფის ღირებულება. 2023 წელს EAD-ისთვის კორექტირება არ განხორციელებულა, რადგან გავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

ამჟამად ჯგუფი გაუფასურების მოდელის მაკროეკონომიკური კორექტირებისთვის მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ სცენარებს იყენებს. საბოლოო მოდელში სცენარის წონები არის სებ-ის პუბლიკაციაში განსაზღვრული წონების მიხედვით: 50% საბაზისო სცენარისთვის, 25%-25% აღმავალი და დაღმავალი სცენარებისთვის.

როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, პროგნოზები და მოვლენის ალბათობა ექვემდებარება თანდაყოლილი გაურკვევლობის მაღალ ხარისხს და, შესაბამისად, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო დაშვებები, რომლებიც უკავშირდება ECL დონეს და მათ მინიჭებულ წონებს 2023 წლის 31 დეკემბერს შემდეგი იყო:

		მინიჭებული			დაშვება:
ცვლადი	სცენარი	წონა	2024	2025	2026
რეალური მშპ ზრდის ტემპი %	საბაზო	50%	5.00%	4.50%	5.00%
	ოპტ	25%	6.50%	5.50%	5.00%
	პესიმ	25%	3.00%	4.00%	5.00%
უძრავი ქონების ფასების ინდექსი ლარით (წწ)	საბაზო	50%	106.00	105.50	105.50
	ოპტ	25%	106.50	105.75	105.50
	პესიმ	25%	106.00	105.75	105.50
ლარი/აშშ დოლარის ნომინალური გაცვლითი კურსი (წწ)	საბაზო	50%	100.00	100.00	100.00
	ოპტ	25%	97.00	98.00	100.00
	პესიმ	25%	115.00	100.00	95.00
უმუშევრობა (%)	საბაზო	50%	16.71	16.71	16.46
	ოპტ	25%	16.46	16.21	15.96
	პესიმ	25%	17.96	18.46	17.96

CPI ინფლაცია ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ცვლადი აღმოჩნდა, რომელიც გავლენას ახდენს ECL-ზე ინდივიდუალურად შეფასებული 1 და 2 ეტაპის სესხებისთვის. ის არ გამოიყენება 2022 წელს. 2023 წელს ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ECL 3 ეტაპის სესხებს, ძირითადი გირაოს გაყიდვიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, შესაბამისად უძრავი ქონების ფასის ინდექსი ლარში და ლარი/დოლარის ნომინალური გაცვლითი კურსი არის მაღალი სტატისტიკური მნიშვნელობის მქონე შესაბამისი მაკროეკონომიკური ცვლადი. წინა წლებში დადგინდა, რომ ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსს მაღალი სტატისტიკური მნიშვნელობა აქვს დეფოლტის ალბათობაზე საცალო ვაჭრობის სეგმენტში, ხოლო 2023 წელს მშპ არის მაკროეკონომიკური ცვლადი ყველაზე მაღალი სტატისტიკური მნიშვნელობით დეფოლტის ალბათობაზე საცალო ვაჭრობის სეგმენტში.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

2022 წლის 31 დეკემბერს დაშვებები და მინიჭებული წონები შემდეგი იყო:

		მინიჭებული	დაშვება:		
ცვლადი	სცენარი	წონა	2023	2024	2025
რეალური მშპ ზრდის ტემპი %	საბაზო	50%	4.00%	5.50%	5.00%
	ოპტიმ	25%	6.00%	5.00%	5.00%
	პესიმ	25%	2.00%	4.00%	5.00%
უძრავი ქონების ფასების ინდექსი ლარით (წწ)	საბაზო	50%	107.00	105.50	105.50
	ოპტიმ	25%	108.00	105.50	105.50
	პესიმ	25%	110.00	108.00	105.50
ლარი/აშშ დოლარის ნომინალური გაცვლითი კურსი (წწ)	საბაზო	50%	100.00	100.00	100.00
	ოპტიმ	25%	98.00	100.00	100.00
	პესიმ	25%	115.00	95.00	95.00
უმუშევრობა (%)	საბაზო	50%	16.04	15.79	15.79
	ოპტიმ	25%	15.04	15.04	15.04
	პესიმ	25%	17.04	17.29	17.04

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

სპეციფიკურ მაკროეკონომიკურ სცენარებზე მინიჭებული წონების ცვლილება საკმაოდ შეზღუდულია პორტფელის მოცემულ შემადგენლობაში, კერძოდ, 10%-ით ცვლილება, რომელიც მინიჭებული აქვს საბაზო საპროგნოზო მაკროეკონომიკურ დაშვებებს. საბაზისო საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ვარაუდებში წონის ცვლილება 10%-ით პესიმისტურის მხარეს, ECL-ის 23 ათასი ლარით ზრდას გამოიწვევდა 2023 წლის 31 დეკემბერს (2023 წლის 31 დეკ: 203 ათასი ლარით) შესაბამისი ცვლილება ოპტიმისტურისკენ კი ECL-ს 35 ათასი ლარით შეამცირებდა 2023 წლის 31 დეკემბერს (2022 წლის 31 დეკემბერს: 79 ათასით)

დეფოლტის ალბათობის პროგნოზის 10% ზრდა 2023 წლის 31 დეკემბერს მთლიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვს347 ათასი ლარით გაზრდიდა (2022 წლის 31 დეკემბერს 582 ათასი). 2023 წლის 31 დეკემბერს დეფოლტის ალბათობის პროგნოზის 10%-იანი შემცირება მთლიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვს 358 ათასი ლარით შეამცირებდა (2022 წლის 31 დეკემბერს: 581 ათასი ლარით)

LGD პროგნოზის 10% ზრდა 2023 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 4,316 ათასი ლარით ზრდით დასრულდებოდა (2022 წლის 31 დეკ: 2,0373 ათასი) LGD პროგნოზის 10% შემცირება 2023 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 3,985 ათასი ლარით შემცირებით დასრულდებოდა (2022 წლის 31 დეკემბერი: 2,369 ათასი)

LGD ქვედა ზღვარს ბანკი იყენებს LGD ღირებულების წინასწარი შეფასებისთვის. LGD ქვედა ზღვარის 10%-იანი ზრდა ან კლება 2023 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 326 ათასი ლარით ზრდით ან კლებით დასრულდებოდა (2022 წლის 31 დეკ: 232 ათასი ლარით ზრდა ან კლება).

შენობა-ნაგებობების შეფასება. შენობა-ნაგებობები არის განცხადებული გადაფასებული თანხები, რომლებიც ექვემდებარება გადაფასებას საკმაო სიხშირით, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმისგან, რაც საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებით იქნებოდა მიღებული. 2021 წლის დეკემბერში შენობა-ნაგებობების გადაფასება განხორციელდა სამართლიანი ღირებულებით შემფასებელთა დამოუკიდებელი ფირმის მიერ. შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა შედარებითი გაყიდვების მიდგომას.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როდესაც დაწესებულება წააწყდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების სირთულეს. ჯგუფი ყოველდღიურად აწყდება მოთხოვნას ფულად რესურსებზე: ერთდღიან დეპოზიტებზე, მიმდინარე ანგარიშებზე, დაფარვის ვადას მიახლოებულ დეპოზიტებზე, სესხების ათვისებაზე, გარანტიებზე, მარჟაზე, ასევე სხვა მოთხოვნებს ფულით გაქვითვად წარმოებულ ინსტრუმენტებზე. ჯგუფს არ აქვს ფულადი რესურსები ყველა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რადგან გამოცდილება აჩვენებს, რომ დაფარვის ვადას მიახლოებულ სახსრებზე ახალი ინვესტიციის მინიმალური დონე შეიძლება წინასწარ განისაზღვროს მაღალი სიზუსტით. ლიკვიდობის რისკს ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების კომიტეტი მართავს.

ჯგუფი ლიკვიდობის რისკს მართავს „აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის“ და „ლიკვიდობის მართვის რეგულაციის“ შესაბამისად, რომლებშიც ლიკვიდობის მართვის დეტალური პროცესები და ლიმიტების სისტემაა აღწერილი. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე, ხოლო ლიკვიდობის ყოველდღიური მართვა ევალება ხაზინის დეპარტამენტს.

ჯგუფი ცდილობს, შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სხვა ბანკების წინაშე არსებული ვალდებულებებისგან, კორპორაციული და საცალო კლიენტების დეპოზიტებისგან. ჯგუფი სახსრების ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელებში, რათა სწრაფი და შეუფერხებელი რეაგირება ჰქონდეს გაუთვალისწინებელ ლიკვიდობის მოთხოვნებზე.

ჯგუფის მიერ ლიკვიდობის მართვა მოითხოვს ლიკვიდური აქტივების იმ დონის გათვალისწინებას, რომელიც აუცილებელია ვადადამდგარი ვალდებულებების შესასრულებლად, დაფინანსების სხვადასხვა წყაროს შესანარჩუნებლად, გაუთვალისწინებელი გეგმებისთვის სახსრების შესანარჩუნებლად და საზედამხედველო მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელი ლიკვიდობის კოეფიციენტების მონიტორინგისთვის.

ლიკვიდობა ცალკე ანგარიშდება და ფასდება. ბანკი ლიკვიდობის კოეფიციენტებს ანგარიშობს ყოველდღიურად, სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად. ეს კოეფიციენტებია:

- ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად: მაღალხარისხიანი ლიკვიდური აქტივები იყოფა წმინდა ფულადი ნაკადების გადინებებზე 30-დღიანი სტრესის პერიოდში. მაღალხარისხიან ლიკვიდურ აქტივებში შეტანილია მხოლოდ მაღალი პოტენციალის მქონე აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება ფულად.
- NSFR - განისაზღვრება, როგორც სტაბილური დაფინანსების თანხა საჭირო სტაბილურ დაფინანსებასთან ფარდობით;

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კოეფიციენტები შემდეგია:

	2023 ფაქტ	2023 სებ მოთხ	2022 ფაქტ	2022 სებ მოთხ
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი სულ	123%	>=100%	124%	>=100%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (GEL)	98%	>=75%	107%	>=75%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (FC)	166%	>=100%	138%	>=100%
NSFR	117%	>=100%	121%	>=100%

ხაზინის დეპარტამენტი იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის პროფილის შესახებ. შემდეგ დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ პორტფელს, რომელიც ძირითადად მოკლევადიანი ლიკვიდური სავაჭრო ფასიანი ქაღალდებისგან, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებისგან და სხვა ბანკთაშორისი სესხებისგან შედგება. ის უზრუნველყოფს, რომ მთელ ჯგუფს საკმარისი ლიკვიდობა უნარჩუნდება.

ხაზინის დეპარტამენტი ასრულებს ყოველდღიური ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს და აკეთებს რეგულარულ ლიკვიდობის სტრეს-ტესტირებას სხვადასხვა სცენარით როგორც ბაზრის ჩვეულებრივ, ისე მკაცრ პირობებში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობით. ვადიანობის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების ოდენობა სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია, მათ შორის მთლიანი ფინანსური ლიზინგის ვალდებულებები (მომავლის დაფინანსების ხარჯების გამოკლებამდე), მთლიანი სასესხო ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული თანხისგან, რადგან ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული თანხა დისკონტირებულ ფულად ნაკადებზეა აგებული. ფინანსური დერივატივები შეტანილია მისაღები ან გადასახდელი სახელშეკრულებო თანხებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფი მოელის, რომ დერივატივის პოზიციას მისი ვადიანობის თარიღამდე დახურავს. ასეთ შემთხვევაში დერივატივი შეტანილია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემთ	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	277,232	7,781	-	-	-	285,013
კლიენტთა ანგარიშები - ფიზ პირები	348,276	212,211	281,176	251,620	6,999	1,100,282
კლიენტთა ანგარიშები - სხვა	500,698	250,754	244,083	180,518	307	1,176,360
ნასესხები სახსრები	20,089	121,140	100,444	171,368	-	413,041
საიჯარო ვალდებულებები	364	1,764	2,064	12,336	1,536	18,064
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	76,786	-	315	-	-	77,101
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,755	203	3	-	-	3,961
სუბორდინირებული ვალი	941	2,388	4,294	41,751	113,051	162,425
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**1,228,141**	**596,241**	**632,379**	**657,593**	**121,893**	**3,236,247**
ფინანსური გარანტიები	220,665	-	-	-	-	220,665
აუთვისებელი საკრედიტო ვალდებულებები	316,029	-	-	-	-	316,029
აკრედიტივები	1,462	-	-	-	-	1,462
ფინანსური ვალდებულებების პოტენციური სამომავლო დაფარვა სულ	**1,766,297**	**596,241**	**632,379**	**657,593**	**121,893**	**3,774,403**

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის ანალიზი ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	304,480	-	7,245	-	-	311,725
კლიენტთა ანგარიშები - ფიზ პირები	376,733	228,297	229,131	96,144	7,778	938,083
კლიენტთა ანგარიშები - სხვა	610,245	263,397	128,273	75,234	7,888	1,085,037
ნასესხები სახსრები	20,727	45,036	104,159	204,601	-	374,523
საიჯარო ვალდებულებები	338	1,679	2,006	14,891	2,519	21,433
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	1,478	-	1,714	-	-	3,192
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,524	791	543	-	-	5,858
სუბორდინირებული ვალი	-	1,912	2,884	31,497	49,521	85,814
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**1,318,525**	**541,112**	**475,955**	**422,367**	**67,706**	**2,825,665**
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ბრუტო ანგარიშსწორება:						
სავალუტო სვოპები	-	(70,857)	-	-	-	(70,857)
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სულ	-	(70,857)	-	-	-	(70,857)
ფინანსური გარანტიები	106,590	-	-	-	-	106,590
აუთვისებელი საკრედიტო ვალდებულებები	258,522	-	-	-	-	258,522
აკრედიტივები	564	-	-	-	-	564
ფინანსური ვალდებულებების პოტეციური სამომავლო დაფარვა სულ	**1,684,201**	**470,255**	**475,955**	**422,367**	**67,706**	**3,120,484**

გარანტიებზე მოთხოვნის და აკრედიტივების მხარდამჭერი ლიკვიდობის მოთხოვნები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ზემოთ მოყვანილ ვადიანობის ანალიზში მოცემული ვალდებულების ოდენობა, რადგან ჯგუფი ზოგადად არ მოელის, რომ მესამე მხარე შეთანხმების ფარგლებში მოახდენს სახსრების გატანას. კრედიტის გაცემის ვალდებულების მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო თანხა, რომელიც ზემო ცხრილშია მოცემული, არ წარმოადგენს მომავლის მოთხოვნას ფულზე, რადგან ამ ვალდებულებებიდან ბევრს ვადა გაუვა ან შეწყდება დაფინანსების გარეშე.

ბრუტო ფორვარდებთან დაკავშირებული გადახდებს თან ახლავს შესაბამისი ფულადი ნაკადები. კლიენტთა ანგარიშები ზემოთ მოყვანილ ანალიზში მოცემულია სახელშეკრულებო ვადიანობით. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ, მათი დეპოზიტები გამოიტანონ ვადის დადგომამდე, თუ უარს იტყვიან მათ უფლებაზე, ისარგებლონ დაგროვილი პროცენტით.

ჯგუფი ლიკვიდობის სამართავად არ იყენებს ზემოთ მოყვანილ ვადიანობის ანალიზს ვალდებულებების არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით. ამის ნაცვლად, ჯგუფი აკვირდება მოსალოდნელ ვადიანობებს და საბოლოო მოსალოდნელ ლიკვიდობის გეპს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია არაწარმოებული ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი საბალანსო ღირებულებით მათი სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით, გარდა აქტივებისა, რომლებიც მზა სახით იყიდება, თუ საჭიროა ფინანსურ ვალდებულებებზე ფულის გადინების დაფარვა.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ასეთი ფინანსური აქტივები შეტანილია ვადიანობის ანალიზში, რომელიც ემყარება მათი გასხვისების მოსალოდნელ თარიღს. გაუფასურებული სესხები შეტანილია საბალანსო ღირებულებით გარდა გაუფასურების რეზერვებისა, და ემყარება ფულის შემოდინების მოსალოდნელ დროით პერიოდს. როცა გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაანგარიშდება სპოტ კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის ანალიზი ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
31 დეკემბერს, 2023						
არაწარმოებული ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	283,174	835	-	-	-	284,009
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	184,600	-	-	-	-	184,600
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	-	6,343	9,084	-	15,427
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	18,666	106,675	10,802	210,428	31,890	378,461
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	270,270	231,405	328,128	952,526	711,641	2,493,970
კლიენტებზე გაცემული ფინანსური ლიზინგი	18	1,285	1,256	23,453	124	26,136
გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები	74,617	-	357	-	-	74,974
სხვა ფინანსური აქტივები	2,271	-	-	-	-	2,271
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**833,616**	**340,200**	**346,886**	**1,195,491**	**743,655**	**3,459,848**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	277,084	7,782	-	-	-	284,866
კლიენტთა ანგარიშები - ფიზ პირები	68,374	230,955	292,141	315,873	150,119	1,057,462
კლიენტთა ანგარიშები - სხვა	65,522	262,532	294,374	333,106	179,376	1,134,910
ნასესხები სახსრები	19,483	113,355	92,137	157,369	-	382,344
საიჯარო ვალდებულებები	304	1,490	1,765	10,974	1,437	15,970
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	76,651	-	450	-	-	77,101
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,755	203	3	-	-	3,961
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	13,514	92,869	106,383
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**511,173**	**616,317**	**680,870**	**830,836**	**423,801**	**3,062,997**
ფინანსური და ეფექტიანობის გარანტიები	502	-	-	-	-	502
კრედიტთან დაკავშირებული აუთვისებელი ვალდებულებები	1,462	-	-	-	-	1,462
აკრედიტივები	31,603	-	-	-	-	31,603
წმინდა ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობის მიხედვით	**288,876**	**(276,117)**	**(333,984)**	**364,655**	**319,854**	**363,284**
კუმულაციური ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**-**	**12,759**	**(321,225)**	**43,430**	**363,284**	**-**

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადიანობის ანალიზი ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
31 დეკემბერს, 2022						
არაწარმოებული ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	277,680	388	-	-	-	278,068
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	218,587	-	-	-	-	218,587
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	677	11,917	-	-	12,594
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებშ	170,677	58,859	40,439	108,973	15,415	394,363
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	55,275	314,280	289,500	901,417	526,305	2,086,777
კლიენტებზე გაცემული ფინანსური ლიზინგი	4	53	489	16,671	463	17,680
გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები	430	72	1,972	-	-	2,474
სხვა ფინანსური აქტივები	3,349	-	-	-	135	3,484
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**726,002**	**374,329**	**344,317**	**1,027,061**	**542,318**	**3,014,027**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	303,462	-	7,245	-	-	310,707
კლიენტთა ანგარიშები - ფიზ პირები	71,792	242,161	234,063	135,267	227,182	910,465
კლიენტთა ანგარიშები - სხვა	45,521	303,225	150,932	200,959	349,637	1,050,274
ნასესხები სახსრები	20,075	52,648	83,232	186,982	-	342,937
საიჯარო ვალდებულებები	235	1,364	1,652	13,072	2,253	18,576
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	1,491	127	1,574	-	-	3,192
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,524	791	543	-	-	5,858
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	13,577	43,356	56,933
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**447,100**	**600,316**	**479,241**	**549,857**	**622,428**	**2,698,942**
ფინანსური და ეფექტიანობის გარანტიები	154	-	-	-	-	154
კრედიტთან დაკავშირებული აუთვისებელი ვალდებულებები	25,852	-	-	-	-	25,852
აკრედიტივები	564	-	-	-	-	564
წმინდა ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**252,332**	**(225,987)**	**(134,924)**	**477,204**	**(80,110)**	**288,515**
კუმულაციური ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**-**	**26,345**	**(108,579)**	**368,625**	**288,515**	**-**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები						
ბრუტო ანგარიშსწორება:						
სავალუტო სვოპები	-	(70,857)	-	-	-	(70,857)
სავალუტო სვოპები	-	70,286	-	-	-	70,286
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სულ	**-**	**(571)**	**-**	**-**	**-**	**(571)**
წმინდა ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**252,332**	**(226,558)**	**(134,924)**	**477,204**	**(80,110)**	**287,944**
კუმულაციური ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**-**	**25,774**	**(109,150)**	**368,054**	**287,944**	**-**

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალდებულო რეზერვი სებ-ში მოთხოვნამდე კატეგორიად კლასიფიცირდება მათი შექმნისას, რათა ბანკმა შეძლოს ვალდებულებების შესრულება ფულადი ნაკადების გაუთვალისწინებელი წყვეტის შემთხვევაში. 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული აქტივები აისახება „5 წელზე მეტის“კატეგორიაში.

„ფინანსური და ეფექტიანობის გარანტიების“ თანხები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები აისახება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით. მოსალოდნელია საკრედიტო ხაზების მთლიანი ვალდებულებების 10%-ის ათვისება და მათი გამჟღავნება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინების კატეგორიაში. კლიენტთა ანგარიშების მოსალოდნელი ვადიანობა ანგარიშდება VaR მეთოდოლოგიით; გადინების სიდიდეები ანგარიშდება 95% დარწმუნების ინტერვალით თითეული დროითი პერიოდისთვის.

ჯგუფის მენეჯმენტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობების და საპროცენტო განაკვეთების თანხვედრას და/ან კონტროლირებულ შეუსაბამობას. ბანკებისთვის უჩვეულოა ბოლომდე თანხვედრა, რადგან ბიზნეს-ტრანზაქციები ხშირად განუსაზღვრელივადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიციამ შეიძლება გაზარდოს მომგებიანობა, მაგრამ შეიძლება ასევე გაზარდოს დანაკარგების რისკი. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა და ვადადამდგარი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებების მისაღები ღირებულებით ჩანაცვლების შესაძლებლობა ჯგუფის ლიკვიდობის და საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსების ცვლილებებისადმი მისი პოზიციის შეფასების მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კლიენტთა ანგარიშების დიდი ნაწილი მოთხოვნამდე ხასიათისაა, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია მეანაბრეების რაოდენობის და ტიპების მიხედვით და ჯგუფის წარსული გამოცდილება იმას ადასტურებს, რომ ამ კლიენტთა ანგარიშები ჯგუფის დაფინანსების გრძელვადიანი და სტაბილური წყაროა.

32 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის ამოცანებია: 1) სებ-ის მიერ დადგენილი კაპიტალის მოთხოვნების შესრულება, 2) დაიცვას ჯგუფის უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და 3) შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა, რათა მიაღწიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს ბაზელის შეთანხმების თანახმად, სულ მცირე ნასესხები სახსრების შეთანხმებებში მითითებული მინიმალური დონის ზემოთ.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის დაცვა ყოველდღიურად კონტროლდება. შესაბამის ანგარიშებს, რომელშიც ამ კოეფიციენტების გაანგარიშებაა ახსნილი, იხილავს და ხელს აწერს გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების სფეროში. კაპიტალის მართვის სხვა ამოცანები ყოველკვარტალურად ფასდება.

ბაზელი 3-ის სისტემაზე გადასვლის პროცესში, გამჭვირვალობის და შედარებითობის გაზრდის მიზნით და არსებული კაპიტალის ინსტრუმენტების სეგრეგაციისთვის, ასევე შესაძლო რისკების დასაფარად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) 2017 წლის დეკემბერში ცვლილებები შეიტანა კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებში და პილარი 1-ით გათვალისწინებულ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნასთან ერთად შემოიღო ახალი პილარი 1 და პილარი 2-ის ბუფერები:

32 კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

პილარი 1-ის ბუფერები:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5%; მისი მიზანია სტრესის შემთხვევაში დანაკარგების გადაფარვა; მანამდე მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებში იყო შეტანილი;
- კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი - შემოღებულ იქნა ბაზელი 3-ის სისტემით და მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია; ამჟამად მისი განაკვეთი 0%-ია.
- სისტემური ბუფერები - ცალცალკე წესდება თითო კომერციული ბანკისთვის, რომელიც სისტემისთვის მნიშვნლოვან ბანკად მიიჩნევა (არ ეხება ბაზისბანკს).

პილარი 2-ის ბუფერები:

- არაჰეჯირებული სავალუტო რისკის ბუფერი (CICR)
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი, რომელსაც თან ახლავს სახელის და სექტორული კონცენტრაციის ბუფერები;
- წმინდა სტრესტესტის ბუფერი, რომელიც შემოღებული იქნება სებ-ის მიერ ადმინისტრირებული სტრესტესტის შედეგების მიხედვით;
- წმინდა GRAPE ბუფერი, რომელიც სებ-ის რისკების შეფასების გენერალური პროგრამის და ბანკის შიდა კაპიტალის მოთხოვნის შეფასების მიხედვით დაწესდა;

სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ამჟამად არსებული მოთხოვნების თანახმად, ბანკები ვალდებული არიან შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი (კაპიტალის კოეფიციენტი) გაწერილი მინიმალური დონის ზემოთ.

სებ-ში წარდგენილი Pillar 3 კვარტალური ანგარიშების თანახმად, კაპიტალის კოეფიციენტებია:

ათასი ლარი	**2023 Pillar I/II**	**2022 Pillar I/II**
პირველადი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	17,092	17,215
საემისიო შემოსავალი	101,066	102,555
სხვა რეზერვი	2,606	0
გაუნაწილებელი მოგება	299,494	189,397
გადაფასების რეზერვი	11,085	13,936
მიმდინარე წლის მოგება	71,959	53,210
პირველადი კაპიტალი კორექტირებამდე	**503,302**	**376,313**
პირველადი კაპიტალის კორექტირება	(26,873)	(22,446)
პირველადი კაპიტალი სულ კორექტირების შემდეგ	**476,429**	**353,867**
მეორადი კაპიტალი		
სუბორდინირებული ვალები	96,933	51,210
საერთო რეზერვი	-	31,668
მეორადი კაპიტალი სულ	**96,933**	**82,878**
საზედამხედველო კაპიტალი სულ	**573,362**	**436,745**

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებს	3,155,794	2,707,680
სებ-ის მინიმალური მოთხოვნა პირველად კოეფიციენტზე	**14.02%**	**11.42%**
პირველადი კოეფიციენტი	**15.10%**	**13.07%**
სებ-ის მინიმალური მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტზე	**17.13%**	**14.99%**
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	**18.17%**	**16.13%**

33 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა რამდენიმე გადაუჭრელი სამართლებრივი დავა (შვილობილი კომპანიების წინააღმდეგ არავითარი სამართლებრივი დავა). ბანკის იურიდიული მრჩევლის მოსაზრებაა, რომ შესაძლებელია, მაგრამ არა სავარაუდო, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მომჩივანთა სასარგებლოდ შეიძლება გამოიტანოს. შესაბამისად, წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არცერთი დავის რეზერვი არ არის შექმნილი. შესაძლო გადინება, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ სამართალწარმოებას, სასამართლო პროცესის მიმდინარე სტატუსზე დაყრდნობით, შეფასებულია 2,152 ათას ლარად (2022: 2,652 ათასი ლარი), ხოლო გადინების დრო გაურკვეველია.

გაუთვალისწინებელი საგადასახადო სიტუაციები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც შემუშავდა, ან ძირითადად შემუშავდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, როცა ჯგუფის ტრანზაქციებსა და საქმიანობას მიესადაგება. შესაბამისად, მენეჯმენტის მხრიდან გადასახადებთან და თანმხლებ ოფიციალურ დოკუმენტებთან დაკავშირებით დაკავებულ პოზიციას საგადასახადო ორგანოები შეიძლება არ დაეთანხმონ. საგადასახადო წელიწადი მიყოლებით სამი კალენდარული წლის განმავლობაში ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ. თუმცა, გარკვეულ სიტუაციებში, საგადასახადო წელიწადი შეიძლება უფრო დიდხანს დარჩეს ღიად.

საგადასახადო ორგანოები ბანკს ამოწმებდა 2015 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 31 აგვისტომდე საგადასახადო პერიოდით. საგადასახადომ დასვა კითხვები გარკვეულ საკითხებზე, ბანკი არ დაეთანხმა მათ შეფასებებს და მიმართა სასამართლოს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათ შორის კამათი მოგვარებული არ იყო. საგადასახადო ინსპექტირება დასრულდა. შემოწმების შემდეგ გაკეთებული დარიცხვები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. 2023 წელს ბანკმა შექმნა 581 ათასი ლარის ოდენობის რეზერვი (2022: 581 ათასი) პოზიციებისთვის, სადაც მოსალოდნელია, რომ ბანკს დამატებითი გადახდები მოუწევს. სადავო თანხის დარჩენილი ნაწილისთვის, ჯგუფის მენეჯმენტს სჯერა, რომ ბანკს მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება, ამიტომ რეზერვები არ შექმნილა.

საქართველოს კანონი ტრანსფერ ფრაისინგის შესახებ ძირითადად „ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) მიერ შემუშავებული საერთაშორისო ტრანსფერ ფრაისინგის პრინციპების შესაბამისია, თუმცა სპეციფიკური მახასიათებლებიც აქვს. ეს კანონმდებლობა ითვალისწინებს კონტროლირებად ტრანზაქციებზე დამატებითი საგადასახადო შეფასების შესაძლებლობას (დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები და გარკვეული ტრანზაქციები ურთიერთდაუკავშირებულ მხარეებს შორის), თუ ასეთი ტრანზაქციები არ არის მხარეთა დამოუკიდებლობის და თანაბრობის, ანუ „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპის შესაბამისი. ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მენეჯმენტმა განახორციელა შიდა კონტროლი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებების შესრულება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფინანსურ პოზიციაზე, თუ ეს ორგანოები წარმატებით შეასრულებდნენ ამ ინტერპრეტაციებს. ჯგუფი რეგულარულად მართავს კონსულტაციებს კვალიფიციურ მოწვეულ საგადასახადო მრჩევლებთან.

ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებით. 2023 წლის 31 დეკემბერს ჯგუფს აქვს საკონტრაქტო კაპიტალური ხარჯების ვალდებულებები: ესაა საინვესტიციო ვალდებულება ჰუალინგის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონიდან ახლად შეძენილი მიწისა და შენობების განვითარებასა და რეკონსტრუქციაზე 2022 წლის 01 დეკემბრის ხელშეკრულებით. ვალდებულება წარმოიშვა ხელშეკრულებიდან, რომელიც ცვლის ჰუალინგის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონისთვის მთავრობის მიერ დაკისრებულ 2015 წლის 21 ივლისის საინვესტიციო ვალდებულებას, როგორც იმავე აქტივებზე მიწისა და შენობის პრივატიზების პირობას. ბაზისბანკსა და საერთაშორისო სპეციალურ ეკონომიკურ ზონას შორის გაფორმებული ნასყიდობის

33 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ხელშეკრულებით, აქტივის განვითარებაზე ვალდებულება ბანკს გადაეცა მთავრობის 2022 წლის 23 იანვრის N161 დადგენილებით. საინვესტიციო ვალდებულება სამშენებლო სამუშაოების დასრულებასა და შენობის ექსპლუატაციაში გაშვებას 2024 წლის 28 ოქტომბრამდე ითვალისწინებს და 4 მილიონ ლარს შეადგენს.

ჯგუფმა უკვე გამოყო საჭირო რესურსები აღნიშნულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

იჯარის ვალდებულებები. როდესაც ჯგუფი არის მოიჯარე, მომავალი მინიმალური იჯარის გადასახადები არაგაუქმებადი საოპერაციო იჯარით არის შემდეგი:

ათასი ლარი	**2023**	**2022**
არაუგვიანეს 1 წლისა	192	39
საოპერაციო იჯარის ვალდებულებები სულ	**192**	**39**

ჯგუფს საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულებებით აღებული აქვს რამდენიმე შენობის ნაწილი აღჭურვილობის (ბანკომატების) განთავსების მიზნით, რაც არაა შეტანილი გამოყენების უფლების მქონე აქტივების მუხლში. ლიზინგის თავდაპირველი ვადა, როგორც წესი, 1-დან 5 წლამდე პერიოდია, განახლების შესაძლებლობით. ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით, იჯარის გადახდები წლიდან წლამდე როგორც წესი იზრდება.

საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობების (კოვენანტების) შესრულება. ჯგუფი ვალდებულია შეასრულოს ფინანსური კოვენანტები სხვა ნასესხებ სახსრებთან და ზემოთ გამოქვეყნებულ საკრედიტო ხაზებთან დაკავშირებით. ეს კოვენანტები მოიცავს სავალდებულოდ შესასრულებელ კოეფიციენტებს, ვალის კაპიტალითან შეფარდების კოეფიციენტებს და ფინანსური ეფექტიანობის სხვადასხვა კოეფიციენტს. 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფს არცერთი ეს კოვენანტი არ დაურღვევია, გარდა BB ლიზინგის მიერ დარღვეული კოვენანტისა, რომელზეც განმარტება 19 -ში ვისაუბრეთ რა რომელზეც წლის ბოლოს შემდეგ კრედიტორისგან მიღებულია ვეივერი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს დარღვეული ჰქონდა რამდენიმე კოვენანტი, რომელზეც წლის ბოლომდე კრედიტორებისგან მიღებული ჰქონდა ვეივერი.

ბანკი ასევე ასრულებს სასესხო შეთანხმებების კოვენანტებით გათვალისწინებულ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს, მათ შორისო კაპიტალის ადეკვატურობის დონეს, რომელიც გაანგარიშებულია ბაზელის შეთანხმების მოთხოვნების თანახმად, როგორც ეს განსაზღვრულია კაპიტალის გაანგარიშების და კაპიტალის სტანდარტების საერთაშორისო კონვერგენციით (განახლდა 1998 წლის აპრილში) და „ბაზელის შეთანხმების“ გადამუშავებულ ვერსიაში, რომელშიც შეიტანეს საბაზრო რისკები (განახლდა 2005 წლის ნოემბერში), და ბაზელი I-ის სახელითაა ცნობილი.

33 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ბაზელის კაპიტალის შეთანხმების მიხედვით გაანგარიშებული ბანკის კაპიტალის შემადგენლობა ასეთია:

ათასი ლარი	**31 დეკ, 2023**	**31 დეკ, 2022**
პირველადი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი და საემისიო შემოსავალი	121,817	118,157
გაუნაწილებელი მოგება	370,362	307,146
მთლიანი პირველადი კაპიტალი	**492,179**	**425,303**
მეორადი კაპიტალი		
გადაფასების რეზერვები	10,669	14,342
სუბორდინირებული ვალი	85,106	45,546
მთლ მეორადი კაპიტალი	**95,775**	**59,888**
მთლიანი კაპიტალი	**587,954**	**485,191**

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები. ამ ინსტრუმენტების ძირითადი მიზანი იმის უზრუნველყოფაა, რომ როცა დასჭირდება, კლიენტზე გასაცემი სახსრები არსებობს. გარანტიები და standby აკრედიტივები წარმოადგენს იმის მყარ გარანტიას, რომ კლიენტის მიერ მესამე მხარისთვის წინაშე არსებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჯგუფი განახორციელებს გადახდებს. გარანტიებს და standby აკრედიტივებს იგივე საკრედიტო რისკი აქვს, რაც სესხებს. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივები არის ჯგუფის მიერ კლიენტის სახელზე დაწერილი პირობები, რომელიც მესამე მხარეს უფლებას აძლევს, გაიტანოს ჯგუფიდან თანხები გარკვეულ ლიმიტამდე და გარკვეული პირობებით. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივების უზრუნველყოფად ითვლება საქონლის ის პარტია, რომლებსაც ისინი ეხება ან ფულადი დეპოზიტები და ამიტომ ნაკლები რისკი აქვს, ვიდრე პირდაპირ სესხებას.

33 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კრედიტის გაცემის ვალდებულება წარმოადგენს კრედიტის გაცემის ავტორიზაციის მიცემის გამოუყენებელ ნაწილს სესხების, გარანტიების ან აკრედიტივების ფორმით. რაც შეეხება კრედიტის გაცემის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს, ჯგუფის წინაშე შესაძლოა იდგას ზარალის რისკი იმ ოდენობით, რომელიც უდრის მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებას, თუ აუთვისებელი თანხები ათვისებული უნდა ყოფილიყო. თუმცა, ზარალის შესაძლო ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებაზე, რადგან კრედიტის გაცემის ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია კლიენტების მიერ კრედიტის კონკრეტული სტანდარტების დაცვაზე.

ჯგუფი აკვირდება კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების ვადის დადგომამდე დარჩენილ პერიოდს, რადგან შედარებით გრძელვადიან ვალდებულებებს ზოგადად მეტი საკრედიტო რისკი აქვს, ვიდრე შედარებით მოკლევადიანებს.

კრედიტთან დაკავშირებული დაუფარავი ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	**31 დეკ, 2023**	**31 დეკ, 2022**
გაცემული ფინანსური გარანტიები	221,065	106,710
აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	316,594	259,071
სასესხო ვალდებულებები სულ	**537,659**	**365,781**
გამოკლ: ფინანსური გარანტიების რეზერვი	(400)	(120)
გამოკლ: სასესხო ვალდებულებების რეზერვი	(564)	(558)
გამოკლ: ფულადი დეპოზიტებით უზრუნველყოფილი ვალდებულება	(47,151)	(16,993)
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები სულ, რეზერვების და ფულით დაფარული პოზიციების გარდა	**489,544**	**348,110**

33 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებების ანალიზი კრედიტის ხარისხის მიხედვით საკრედიტო ქულებზე დაყრდნობით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	**ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)**	**ეტაპი 2 (არს.მთლ..პერ. ECL SICR-ისთვის)**	**ეტაპი 3 (არს.მთ. პერ. ECL კრედ. გაუფას.)**	**სულ**
გაცემული ფინანსური გარანტიები				
- ძალიან კარგი	42,318	-	-	42,318
- კარგი	172,237	-	-	172,237
- დამაკმაყოფილებელი	-	5,379	-	5,379
- დეფოლტი	-	-	1,131	1,131
არაღიარებული ბრუტო თანხა	**214,555**	**5,379**	**1,131**	**221,065**
ფინანსური გარანტიების რეზერვი	(303)	(82)	(15)	(400)
სასესხო ვალდებულებები				
- ძალიან კარგი	20,183	-	-	20,183
- კარგი	295,628	-	-	295,628
- დამაკმაყოფილებელი	-	206	-	206
- სპეც მონიტორინგს დაქვემდ	-	12	-	12
- დეფოლტი	-	-	565	565
არაღიარებული ბრუტო თანხა	**315,811**	**218**	**565**	**316,594**
სასესხო ვალდებულებების რეზერვი	**(562)**	**(2)**	**-**	**(564)**

33 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

Aიკრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებების ანალიზი კრედიტის ხარისხის მიხედვით საკრედიტო ქულებზე დაყრდნობით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ..პერ. ECL SICR-ისთვის)	ეტაპი 3 (არს.მთ. პერ. ECL კრედ. გაუფას.)	სულ
გაცემული ფინანსური გარანტიები				
- ძალიან კარგი	16,005	-	-	16,005
- კარგი	88,180	-	-	88,180
- დამაკმაყოფილებელი	-	2,525	-	2,525
არაღიარებული ბრუტო თანხა	**104,185**	**2,525**	**-**	**106,710**
ფინანსური გარანტიების რეზერვი	(104)	(16)	-	(120)
სასესხო ვალდებულებები				
- ძალიან კარგი	99,743	-	-	99,743
- კარგი	157,651	-	-	157,651
- დამაკმაყოფილებელი	-	1,455	-	1,455
- სპეც მონიტორინგს დაქვემდ	-	18	-	18
- დეფოლტი	-	-	204	204
არაღიარებული ბრუტო თანხა	**257,394**	**1,473**	**204**	**259,071**
სასესხო ვალდებულებების რეზერვი	**(554)**	**(4)**	**-**	**(558)**

კლიენტებზე გაცემული საკრედიტო ხაზები, რომლებიც მე-3 კატეგორიაში მოექცა საანგარიშო თარიღისთვის და ჰქონდა აუთვისებელი საკრედიტო ხაზები ამ თარიღის ბოლოს, ამავე კატეგორიაში მოექცა, მაგრამ არ აქვს ამ თანხების ათვისების უფლება, სანამ დეფოლტშია.

ჯგუფის მიერ გამოყენებული საკრედიტო რისკების კატეგორიების და ECL მიდგომით გაანგარიშების შესახებ ინფორმაციისთვის, ასევე კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან მიმართებაში დეფოლტის და SICR-ის განსაზღვრების შესახებ იხ. განმარტება 31.

აუთვისებელი საკრედიტო ხაზების, აკრედიტივების და გარანტიების მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო თანხა არ წარმოადგენს მომავლის მოთხოვნებს ფულზე, რადგან ეს ფინანსური ვალდებულებები შეიძლება ისე შეწყდეს ან გაუვიდეს ვადა, რომ არ იქნას დაფინანსებული. კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 1,853 ათასი ლარი (2022: 1,501 ათასი ლარი).

33 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ეფექტიანობის გარანტიები. ეფექტიანობის გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტებით საკრედიტო რისკის გადაცემა არ ხდება. ეფექტიანობის გარანტიების კონტრაქტში არსებული რისკი იმის შესაძლებლობაში მდგომარეობს, რომ დაზღვეული მოვლენა (ანუ სხვა მხარის მიერ საკონტრაქტო ვალდებულების შეუსრულებლობა) მოხდება. ჯგუფის წინაშე მდგარი მთავარი რისკები ამ კონტრაქტებით გათვალისწინებული დაფარვების სიხშირის და სიმძიმის მნიშვნელოვანი ცვლილებებებია, მოლოდინთან შედარებით. ასეთი დაფარვების პროგნოზირებისთვის ჯგუფი იყენებს ისტორიულ მონაცემებსა და სტატისტიკურ მეთოდებს. მოთხოვნების წაყენება ხელშეკრულების ვადის დადგომამდე უნდა მოხდეს. ამ მოთხოვნების უმეტესობის დაკმაყოფილება მოკლე ვადაში ხდება. ეს ჯგუფს საშუალებას მაღალი ხარისხის სიზუსტით განსაზღვროს მოსალოდნელი დაფარვები და შესაბამისად, მომავალი ფულადი ნაკადები. ჯგუფი ასეთ რისკებს მართავს ასეთ პროდუქტებზე დაფარვების მუდმივად დაკვირვებით და საშუალება აქვს მომავალში მისი საკომისიოების კორექტირება მოახდინოს და ამაში ასახოს მოთხოვნების დაკმაყოფილების გამოცდილებაში მომხდარი ცვლილება. ჯგუფს აქვს მოთხოვნების დაკმაყოფილების თხოვნების მართვის პროცესები, რომლებიც გულისხმობს მოთხოვნის განხილვის და თაღლითური ან შეუსაბამო თხოვნების დაუარების უფლებას.

ეფექტიანობის გარანტიების პოზიცია და კონცენტრაცია, გამოხატული გარანტირებული თანხებით, ასეთია:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
მშენებლობა	36,986	24,625
უძრავი ქონების მართვა და დეველოპმენტი	3,996	1,509
მომსახურება	2,311	1,368
ენერგეტიკა	1,494	1,106
ვაჭრობა	796	528
ფინანსური ინსტიტუტები	-	239
სხვა	13,312	5,525
გარანტირებული თანხები სულ	**58,895**	**34,900**

ეფექტიანობის გარანტიების რეზერვების ცვლილება ასეთია:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	**(35)**	**(200)**
გაცემული ეფექტიანობის გარანტიების თავდაპირველი აღიარება	(81)	(24)
რეზერვის გამოყენება	14	188
უცხ ვალ ცვლილებები	-	1
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	**(102)**	**(35)**

33 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გირაოში ჩადებული და შეზღუდული აქტივები. ჯგუფს ჰქონდა გირაოში ჩადებული აქტივები შემდეგი საბალანსო ღირებულებით:

		დეკ 31, 2023		დეკ 31, 2022	
ათასი ლარი	განმ	გირ ჩად აქტ	დაკავშ ვალდებ	გირ ჩად აქტ	დაკავშ ვალდებ
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში FVOCI	10, 17	101,548	89,900	115,429	68,636
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში AC	10	23,670	20,000	76,877	133,321
სებ-ში დაფლეჯილი იპოთეკური სესხების პორტფელი		81,490	65,100	109,739	58,044
სებ-ში დაფლეჯილი SME სესხების პორტფელი		-	-	28,246	28,000
სულ		**206,708**	**175,000**	**330,291**	**288,001**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეზღუდული ფულადი ნაშთები არის 134 ათასი ლარის ნაშთები (2022: 135 ათასი ლარის), რომლებიც განთავსებულია საერთაშორისო საგადახდო ბარათებით ტრანზაქციების უზრუნველყოფად. ამასთან, 2023 წელს სებ-ში რიცხული სავალდებულო ფულადი ნაშთები 184,600 (2022: 219,063 ათასი) წარმოადგენს სავალდებულო რეზერვების დეპოზიტს, რომლებიც ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არაა გამოყოფილი, როგორც ეს განმარტება 8-შია მოცემული.

34 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება

სამართლიანი ღირებულების იერარქიული დონის მიხედვით, სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ტარდება შემდეგი სახით: (1) 1-ლი დონე გულისხმობს მოქმედ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტორებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს, (2) მე-2 დონის გაანგარიშებები წარმოადგენს შეფასების ტექნიკას, რომლებიც იყენებს აქტივებზე ან ვალდებულებებზე პირდაპირ (ანუ ფასების) ან არაპირდაპირ (ანუ, ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვების ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (3) მე-3 დონის შეფასებები ის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვების საბაზრო მონაცემებს (ანუ ეფუძნება არადაკვირვების მონაცემებს). ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიების განსაზღვრისას მენეჯმენტი იყენებს შეფასებას სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება ისეთი დაკვირვების მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს, ამგვარი შეფასება მე-3 დონის შეფასებაა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა განისაზღვრება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების მიხედვით.

2023 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ან გამჟღავნებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მთლიანობაში კლასიფიცირდა მონაცემთა ყველაზე დაბალი დონით, რაც მნიშვნელოვანია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისთვის.

(ა) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებები

აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებები ის შეფასებებია, რომელთა განხორციელებაც სავალდებულო ან ნებადართულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. სამართლიანი ღირებულების იერარქიაში სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებები შემდეგ დონეებზე კატეგორიზდება:

34 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

	31 დეკ, 2023				31 დეკ, 2022			
ათასი ლარი	**დონე 1**	**დონე 2**	**დონე 3**	**სულ**	**დონე 1**	**დონე 2**	**დონე 3**	**სულ**
აქტივები სამართლიანი ღირებულებით								
ფინანსური აქტივები								
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში								
- საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	-	157,726	-	157,726	-	146,235	-	146,235
					-	-		
არაფინანსური აქტივები					-	-		
- შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა	-	-	58,874	58,874	-	-	59,263	59,263
მთლიანი აქტივები სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებით	-	**157,726**	**58,874**	**216,600**	**-**	**146,235**	**56,139**	**202,374**

დამოუკიდებელმა შემფასებელმა გამოიყენა საბაზრო შესადარებელი აქტივების ღირებულების ნაგებობები და, სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მონაცემები მე-3 დონის გაანგარიშებისთვის. ამ მონაცემების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე მგრძნობელობა 2023 წლის 31 დეკემბერსა და 2022 წლის 31 დეკემბერს არის შემდეგი:

	სამართლიანი ღირებულება 31 დეკემბერს				
ათასი ლარი	**2023**	**2022**	**შეფასების მეთოდი**	**გამოყენებული ამოსავალი მონაცემები**	**დაუკვირვებადი მონაცემების კავშირი სამართლიან ღირებულებასთან**
აქტივები სამართლიანი ღირებულებით					
არაფინანსური აქტივები					
- შენობა-ნაგებობები	58,874	59,263	- - ბაზრის შედარებადი მიდგომა	- კვ.მ-ის ფასი	რაც უფრო მაღალია ფასი კვადრატულ მეტრზე, მით უფრო მაღალია სამართლიანი ღირებულება და რაც უფრო დაბალია დისკონტის განაკვეთი, მით უფრო მაღალია სამართლიანი ღირებულება.
მთლიანი პერიოდული სამართლიანი ღირებულების შეფასება მესამე დონეზე	**58,874**	**59,263**			

34 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

(ბ)აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულებაც მჟღავნდება;

სამართლიანი ღირებულების ანალიზი იერარქიების დონეების მიხედვით და აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც არ შეფასებულა სამართლიანი ღირებულებით, შემდეგია:

	31 დეკ, 2023				31 დეკ, 2022			
ათასი ლარი	დონე 1 სამ ღირ	დონე 2 სამ ღირ	დონე 3 სამ ღირ	საბალ ღირ	დონე 1 სამ ღირ	დონე 2 სამ ღირ	დონე 3 სამ ღირ	საბალ ღირ
აქტივები								
ფული და ფულის ეკვ								
- ნაღდი ფული	58,335	-	-	58,335	76,580	-	-	76,580
- ფულადი სახს სებ-ში	-	57,001	-	57,001	-	107,400	-	107,400
- საკორ ანგ და ერთდღ განთავსებები	-	167,540	-	167,540	-	93,701	-	93,701
- განთავსებები სხვა ბანკ სამ თვეზე ნაკლ ვად	-	1,134	-	1,134	-	387	-	387
მოთხოვნ სხვა ბანკ მიმ								
- მოკლევად განთავს სხვა ბანკ სამ თვეზე მეტი ვად	-	15,426	-	15,426	-	12,593	-	12,593
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	-	184,600	-	184,600	-	218,587	-	218,587
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები AC-ით								
- სესხები კორპორაციებზე	-	-	1,707,134	1,703,455	-	-	1,335,804	1,350,228
- იპოთეკური სესხები	-	-	510,814	504,073	-	-	501,106	495,672
- სამომხმარებლო სესხები	-	-	261,691	259,924	-	-	212,622	212,802
- საკრედიტო ბარათები	-	-	25,446	26,518	-	-	28,076	28,075
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	-	-	26,136	26,136	-	-	17,680	17,680
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში								
- საქ მთავრ სახაზ ობლიგ	-	110,150	-	109,414	-	176,046	-	175,348
- საქ მთავრ სახაზ ვალდ	-	52,375	-	52,331	-	39,524	-	39,498
- კორპორაციების ობლიგაციები	-	-	59,000	58,990	-	-	32,950	33,281
გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები	-	74,974	-	74,974	-	2,474	-	2,474
სხვა ფინანსური აქტივები	-	2,269	-	2,269	-	3,486	-	3,486
არაფინანსური აქტივები								
- საინვესტიციო ქონება	-	-	2,340	1,299	-	-	2,351	1,657
სულ	**58,335**	**665,469**	**2,592,561**	**3,303,419**	**76,580**	**654,198**	**2,130,589**	**2,869,449**

34 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არაა შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, შემდეგია:

	31 დეკ, 2023				31 დეკ, 2022			
ათასი ლარი	დონე 1 სამ ღირ	დონე 2 სამ ღირ	დონე 3 სამ ღირ	საბალ ღირებ	დონე 1 სამ ღირ	დონე 2 სამ ღირ	დონე 3 სამ ღირ	საბალ ღირებ
ფინანსური ვალდებულებები								
ვალდ სხვა ბანკ მიმართ								
- საკორესპ ანგარიშები და სხვა ბანკების ერთდღიანი განთავსებები	-	1	-	1	-	1	-	1
- სხვა ბანკების მოკლევადიანი განთავსებები	-	109,767	-	109,767	-	22,258	-	22,258
- სებ-ის მოკლევადიანი სესხები	-	175,246	-	175,098	-	289,466	-	288,448
კლიენტთა ანგარიშები								
- სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციების მიმდინარე/ანგარიშსწორები ს ანგარიშები	-	212,965	-	212,962	-	136,382	-	136,382
- სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციების ვადიანი დეპოზიტები	-	-	268,256	270,743	-	-	264,513	265,495
- სხვა იურიდიული პირების მიმდინარე/ანგარიშსწორები ს ანგარიშები	-	264,370	-	264,370	-	446,912	-	446,912
- სხვა იურ პირების ვადიანი ანაბრები	-	-	392,056	386,825	-	-	202,462	201,484
- ფიზიკური პირების მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	-	296,121	-	296,121	-	305,651		305,651
- ფიზიკური პირების ვადიანი ანაბრები	-	-	772,981	761,351	-	-	606,218	604,816
ნასესხები სახსრები	-	384,825	-	382,344	-	345,531	-	342,937
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	-	77,101	-	77,101	-	3,192	-	3,192
სალიზინგო ვალდებულებები	-	18,064	-	15,970	-	21,433	-	18,576
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	3,961	-	3,961	-	5,858	-	5,858
სუბორდინირებული ვალები	-	105,060	-	106,383	-	58,303	-	56,933
სულ	**-**	**1,647,481**	**1,433,293**	**3,062,997**	**-**	**1,634,987**	**1,073,193**	**2,698,943**

34 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის შეფასების ტექნიკით. მცურავი კურსის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არაა კოტირებული აქტიურ ბაზარზე, წინასწარ განისაზღვრა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წინასწარ შეფასდა პროგნოზირებული მომავალი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიხედვით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია და რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით.

ვალდებულებების დისკონტირება განხორციელდა ჯგუფის საკუთარი მზარდი სასესხო განაკვეთით. მოთხოვნამდე ვალდებულებების დისკონტირება განხორციელდა იმ პირველივე დღიდან, როცა ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს თანხის გადახდა. ჯგუფის ვალდებულებები მისი კლიენტების მიმართ სახელმწიფო დაზღვევის სქემაში შედის, როგორც ეს განმარტება 1-შია აღწერილი. ამ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ამ საკრედიტო გაფართოებებს ასახავს.

35 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორის კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. სავარაუდო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა დაუფარავი ნაშთები იყო:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	ამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკ მხარეები
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 6% –24%)	-	2,074	-	169	2,559	642	1,321
საკრედიტო ზარალის რეზერვი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(2)	-	-	(2)	(1)	(2)
კლიენტთა ანგარიშები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 0% – 12%)	566	1,863	4,102	2,066	7,359	78,338	2,626
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები	-	-	-	1	1	-	-
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლებ	-	-	-	-	6	-	5
სადაზღვევო ხელშეკრულებების რეზერვები	-	12	-	7	10	104	37
სუბორდინირებული ვალი (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 7%)	-	-	13,577	-	-	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლების და ხარჯების მუხლები 2023 წელს არის:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკ მხარეები
საპროცენტო შემოსავალი	-	18	-	3	119	144	124
საპროცენტო ხარჯი	(43)	(50)	(56)	(27)	(491)	(1,142)	(130)
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	(1)	-	-	10	32	23
უცხ ვალ ვაჭრობის მოგებას გამოკლ ზარალი	-	57	15	-	8	292	5
უცხ ვალ გადაანგარიშების მოგებას გამოკლ ზარალი	-	(13)	(105)	31	(6)	393	(13)
გამომუშავებული პრემია	-	-	-	2	9	-	7
დამაყოფილებული ზარალები	-	-	-	4	2	-	19
დაუფარავი ზარალების ცვლილება	-	-	-	6	2	21	24
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვი	(1)	-	-	(1)	(5)	-	(1)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	-	-	-	-	(2,486)

35 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხართა სხვა უფლებები და მოვალეობები იყო::

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკ მხარეები
აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	-	21	-	93	1,993	158	12

2023 წლის განმავლობაში მხარეთათვის გასესხებული და მხარეთა მიერ დაფარული აგრეგირებული თანხები იყო:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკ მხარეები
წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებზე გასესხებული თანხები	-	4,365	-	365	5,680	6,064	696
დაკავშირებული მხარეების მიერ წლის განმავლობაშ დაფარული თანხები	-	2,256	-	234	4,576	6,955	1,156
RP -სთვის გადახდილი თანხა CIP და სხვა აქტივების შესასყიდად	-	-	-	-	-	-	-

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეთა დაუფარავი ნაშთები იყო:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	ქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	ამეთვალყურეო საბჭო	ირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო ონტროლის ქვეშ	სხვა დაკ მხარეები
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 4% –16,5%)	-	26	-	19	1,468	1,562	1,318
საკრედიტო ზარალის რეზერვი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(2)	-	(1)	(3)	(1)	(3)
კლიენტთა ანგარიშები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 1% – 14,5%)	524	1,887	3,122	2,687	7,516	83,812	2,054
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები	-	-	-	1	7	1	-
დაზღვევისგან მისაღები შემოსავლები	-	-	-	-	1	-	3
სუბორდინირებული ვალი (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 7%)	-	-	-	1	5	-	7
სუბორდინირებული ვალი (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 7%)		-	13,577	-	-	-	-

35 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის (გაგრძელება)

2022 წლის შემოსავლის და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან ასეთი იყო: were as follows:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკ მხარეები
საპროცენტო შემოსავალი	-	3	-	4	174	399	108
საპროცენტო ხარჯი	(42)	(59)	(42)	(22)	(423)	(766)	(117)
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-	-	-	(2)	76	(5)
უცხ ვალ ვაჭრობის მოგებას გამოკლ ზარალი	-	48	-	-	(1)	255	5
უცხ ვალ გადაანგარიშების მოგებას გამოკლ ზარალი	-	244	2,283	333	242	5,154	18
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვი	-	13	-	1	10	-	6
გამომუშავებული პრემია	-	-	-	-	-	-	6
ანაზღაურებული ზარალები	-	-	-	-	-	-	2
დაუფარავი ზარალების ცვლილება	(1)	-	-	(1)	(5)	-	(1)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	-	-	-	-	(1,918)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების სხვა უფლებები და მოვალეობები იყო:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკ მხარეები
აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	-	76	-	56	1,396	817	14

2022წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებზე გაიცა და მათ მიერ დაიფარა შემდეგი აგრეგირებული თანხები:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკ მხარეები
დაკ მხარეებზე გაცემული სესხები წლის განმავლ	-	404	-	125	5,065	9,365	629
დაკავშირებულ მხარეთა მიერ წლის განმავლობაში დაფარული თანხები	-	991	-	238	5,913	13,850	-
RP-სთვის CIP და სხვა აქტივების შესყიდვისთვის ანაზღაურებული თანხები	-	-	-	-	-	-	59,922

პირი განიხილება დაკავშირებულ მხარედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა ბანკზე ან ჯგუფზე, არის ჯგუფის ან მშობელი კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის წევრი.

35 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის (გაგრძელება)

იურიდიული პირი დაკავშირებულ მხარედ ითვლება, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: პირი და მისთვის ანგარიშგების წარმდგენი პირი არიან ერთი და იგივე ჯგუფის წევრები (რაც ნიშნავს, რომ თითეული მშობელი კომპანია, შვილობილი კომპანია და თანაშვილობილი კომპანია დაკავშირებულია დანარჩენებთან). ერთი პირი მეორის ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმოა (ან იმ ჯგუფის წევრის ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოა, რომლის წევრიცაა მეორე პირი); საწარმო ექვემდებარება შემდეგი ფიზიკური პირების კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს: ბანკზე კონტროლის ან მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პირის, ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრის, ჯგუფის ან მისი მშობელი კომპანიის, ასევე მათი ოჯახის წევრების. სხვა დაკავშირებულ მხარეებად ითვლებიან იმ პირების და/ან ოჯახის წევრის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებად ითვლებიან და ბანკზე ან ჯგუფზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კომპენსაცია მოცემულია ქვემოთ:

	2023		2022	
ათასი ლარი	**ხარჯი**	**დარიცხული ვალდებულება**	**ხარჯი**	**დარიცხული ვალდებულება**
მოკლევადიანი ბენეფიტები:				
- ხელფასები	956	-	857	-
სულ	**956**	-	**857**	-

ქვემოთ მოცემულია მთავარი მენეჯმენტის კომპენსაცია:

	2023		2022	
ათასი ლარი	**ხარჯი**	**დარიცხული ვალდებულება**	**ხარჯი**	**დარიცხული ვალდებულება**
მოკლევადიანი ბენეფიტები:				
- ხელფასები	4,450	88	2,951	28
წილობრივი კომპენსაცია:				
- კაპიტალით გაქვითული წილობრივი კომპენსაცია	160	-	167	-
თანამშრომელთა სხვა გრძელვადიანი ბენეფიტები:				
- გრძელვადიანი საბონუსე სქემა	6,122	8,740	4,906	3,858
სულ	**10,732**	**8,828**	**8,024**	**3,886**

მოკლევადიანი ბონუსების ვადა დგება იმ პერიოდის ბოლოს დადგომიდან 12 თვის განმავლობაში, როცა მენეჯმენტმა შესაბამისი მომსახურება გასწია. ტერმინი „მთავარი მენეჯმენტის პერსონალი“ გულისხმობს მენეჯმენტის საბჭოს წევრებს.

36 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბაზისბანკის სააქციო კაპიტალის გაზრდა. 2024 წლის 14 თებერვალს აქციონერთა კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჩვეულებრივი აქციების გამოშვების შესახებ. ეს აქციები შემდგომში სრულად შეიძინა ბანკის უმსხვილესმა აქციონერმა Xinjiang Hualing Industry and Trade (Group) Co-მ, ჯამში 26,5 მლნ ლარად.

ლიზინგის პორტფელის შეძენა BB ლიზინგის მიერ. 2024 წლის იანვარში BB ლიზინგმა სს საქართველოს სალიზინგო კომპანიისგან (სს საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია) შეიძინა ავტოლიზინგის შერჩეული პორტფელი.

BB ლიზინგმა შეიძინა 412 სალიზინგო კონტრაქტი 4,120 ათასი ლარის მთლიანი პორტფელით. შედეგად, BB ლიზინგმა მნიშვნელოვნად გაზარდა საცალო ბიზნესი და მნიშვნელოვნად გააძლიერა პოზიციები ბაზარზე. პორტფელი შეძენილი იქნა საბალანსო ღირებულებიდან 10,4%-იანი ფასდაკლებით.

37 აბრევიატურები

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში გამოყენებული აბრევიატურების სია:

აბრევიატურა	სრულად
AC	ამორტიზებული ღირებულება
ALCO	აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი
CCF	კრედიტის კონვერსიის ფაქტორი
EAD	რისკი დეფოლტის შემთხვევაში
ECL	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
EIR	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
FVOCI	სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლით
FVTPL	სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალით
FX, Forex	უცხოური ვალუტა
IFRS	ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი
IRB system	რისკზე დაფუძნებული შიდა სისტემა
L&R	სესხები და მისაღები შემოსავლები
LGD	ზარალი დეფოლტის შემთხვევაში
LTV	სესხის ღირებულება შეფარდებული უზრუნველყოფის ღირებულებასთან
NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი
PD	დეფოლტის ალბათობა
PL	მოგება-ზარალის ანგარიში
POCI financial assets	შეძენილი ან წარმოშობილი, საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები
ROU asset	გამოყენების უფლების მქონე აქტივი
SPB	წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა
SICR	საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
SPPI	მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები
SPPI test	შეფასება იმისა, ფინანსური ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების მოძრაობა წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს

ბაზისბანკი
BASISBANK

Annual Report

2023

Table of Contents

Letter from the Chairman 4
Letter from General Director 6
Financial Highlights 10
BB Group's Profile 11
Who we are 11
Our Strategy 14
Our History 16
Our People 18
CSR 21
Business Overview 23
Retail Business 23
Corporate and SME Business 32
BB Leasing 43
BB Leasing Business Model and Strategy 43
2023 Performance 44
BB Insurance 45
BB Insurance Business Model and Strategy 45
- ბანკი მუდმივად ცდილობს შეამციროს დამოკიდებულება მსხვილ მეანაბრეებზე კონცენტრაცია მუდმივად მცირდება, თუმცა აუცილებელია BB-ს ცნობადობის ამაღლებისა და მეტ კლიენტებზე გასვლისთვის, მეტი ეფექტური ღონისძიების განხორციელება.

მომხმარებელთა სადეპოზიტო პორტფოლიოს FX კონცენტრაცია არის 50.1%

არარეზიდენტების წილმა მომხმარებელთა დეპოზიტებში, 2023 წლის ბოლოს, შეადგინა 7.8%, ხოლო დაკავშირებული მხარეების წილმა - 4.4%. რაც შეეხება კონცენტრაციას ტოპ 20 ჯგუფისთვის და ტოპ 20 დეპოზიტორისთვის, მაჩვენებლები შეადგენდნენ, შესაბამისად, 44.4% და 38.2%, როდესაც გასულ, 2022 წელს, იგივე მაჩვენებლები დაფიქსირდა 49.6% და 42.2% დონეებზე.

სხვა მოზიდული სახსრები

ბაზის ბანკი სტაბილურად განაგრძობს სახსრების მოზიდვას, რასაც ხელს უწყობს პარტნიორი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გაზრდილი დაფინანსება.

მოზიდული სახსრების მთლიანი მაჩვენებელი, მომხმარებელთა დეპოზიტების გარეშე, გაიზარდა 8.8%-ით და 774 მლნ ლარი შეადგინა. დაყოფა წარმოდგენილია ქვემოთ:



საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსების ზრდა, ძირითადად აღინიშნება გრძელვადიანი სესხებისა და ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით.



2023 წელს, ბანკმა განაგრძო მუშაობა არსებულ და ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან და მოიზიდა ხელსაყრელი ინვესტიციები ბანკის საკრედიტო ბიზნესის განსავითარებლად. შედეგად, 2023 წელს, ბანკმა გააძლიერა თანამშრომლობა არსებულ პარტნიორ ინსტიტუტებთან და ჯამში მოიზიდა 92 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც 19 მილიონი აშშ დოლარი წარმოადგენს გრძელვადიან სესხებს, ხოლო 73 მილიონი მოკლევადიან სესხს, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების განვითარებაზე.

სულ სფი-დან მოზიდული სახსრები	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
92 მლნ. აშშ დოლარი	**73 მლნ. აშშ დოლარი**	**19 მლნ. აშშ დოლარი**

2023 წელს, BB-მ, Finance in Motion (FiM) და Green for Growth Fund (GGF), 6-წლიანი წარმატებული თანამშრომლობის აღსანიშნად, გააფორმეს ახალი საკრედიტო ხელსეკრულება, რომლითაც ბანკმა მიიღო 5-წლიანი მწვანე დაკრედიტების მექანიზმი, 10,000,000 ევროს მოცულობით. აღნიშნული თანამშრომლობა დაიწყო საქართველოში ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ინვესტიციებისთვის საჭირო დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ძლიერი ბაზრის განვითარების მიზნით. კრედიტორისგან მიღებული ფინანსური მხარდაჭერის პარალელურად, 2023 წელს GGF-მა ბაზისბანკს გაუწია ტექნიკური დახმარება ESG სტრატეგიის შემუშავებისა და მწვანე პროდუქტის დანერგვის მიზნით.

ბანკი მოწადინებულობამ, კიდევ უფრო გაზარდოს საკუთარი წილი მწვანე დაკრედიტების ბაზარზე, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ მდგრადი დაფინანსების კუთხით შემოღებული რეგულაციების სრული დაცვითა და მდგრადობის საკუთარი საქმიანობის ქვაკუთხედად ქცევით, 2023 წელს, უბიძგა ჩვენს პარტნიორს, Green for Growth Fund (GGF), შემოეთავაზებინა ბანკისთვის 1-წლიანი, სულფასოვანი, ტექნიკური დახმარების პროექტი, რომლის მთავარ მიზნებს შორისაც იყო ბანკის მდგრადობის სტრატეგიის შემუშავება, მისი მწვანე დაფინანსების ჩარჩოს სრულყოფა და მწვანე პროდუქტების დანერგვა და მწვანე და მდგრადი დაფინანსების კუთხით, ინსტიტუციური ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავება. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, ფონდმა მოიწვია გამოცდილი გუნდი პრაისვოტერჰაუსკუპერიდან (PWC).


ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ბაზისბანკმა მიიღო მხარდაჭერა პარტნიორი აზიის განვითარების ბანკისგანაც (ADB). 2023 წელს, ბაზისბანკისთვის განხორციელდა პროგრამა, საერთაშორისო ფინანსური სანქციების ჩარჩოს გაძლიერებისა და სავაჭრო დაფუძნებული ფულის გათეთრების (TBML) რისკების მართვის ინსტრუმენტების გასაუმჯობესებლად. პროექტი განხორციელდა აზიის განვითარების ბანკის სავაჭრო და მიწოდების ჯაჭვის საფინანსო პროგრამის (TSCFP) მხარდაჭერით, საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმის ექსპერტების მიერ. გარდა ამისა, 2023 წელს ბაზისბანკმა განაგრძო უფრო დიდი რესურსების გამოყოფა ბაზისბანკის MSME კლიენტების გრძელვადიანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და გრძელვადიანი პარტნიორებისგან Blue Orchard, GGF და ResponsAbility სულ მოიზიდა 19 მილიონი აშშ დოლარი. ჩვენი მრავალწლიანი თანამშრომლობით ჩვენს უცხოელ კრედიტორებთან გამოირჩევა უდიდესი წვლილით, რომელიც ერთობლივი ძალისხმევით შევიტანეთ ქვეყნის მიკრო, მცირე და საშუალო სექტორის განვითარებაში.


ვაჭრობის დაფინანსების საერთაშორისო ინსტიტუტებთან ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წელს, ბაზისბანკმა დაიწყო მოლაპარაკებების სერია პარტნიორებთან, ვაჭრობის დაფინანსების საკრედიტო ხაზების გაზრდის მიზნით, და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ამ მიმართულებით. ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და ADB-მა გააორმაგეს ბაზისბანკისთვის დამტკიცებული ლიმიტები, რაც ბანკს აძლევს შესაძლებლობას მიაწოდოს თავის კლიენტებს უფრო მოქნილი და იაფი რესურსები, საზღვარგარეთ ბიზნესის

განვითარებისთვის. მთლიანობაში, 2023 წელი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და ნაყოფიერ წლად ჩვენი მწვანე და სავაჭრო ბიზნესის განვითარებისთვის.

ლიკვიდობა: BB-ს აქვს საკმაოდ სტაბილური დაფინანსების ბაზა, სადაც მისი ლიკვიდური აქტივების უდიდესი ნაწილია ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები (მთლიანი აქტივების 8%), ასევე სახელმწიფო და კორპორატიული ფასიანი ქაღალდები (მთლიანი აქტივების 8.8%), რომლებიც კვალიფიცირდება გირავნობისა და რეპო ოპერაციებისთვის. ბანკი სებ-ში ინახავს დიდ სავალდებულო რეზერვებს (მთლიანი აქტივების 5%-ის ტოლია), რომლის ნაწილი ლიკვიდურობის სტრესის შემთხვევაში შესაძლებელია ბანკისთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

გასული წლების განმავლობაში ბანკი რჩებოდა ეროვნული ბანკის მოთხოვნების ფარგლებში ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტის (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) მიმართ. მინიმალური მოთხოვნა ორივე კოეფიციენტისთვის არის 100%. ბაზისბანკის ბუფერები მაღალია ამ ზღურბლზე და შეადგენდა 137% LCR-სთვის და 117% NSFR-სთვის, 2023 წელს, ხოლო 2022 წელს - 124% და 122%.






კაპიტალის მდგომარეობა და მარეგულირებელი მესაბამისობა

ბაზისბანკის რეგულატორული კაპიტალი დინამიურად იზრდება ყოველწლიურად. ტენდენციას აძლიერებს აქციონერთა ძლიერი მხარდაჭერა პერიოდული ინვესტიციების ან სუბორდინირებული ვალების სახით და ასევე, ბანკის მიერ გამოშვებული დამატებითი მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტები.

2023 წელს, ბანკის ზრდის შემდგომი მხარდაჭერის მიზნით, აქციონერმა 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კაპიტალი განათავსა და 7 მილიონი ლარის დივიდენდები დააბრუნა სუბორდინირებული სესხის სახით დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტი). გარდა ამისა, ბანკმა გამოუშვა სუბორდინირებული ობლიგაციები $10 მლნ (27.7 მლნ ლარი) და სუბორდინირებული სესხი საცალო კლიენტებზე 4.9 მლნ აშშ დოლარის (13.2 მლნ ლარი) ოდენობით.

2023 წლის იანვრიდან, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო IFRS სტანდარტებზე გადასვლა. დაინერგა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი და მისი გაანგარიშების განახლებული პროცედურა. კაპიტალის მთლიან მოთხოვნილებას დაემატა CRA ბუფერის 2.1%. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზისბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი შეადგენდა 15.3%-ს, ხოლო მთლიანი კაპიტალის ადექვატურების კოეფიციენტი - 18.17%-ს (ახალი სტანდარტის დანერგვის გამო, წინა წლის კოეფიციენტები შედარებადი არ არის).



Capital Adequacy Ratios and Regulatory Thresholds

	1-Jan-23	YE 2023
CET1 CAR Requirement	11.1%	11.7%
BB CET1 CAR	15.3%	15.1%
Tier 1 CAR Requirement	13.2%	14.0%
BB Tier 1 CAR	15.3%	15.1%
Total CAR Requirement	16.7%	17.1%
BB Total CAR	17.2%	18.2%

ბაზისბანკი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კაპიტალის ადექვატურობის მოთხოვნებს.

2023 წლის სიახლეები

სამეთვალყურეო საბჭოს ორი ახალი წევრი

2023 წლის დეკემბერში, ბანკის ძალისხმევით შეიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს არსებული შემადგენლობა. შესაბამისად, საბჭოს ორმა წევრმა, მი ზაიქიმ და ნიკოლოზ ენუქიძემ თანამდებობები დატოვეს. მათ ნაცვლად, 2024 წლის იანვრიდან, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ორი მაღალკვალიფიციური და გამოცდილი დამოუკიდებელი წევრი: საბინა ძიურმანი და ნინო ოხანაშვილი შეუერთდა. 20 წელზე მეტი გამოცდილების მქონე საბინა ძიურმანი რისკების კომიტეტის თავმჯდომარე იქნება, ხოლო ნინო ოხანაშვილი, 20 წელზე მეტი გამოცდილებით, აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი. მათ საბჭო სხვადასხვა გამოცდილებით გაამდიდრეს.

განახლებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგია

ბაზის ბანკმა წარადგინა სრულიად განახლებული ESG სტრატეგია, რომელიც ბანკის სტრატეგიული მიზნებისა და განვითარების გზის განუყოფელი ნაწილია. სტრატეგია შემუშავდა მატერიალურობის შეფასების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბანკის ყველა საკვანძო დაინტერესებულმა მხარემ: მომხმარებლებმა, პარტნიორმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა, დირექტორთა საბჭოს წევრებმა და რიგითმა თანამშრომლებმა. აღსანიშნავია, რომ სტრატეგია სრულად შეესაბამება გაეროს სტრატეგიული განვითარების მიზნებს (SDGs).

განახლებული პოლიტიკები და პროცედურები

წლეულს, ჩვენ შევიმუშავეთ და განვაახლეთ ბანკის რამდენიმე საკვანძო პოლიტიკა და პროცედურა, რათა გაგვეძლიერებინა კორპორატიული მართვის ელემენტი და ბანკის ყოველდღიური მართვის სისტემა, შესაბამისი რისკის ჩარჩოს ფარგლებში.

ბანკმა დაამტკიცა და განაახლა შემდეგი პოლიტიკები და პროცედურები: ზოგადი რისკების მართვისა და შიდა კაპიტალის შეფასების პროცესი (ICAAP), შიდა ლიკვიდობის ადექვატურობის შეფასების პროცესი (ILAAP), ჯგუფში ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა, რამდენიმე შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტი არაფინანსური და ფინანსური რისკების მართვის კუთხით, საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის პოლიტიკა, სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, ადმინისტრატორების შერჩევისა და დანიშვნის პოლიტიკა და სხვ.

2023 წელს, ბანკმა შეიმუშავა კორპორატიულ მმართველობასთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის: დირექტორთა საბჭოს წევრების შესაფერისობის ხელახალი შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების კოლექტიურიშესაფერისობის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, კორპორატიული მმართველობის კოდექსთან შესაბამისობის თვით-შეფასების ფორმა, სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების წევრების ეფექტურობის გარე და შიდა შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები და სხვ.

ბანკის მმართველობის მიმოხილვა

ეფექტური კორპორატიული მართვა მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩვენი იდენტობის ნაწილია. ჩვენ მზად ვართ შევინარჩუნოთ საუკეთესო კორპორაციული მმართველობის ჩარჩო, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული ბანკის კორპორაციული მმართველობის კოდექსს, საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას. ჩარჩო ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად შეიქმნა, მასში რისკებისა და ანგარიშვალდებულების მკაფიო და თანმიმდევრული როლები და პასუხისმგებლობებია გაწერილი და ძლიერი აქცენტი კეთდება მკაფიო მმართველობის სტრუქტურის გაძლიერებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ღირებულების მართვასა და კონტროლს.

სებ-ის კორპორაციული მმართველობის კოდექსი თავის მხრივ საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას ეფუძნება, როგორიცაა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა 2000/36/EU, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD), დიდი ბრიტანეთის საფონდო ბირჟა და ა.შ.

აქციონერებისთვის უფრო დიდი ღირებულების მიწოდების მიზნით, ბაზისბანკი აგრძელებს თავისი ოპერაციების კორპორაციული მმართველობის უმაღლეს სტანდარტებით განხორციელებას, რაც მდგრადი კორპორატიული წარმატების აუცილებელი საფუძველია, განსაკუთრებით განვითარებად საბაზრო ეკონომიკაში. ჩვენ მზად ვართ დავიცვათ კარგი კორპორატიული მმართველობის პრინციპები ჩვენს ყველა ოპერაციებში, რაც საზოგადოების ურყევი ნდობის საფუძველია და ჩვენს მიმართ აქციონერების, მომხმარებლების, ბიზნესპარტნიორების, თანამშრომლების და ფინანსური ბაზრების ნდობას განამტკიცებს, თანაც ჩვენი გრძელვადიანი წარმატების გასაღებია.


ზემოაღნიშნული რეგულაციების პრინციპების შესაბამისად, ბანკმა ჩამოაყალიბა კორპორაციული მმართველობის სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება ბანკისა და მისი ჯგუფის ზომას, სირთულეს, სტრუქტურას, ეკონომიკურ მნიშვნელობას, რისკის პროფილს და ბიზნეს მოდელს.

ბანკის მმართველობითი სტრუქტურა

ბაზისბანკის (ბანკის) მმართველობითი სტრუქტურით დადგენილია ოფიციალური ჩარჩო დირექტორთა საბჭოსთვის, რათა დაიცვან ბანკის სტრატეგია და ამოცანები, ასევე მართოს ურთიერთობას დირექტორებსა და აქციონერებს შორის. ბანკმა შეიმუშავა პოლიტიკებისა და სისტემების ამომწურავი ნაკრები, რათა უზრუნველყოს მისი საბოლოო მიზნების შესრულება და ზედამხედველობისა და კონტროლისთვის ეფექტური ჩარჩო.

ბანკის მმართველობითი ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება
- სამეთვალყურეო საბჭო და საბჭოს დონის კომიტეტები
- დირექტორთა საბჭო და დირექტორთა საბჭოს დონის კომიტეტები



აქციონერთა საერთო კრება

აქციონერი თავის უფლებებსა და მოვალეობებს საერთო კრების მეშვეობით ახორციელებს. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს, მასში მონაწილეობის გზით აქციონერი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით განსაზღვრულ უფლებებს.

საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე: ამტკიცებს ბანკის წესდებას, იღებს გადაწყვეტილებას აქციების გამოშვების შესახებ, მოგების განაწილების და გამოყენების შესახებ, ბანკის კაპიტალში ცვლილებების შესახებ და საბჭოს წევრების დანიშვნისა და/ან გათავისუფლების შესახებ.

აქციონერთა საერთო კრებაზე, ერთი ჩვეულებრივი აქცია, მის მფლობელს, ერთი ხმის უფლებას ანიჭებს. აქციონერთა მორიგი საერთო კრების სხდომა ტარდება წელიწადში ერთხელ, გასული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის მომზადებიდან, არაუგვიანეს ორი თვის განმავლობაში, რომელიც თავის მხრივ უნდა მომზადდეს წლის დასრულებიდან ოთხი თვის განმავლობაში. აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომა მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, დირექტორატის ან აქციათა მინიმუმ 5 %-ის მფლობელი აქციონერის მოთხოვნით.

წლიური საერთო კრება: 2024 წლის ყოველწლიური საერთო კრების ("AGM") შესახებ შეტყობინება მიეწოდება ყველა აქციონერს AGM-მდე სულ მცირე 21 სამუშაო დღით ადრე და ის ასევე ხელმისაწვდომი იქნება ვებსაიტზე.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო (საბჭო) ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველი ორგანოა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს საბჭოს სხდომისა და საბჭოს დონის კომიტეტების მეშვეობით. საბჭო ნიშნავს დირექტორატის წევრებს და მჭიდროდ თანამშრომლობს დირექტორატთან, ზედამხედველობს და კონსულტაციას უწევს მნიშვნელოვან საკითხებზე და უშუალოდ მონაწილეობს ფუძემდებლური გადაწყვეტილებების მიღებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციებია ბაზისბანკის ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველობა, კორპორაციული მმართველობა და რისკების მართვა. ამ ფუნქციების ფარგლებში, საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ჯგუფის ღირებულებების ჩამოყალიბების შესახებ, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე და ზოგადად, იმის უზრუნველყოფაზე, რომ ჯგუფი იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენციის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების დაცვით; ადგენს ჯგუფის სტრატეგიას და ზედამხედველობას უწევს მენეჯმენტის მიერ ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულებას; უზრუნველყოფს

ჯგუფის ყველა მარეგულირებელ და სამეთვალყურეო მოთხოვნასთან შესაბამისობას; ადგენს კომპანიის რისკის მადას დირექტორთა საბჭოსთან და CRO-სთან (გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის საკითხებში) კოორდინაციით; საბჭო აგრეთვე აკონტროლებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და აფასებს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს კონტროლის ფუნქციების დამოუკიდებლობასა და ეფექტურობას და ახორციელებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებას მისი გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად. საბჭო ვალდებულია გააკონტროლოს ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და უზრუნველყოს ჯგუფში ეფექტური პროცედურების და პოლიტიკის არსებობა კანონისა და მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს სხდომები ემყარება ღია დიალოგის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და წევრებს აქვთ შესაძლებლობა სრულად ჩაერთონ სამუშაო პროცესში. გადაწყვეტილებები მიიღება გამჭვირვალედ, ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობს დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ ბანკის რეგულაციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საბჭოს გადაწყვეტილებები და მასთან დაკავშირებული მასალა მუდმივად გადაეცემა საქართველოს ეროვნულ ბანკს.


სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა და ხელახლა დანიშვნა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნიშნავს AGM 4 წლის ვადით. 4 წლის შემდეგ მათ უფლებამოსილება უხანგრძლივდებათ, სანამ ახალ წევრებს არ დანიშნავენ მომდევნო AGM-ზე. თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს შეუზღუდავი რაოდენობით.


საბჭოს წევრებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს გადადგნენ თანამდებობიდან. განცხადება გადადგომის შესახებ უნდა გაიგზავნოს 3 თვით ადრე. საბჭოს წევრი შეიძლება გადააყენოს წლიურმა საერთო კრებამ ვადამდე ნებისმიერ დროს. ახალი წევრი უნდა დაინიშნოს ყოფილი წევრის გადადგომის დღიდან 6 თვის ვადაში.

მოვალეობების გამიჯვნა: კორპორაციული მმართველობის სტრუქტურის მიხედვით, მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობები გამიჯნულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გამორიცხულია დირექტორთა საბჭოს წევრობიდან. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი საბჭო აქტიურად არის ჩართული ბანკის სტრატეგიისა და ყოველდღიური მენეჯმენტის განხორციელებაში, სამეთვალყურეო საბჭოს როლი კი არის ზედამხედველობა და მენეჯმენტის საბჭოსთვის რეკომენდაციების გაწევა.

საბჭოს მრავალფეროვნება. სამეთვალყურეო საბჭო განსხვავდება ასაკის, სქესის, ეროვნების, წარმომავლობისა და გამოცდილების მიხედვით. წევრები ხელს უწყობენ საბჭოს ფუნქციონირებას თავიანთი განსხვავებული მოსაზრებებითა და რჩევებით სხვადასხვა საკითხებზე. ბანკს მიაჩნია, რომ ამ მრავალფეროვნებას მოაქვს დაბალანსებული ექსპერტიზა და პერსპექტივები საბჭოს საკითხებზე და უფრო მაღალ დონეზე აყენებს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საბჭოში ქალთა წარმომადგენლობა 50%-ია.





საბჭოს დამოუკიდებლობა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარი (ექვსიდან სამი) დამოუკიდებელია. დამოუკიდებელი წევრები ვალდებულნი არიან აცნობონ საბჭოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება შელახოს მათი დამოუკიდებლობა. საბჭოს წევრები დამოუკიდებელნი არიან, თუ ისინი არ ექვემდებარებიან ბანკის ან მესამე მხარის გავლენას, რამაც შეიძლება წევრს ხელი შეუშალოს ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაში. დამოუკიდებელ წევრებს მთავარი როლი აქვთ საბჭოს დონეზე კომიტეტებში, ამიტომ ისინი უზრუნველყოფენ გარე გამოცდილებას და ობიექტურობას და ხელს უწყობენ ინტერესთა კონფლიქტის უფრო ეფექტურად თავიდან აცილებას.

სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება: საბჭო ვალდებულია, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, განახორციელოს თავისი და საბჭოს დონის კომიტეტების მუშაობის თვითშეფასება. იგი აფასებს სამეთვალყურეო ეფექტურობას მთლიანობაში საბჭოს, მისი კომიტეტებისა და წევრების ჭრილში. გარდა ამისა, გარე აუდიტორმა, სამ წელიწადში ერთხელ უნდა შეაფასოს საბჭოს მუშაობის ეფექტურობა. ბოლო გარე შეფასება 2023 წელს ჩატარდა, როდესაც შეფასდა 2022 წლის საწმიანობა. ბოლო შიდა მიმოხილვა ჩატარდა, 2024 წელს და შეფასდა 2022 წლის და 2023 წლის პირველი კვარტლის მუშაობა.

სამეთვალყურეო საბჭოს დონის კომიტეტები

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებლობის გარკვეულ არეალს დელეგირებით გადასცემს აუდიტის კომიტეტს და რისკის მართვის კომიტეტს. ამ ორი კომიტეტის ფუნქციები ერთმანეთისგან განცალკევებულია. კომიტეტები რეგულარულად წარუდგენენ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს, რათა ინფორმირებული გადაწყვეტილებები იქნას მიღებული.

კომიტეტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ ბანკის შიდა ინფორმაციასა და დოკუმენტებზე, რომლებიც მათი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია. კომიტეტებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოიწვიონ კონსულტანტები (თუკი საჭიროა), რომ მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია და საკონსულტაციო მომსახურება იურიდიულ, ტექნიკურ, ფინანსურ, რისკის მართვის, სტატისტიკურ და სხვა თემებზე.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი დამოუკიდებელი კონტროლის ფუნქციაა, რომელიც მხარს უჭერს სამეთვალყურეო საბჭოს ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის განხორციელების

მონიტორინგში. აუდიტის კომიტეტი იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიერ, სადაც სამი წევრიდან ორი დამოუკიდებელია. ის პირდაპირ ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს.

კომიტეტის თავმჯდომარე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია:

- შიდა და გარე აუდიტორებთან ურთიერთობაზე, შიდა და გარე აუდიტის მასშტაბისა და მოცულობის განსაზღვრაზე;
- ზედამხედველობას უწევს ბანკის შიდა და გარე აუდიტორთა რეკომენდაციების შესრულებას;
- წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური/არაფინანსური ანგარიშგების განხილვაზე;
- ბანკის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ზედამხედველობასა და მონიტორინგზე;
- რისკების მართვის ჩარჩოს დაცვისა და შიდა კონტროლისა და პროცესების ეფექტურობის უზრუნველყოფაზე;.

2023 წლის განმავლობაში, აუდიტის კომიტეტის სხდომა 2-ჯერ ჩატარდა.

რისკების მართვის კომიტეტი

რისკების კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი დამოუკიდებელი კონტროლის ფუნქციაა, რომელიც მხარს უჭერს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგში. კომიტეტი იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ, სადაც სამიდან ორი დამოუკიდებელია.

კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. კომიტეტის თავმჯდომარე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია.

კომიტეტი პასუხისმგებელია:

- ბანკის რისკების მართვის ჩარჩოსა და ფუნქციების ზედამხედველობაზე;
- ბანკის რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკის ზედამხედველობასა და მათ ეფექტურ განხორციელებაზე;
- ბანკის რისკის პროფილის, ლიმიტების და მთლიანი რისკის კულტურის შეფასებასა და ზედამხედველობაზე;
- მარეგულირებელთან და სხვა შიდა და გარე რეგულაციებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე;
- შვილობილი კომპანიის რისკის მართვის ფუნქციის, რისკების მართვის ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების გამართული ფუნქციონირების ზედამხედველობაზე.

რისკების კომიტეტის სხდომა წლის განმავლობაში ორჯერ გაიმართა.

კომიტეტის წევრები და მათი დამოუკიდებლობის სტატუსი

წევრი	დამოუკიდებლობა	აუდიტის კომიტეტი	რისკების კომიტეტი
ანგუ ჯუნი			
საბრინა დიურმანი	✓		○
ზაზა რიმაიძე	✓	○	○
ჯუნ ზანგი		○	
სინო ოხანაშვილი	✓	○	
მია ჰი			○

○ კომიტეტის თავმჯდომარე ○ წევრი

დირექტორთა საბჭოს (საბჭო) ეკისრება ყოვლისმომცველი პასუხისმგებლობა ბაზისბანკის მართვაზე, მიმართულების მიცემაზე და ბანკის სტრატეგიული კურსის განსაზღვრაზე. ამასთან ერთად, საბჭო პასუხისმგებელია საბოლოო ბიზნეს მიზნების განხორციელებაზე ბანკის სტრატეგიის შესაბამისად, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტური ჩარჩოს ფარგლებში ნავიგაციაზე და კორპორაციული მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის დაცვაზე.

საბჭო კოლექტიურად პასუხს აგებს ბანკის გრძელვადიან წარმატებასა და აქციონერებისთვის ღირებულების მიწოდებაზე. საბჭოს წევრებს აქვთ გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის შესაბამისი ბალანსი, ასევე მიუკერძოებლობა თავიანთი მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

საბჭო შედგება შვიდი დირექტორისგან, გენერალური დირექტორისგან და ექვსი მოადგილისგან, რომელთაგან თითოეული მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს: საცალო ბიზნესი, დაკრედიტება, ფინანსები, რისკების მართვა, ოპერაციები და კომერციული ბიზნესი.


ძირითადი მოვალეობები:

- პასუხისმგებლობა ბანკისა და მისი ოპერაციების ყოველდღიურ მართვასა და ზედამხედველობაზე;
- ბანკის სტრატეგიის, გრძელვადიანი მიზნებისა და ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულება; შესრულების მონიტორინგი;
- ბანკში ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის, რისკების კონტროლის, რისკის კულტურის ხელშეწყობის ეფექტური სისტემების შექმნა.

დირექტორების დანიშვნა და ხელახალი დანიშვნა: გენერალურ დირექტორს და გენერალური დირექტორის მოადგილეებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო.


დირექტორთა საბჭოს წევრები ინიშნება 4 წლით. 4 წლის შემდეგ მათ უფლებამოსილება უხანგრძლივდებათ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი წევრის დანიშვნამდე. თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს შეუზღუდავი რაოდენობით.

მოვალეობების გამიჯვნა: დირექტორთა საბჭო აქტიურადაა ჩართული ბანკის სტრატეგიისა და ყოველდღიური მართვის შემუშავებასა და განხორციელებაში. ზედამხედველობის მაღალი დონის ფუნქციები თითოეული დირექტორისთვის შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:



მმართველი საბჭოს შემადგენლობა: მმართველი საბჭო განსხვავდება ასაკის, სქესის, ეროვნების, წარმომავლობისა და გამოცდილების მიხედვით. ბანკს მიაჩნია, რომ ამ მრავალფეროვნებას ბანკის სტრატეგიულ მიმართულებებსა და ყოველდღიურ მენეჯმენტში დაბალანსებული ექსპერტიზა და პერსპექტივები მოაქვს.

საბჭოში ქალთა წარმომადგენლობა შეადგენს 29%-ს (შვიდი წევრიდან ორი ქალია).



ცვლილებები მმართველთა საბჭოს შემადგენლობაში: 2023 წელს დირექტორთა ცვლილებები არ მომხდარა.

საბჭო გადასცემს პასუხისმგებლობის კონკრეტულ სფეროებს თავის ხუთ კომიტეტს: საკრედიტო კომიტეტს, პროდუქტის განვითარების კომიტეტს, IT განვითარების კომიტეტს, ALCO-ს და შესაბამისობის კომიტეტს.

საკრედიტო კომიტეტი

კომიტეტი აფასებს პოტენციური კლიენტების ფინანსურ მდგომარეობას და სესხის დაფარვის შესაძლებლობებს; გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად.

საკრედიტო კომიტეტს აქვს ოთხი დონე სესხის დასამტკიცებლად, ეს დონეებია:

- საკრედიტო დეპარტამენტის დონე;
- რისკის მართვის დეპარტამენტის დონე;
- მცირე კომიტეტის დონე;
- კომისიის გაფართოებული დონე.

პროდუქტის განვითარების კომიტეტი

პროდუქტის განვითარების კომიტეტი განსაზღვრავს და აანალიზებს ახალი პროდუქტების მიზანშეწონილობას და აკონტროლებს მათ განვითარებასა და განხორციელებას. ის ასევე უზრუნველყოფს არსებული პროდუქტებისა და სერვისების შემდგომ გაუმჯობესებას და განვითარებას.

კომიტეტი შედგება ოთხი წევრისაგან. კომიტეტს ხელმძღვანელობს ოპერაციული დირექტორი.

პროდუქტის განვითარების კომიტეტის წევრები არიან:

- გენერალური დირექტორის მოადგილე – რისკების მართვა;
- გენერალური დირექტორის მოადგილე – საცალო ბიზნესი;
- ზოგადი რისკების დეპარტამენტის უფროსი.

IT განვითარების კომიტეტი

IT განვითარების კომიტეტი ადგენს IT პროექტების პრიორიტეტებს და უზრუნველყოფს IT პროექტების შესაბამისობას ბანკის სტრატეგიასთან; განსაზღვრავს და აანალიზებს შესაბამის IT ამოცანებს; შეიმუშავებს ახალ პროექტებს და უზრუნველყოფს მათ სათანადო პროგრესს და განხორციელებას.

IT კომიტეტი შედგება სამი წევრისაგან, კომიტეტს ხელმძღვანელობს რისკების მართვის გენერალური დირექტორის მოადგილე.

IT განვითარების კომიტეტის წევრები არიან:

- რისკების მართვის გენერალური დირექტორის მოადგილე;
- გენერალური დირექტორი;

- IT დეპარტამენტის უფროსი.

ALCO

კომიტეტი განიხილავს ლიკვიდურობის მიმდინარე და პერსპექტიულ პოზიციებს და მონიტორინგს უწევს დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებს, შეიმუშავებს პარამეტრებს დეპოზიტების, სესხებისა და ინვესტიციების ფასისა და ვადის განაწილებისთვის. განსაზღვრავს და ადგენს სავალუტო პოზიციის ლიმიტებს, ფულადი სახსრების ლიმიტებს და სხვა ფინანსურ პროდუქტებს.

ALCO შედგება შვიდი წევრისაგან, კომიტეტს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები.

ALCO-ს წევრები არიან:

- გენერალური დირექტორის მოადგილე – ფინანსები;
- გენერალური დირექტორი;
- ხაზინის დეპარტამენტის უფროსი;
- გენერალური დირექტორის მოადგილე – რისკების მართვა;
- CCO;
- გენერალური რისკების დეპარტამენტის უფროსი;
- აქტივ-პასივების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

შესაბამისობის კომიტეტი.

შესაბამისობის კომიტეტი შეიქმნა დირექტორთა საბჭოს მიერ 2022 წლის აგვისტოში, რათა ხელი შეუწყოს შესაბამისობის რისკების ეფექტურ მართვას ბანკის დაცვის სამი ხაზის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში.

კომიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს შესაბამისობის რისკების ეფექტიან მართვას და შერბილებას. კომიტეტი შედგება შვიდი წევრისაგან და მას ხელმძღვანელობს რისკების მართვის გენერალური დირექტორის მოადგილე.

შესაბამისობის კომიტეტის წევრები:

- გენერალური დირექტორი;
- გენერალური დირექტორის მოადგილე – რისკების მართვა;
- გენერალური დირექტორის მოადგილის მრჩეველი - რისკების მართვა;
- CCO;
- გენერალური დირექტორის მოადგილე – ფინანსები;
- AML დეპარტამენტის უფროსი;
- შესაბამისობის განყოფილების უფროსი.

მმართველობის სხვა ასპექტები

ინტერესთა კონფლიქტი

ბაზისბანკის ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო და სხვა კონტროლის ფუნქციები მკაცრად აკონტროლებენ ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო წყაროებს. ბანკი აიდენტიფიცირებს და აღრიცხავს დაკავშირებულ მხარეებს და აწესებს კონტროლს მათთან ტრანზაქციებზე. სამეთვალყურეო საბჭო პერიოდულად გადასინჯავს მის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს გამოწვევებთან შესაბამისობა. გარდა ამისა, ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ბანკთან, რათა გაითვალისწინოს მარეგულირებლის მითითებები ძლიერი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების მიზნით.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები ექვემდებარება სავალდებულო განხილვას და დამტკიცებას დირექტორთა საბჭოს ან/და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ბანკი მკაცრად იცავს თანაბრობის პრინციპს და დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციების ამ პრინციპებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების საკმარისი რაოდენობა კონტროლს მეტად ეფექტურს ხდის და ხელს უწყობს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

დირექტორთა საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების პოლიტიკა

რეგულატორის მოთხოვნების შესაბამისად, 2023 წელს, ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა შრომის ანაზღაურების პოლიტიკა, რომლის მიზანია, განსაზღვროს, ტოპ-მენეჯერების, სხვა მატერიალური რისკების მატარებლების, კონტროლის ფუნქციის მქონე და სხვა პერსონალის შრომის ანაზღაურების მარეგულირებელი საბაზო პრინციპები.

ანაზღაურების პოლიტიკა ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა სამართლიანობა, შრომის ანაზღაურების შესაბამისობა გაწეულ სამუშაოსთან და იგი მხედველობაში იღებს პოზიციის ფუნქციონალურ დატვირთულობას, დასაქმებულის კომპეტენციასა და გამოცდილებას, მადისკრიმინირებელ საფუძველზე განსხვავების დაუშვებლობის პრინციპს, თანამშრომლის მოტივირებისა და შენარჩუნების სურვილს, ანაზღაურებადი შვებულებისა და დასვენების დროის სავალდებულო პრინციპებს, სოციალური უსაფრთხოვების გარანტიებსა და ასევე, მყარი კორპორატიული მმართველობისა და რისკების მართვის ქცევის წახალისებას.

ანაზღაურება მოიცავს, როგორც ფიქსირებულ, ისე შესაძლოა მოიცავდეს ცვლად კომპონენტსაც. ცვლადი კომპონენტები არ გამოიყენება დირექტორთა საბჭოს წევრების შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების პოლიტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურებს ბიუჯეტს ამტკიცებს აქციონერთა საერთო კრება. იგი განსაზღვრავს საბჭოს წევრებისთვის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების ოდენობას. საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურება მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ კომპონენტს.

სამეთვალყურეო საბჭოს დღის წესრიგი 2023 წლისთვის

2023 წელს, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ჰქონდა დატვირთული და მრავლისმომცველი დღის წესრიგი, რომელიც ფარავდა მნიშვნელოვან საკითხთა ფართო სპექტრს, რომლებიც შეეხებოდა ბანკის მმართველობას, ოპერაციებს, რისკების მართვასა და სტრატეგიულ მიმართულებებს.

2023 წელს, სამეთვალყურეო საბჭოს 32 შეხვედრა გაიმართა, რომელზეც განიხილეს და გადაწყვეტილება მიიღეს 44 საკითხზე. აღნიშნული 32-დან, 2 შეხვედრა ჩატარდა საქართველოში, დასწრებულ ფორმატში.

საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საბჭოს წევრის რაიმე დაკავშირებულობის ან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული საბჭოს წევრი არ იღებდა მონაწილეობას პროცესში.

2023 წლის განმავლობაში, საბჭომ განიხილა არაერთი საკითხი, მ.შ.:

	საკითხი
სტრატეგია და ბიუჯეტი	• ბაზის ბანკის 2023 წლის სტრატეგიისა და ბიუჯეტის დამტკიცება • ბაზის ბანკის სტრეს-სცენარებისა და მათზე რეაგირების გეგმების დამტკიცება
ფინანსური უწყისები	• ბაზის ბანკის 2022 წის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება • ბაზის ბანკის 6 თვის შედეგები
კაპიტალი და მოზიდული სახსრები	• დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების გაცემა • მოსაზიდი სახსრების დამტკიცება • საკრედიტო და ვაჭრობის დაფინანსების ხელშეკრულებების მიმოხილვა
კორპორატიული მმართველობა	• სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების მუშაობის ეფექტურობის შეფასება • სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების მუშაობის ეფექტურობის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების განახლების დამტკიცება • აუდიტისა და რისკების კომიტეტების ყოველწლიური ანგარიშების მიმოხილვა • აუდიტისა და რისკების კომიტეტების ნახევარწლიური ანგარიშების მიმოხილვა • შიდა აუდიტის ბიუჯეტისა და სამუშაო გეგმის დამტკიცება • დირექტორთა საბჭოს წევრების შესაფერისობის ხელახალი შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცება • სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების კოლექტიური შესაფერისობის შეფასება • კორპორატიული მმართველობის კოდექსთან შესაბამისობის თვით-შეფასება
პოლიტიკების მიმოხილვა	• მატერიალური რისკის მატარებელი პირების სიის დამტკიცება • ადმინისტრატორების სიის დამტკიცება • ადმინისტრატორების სიის დამტკიცება • ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის დამტკიცება • ზოგადი რისკების მართვისა და შიდა კაპიტალის შეფასების პროცესის (ICAAP) დამტკიცება • შიდა ლიკვიდობის ადექვატურობის შეფასების პროცესის (ILAAP) დამტკიცება • საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცება • ადმინისტრატორების შერჩევისა და დანიშვნის პოლიტიკის დამტკიცება
პოზიციებზე დამტკიცება	• დირექტორთა უფლებამოსილებების გახანგრძლივება • ადმინისტრატორულ პოზიციებზე კანდიდატების დამტკიცება

	საკითხი
შრომის ანაზღაურება	• დირექტორთა შრომის ანაზღაურება • ცვლილებები საბონუსე სქემაში
ბიზნეს ოპერაციები	• სერვის ცენტრების ადგილმდებარეობების ცვლილება

AGM უფლებები და წესები

აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი მმართველობის ორგანოა. იგი ატარებს ორი სახის კრებას: წლიური საერთო კრება (AGM) და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

განიხილება AGM-ის წლიური შედეგები, ასევე კანონით და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

მორიგი AGM-ის გარდა ჩატარებული კრებები აქციონერთა რიგგარეშე კრებაა.

აქციონერთა საერთო კრების მოწვევა:

• აქციონერთა საერთო კრებას იწვევს ბანკის დირექტორატი.

• AGM მოიწვევა ყოველწლიურად, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის აუდიტის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

• აქციონერთა რიგგარეშე კრება უნდა მოიწვიოს გენერალური დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილეების, სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების (აქციონერების) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ფლობს ბანკის აქციების არანაკლებ 5%-ს (ხუთი პროცენტს). გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

• აქციონერების/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში საერთო კრების მოწვევის შესახებ უნდა იყოს მითითებული საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, ასევე მისი დღის წესრიგი, სადაც მოცემულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი.

• საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს რეგისტრირებული სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე და ბანკის ვებგვერდზე საერთო კრების თარიღამდე არანაკლებ 21 დღით ადრე. იგი უნდა შეიცავდეს არანაკლებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინფორმაციას.

• ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოიწვიოს ყოველწლიურად ადრე, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის საჭირო კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოიწვიეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. და მის დღის წესრიგში არც ერთი საკითხი არ დამატებულა. ამ შემთხვევაში, ბოლო და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის უნდა იყოს მინიმუმ 10 დღიანი ინტერვალი.

აქციონერთა საერთო კრების კომპეტენცია:

აქციონერთა საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

ა) ბანკის წესდებაში ცვლილებების შეტანა, წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;

ბ) ბანკის დამფუძნებელი ხელშეკრულების ცვლილება;

გ) ბანკის რეორგანიზაცია;

დ) ბანკის დაშლა, ლიკვიდატორის დანიშვნა, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ნაშთების დამტკიცება;

ე) ბანკის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა;

ვ) დაბანდებული კაპიტალის ცვლილება;

ზ) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წევრთა რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გაწვევის, კომპენსაციის ოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრა;

თ) ბანკის აუდიტის ანგარიშის დამტკიცება და აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევა;

ი) ფინანსური ანგარიშის დამტკიცება და დივიდენდების განაწილება;

კ) საერთო კრების წესის დადგენა და ხმების დამთვლელი კომიტეტის არჩევა;

ლ) ბანკის მმართველი ორგანოს/პირების და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესებში მონაწილეობა, მათ შორის, წარმომადგენლის დანიშვნა ამ პროცესში;

მ) ბანკის მიერ ქონების შეძენა, გასხვისება, გაცვლა (ურთიერთდაკავშირებული ოპერაციები) ან სხვა დატვირთვა, რომლის ღირებულება შეადგენს ბანკის მთლიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის ნორმალურ მიმდინარეობასთან. ბიზნესის;

ნ) აქციების რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრა;

აქციონერთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების უნარი:

აქციონერთა საერთო კრებას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება და კვორუმის არსებობა, თუ კრებაზე ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა ნახევარზე მეტი. თუ კრებას არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოწვეული იქნება ახალი სხდომა იმავე დღის წესრიგით, ზემოთ გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. ახალ კრებას აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერების არანაკლებ 25% (ოცდახუთი პროცენტი). თუ სხდომას კვლავ არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უნარი, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოწვეული იქნება ახალი სხდომა იმავე დღის წესრიგით. ამ კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მიუხედავად აქციონერთა ესწრებისა და წარმოდგენის რაოდენობისა.

საერთო კრებაზე 1 (ერთი) ჩვეულებრივი აქცია იძლევა 1 (ერთი) ხმის უფლებას. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე ან წარმოდგენილი აქციონერების ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა ზემოაღნიშნული „ა" – „ვ" პუნქტებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტილებისა, რომლებზეც AGM გადაწყვეტილებას იღებს ა. დამსწრე ან წარმოდგენილი აქციონერების ხმების ¾-ის უმრავლესობა.

კუმულაციური კენჭისყრა გამოიყენება აქციონერთა კრებაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ასარჩევად. ხმის მიცემის კუმულაციური მეთოდი ასეთია:

ა) აქციონერი მთელ ხმას ანაწილებს კანდიდატების ნებისმიერ რაოდენობაზე, რათა მათი ხმების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს მათ ხელთ არსებული ხმების რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია მხარი დაუჭიროს კანდიდატს მხოლოდ თითოეული ხმით (მათ წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);

გ) თუ კანდიდატთა რაოდენობა ნაკლებია ან ტოლია ასარჩევ წევრთა/პირთა რაოდენობაზე, არჩეულად ჩაითვლება ყველა ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო არანაკლებ 1 ხმა. თუ კანდიდატთა რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობას, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა.

აქციონერთა საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი თანათავმჯდომარე ამას აკეთებს მათი არყოფნისას, ხოლო ბანკის გენერალური დირექტორი ან გენერალური დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე თანათავმჯდომარეს. მათი არყოფნის შემთხვევაში კრების თავმჯდომარე ირჩევა საერთო კრებაზე ხმების უბრალო უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების თავმჯდომარეს აქვს ინტერესთა კონფლიქტი საერთო კრებაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ამ საკითხის განხილვისას სხდომას თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა (დამოუკიდებელი) წევრი.

შიდა კონტროლი და რისკების მართვის სისტემები ფინანსური ანგარიშების მომზადებისას

ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს საფინანსო დეპარტამენტი და განიხილავს გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით. შემდეგ მას განიხილავს და ამტკიცებს დირექტორთა საბჭო, აუდიტის კომიტეტი და საბოლოოდ სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტის ერთ-ერთი ფუნქციაა ფინანსური ანგარიშგების მთლიანობის გადახედვა, სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით განხილული მნიშვნელოვანი საკითხებისა და განსჯის განხილვა. კომიტეტი იღებს დეტალურ ანგარიშს ფინანსების მიმართულებით გენერალური დირექტორის მოადგილის და გარე აუდიტორისგან, მათ შორის, წლის განმავლობაში მენეჯმენტის შეფასებების, ანგარიშგების და აუდიტის პროცესის ძირითადი სფეროების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიტის კომიტეტი სვამს კითხვებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით მენეჯმენტის ქმედებების, შეფასებებისა და განსჯის შესახებ.

გარდა ამისა, ბანკმა შეიმუშავა შიდა ინსტრუქცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესახებ აუდიტის მიზნებისთვის. იგი განსაზღვრავს როლებს, პასუხისმგებლობებს და ვადებს მონაწილე მხარეებისთვის, ასევე ასახავს შიდა კონტროლს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის.

მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პოლიტიკა

ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის, ინვალიდობის და სოციალურ-ეკონომიკური წარმოშობის გათვალისწინებით, ბანკის მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პოლიტიკა ვრცელდება ბანკის ყველა თანამშრომელზე, ყველა ფუნქციაზე, ბანკის ყველა ერთეულზე და ყველა შვილობილ კომპანიაზე. ის ეხება საბჭოს, კომიტეტებს, მენეჯმენტსა და თანამშრომლებს - ბანკის ყველა დონეს. მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პოლიტიკა ითვალისწინებს ბანკში მრავალფეროვანი და ინკლუზიური კულტურის უზრუნველყოფას. ჩვენი ურყევი მიზანია ვიყოთ ბანკი, რომელიც ავითარებს და ინარჩუნებს მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას - ჩვენი თანამშრომლებისთვის, ჩვენი მომხმარებლებისთვის, ჩვენი ყველა დაინტერესებული მხარისა და საზოგადოებისთვის.

მხილების სისტემა

ბანკი უზრუნველყოფს, მხილების ეფექტური სისტემის ფუნქციონირებას. მამხილებელი პოლიტიკა საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს, მათ შორის თანამშრომლებს, სტაჟიორებს, კლიენტებს, მომწოდებლებს, მოვაჭრეებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, კონფიდენციალურად გამოთქვან შეშფოთება არაეთიკური ბიზნეს პრაქტიკის შესახებ, როგორიცაა: თაღლითობა, ინტერესთა კონფლიქტი, კორუფცია, ფულის გათეთრება, შევიწროება, შანტაჟი, გარემოსდაცვითი ან სოციალური საკითხები. და ა.შ.

კომპანიას თანამედროვე დამოუკიდებელი მხილების არხი აქვს, ანონიმურობის კომპონენტით. ბანკი აგრძელებს თანამშრომლებისთვის მხილების პროცესისა და პროცედურების მნიშვნელობის პოპულარიზაციას. აუდიტის კომიტეტი აგრძელებს სისტემის გამოყენების მონიტორინგს.

განახლებული პოლიტიკა და პროცედურები

წელს ბანკის მასშტაბით შევქმენით და განვაახლეთ რამდენიმე პოლიტიკა და პროცედურა, რითაც მხარს ვუჭერთ კორპორატიულ მმართველობას და ბანკის ყოველდღიურ მართვას შესაბამისი რისკის ჩარჩოებში.

ბანკმა განაახლა და მიიღო შემდეგი პოლიტიკა და პროცედურები: ზოგადი რისკების მართვისა და შიდა კაპიტალის შეფასების პროცესი (ICAAP), შიდა ლიკვიდობის ადექვატურობის შეფასების პროცესი (ILAAP), ჯგუფში ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა, რამდენიმე შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტი არაფინანსური და ფინანსური რისკების მართვის კუთხით, საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის პოლიტიკა, სამეთვალყურეო საბჭოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული კომიტეტების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, ადმინისტრატორების შერჩევისა და დანიშვნის პოლიტიკა და სხვ.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები

ჯან ძუნი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



დაინიშნა: 2012
ეროვნება: ჩინელი

განათლება

ტიანშანის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი

კარიერა

ჯან ძუნს აქვს 30 წელზე მეტი წლის გამოცდილება, რომლის დროსაც აღმასრულებელი თანამდებობები ეკავა ჩინურ ბანკებში, მათ შორის იყო 7 წლიანი აღმასრულებელი ზედამხედველობის როლი ჩინეთის სახალხო ბანკში; 5 წელი იმუშავა ურუმჩის Chengxin საკრედიტო კავშირის დირექტორის მოადგილედ, ასევე ჰქონდა 12 წლიანი კარიერა Urumqi City კომერციულ ბანკში, იყო გაყიდვების დეპარტამენტის გენერალური მენეჯერი, HR დირექტორი და გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწე.
ეკავა დირექტორის მოადგილის თანამდებობა ჰუალინგ ჯგუფის ფინანსურ და უცხოურ ინვესტიციებში. 2012 წელს გახდა ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე, ხოლო 2015 წელს საბჭოს თავმჯდომარე.

ჟუ ნინგი
სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე თავმჯდომარე



კომიტეტის წევრობა: აუდიტის კომიტეტის წევრი
დაინიშნა: 2012
ეროვნება: ჩინელი

განათლება
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო აშშ-ის ფუქუას ბიზნესსკოლაში, მაგისტრის ხარისხი ინჟინერიაში ვირჯინიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიიღო, ბაკალავრის ხარისხი - ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში.

კარიერა

ჟუ ნინგმა კარიერა დაიწყო უფროსი ფინანსური ანალიტიკოსის თანამდებობით Ford Motor კომპანიაში. ის გადავიდა J.P. Morgan Hong Kong-ში, საინვესტიციო საბანკო განყოფილების თანამშრომლად. 2004 წელს იგი გახდა ABN AMRO Bank-ის ვიცე პრეზიდენტი, რომელიც ხელმძღვანელობდა სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს.

ჰუალინგ ჯგუფის მიერ ბაზისბანკის შესყიდვისას მიწვეული იყო მრჩეველად, ხოლო 2015 წელს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ზაზა რობაქიძე
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი



კომიტეტის წევრობა: აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, რისკების კომიტეტის წევრი
დაინიშნა: 2018
ეროვნება: ქართველი

განათლება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში.

კარიერა

საბანკო საქმის ექსპერტმა ზაზა რობაქიძემ, რომელსაც სექტორში 25 წელზე მეტი გამოცდილება აქვს, 2018 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობა დაიკავა. 2012 წლიდან მუშაობდა ბაზისბანკის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ.

მრავალი წლის განმავლობაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა ცენტრალური ბანკის ზედამხედველობის სფეროში, ეკონომისტიდან სამეთვალყურეო დეპარტამენტის უფროსამდე.

.

ნინო ოხანაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი



კომიტეტის წევრობა: აუდიტის კომიტეტის წევრი,
დაინიშნა: 2023
ეროვნება: ქართველი

განათლება

მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში მენეჯმენტის ევროპულ სკოლაში (ESM Tbilisi) მიიღო; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა.

კარიერა

1999-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს ბანკში. 2000-2008 წლებში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა თიბისი ბანკში, მათ შორის ფილიალის დირექტორისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსის თანამდებობები. 2021-2022 წლებში ნინო ოხანაშვილი თეგეტა ჰოლდინგში ადამიანური რესურსების მთავარი ოფიცერი და თეგეტას აკადემიის დირექტორი იყო. სხვადასხვა წლებში იგი იყო ISB საერთაშორისო ბიზნესის სკოლის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი და Insource Recruitment and Advisory-ის დამფუძნებელი პარტნიორი. 2008 წლიდან დამოუკიდებელი კონსულტანტი ნინო ოხანაშვილი ახორციელებს ორგანიზაციული განვითარებისა და HRM საკონსულტაციო პროექტებს და კვლევით სამუშაოს.

საბინა ძიურმანი
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი



კომიტეტის წევრობა: რისკების კომიტეტის თავმჯდომარე
დაინიშნა: 2023
ეროვნება: ბრიტანელი-პოლონელი

განათლება

მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში ლონდონის ბიზნეს სკოლაში მიიღო.

კარიერა

2004-2015 წლებში ეკავა მაღალი თანამდებობები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (EBRD) სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. 2015-2019 წლებში იყო EBRD-ის დირექტორი საბერძნეთსა და კვიპროსზე.
2020-2022 წლებში საბინა ძიურმანი იყო უზბეკეთის Asakabank-ის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, ასევე აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და რისკების კომიტეტის წევრი.

მია მი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი



კომიტეტის წევრობა: აუდიტის კომიტეტის წევრი
დაინიშნა: 2018
ეროვნება: ჩინელი

განათლება

ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში ლოს ანჯელესის სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო.

კარიერა

ჰუალინგ ჯგუფის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონის საერთაშორისო განვითარების დირექტორი საქართველოში. იგი აქტიურად მონაწილეობდა ბაზისბანკის შესყიდვის პროცესში 2012 წელს.
2015-2017 წლებში იკავებდა სხვადასხვა პოზიციებს ბაზისბანკის ძირითად განყოფილებებში, აანალიზებდა საკრედიტო პორტფელს, კომუნიკაციაში იყო ჩინელ კორპორატიულ და საცალო კლიენტებთან, ასევე ბანკების აქციონერებთან.

დირექტორატის წევრები

დავით ცაავა

გენერალური დირექტორი



დაინიშნა: 2011

განათლება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიენიჭა, ფინანსების მაგისტრის ხარისხი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბაკალავრის ხარისხი საბანკო საქმესა და ფინანსებში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
კარიერა	ბაზისბანკის გენერალური დირექტორი 2011 წლიდან. 2015-2018 წლებში: ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2017 წლის დეკემბრიდან დავით ცაავა ბაზისბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანიების BB Leasing-ისა და BB Insurance-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. დავით ცაავას საბანკო საქმეში 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. კარიერა ბაზისბანკში 2004 წელს დაიწყო საკრედიტო ოფიცრის პოზიციაზე. მოგვიანებით, 2008 წლამდე ხელმძღვანელობდა კორპორატიული სესხების განყოფილებას. 2008-2010 წლებში დავით ცაავა დაინიშნა კორპორატიულ დირექტორად. 2010-2011 წლებში იყო გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ლია ასლანიკაშვილი

გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი



დაინიშნა: 2012

განათლება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

კარიერა

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები 2012 წლიდან. 2017-2018 წლებში: ბაზისბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანიის BB Leasing-ის გენერალური დირექტორი. 2017-დღემდე: ბაზისბანკის ჯგუფის წევრი კომპანიების BB Leasing-ისა და BB Insurance-ის ფინანსების გენერალური დირექტორის მოადგილე.

ლია ასლანიკაშვილს აქვს 20 წელზე მეტი გამოცდილება საბანკო საქმეში. 1999-2002 წლებში მუშაობდა ბაზისბანკის საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერად. 2002-2005 წლებში ხელმძღვანელობდა ამავე დეპარტამენტს. 2005-2008 წლებში ხელმძღვანელობდა განსახლების დეპარტამენტს. 2007-2008 წლებში ლია ასლანიკაშვილი ხაზინის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2008-2012 წლებში იყო ბაზისბანკის ფინანსური დირექტორი.

დავით კაკაბაძე **გენერალური მოადგილე, დირექტორი**	**დირექტორის რისკების**



დაინიშნა: 2012

განათლება:

კავკასიის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხი ფინანსებში.

კარიერა:

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვა 2019 წლიდან. 2017-2019 წლებში: ბაზისბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანიის BB დაზღვევის გენერალური დირექტორი. 2017-2018: ბაზისბანკის ჯგუფის წევრი კომპანია BB ლიზინგის გენერალური დირექტორის მოადგილე.

დავით კაკაბაძეს საბანკო საქმეში 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში 2003 წლიდანაა, თავდაპირველად მუშაობდა IT დეველოპერად/პროგრამისტად. 2005 წელს დაინიშნა IT პროგრამირების სამმართველოს უფროსად. 2008-2012 წლებში დავით კაკაბაძე გახდა IT და რისკების მართვის დირექტორი. 2012-2019 წლებში მუშაობდა ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილედ, რისკებისა და IT მენეჯმენტში.

ლევან გარდაფხაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო ბიზნესი



დაინიშნა: 2012

განათლება

მაგისტრის ხარისხი ბიზნესის მენეჯმენტში საქართველოს უნივერსიტეტში მიენიჭა; თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის უნივერსიტეტში - სამარლის მაგისტრის ხარისხი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკაში.

კარიერა

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო ბიზნესი 2012 წლიდან. 2017-2018 წლებში: ბაზისბანკის ჯგუფის წევრი კომპანიების BB ლიზინგისა და BB დაზღვევის გენერალური დირექტორის მოადგილე.

ლევან გარდაფხაძეს საბანკო საქმეში 20 წლიანი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში კარიერა საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერად მუშაობით დაიწყო. 2005 წელს დაინიშნა პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის უფროსად. 2007-2008 წლებში ხელმძღვანელობდა განვითარებისა და პროექტების მართვის კომიტეტს. 2008-2012 წლებში ლევან გარდაფხაძე საცალო საბანკო საქმიანობის დირექტორი იყო.

გიორგი გაბუნია

გენერალური მოადგილე, დირექტორი **დირექტორის კომერციული**



დაინიშნა: 2019

განათლება	მაგისტრის ხარისხი საბანკო საქმეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიანიჭა; აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი ფინანსებსა და საბანკო საქმეში.
კარიერა	ბაზისბანკის კომერციულ დირექტორია 2019 წლიდან; სექტორის 18 წლიანი გამოცდილება აქვს. 2012-2019 წლებში გიორგი გაბუნია ბანკის კომერციულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2010-2012 წლებში ხელმძღვანელობდა კორპორატიულ დეპარტამენტს. 2008-2010 წლებში ხელმძღვანელობდა კორპორატიულ რეგიონულ ჯგუფს, 2006-2008 წლებში გიორგი გაბუნია იყო კორპორატიული ბანკირი. წინა წლებში მუშაობდა ბაზისბანკის მარკეტინგისა და გაყიდვების სფეროებში.

რატი დვალაძე

გენერალური მოადგილე, დირექტორი	**დირექტორის ოპერაციული**



დაინიშნა: 2019

განათლება	თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ფიზიკა-მათემატიკაში; ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში.
კარიერა	ბაზისბანკის ოპერაციების დირექტორი 2019 წლიდან. 2014-2019 წლებში ხელმძღვანელობდა ბაზისბანკის პროექტების მართვისა და ბიზნესის ანალიზის განყოფილებას. 2008-2014 წლებში მუშაობდა საკრედიტო რისკის სისტემის და ანალიზის მიმართულებით. რატი დვალაძე ასევე არის ლექტორი.

ხვეი ლი

გენერალური დირექტორის მოადგილე, დაკრედიტება



დაინიშნა: 2012

განათლება	ჩინეთის ფინანსების უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი ბუღალტერიაში
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ შვილობილ კომპანიაში გაკეთებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურდა, გაუფასურების ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა ინვესტიციის საბალანსო ღირებულებასა და მის ანაზღაურებად ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება იანგარიშება, როგორც მისი სამართლიანი ღირებულების უმაღლეს სიდიდეს გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და გამოყენების ღირებულება. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღდგენილი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება შეფასებებში, რომლებიც გამოყენებული იყო ინვესტიციის თანხის ასანაზღაურებლად, გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების მომენტიდან.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ფინანსური ინსტრუმენტები – გაანგარიშების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ორმხრივ ტრანზაქციაში გაანგარიშების დღეს. სამართლიანი ღირებულების ყველაზე უკეთესი მტკიცებულება აქტიურ ბაზარზე მისი ფასია. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, რომელზეც აქტივებისა და ვალდებულებების ტრანზაქციები ხორციელდება ისეთი სიხშირით და მოცულობით, რომელიც საკმარისია ფასწარმოქმნის შესახებ მუდმივად ინფორმაციის მიღებისთვის. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ითვლება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის და ბიზნესერთეულის მფლობელობაში მყოფი რაოდენობის პროდუქტი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის ასათვისებლად და ერთი ტრანზაქციის ფარგლებში ამ პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების მიცემამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური წარმოებულების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომლებიც ბაზარზე სავაჭროდ არ არის განთავსებული, იანგარიშება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნებოდა წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ანუ აქტივის) გაყიდვიდან, კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ, ან გადახდილი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ანუ ვალდებულების) გადაცემისთვის (კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ) გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ორმხრივ კომერციულ ტრანზაქციაში. ეს წესი გამოიყენება პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივების მიმართ, თუ ჯგუფი: (ა) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამ ჯგუფის მართვას ახორციელებს კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ან კონკრეტული კონტრაგენტის საკრედიტო რისკის მიმართ ბიზნესერთეულის წმინდა პოზიციის საფუძველზე, ამ ბიზნესერთეულის რისკების მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად; (ბ) ამ საფუძველზე, აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ინფორმაციას აწვდის ბიზნესერთეულის მთავარ მენეჯმენტს; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის, ფინანსური აქტივებით და ფინანსური ვალდებულებებით გამოწვეული კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ბიზნესერთეულის პოზიციის ხანგრძლივობა არსებითად იგივეა.

ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი „გაშლილი ხელის მაძიებლის" (ე.წ. arm's length) პრინციპით შესრულებული ტრანზაქციების მოდელები ან ინვესტიციის ობიექტების ფინანსური მონაცემების განხილვა, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისთვის, რომლებზეც საერთაშორისო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების ანალიზი ტარდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგი დონეების მიხედვით: (ა) პირველი დონე მოიცავს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (ბ) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც ითვალისწინებს მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ, ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (გ) მესამე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ, ამ შემთხვევაში შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს). ითვლება, რომ სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლა მოხდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. იხ. 34. -ე განმარტება.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც გაყიდვების აგენტების ფუნქციას ასრულებენ), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გადაცემის გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება (AC) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხის დაფარვები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალის რეზერვი. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯების ამორტიზაციას და დაფარვის თანხის პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. აქტივებისათვის, რომლებიც იყო შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებით ("POCI") თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებას განიცდის საკრედიტო რისკის გათვალისწინებით, ანუ, ის იანგარიშება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიხედვით და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FFVTPL -ით თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტით სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ მიმდინარე ბაზრების დაკვირვებად მაჩვენებლებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ EECL რეზერვის აღიარება ხდება ფინანსური აქტივებისათვის, რომლების შეფასებაც ხდება AAC-ს მიხედვით და სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფასდება FVOCI-ს მიხედვით, რაც იწვევს მომენტალურ საანრიცხვო დანაკარგს.

ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში ("ჩვეულებრივი" შესყიდვა და გაყიდვა), აღირიცხება გარიგების დღეს, რომლის დროსაც ბანკი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ელექტრონული ვერსია

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკის გამოყენებით ჯგუფი საზღვრავს უცხოური ვალუტის სამართლიან ღირებულებას, რომელიც არ ივაჭრება აქტიურ ბაზარზე. შეიძლება წარმოიშვას განსხვავება თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას შორის, რომელიც მიიჩნევა ტრანზაქციის ფასად და თავდაპირველი აღიარებისას მესამე დონის მონაცემების და შეფასების ტექნიკის გამოყენებით განსაზღვრულ თანხას შორის. თუ განსხვავებები დარჩება მოდელების მონაცემთა კალიბრაციის შემდეგ, ეს განსხვავებები თავდაპირველად აღიარდება სხვა აქტივებში ან სხვა ვალდებულებებში და საბოლოოდ ამორტიზდება წრფივი მეთოდით უცხოური ვალუტის ფორვარდების ვადის განმავლობაში. განსხვავებები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ შეფასებისას მხოლოდ პირველი და მეორე დონის მონაცემები გამოიყენება.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების შეფასების კლასიფიკაციას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: FVTPL სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით,, FVOCI - სამართლიანი ღირებულება სხვა შემოსავლის საშულებით და AC - ამორტიზირებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (1) ჯგუფის შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვის ბიზნესმოდელზე და (2) აქტივების ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნესი მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი აქტივებს რათა ფულადი ნაკადი აწარმოოს, იმის მიუხედავად, მიზნად აქვს ჯგუფს აღებული: (1) აქტივებიდან მიიღოს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულის ნაკადები ("ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით"), ან (2) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადები ("აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით) ან, თუ არც (1) და არც (2) მოდელი არ არის გამოყენებული, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც "სხვა" ბიზნესმოდელი და ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისათვის (პორტფელის დონეზე) და ეფუძნება ყველა არსებულ შესაბამის მტკიცებულებას იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ჯგუფი ახორციელებს შეფასების ღღისთვის არსებული პორტფელისთვის განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად. ბიზნესმოდელის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა პორტფელის მიზნობრიობა და კომპოზიცია, წარსულის გამოცდილება, თუ როგორ გროვდებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისათვის, როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და როგორ ხორციელდება მენეჯერების კომპენსაცია. ჯგუფის მიერ მისი ფინანსური აქტივებისთვის ბიზნესმოდელების განსაზღვრისას გამოყენებული კრიტიკული მსჯელობა იხილეთ განმარტება 4 -ში.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როცა ბიზნესმოდელი ითვალისწინებს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობას და გაყიდვას, ჯგუფი აფასებს, ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). როცა დგინდება მათი ფულადი ნაკადების მოძრაობა SPPI მახასიათებლის შესაბამისია თუ არა, ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიცავს წარმოებულებს, განიხილება მთლიანობაში. შეფასების დროს, ჯგუფი ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობა ძირითადი დაკრედიტების პირობებს, ანუ პროცენტი შეიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის ანაზღაურებას, ფულის დროით ღირებულებას, სხვა ძირითად დაკრედიტების რისკებს და მოგების მარჟას.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები ქმნის რისკის პოზიციას ან ცვალებადობას, რომელიც შეუთავსებელია ძირითადი დაკრედიტების პირობებთან, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის პირველადი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი ხელახალი შეფასება. ფინანსური აქტივების SPPI ტესტირებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული კრიტიკული მსჯელობა იხ. განმარტება 4 -ში.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება პორტფელის მთლიანობაში მართვის ბიზნესმოდელი. რეკლასიფიკაციას პერსპექტივის ეფექტი აქვს და ხდება ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას ბიზნესმოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდებში არ შეუცვლია და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-ისთვის (მოსალოდნელი

საკრედიტო დანაკარგები). ჯგუფი წინასწარ აფასებს ECL-ს, AC-ით და FVOCI-ით სავალო ინსტრუმენტებისთვის და ასევე სასესხო ვალდებულებებით და ფინანსური გარანტიებით გამოწვეული პოზიციებისთვის. ჯგუფი აფასებს ECL-ს და აღიარებს საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყოველ საანგარიშო თარიღისათვის. ECL-ის მაჩვენებელი ასახავს: (ა) მიუკერძოებლობას და შეწონილი თანხის ალბათობას, რომელიც დგინდება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასების გზით; (ბ) ფულის დროით ღირებულებას, (გ) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველგვარი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, გასული მოვლენების, არსებული პირობების და სამომავლო პირობების პროგნოზების თაობაზე საანგარიშო პერიოდის დასასრულს.

AC-ით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშში, სადაც არაა გათვალისწინებული ECL-ის რეზერვები. სასესხო ვალდებულებების და ფინანსური გარანტიებისთვის, ECL-ის ცალკე რეზერვი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშში ცალკე აღიარდება, როგორც ვალდებულება. FVOCI-ით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ცვლილებები ამორტიზებულ ღირებულებაში, სადაც არაა გათვალისწინებული ECL-ის რეზერვები, აღიარებულია მოგება-ზარალში. საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებები კი აღიარებულია OCI-ში, როგორც მოგებას გამოკლებული დანაკარგები სავალო ინსტრუმენტებზე FVOCI-ით.

ჯგუფი გაუფასურებაზე იყენებს სამეტაპიან მოდელს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ კრედიტის ხარისხში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საკრედიტო რისკის მიხედვით არ გაუფასურებულა თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1 ეტაპზე. 1 ეტაპის ფინანსურ აქტივებზე ECL ითვლება თანხით, რომელიც უდრის არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს მომდევნო 12 თვეში ან ვადის ბოლომდე მოსალოდნელი დეფოლტის მოვლენებიდან, თუ უფრო მოკლეა. („12-თვიანი ECL) თუ ჯგუფი თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ("SICR"), აქტივი 2 ეტაპზე გადადის და მისი ECL ითვლება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის მიხედვით, ანუ სახელშეკრულებო ვადის ბოლომდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების, თუ ასეთი არის, გათვალისწინებით („არსებობის მთელი პერიოდის ECL"). იმისთვის, თუ როგორ ადგენს ჯგუფი, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდა, იხ. განმარტება 31. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკის მიხედვითაა გაუფასურებული, აქტივი გადადის მე-3 ეტაპზე და მისი ECL ითვლება, როგორც არსებობის მთელი პერიოდის ECL. საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების და დეფოლტის ჯგუფისეული დეფინიცია იხ. განმარტებაში 31. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არის შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ("POCI აქტივები"), ECL ყოველთვის ითვლება, როგორც არსებობის მთლიანი პერიოდის ECL. განმარტება 31 გვთავაზობს ინფორმაციას მონაცემების, ვარაუდების და საპროგნოზო ტექნიკის შესახებ, რომლებიც ECL-ის გაანგარიშებისას გამოიყენება.

ფინანსური გარანტიების და საკრედიტო ვალდებულებებისთვის, ECL-ის რეზერვი „ვალდებულებების და ხარჯების რეზერვების" ნაწილში განცხადდება, როგორც ვალდებულება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR). იმისათვის, რათა განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში მომხდარ დეფოლტის რისკს საანგარიშო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკს. შეფასება ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შედარებით ზრდას და არა საანგარიშო პერიოდის ბოლოს რისკის გარკვეული დონის მიღწევას. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა არასათანადო ხარჯის და ძალისხმევის გაწევის გარეშე არსებულ გონივრულ და დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას, რაც მოიცავს მთელ რიგ ფაქტორებს, მათ შორის კონკრეტული კლიენტთა პორტფელების ქცევით ასპექტებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის ზრდის ქცევით მაჩვენებლებს ვადაგადაცილებამდე გამოავლენს და შესაბამის საპროგნოზო ინფორმაციას საკრედიტო რისკის შეფასებაში შეიტანს, ან ცალკეული ინსტრუმენტის, ან პორტფელის დონეზე. იხ. განმარტება 31.

ECL რომ კლიენტებზე გაცემულ ყველა სესხსა და ავანსზე იზომებოდეს არსებობის მთელი პერიოდის ECL-ით, (ანუ, ამჟამად 1 და 2 ეტაპებს მიკუთვნებულებიც, 12-თვიანი ECL-ით), მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,663 ათასი ლარით მეტი იქნებოდა (2022 წლის 31 დეკემბერს: 4,481 ათასი ლარით მეტი).

ბიზნესმოდელის შეფასება. ბიზნესმოდელი წარმართავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ბიზნესმოდელის შეფასებისას მენეჯმენტმა იმსჯელა ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგაციის დონისა

ფასიანი ქაღალდი

და პორტფელის განსაზღვრის შესახებ. გაყიდვების გარიგების შეფასებისას ჯგუფი განიხილავს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვების მიზეზებს და მოლოდინებს სამომავლო საქმიანობის შესახებ. გაყიდვების გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს პოტენციური ზარალის შემცირებას კრედიტის გაუარესების გამო, „ამოღების მიზნით ფლობის" ბიზნესმოდელის შესაბამისად მიიჩნევა. ვადის დადგომამდე სხვა გაყიდვები, რომლებიც არაა დაკავშირებული საკრედიტო რისკების მართვის საქმიანობასთან, ასევე შეესაბამება ბიზნესმოდელს „ამოღების მიზნით ფლობა", იმ პირობით, რომ ისინი არაა ხშირი ან უმნიშვნელოა ღირებულებით, როგორც ცალკე, ისე აგრეგირებულად.

ჯგუფი გაყიდვების ტრანზაქციების მნიშვნელობას ამცვარად აღგენს: გაყიდვების ღირებულებას ადარებს პორტფელის ღირებულებას, ამ დროს გააჩნია, როგორია ბიზნესმოდელის შეფასება პორტფელის საშუალო პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ფინანსური აქტივის გაყიდვები, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესის სცენარში, ან ცალკეული მოვლენის საპასუხოდ, რომელიც ჯგუფის კონტროლის მიღმაა, არაა განმეორებადი და არ შეიძლება ჯგუფს მისი მოლოდინი ჰქონოდა, განიხილება, როგორც შემთხვევითი და ბიზნესმოდელის ამოცანას აცდენილი და არ იმოქმედებს შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ბიზნესმოდელი „ამოღების მიზნით ფლობა" ნიშნავს, რომ აქტივების ფლობის მიზანია ფულადი ნაკადების ამოღება, მაგრამ გაყიდვაც ასევე ბიზნესისმოდელის მიზნის ნაწილია, მაგალითად, ლიკვიდობის საჭიროებების მართვა, კონკრეტული ამონაგების მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის შეთანხმება იმ ვალდებულებების ხანგრძლივობასთან, რომლებიც აფინანსებს ამ აქტივებს.

ნარჩენ კატეგორიაში შედის ფინანსური აქტივების ის პორტფელები, რომელთა მართვა ხდება ფულადი ნაკადების რეალიზაციის მიზნით, ძირითადად, გაყიდვის გზით, მაგალითად, სადაც არსებობს ვაჭრობის მაგალითი. საკონტრაქტო ფულადი ნაკადის ამოღება ამ ბიზნესმოდელისთვის ხშირად შემთხვევითობის საფუძველზე ხდება.

იმის განსაზღვრა, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). იმის დადგენა, ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადი არის თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა, მსჯელობას მოითხოვს.

ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება არ ემთხვევა სავალო ინსტრუმენტის საბაზო საპროცენტო განაკვეთში ჩადებულ შინაარსს, მაგალითად, სესხი იხდის სამთვიან ბანკთაშორის განაკვეთს, მაგრამ პროცენტი იცვლება ყოველ თვეში. ფულის შეცვლილი დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების საორიენტაციო სავალო ინსტრუმენტთან შედარების საშუალებით, რომელსაც SPPI ფულადი ნაკადები აქვს, როგორც თითოეული პერიოდისთვის, ისე კუმულაციურად, ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში. შეფასება ჩატარდა ყველა გონივრულად შესაძლებელი სცენარისთვის, მათ შორის გონივრულად შესაძლებელი ფინანსური სტრესის სიტუაციისთვის, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფინანსურ ბაზრებზე. ჯგუფმა გამოიყენა 10%-იანი ბარიერი იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად განსხვავდება თუ არა საორიენტაციო ინსტრუმენტებს დაპირისპირებული განსხვავებები. ფულადი ნაკადების მქონე სცენარის შემთხვევაში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საორიენტაციო მაჩვენებლისაგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და ინსტრუმენტის აღრიცხვა ხდება FVTPL- ით.

ჯგუფმა დაადგინა და გაითვალისწინა სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან რაოდენობას. SPPI-ს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია იმ შემთხვევაში, თუ სესხი ადრეული ანგარიშსწორების საშუალებას იძლევა, ხოლო წინასწარ გადახდილი თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს, გარდა ამისა, გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას გამოკლებული შემდგომი ძირითადი დაფარვები, ანუ გადახდები პროცენტის გარდა, რომელიც განისაზღვრება ეფექტური პროცენტის მეთოდით. ამ პრინციპის გამონაკლისის სახით სტანდარტი ასევე ფარავს იმ ინსტრუმენტებს, რომლებსაც აქვთ წინასწარი გადახდის მახასიათებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI–ის შესასრულებლად შემდეგ პირობას: (i) აქტივი წარმოიქმნება პრემიით ან დისკონტით, (ii) წინასწარი გადახდის თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო პარიტეტულ თანხასა და დარიცხულ პროცენტს, ასევე გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის, და (ii) წინასწარი გადახდის მახასიათებლის სამართლიანი ღირებულება არ არის არსებითი საწყის აღიარებაში.

შიდა კონფიდენციალური

ინსტრუმენტები, რომლებმაც ვერ გაიარეს SPPI ტესტი, აღირიცხება FVTPL– ით.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როცა ჯგუფი ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. იმის დასადგენად, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს, შემდეგი მაჩვენებლები გამოიყენება: სესხების 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება და ჩამოწერის დღეს უზრუნველყოფის არარსებობა. ბანკი ასევე ჩამოწერს სესხებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ვადაგადაცილებული ვალდებულების აღსრულების პროცესი დასრულებულია და ყველა არსებული უზრუნველყოფა გაყიდულია აუქციონზე, ან დასაკუთრებულია. დარჩენილი არაუზრუნველყოფილი ვალდებულება ჩამოიწერება, მაშინაც კი, როცა ჩამოწერის მომენტისთვის ვალდებულების ვადაგადაცილებული ნაწილი არ არსებობს.

ექსპერტული რეკომენდაციის მიხედვით, ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როცა ჯგუფი ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ამოღება უმნიშვნელოა დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლებისთვის, იმის განსაზღვრა, რომ ფულადი ნაკადების მეშვეობით აღდგენის გონივრული მოლოდინი არ არსებობს, მეწარმენტის განსჯაზეა დამოკიდებული და ცალკეული კლიენტების მახასიათებლებს ითვალისწინებს.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და თან 1) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან 2) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება, როცა კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ხანდახან ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებას მართავს ან სხვაგვარად ცვლის მათ.

როდესაც ფინანსური აქტივები ხელშეკრულებით იცვლება (მაგ. ხელახალი მოლაპარაკება), ჯგუფი აფასებს არის თუ არა ცვლილება არსებითი და უნდა გამოიწვიოს თუ არა თავდაპირველი აქტივის აღიარების შეწყვეტა და ახალი აქტივის აღიარება სამართლიანი ღირებულებით. ეს შეფასება ეფუძნება პირველ რიგში ხარისხობრივ ფაქტორებს, რომლებიც აღწერილია მესაბამის საბრიცხვო პოლიტიკაში და საჭიროებს მნიშვნელოვან მსჯელობას. კერძოდ, ჯგუფი იყენებს მსჯელობას, როცა წყვეტს, უნდა შეუწყდეს თუ არა აღიარება კრედიტით გაუფასურებული, ხელახალ მოლაპარაკებებს დაქვემდებარებული სესხებას და უნდა ჩაითვალოს თუ არა ახალი აღიარებული სესხები თავდაპირველი აღიარებისას კრედიტით გაუფასურებულად. აღიარების შეწყვეტის შესახებ შეფასება დამოკიდებულია იმაზე, შეიცვლება თუ არა რისკები და სარგებელი, ანუ მოსალოდნელი (და არა სახელშეკრულებო) ფულადი ნაკადების ცვალებადობა ასეთი მოდიფიკაციის შედეგად.

როცა ხარისხობრივი ანალიზის შედეგად ბანკი ვერ აღმოაჩენს ისეთ კრიტერიუმებს, რომელიც აღიარების შეწყვეტამდე მიიყვანს, საჭიროა დამატებითი რაოდენობრივი ტესტირების ჩატარება. ამ დროს მოდიფიკაცია ძირეულად მიიჩნევა, თუ შეცვლილი პირობებით ფულადი ნაკადების მიმდინარე ჭმინდა ღირებულება, გადახდილი ან მიღებული საკომისიოს ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება მოდიფიკაციამდელი ფინანსური აქტივის დარჩენილი ფულადი ნაკადების მიმდინარე ჭმინდა ღირებულებისგან. ორივე მათგანი დისკონტირდება მოდიფიკაციამდელი ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

როცა ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესახებ ხდება ხელახალი მოლაპარაკება ან მათი სხვაგვარი ცვლილება და ამგვარი ხელახალი მოლაპარაკება ან მოდიფიკაცია არ სრულდება ამ ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტით, ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის ბრუტო

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

საბალანსო ღირებულებას და მოგება-ზარალში აღიარებს მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს. ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულება ხელახლა გაანგარიშდება, როგორც ხელახლა მოლაპარაკებას დაქვემდებარებული ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაწეული ხარჯები ან საკომისიოები აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილ პერიოდში.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ჯგუფი თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს სამართლიანი ღირებულებით. აღიარების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დადგენისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

სამართლიანი ღირებულებით აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებულ აქტივს შორის განსხვავება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავების არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ მიეწერება.

ისეთ სიტუაციაში, სადაც აღიარების შეწყვეტა გამოწვეული იყო კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების გაკეთების უუნარობით, ჯგუფი თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რითაც აფასებს, აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით.

ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც საბოლოოდ AC-ით დათვლილი, გარდა, 1) FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება დერივატივებზე, რეალიზაციისთვის განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ. ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციებზე), შემსყიდველის მიერ აღიარებულ ვალდებულებებზე ბიზნესკომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და 2) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

ჯგუფსა და ჯგუფის სავალო ინსტრუმენტების თავდაპირველი კრედიტორებს შორის ძირეულად განსხვავებული პირობების ურთიერთგაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების ძირეული მოდიფიკაციები აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ამოწურვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები ძირეულად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით, ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, მათ შორის გადახდილი საკომისიოები, მიღებული და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული საკომისიოების გამოკლებით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისგან. ამასთან, გასათვალისწინებელია სხვა ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა ინსტრუმენტის ვალუტა, საპროცენტო განაკვეთის ტიპების ცვლილება, ინსტრუმენტის ახალი კონვერსიის მახასიათებლები და სესხების კოვენანტების ცვლილება.

თუ სავალო ინსტრუმენტების ურთიერთგაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც ამოწურული, შესაბამისი ხარჯები და საკომისიოები აღიარდება, როგორც ამოწურვის მოგების ან ზარალის ნაწილი. თუ ურთიერთგაცვლა და მოდიფიკაცია არ აღიარდება ამოწურვად, ვალდებულების საბალანსო

ღირებულება კორექტირდება გაწეული ხარჯებით და საკომისიოებით და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების არსებობის დარჩენილ პერიოდზე.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ სრულდება ამოწურვით, აღირიცხება, როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებების განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციებს არ მიეწერება.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები ის მუხლებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებებს და რეპო და უკურეპო ხელშეკრულებებს სხვა ბანკებთან, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომლებიც დაბლოკილია სამ თვეზე მეტი ხნით, ამოღებულია კატეგორიიდან „ფული და ფულის ეკვივალენტები" როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, ისე ფულადი ნაკადების მოძრაობის განცხადების მიზნებისთვის. ფული და ფულის ეკვივალენტები AC-ით აღირიცხება.

ფულადი სახსრები სებ-ში. სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრების რეზერვი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც არ შეიძლება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დაფინანსებისთვის და ამიტომ, ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის, არ მიიჩნევა ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემადგენელ ნაწილად.

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება, როცა ჯგუფი ფულს კონტრაგენტთა ბანკებში ავანსის სახით გადარიცხავს. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში. ბიზნესმოდელიდან და ფულადი ნაკადების მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი სავალო ფასიან ქაღალდებში გაკეთებულ ინვესტიციებს აკლასიფიცირებს, როგორც AC-ით, FVOCI-ით ან FVTPL-ით აღრიცხულს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია AC-ით, თუ მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციაა და როცა ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და თუ ისინი თვითნებურად არ არის FVTPL დანიშნულების, სააღრიცხვო შეუსაბამობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

სავალო ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია FVOCI-ით, თუ მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაცია და გაყიდვაა, როცა ასეთი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და თუ არ არის FVTPL დანიშნულების. ამ აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდით პროგნოზირებული გაუფასურების რეზერვი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. საბალანსო ღირებულების ყველა სხვა ცვლილება აღიარდება OCI-ში. როცა სავალო ფასიანი ქაღალდის აღიარება წყდება, ადრე OCI-ში აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი OCI-დან გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში აღირიცხება FVTPL-ით, თუ ისინი არ აკმაყოფილებს AC-ის ან FVOCI-ის კრიტერიუმებს. ჯგუფს ასევე შეუძლია ინვესტიციებს სავალო ფასიან ქაღალდებში FVTPL დანიშნულება მიანიჭოს თავდაპირველი აღიარებისას, თუ ამ ალტერნატივის არჩევა მნიშვნელოვნად შეამცირებს ბუღალტრულ შეუსაბამობას იმ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც აღიარდება ან ანგარიშდება სხვადასხვა სააღრიცხვო საფუძვლებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები ჩაიწერება, როცა ჯგუფი გასცემს ფულს კლიენტისგან მისაღები სესხის შესასყიდად ან წარმოშობისთვის. ბიზნესმოდელიდან და ფულადი ნაკადების მოძრაობის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი კლიენტებზე გაცემულ სესხებს და ავანსებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში: 1) AC: სესხები, რომლებიც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციისთვისაა განკუთვნილი და ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და სესხები, რომლებსაც თვითნებურად არ მიენიჭება FVTPL დანიშნულება, და 2) FVTPL: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებს SPPI ტესტს ან სხვა AC ან FVOCI

ელექტრონული ხელმოწერა

კრიტერიუმებს ითვლება FVTPL-ით.

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება ECL მოდელების მიხედვით. განმარტება 31 შეიცავს ინფორმაციას ECL გაანგარიშებაში გამოყენებული მონაცემების, ვარაუდების და პროგნოზების ტექნიკის შესახებ, მათ შორის ახსნას, თუ როგორ შეაქვს ჯგუფს საპროგნოზო ინფორმაცია ECL მოდელებში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა. დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებსაც ჯგუფი მიიღებს ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. თავდაპირველად აქტივები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შეიტანება კატეგორიაში „შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა", „სხვა ფინანსური აქტივები," „საინვესტიციო ქონება" ან „სასაქონლო-მატერიალური მარაგები" სხვა აქტივებში, გააჩნია მათ ბუნებას და ჯგუფის მიზანს ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ისინი წინასწარ ითვლება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებული საღირიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული აქტივების მარაგები აღირიცხება უმცირესი ღირებულებით, ანუ წმინდა რეალიზებადი ღირებულებით. სარეალიზაციო ან გრძელვადიან აქტივებთან და გასხვისების ჯგუფებთან დაკავშირებით საღირიცხვო პოლიტიკას ჯგუფი იყენებს დასაკუთრებულ უზრუნველყოფაზე, როცა ამგვარი კლასიფიკაციისთვის შესაბამისი პირობები დაცულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სასესხო ვალდებულებები. ჯგუფი გასცემს ვალდებულებებს სესხებზე. ეს ვალდებულებები გამოუთხოვადი ან გამოთხოვადია მხოლოდ მატერიალურ უარყოფით ცვლილებასთან მიმართებაში. ამგვარი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რაც როგორც წესი დასტურდება მიღებული საკომისიოებით. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით ვალდებულების არსებობის პერიოდში, გარდა სესხების წარმოშობის ვალდებულებებისა, თუ არის იმის ალბათობა, რომ ჯგუფი კონკრეტულ დაკრედიტების ხელშეკრულებას დადებს და არ მოელის ამ სესხის გაყიდვას წარმოშობიდან მოკლე ვადაში; ამგვარი სასესხო ვალდებულების საკომისიოები გადავადდება და შეიტანება სესხის საბალანსო ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებები ითვლება 1) თავდაპირველი აღიარების თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ბალანსით, პლუს 2) ზარალის რეზერვის თანხით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით, თუ ვალდებულება ითვალისწინებს სესხის გაცემას საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე ქვემოთ, რა შემთხვევაშიც დათვლა ხდება ამ ორი თანხიდან უმაღლესით. სასესხო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას. იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც მოიცავს როგორც სესხს ისე აუთვისებელ ვალდებულებას და როცა ჯგუფს არ შეუძლია ცალკე განსხვავოს აუთვისებელი ვალდებულების და სესხის კომპონენტის ECL, აუთვისებელი ვალდებულების ECL აღიარდება სესხზე ზარალის რეზერვთან ერთად. რამდენადაც კომბინირებული ECL-ები აჭარბებს სესხის ბრუტო საბალანსო ღირებულებას, ისინი აღიარებულია ვალდებულებად.

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები მოითხოვს, რომ ჯგუფმა სპეციალური გადახდები გააკეთოს, რათა გარანტიის მფლობელს აუნაზღაუროს მის მიერ გაწეული ზარალი, რომელიც გამოიწვია კონკრეტული დებიტორის მიერ ვადაგადამდგარი ვალდებულების გაუსტუმრებლობამ სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების თანახმად. ფინანსური გარანტირები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რისი დასტურიცაა მიღებული საკომისიოები. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის არსებობის პერიოდში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ითვლება, როგორც უმაღლესი მაჩვენებელი ამ სიდიდეებს შორის: 1) გარანტირებული პოზიციის ზარალის რეზერვის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი ზარალის მეთოდით და 2) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი თავდაპირველი აღიარებისას. ამასთან, ECL ზარალის რეზერვი აღიარდება იმ მისაღები საკომისიოებისთვის, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში აღიარებულია, როგორც აქტივი.

ეფექტიანობის გარანტიები. ეფექტიანობის გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც

ითვალისწინებს კომპენსაციას იმ შემთხვევებში, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს კონტრაქტით დაკისრებულ ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტებით არაფინანსური ეფექტიანობის რისკი გადაეცემა საკრედიტო რისკთან ერთად. ეფექტიანობის გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ადასტურებს მიღებული საკომისიოები. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის არსებობის პერიოდში. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ითვლება, როგორც უმაღლესი მაჩვენებელი ამ სიდიდეებს შორის: 1) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი თავდაპირველი აღიარებისას და 2) თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონტრაქტზე ანგარიშსწორებისთვის საჭირო დანახარჯის საუკეთესო წინასწარი შეფასება, დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებით. როცა ჯგუფს კონტრაქტით მინიჭებული აქვს უფლება, ეფექტიანობის გარანტიის კონტრაქტების ანგარიშსწორებისთვის გადახდილი თანხების ამოსაღებად მიმართოს კლიენტს, ეს თანხები გარანტიის მიმღებისთვის ზარალის ანაზღაურების გადაცემისას აღიარდება, როგორც აქტივი. ეს საკომისიოები აღიარდება მოგება-ზარალის „საკომისიო შემოსავლების" კატეგორიაში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს გაქირავებიდან შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის, ან ორივე მიზნით, და რომელიც ჯგუფის მიერ არ არის დაკავებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს აქტივებს მშენებლობის პროცესში, რომელიც მომავალში გამოიყენება საინვესტიციო ქონებად.

საინვესტიციო ქონება განცხადებულია თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა განცხადდება თვითღირებულებით ან გადაფასებული თანხებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა.

საქმაო რეგულარულობით, შენობები გადაფასებას ექვემდებარება, რათა ზუსტად იყოს ცნობილი, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ ღირებულებისგან, რომელიც დადგინდებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებისას. საბალანსო ღირებულების ზრდა, რომელსაც გადაფასებისას აქვს ადგილი, კრედიტდება სხვა სრულ შემოსავალში და ზრდის გადაფასების ნამეტს კაპიტალში. შემცირება, რომელიც აოფსეტებს იმავე აქტივის წინა ზრდებს, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და ამცირებს ადრე აღიარებულ გადაფასების ნამეტს კაპიტალში; ყველა სხვა შემცირება აღირიცხება წლის მოგება-ზარალში. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გადაფასების რეზერვი, რომელიც კაპიტალშია შეტანილი, პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში, როცა გადაფასების ნამეტი რეალიზდება აქტივის აქტიური მოხმარებიდან გამოსვლის ან გასხვისებისას.

თუ არ არსებობს სამართლიანი ღირებულების ბაზრიდან გამომდინარე მტკიცებულება, მაშინ სამართლიანი ღირებულება წინასწარ ფასდება შემოსავლის მიდგომის გამოყენებით.

მცირე შეკეთებების ხარჯები და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები მათი გაწევისას ტარდება. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის დიდი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზაციას გადის, გამოცვლილი ნაწილი კი აღირიცხება, როგორც აქტიური მოხმარებიდან გამოსული.

საიჯარო ქონების გაუმჯობესება არის ჯგუფის მიერ დაქირავებულ საკუთრებაში განხორციელებული ცვლილებები მისი კონკრეტული ბიზნეს საჭიროებებისა და პრეფერენციების შესაბამისად. საოფისე აღჭურვილობა, მანქანები, იჯარის გაუმჯობესებები განცხადდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გარეშე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გაუფასურების რამე ნიშნები. თუ არის, მენეჯმენტი წინასწარ აფასებს ამოსაღები თანხის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება, როგორ აქტივის სამართლიანი ღირებულების უმაღლეს მაჩვენებელს გამოკლებული გასაყიდი ხარჯები და ღირებულების გამოყენებული სიდიდე. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოსაღებ თანხამდე და წლის მოგება-

ზარალში აღიარდება გაუფასურების ზარალი იმ ოდენობით, რომ აქარბებდეს კაპიტალში აღიარებულ გადაფასების ნამეტს.

აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ამობრუნდება, თუ დაფიქსირდება ცვლილებები ღირებულების გამოყენებული სიდიდის ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდი ხარჯების პროგნოზირებისთვის გამოყენებულ მაჩვენლებლებში.

გასხვისებისას მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც დადგინდება შემოსული თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება წლის მოგება-ზარალში (სხვა ოპერაციულ შემოსავალში ან ხარჯებში, ნმიხდა).

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისას და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანისას. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ჯგუფის მიერ კონტროლირებად, იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, აისახება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ კი არსებობს დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მოპოვების ალბათობა, რომელიც აღემატება გაწეულ ხარჯებს. კაპიტალიზებული ხარჯები არის გარე კონტრაქტორების მიერ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მომსახურების მისაღებად გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაწევისას. კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს ფუნქციური ვადის გარეშე ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რაც შიდა მსჯელობით დგინდება.

ცვეთა. ცვეთა არ ვრცელდება მიწასა და მშენებლობაზე. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის კატეგორიის სხვა მუხლებზე ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით და მათი თვითღირებულება ან გადაფასებული თანხები მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე ნაწილდება მათ ნარჩენ ღირებულებაზე.

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	50
საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა	5
ბანკომატი	10
სალიზინგო ქონების გაუმჯობესება	1 to 5
ავტოტრანსპორტი	5
აქტივების გამოყენების უფლება	1 to 10
პროგრამული უზრუნველყოფა ფუნქციური ვადიანობის გარეშე	10
ლიცენზიები ფუნქციური ვადიანობის გარეშე	8

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საპროგნოზო თანხა, რომელსაც ჯგუფი აქტივის რეალიზაციიდან ამჟამად მიიღებდა, გამოკლებული გასხვისების შესაძლო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ასაკიანია და იმ მდგომარეობაშია, რომ მოსალოდნელია, სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლო პერიოდი ჰქონდეს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადა განიხილება და თუ საჭიროა კორექტირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

იჯარის აღრიცხვა, როცა ჯგუფი მოიჯარეა. ჯგუფს იჯარით აღებული აქვს ოფისი და შენობები. იჯარით აღებული ქონება აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება იმ დღეს, როცა იჯარით აღებული ქონება ჯგუფის მიერ გამოსაყენებლად მზადაა. თითოეული საიჯარო გადასახდელი განაწილებულია ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯს შორის. ფინანსური ხარჯი ტარდება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში, რითაც დგინდება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ვალდებულების დარჩენილი ნაწილის მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული პერიოდისთვის.

აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება თვითღირებულებით და მისი ცვეთა განისაზღვრება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირესი ღირებულებით, წრფივი მეთოდით.

იჯარიდან გამომდინარე ვალდებულებები თავდაპირველად ანგარიშდება მომდინარე ღირებულებით. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი სალიზინგო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითი ფიქსირებული გადახდები), გამოკლებული მისაღები საიჯარო შეღავათები, თუ ასეთი არის;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ინდექსს ან განაკვეთს ეფუძნება;
- ის თანხები, რომლებიც მოიჯარემ უნდა გადაიხადოს ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში;
- შესყიდვის ოფციის ფასი, თუ მოიჯარე გონივრულად დარწმუნებულია რომ ამ ოფციას გამოიყენებს, და
- იჯარის შეწყვეტისთვის დაწესებული ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის პირობები ითვალისწინებს მოიჯარის მიერ ამ ოფციის გამოყენებას.

იჯარის გადახდა დისკონტირდება იჯარის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი ვერ დადგინდა, გამოიყენება მოიჯარის დამატებითი მსესხებლის განაკვეთი, ანუ ის განაკვეთი, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის შესაძენად თანხის სესხების შემთხვევაში, მსგავს ეკონომიკურ გარემოში მსგავსი პირობებით.

აქტივების გამოყენების უფლება ანგარიშდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი გაანგარიშების თანხა;
- დაწყების დღემდე ან ამ დღეს გადახდილი იჯარის თანხა, გამოკლებული რაიმე საიჯარო შეღავათი;
- რაიმე თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აღდგენის ხარჯები.

ზემოხსენებულიან გამონაკლისის სახით, ჯგუფი მოკლევადიან იჯარას და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარას აღრიცხავს საიჯარო გადასახდელების საოპერაციო ხარჯებად აღიარებით, წრფივი მეთოდით.

საიჯარო პირობების განსაზღვრისას, ჯგუფის მენეჯმენტი ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ვადის გაგრძელების ოფციის ეკონომიკურ სტიმულს, ან არ იყენებს შეწყვეტის ოფციას. ვადის გაგრძელების ოფციები (ან შეწყვეტის ოფციის შემდგომი პერიოდები) საიჯარო პირობებში შედის თუ არსებობს გონივრული დარწმუნება, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

ამგვარი შეფასება გადაისინჯება, თუ ადგილი ექნება მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებათა მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც გავლენას მოახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ჯგუფის მიერ საოპერაციო იჯარების აღრიცხვა, როცა ჯგუფი მეიჯარეა. როცა აქტივები იჯარით გაიცემა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებით, იჯარიდან მისაღები შემოსავლები აღიარდება საიჯარო შემოსავლად წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები. როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც გადაცემს მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკებს და სარგებელს მოიჯარეს, იჯარით გადაცემული აქტივები აისახება როგორც მისაღები ფინანსური იჯარა და აისახება სამომავლო იჯარის გადასახადების მიმდინარე ღირებულებით. ფინანსური იჯარიდან მისაღები შემოსავლები თავდაპირველად აღიარდება დასაწყისში (იჯარის ვადის დაწყებისთანავე) თავდაპირველად დაწესებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (იჯარის ხელშეკრულების ადრინდელი თარიღი და მხარეების მიერ კონტრაქტის ძირითადი დებულებების მიღების თარიღი).

მთლიანი მისაღები შემოსავლებისა და დღევანდელი ღირებულების სხვაობა წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. აღნიშნული შემოსავალი ექვემდებარება აღიარებას იჯარის ვადის განმავლობაში წმინდა ინვესტიციების (დაბეგვრამდე) მეთოდის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოგების მუდმივ პერიოდულ ნორმას. იჯარის ორგანიზებასთან და მოლაპარაკების ჩატარებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები შედის ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანების პირველად შეფასებაში და ამცირებს იჯარის პერიოდში აღიარებულ მოგების თანხას. იჯარის ფინანსური მოგება ცალკე მუხლად აისახება წლიურ მოგება-ზარალში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში.

საკრედიტო დანაკარგების რეზერვის აღიარება ხორციელდება საერთო ECL (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები) მოდელის შესაბამისად, გამარტივებულიმიდგომით, მთელი სასიცოცხლო პერიოდის ECL-ით. ECL-ი დგინდება იგივე მეთოდით, რაც სესხებისათვის და ავანსებისათვის, რომლების შეფასება ხდება AC (ამორტიზირებული ღირებულების)-ით და აღირიცხება სარეზერვო ანგარიშით დებიტორული დავალიანების სუფთა საბალანსო ღირებულების ჩამოწერისათვის მოყვანილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ღირებულებაში, ფინანსური იჯარით გათვალისწინებული დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთით.

სამომავლო სავარაუდო ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს იჯარას დაქვემდებარებული აქტივების შეძენა-გაყიდვების შედეგად.

ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ. სხვა ბანკების მიმართ ვალდებულებები იწერება, როცა ფული ან სხვა აქტივები გაიცემა ჯგუფზე კონტრაგენტი ბანკების მხრიდან. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება AC-ით. თუ ჯგუფი შეისყიდის მის საკუთარ ვალს, ვალდებულება მოიხსნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის სხვაობა შეიტანება ვალის ადრეული გაუქმებით გამოწვეულ მოგებაში ან ზარალში.

კლიენტთა ანგარიშები. კლიენტთა ანგარიშები არის ფიზიკური პირების, სახელმწიფო ან კორპორაციული კლიენტების არაწარმოებული ვალდებულებები და აღირიცხება AC-ით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდულ საკრედიტო რესურსებს, რომლებიც აღირიცხება AC-ით.

სუბორდინირებული ვალი. სუბორდინირებული ვალის გადახდა შეიძლება ლიკვიდაციის დროს, როცა სხვა უფრო მაღალი პრიორიტეტის კრედიტორების მიმართ არსებული ვალდებულებები შესრულებულია. სუბორდინირებული ვალი აღირიცხება AC-ით.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება AC-ით. თუ ჯგუფი ყიდულობს საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებს, ისინი ამოღებულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის შედის ვალის ვადის გასვლისგან წარმოშობილ მოგებაში.

ფინანსური განგრძარი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

აქციონერისგან მიღებული სუბორდინირებული ვალის აღრიცხვა. აქციონერმა (მპს სინძიანგ ჰუალინგ ინდასთრი ენდ თრეიდ (გრუფ) კო) ჯგუფზე გასცა სუბორდინირებული ვალი 4,900 ათასი აშშ დოლარის ოდენობით წლიური 7% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, და 2,588 ათასი აშშ დოლარის ოდენობით წლიური 7% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, რომელთა გადახდაც მოხდება ყოველწლიურად მისი ვადის დადგომამდე. 2026 წლის აგვისტომდე და 2030 წლის სექტემბრამდე.

სესხები თავდაპირველად აღიარებული იქნა და შემდგომში აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამორტიზებული სახელშეკრულებო ღირებულებით. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია 35-ე განმარტებაში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, სავალუტო ხელშეკრულებების, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების სვოპების ჩათვლით, სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება.

ჯგუფი ახდენს კონტრაგენტ ბანკებთან არსებული სესხების ოფსეტირებას ვალუტების ურთიერთგაცვლის მიზნით. იურიდიული თვალსაზრისით განცალკევებული ასეთი სესხები აგრეგირდება და აღირიცხება, როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი), სადაც 1) სესხები გაიცემა ერთდროულად, 2) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი, 3) არის ერთი და იგივე რისკის ქვეშ და 4) არ არსებობს ასეთი ტრანზაქციების ცალკე სტრუქტურირების ბიზნეს-საფუძველი, რაც ასევე მიიღწეოდა ერთი ტრანზაქციით.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღრიცხულია აქტივების სახით, როცა სამართლიანი ღირებულება დადებითი რიცხვია, და ვალდებულების სახით, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითი რიცხვია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები შეიტანება წლის მოგება-ზარალში (მოგებას გამოკლებული დანაკარგები წარმოებულებზე). ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

წარმოებული ინსტრუმენტების და გარკვეული სხვა ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება. იმ ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც შეფასდა იმ დამვებებით, რომელიც არ ეყრდნობოდა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მოცემულია განმარტებაში 34.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია იმ კანონმდებლობის თანახმად, რომელიც ძალაშია, ან ძირითადად ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდება ტრანზაქციებს, რომლებიც ასევე აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

2023 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ძალაში. გარკვეული ცვლილებები შევიდა საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი სუბიექტების დაბეგვრის რეჟიმში, მათ შორის იყო საპროცენტო შემოსავლების აღრიცხვის სტანდარტების განსაზღვრა და შესაძლო დანაკარგების რეზერვები. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების მიხედვით:

- კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მოგების გადასახადის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვებს შორის.
- კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აღიარებენ სესხებზე დარიცხულ პროცენტს, როგორც შემოსავალს და გამოაკლებენ მთლიანი შემოსავლიდან სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვებს IFRS-ის მიხედვით.

ბაზისბანკის ჯგუფი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

- კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი კორპორაციული მოგების გადასახადის განაკვეთი არის 20%.

- კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ 2023 წლის მოგებიდან და შემდგომი პერიოდებიდან გაცემული დივიდენდები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და არ უნდა ჩაითვალოს დივიდენდების მიმღების მთლიან შემოსავალში.

- 2024 წლის იანვრამდე სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის მოგების გადასახადის ობიექტი იქნება სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვებს შორის.

დაბეგვრადი მოგება ან ზარალი ეყრდნობა წინასწარ შეფასებებს, თუ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ავტორიზებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოებში გაგზავნამდე. გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ჩაიწერება ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიაში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღირიცხება საგადასახადო ზარალის გადასატანებისთვის საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებების გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების გათავისუფლების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების დროებითი განსხვავებებისთვის ისეთ ტრანზაქციებში, რომელიც არ არის ბიზნესის კომბინაცია, თუ ტრანზაქცია, როცა თავდაპირველად აღირიცხება, არ ახდენს გავლენას არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთები ითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან ძირითადად ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, და რომლებიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება იმ პერიოდში, როცა დროებითი განსხვავებები ამობრუნდება ან საგადასახადო ზარალის გადასატანების ათვისება მოხდება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები განეტოვდება მხოლოდ ჯგუფის ცალკეული კომპანიების მიგნით.

იჯარის გადახდებისთვის გადასახადები გამოქვითვა ნაწილდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის ცვეთასა და საიჯარო ვალდებულების პროცენტის ხარჯს შორის. შედეგად, ახალი იჯარის თავდაპირველი აღიარებისას, სადაც ჯგუფი მოიჯარეა, დროებითი განსხვავებები არ წარმოიშობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გაქვითვადი დროებითი განსხვავებების და საგადასახადო ზარალის გადასატანებისთვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არის ალბათობა, რომ იქნება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომლიდანაც მოხდება გაქვითვა.

გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება შესყიდვისშემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე და სხვა შესყიდვისშემდგომ ცვლილებებზე შვილობილი კომპანიების რეზერვებში, როცა ჯგუფი აკონტროლებს შვილობილი კომპანიის დივიდენდების პოლიტიკას და როცა არის ალბათობა, რომ პროგნოზირებად მომავალში განსხვავება არ ამობრუნდება დივიდენდების სახით ან სხვაგვარად.

მიმდინარე გადასახადი ის თანხაა, რომლის გადახდაც ან რომლის ამოღებაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის (დან) მიმდინარე და წინა პერიოდების დაბეგვრად მოგებასთან ან დანაკარგებთან დაკავშირებით.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციებს შენეჯმენტი ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება საშემოსავლო გადასახადის იმ პოზიციებზე, რომლებიც მენეჯმენტის განსაზღვრებით, სავარაუდოდ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ ამ პოზიციებთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოებს კითხვები ექნებათ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლომდე, და ნებისმიერ ცნობილ სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებას ასეთ საკითხებთან დაკავშირებით. საჯარიმო, საპროცენტო და საგადასახადო ვალდებულებები, გარდა შემოსავლებისა, აღიარდება მენეჯმენტის შეფასების მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების

დასაფარად საჭირო ხარჯების შესახებ.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. ისინი დაირიცხება, როცა ჯგუფს აქვს წარსულის მოვლენებით გამოწვეული მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, როცა არის ალბათობა, რომ ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის სახით არსებული რესურსების გადინება და როცა შეიძლება ვალდებულების სანდო ოდენობის განსაზღვრა.

საკუთრო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. უშუალოდ ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც გამოქვითვა მიღებული ანაზღაურებიდან, დაბეგვრის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული სამართლიანი ღირებულების თანხა იწერება კაპიტალში, როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდები. დივიდენდები იწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როცა ისინი დეკლარირდება. ბანკის კანონით მოთხოვნილი სააღრიცხვო დოკუმენტები წარმოადგენს მოგების განაწილების და სხვა ასიგნებების საფუძველს. ნებისმიერი დივიდენდები, რომლებიც დეკლარირებულია საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებამდე, ნებადართულია გამოსაშვებად. იხილეთ განმარტება 23.

საპროცენტო მოგების და ხარჯის აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი იწერება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა FVTPL-ით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარიცხვის მეთოდით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდით გადავადდება მხარეთა შორის კონტრაქტის საფუძველზე გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო, (როგორც საპროცენტო მოგების და ხარჯის ნაწილი) რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე მიბმული საკომისიოები მოიცავს წარმოშობის საკომისიოებს, რომლებიც კომპანიამ მიიღო ან გადაიხადა ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შესყიდვასთან ან ფინანსური ვალდებულების ემისიასთან დაკავშირებით, მაგალითად ასეთია გადახდისუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიების ან უზრუნველყოფის შეფასების და ჩაწერის საკომისიო, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკების და ტრანზაქციის დოკუმენტების დამუშავების საკომისიო. ჯგუფის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით გაცემული სესხებისთვის მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულების საკომისიოები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ნაწილია, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას გააფორმებს და არ მოელის ამ სესხის გაყიდვას მისი წარმოშობიდან მოკლე პერიოდში. ჯგუფი სასესხო ვალდებულებების FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების დანიშნულებას არ ანიჭებს.

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც წარმოშობილი ან შესყიდული საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ადისკონტებს მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობას (მათ შორის თავდაპირველად მოსალოდნელ საკრედიტო რისკების დანაკარგებს) სამართლიან ღირებულებაზე თავდაპირველი აღიარებისას (როგორც წესი, წარმოდგენილია შესასყიდი ფასით). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია საკრედიტო რისკის მიხედვით.

საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე 1) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა (მე-3 ეტაპის), რომლებზეც საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება AC-ზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით, ECL რეზერვის გამოკლებით, და 2) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, რისთვისაც საწყისი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ვრცელდება AC-ით.

თუ მე-3 სტადიაზე კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივზე საკრედიტო რისკი შემდგომში გაუმჯობესდება ისე, რომ აქტივი აღარ არის კრედიტით გაუფასურებული და გაუმჯობესება შეიძლება

ობიექტურად დაკავშირებული იყოს მოვლენასთან, რომელიც მოხდა მას შემდეგ, რაც აქტივი განისაზღვრა, როგორც გაუფასურებული (ანუ აქტივი გაჯანსაღდება), აქტივი რეკლასიფიცირდება მე-3 ეტაპიდან და საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. დამატებითი საპროცენტო შემოსავალი, რომელიც ადრე არ იყო აღიარებული მოგება-ზარალში იმის გამო, რომ აქტივი იყო მე-3 სტადიაზე, მაგრამ ახლა მოსალოდნელია მისი მიღება აქტივის გაჯანსაღების შემდეგ, აღიარდება, როგორც გაუფასურების ამობრუნება.

საკომისიო შემოსავალი. საკომისიო შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში ნრფივი მეთოდით მომსახურების გაწევის პარალელურად, როცა კლიენტი ერთდროულად მიიღებს და მოიხმარს ჯგუფის მუშაობის შედეგად მიღებულ სარგებელს. ამგვარი შემოსავალი მოიცავს ანგარიშის წარმოების პერიოდულ საკომისიოებს, ანგარიშის მომსახურების საკომისიოებს და ა.შ. ცვლადი საკომისიოები აღიარდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მენეჯმენტი გადაწყვეტს, რომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი ამობრუნება არ მოხდება.

სხვა საკომისიო შემოსავალი აღიარდება ისეთ დროს, როცა ჯგუფი დააკმაყოფილებს ეფექტიანობის ვალდებულებას, როგორც წესი, მიმდინარე ტრანზაქციის შესრულების შემდეგ. მიღებული ან მისაღები საკომისიოს თანხა წარმოადგენს იმ მომსახურების ტრანზაქციის ფასს, რომელიც აშკარად ეფექტიანობის მოვალეობის შესრულებას წარმოადგენს. ამგვარი შემოსავალი მოიცავს კლიენტის სახელით უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის ორგანიზების საკომისიოს, საგადახდო ტრანზაქციების დამუშავების საკომისიოს, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საკომისიოს, ინკასაციის ან ნაღდი ფულის განაწილების საკომისიოს, ასევე მესამე მხარესთან მოლაპარაკებით ან ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობით გამოწვეულ საკომისიოს, მაგალითად სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის შესახებ, ან ბიზნესის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ.

სესხების სინდიცირების საკომისიოები აღიარდება შემოსავლად, როცა სინდიკაცია დასრულდება და ჯგუფი თავისთვის არ იტოვებს სესხის არცერთ ნაწილს, ან იტოვებს ნაწილს იმავე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც სხვა ნევრებისთვისაა განსაზღვრული.

უცხოური ვალუტის გაყიდვა და ყიდვა და ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფი ყიდის და ყიდულობს ვალუტებს სალაროს და საბანკო ანგარიშების საშუალებით, ასევე ვალუტის კონვერტაციის საშუალებით. ტრანზაქციები სრულდება ჯგუფის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსებით, რომლებიც განსხვავდება კონკრეტული დღის ოფიციალური სპოტ კურსებისგან. ოფიციალურ განაკვეთებსა და ჯგუფის განაკვეთებს შორის განსხვავებები აღიარებულია, როგორც შემოსავლებს გამოკლებული უცხოური ვალუტის ვაჭრობით გამოწვეული დანაკარგები დროის იმ მონაკვეთში, როცა კონკრეტული ეფექტიანობის ვალდებულება კმაყოფილდება.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული ბიზნესერთეულის ფუნქციური ვალუტა არის იმ უშუალო ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეს ბიზნესერთეული მოდვაწეობს. ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციური ვალუტა, ასევე ჯგუფის საპრეზენტაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი. ("GEL").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები თითოეული ბიზნესერთეულის ფუნქციურ ვალუტაში გადაანგარიშდება სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსით შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ტრანზაქციებზე ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივების და ვალდებულებების თითოეული ბიზნესერთეულის ფუნქციურ ვალუტაში სებ-ის წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშებით გამოწვეული სავალუტო მოგება და დანაკარგები აღიარდება წლის მოგება-ზარალში (როგორც უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების მოგებას გამოკლებული დანაკარგები).

წლის ბოლოს არსებული კურსებით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ანგარიშდება ისტორიული ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით ითვლება, მათ შორის ჩილობრივი ინვესტიციები, გადაანგარიშდება იმ გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც ძალაშია სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს.

გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტები არაფულად მუხლებზე, რომელიც უცხოურ ვალუტაში

სამართლიანი ღირებულებით ითვლება, იწერება, როგორც მათი სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი.

ჯგუფის ბიზნესერთეულებს შორის სესხები და მასთან დაკავშირებული საკურსო მოგება ან დანაკარგები გამოირიცხება კონსოლიდაციის დროს.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოური ვალუტის ნაშთების გადაანგარიშებისას გამოყენებული მთავარი გაცვლითი კურსი იყო:

	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
USD 1 = GEL	2.6894	2.7020
EUR 1 = GEL	2.9753	2.8844

ოფსეტირება. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ოფსეტირება და წმინდა თანხის განცხადება ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ოფსეტირების კანონის ძალის მქონე უფლება და არის ან წმინდად ანაზღაურების, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების ანაზღაურების გაწვრახვა. ასეთი ოფსეტირების უფლება ა) არ უნდა იყოს პირობითი მომავლის მოვლენაზე და ბ) უნდა იყოს კანონის ძალის მქონე ყველა ჩამოთვლილ გარემოებაში: 1) ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას, 2) დეფოლტის შემთხვევაში და 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

თანამშრომელთა ხარჯები და მსგავსი დაგროვებითი სქემები. ხელფასები, ანაზღაურებული წლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები დაირიცხება იმ წელს, როცა შესაბამისი მომსახურება გაიწევა ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გააკეთოს საპენსიო ან მსგავსი ბენეფიტური გადახდები, გარდა კანონით დადგენილი დაგროვებითი სქემისა.

წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა. წილობრივი ინსტრუმენტებით შედგენილი საკომპენსაციო გეგმის თანახმად, ჯგუფი იღებს მომსახურებებს მეწეხმენტისგან, როგორც ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურებას. წილობრივი ინსტრუმენტების გაცემის სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურებების სამართლიანი ღირებულება აღიარდება ხარჯად. ხარჯად გასაწერი მთლიანი თანხა განისაზღვრება გრანტად გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიხედვით, რომელიც გამორიცხავს არასაბაზრო სერვისის და ეფექტიანობის მინიჭების (უფლების გადაცემის) პირობების გავლენას. არასაბაზრო მინიჭების პირობები შეტანილია მისაწიჭებელი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ ვარაუდებში. ხარჯად გაწერილი მთლიანი თანხა აღიარდება მინიჭების პერიოდში; ეს ის პერიოდია, როცა აქციებზე უფლების გადაცემის ყველა კონკრეტული პირობა უნდა დაკმაყოფილდეს. საბალანსო უწყისის თითოეულ თარიღზე ჯგუფი გადასინჯავს თავის წინასწარ შეფასებებს არასაბაზრო პირობებით მისაწიჭებელი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ. ის აღიარებს თავდაპირველი პროგნოზების გადასინჯვის ზეგავლენას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოგებაზე ან ზარალზე, რასაც კაპიტალში შესაბამისი კორექტირება მოჰყვება. კაპიტალის ზრდა დარიცხულ აქციებზე, წილობრივი ანგარიშსწორების სქემებიდან გამომდინარე, აღირიცხება აქციებით ანგარიშსწორების რეზერვის კატეგორიაში. აქციებზე უფლების გადაცემის პირობების დაკმაყოფილებისას, აქციებით ანგარიშსწორების რეზერვი, რომელიც გადაცემულ აქციებს მიეწერება, გადაიტანება სააქციო კაპიტალში და საემისიო შემოსავალში.

სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტების კლასიფიკაცია და აღრიცხვა: თავისი ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი აფორმებს სადაზღვევო კონტრაქტებს, რომლის მიხედვითაც იგი იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს თავისი დაზღვეულისგან. ჯგუფი თავისი ჩვეულებრივი საქმიანობისას ასევე აფორმებს გადაზღვევის კონტრაქტებს, რათა კომპენსაცია გაუწიოს სხვა სუბიექტებს ამ სუბიექტების მიერ გაცემული ერთი ან მეტი სადაზღვევო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ზარალებისთვის. ჯგუფი არ აფორმებს კონტრაქტებს უშუალო მონაწილეობით.

ელექტრონული ხელმოწერა

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

კომპონენტების გამიჯვნა სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტებიდან: ამჟამად, ჯგუფის პროდუქტები არ შეიცავს რაიმე განსხვავებულ კომპონენტს, რომელიც მოითხოვს განცალკევებას IFRS 17-ის მიხედვით.

კონტრაქტების გაერთიანება: ჯგუფისთვის აგრეგაციის დონე განისაზღვრება პირველ რიგში პორტფელებად დაწერილი ბიზნესის დაყოფით. პორტფელი მოიცავს მსგავსი რისკების მქონე კონტრაქტების ჯგუფებს, რომლებიც იმართება ერთად. პორტფელი შემდგომში იყოფა დაწყებისას მოსალოდნელი მომგებიანობის მიხედვით სამ კატეგორიად: ზარალიანი კონტრაქტები, კონტრაქტები, რომლებზეც არ არსებობს ზარალიანობის მნიშვნელოვანი რისკი და დანარჩენი. შემდგომში პორტფელი აღიარებისა და გაანგარიშების მიზნითიყოფა გამოშვების წლის და მომგებიანობის მიხედვით.

კონტრაქტების ჯგუფის მომგებიანობა ფასდება აქტუარული შეფასების მოდელებით, რომლებიც ითვალისწინებს არსებულ და ახალ ბიზნესს. ჯგუფი ვარაუდობს, რომ პორტფელში არცერთი კონტრაქტი არ არის ზარალიანი თავდაპირველი აღიარებისას, თუ ფაქტები და გარემოებები სხვაგვარად არ მიუთითებს.

ჯგუფი ყოფს გადაზღვევის კონტრაქტების პორტფელებს, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი იგივე პრინციპებითაა აღრიცხული, გარდა იმისა, რომ მითითებები ზარალიან კონტრაქტებზე ეხება კონტრაქტებს, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წმინდა მოგებას აჩვენებს.

აღიარება და აღიარების შეწყვეტა: სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფი (ან გაცემული გადაზღვევის კონტრაქტები) აღიარდება შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრე: კონტრაქტების ჯგუფის დაფარვის პერიოდის დასაწყისი, თარიღი, როდესაც დაზღვეულის პირველ გადახდას ჯგუფში უდგება ვადა, (ან, ასეთი თარიღის არარსებობის შემთხვევაში, პირველი გადახდის მიღებისას) და ზარალიანი კონტრაქტების ჯგუფის შემთხვევაში, თარიღი, როდესაც ჯგუფი ხდება ზარალიანი.

გადაზღვევის კონტრაქტების ჯგუფი აღიარდება გადაზღვევის კონტრაქტების ჯგუფის დაფარვის პერიოდის დასაწყისიდან, ან, თუ გადაზღვევის კონტრაქტი დადებულია ზარალიანი სადაზღვევო კონტრაქტების ძირითადი ჯგუფის დაფარვის მოლოდინში, ამ ზარალიანი ჯგუფის პირველი აღიარებისას.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ამ ჯგუფს ახალ კონტრაქტებს ამატებს, როდესაც ეს კონტრაქტი აკმაყოფილებს ზემოთ დადგენილ ერთ-ერთ კრიტერიუმს.

სადაზღვევო ხელშეკრულების აღიარება წყდება, როდესაც მისით დაფარული ვალდებულება ამოიწურება გადახდის ან ვადის გასვლის შედეგად, ან თუ ხელშეკრულების პირობები ისე შესწორდება, რომ ხელშეკრულებას არსებითად განსხვავებული სააღრიცხვო დამუშავება დასჭირდებოდა, ეს ცვლილებები რომ თავიდანვე არსებულიყო. კონტრაქტის აღიარების შეწყვეტა გულისხმობს შესრულების ფულადი ნაკადების, სახელშეკრულებო მომსახურების მარჟის და იმ ჯგუფის დაფარვის ერთეულების კორექტირებას, რომელშიც ის შედიოდა.

პრემიის განაწილების მოდელი ("PAA"): ჯგუფი იყენებს PAA-ს ყველა სადაზღვევო კონტრაქტზე, რომელსაც ის გასცემს და გადაზღვევის კონტრაქტზე, რომელსაც ფლობს, რადგან IFRS 17-ში მითითებული დასაშვებობის კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

კონტრაქტების ჯგუფისთვის, რომელიც არ არის ზარალიანი თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ვალდებულებას დარჩენილ ნაწილზე ვალდებულებას შემდეგნაირად ანგარიშობს:

- პრემიები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიღებული პირველადი აღიარებისას
- გამოკლებული ამ თარიღისთვის დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადები, გარდა იმ კონტრაქტებისა, რომლებიც ერთი წლის ან ნაკლებია, სადაც ეს ხარჯია,

- პლიუს ან მინუს ნებისმიერი თანხა, რომელიც წარმოშობა სადაზღვევო შესყიდვის ფულადი ნაკადებისთვის აღიარებული აქტივის იმ დღეს აღიარების შეწყვეტით,

- ნებისმიერი სხვა აქტივი ან ვალდებულება, რომელიც ადრე იყო აღიარებული იმ ფულადი ნაკადებისთვის, რომელიც დაკავშირებულია კონტრაქტების ჯგუფთან, რომელსაც ჯგუფი იხდის ან იღებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფის აღიარებამდე.

გადაზღვევის კონტრაქტების ჯგუფისთვის, ჯგუფი აწგარიშობს თავის გადაზღვევის აქტივებს, რომელსაც ფლობს იმავე საფუძველზე, როგორც სადაზღვევო კონტრაქტებს, რომლებსაც ის გასცემს. თუმცა, ისინი ადაპტირებულია ისე, რომ ასახოს დადებული გადაზღვევის კონტრაქტების მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდება გაცემული სადაზღვევო კონტრაქტებისაგან, მაგალითად, ხარჯების წარმოქმნა ან დანახარჯების შემცირება და არა შემოსავალი.

ჯგუფი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს დარჩენილი დაფარვის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, როგორც პერიოდის დასაწყისში დარჩენილ დაფარვის ვალდებულებას:

- პლუს პერიოდში მიღებული პრემიები

- მინუს სადაზღვევო შესყიდვის ფულადი ნაკადები, გარდა ქონების დაზღვევის პროდუქტის ხაზისა, რომლისთვისაც ჯგუფი ირჩევს გახარჯოს სადაზღვევო შესყიდვის ფულადი ნაკადები, მათი გაწევისას;

- პლუს ნებისმიერი თანხა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის შესყიდვის ფულადი ნაკადების ამორტიზაციასთან, რომლებიც ჯგუფისთვის აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ხარჯად;

- პლუს დაფინანსების კომპონენტის ნებისმიერი კორექტირება, სადაც ეს შესაძლებელია;

- მინუს პერიოდის გაწეული მომსახურებისთვის სადაზღვევო შემოსავალად აღიარებული თანხა;

- მინუს ნებისმიერი საინვესტიციო კომპონენტი, რომელიც გადახდილია ან გადაეცემა წარმოშობილი ზარალების ვალდებულებას.

ჯგუფი დამდგარ ზარალებზე ვალდებულებას აფასებს დამდგარ ზარალებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესრულების სახით. შესრულების ფულადი ნაკადები აერთიანებს, მიუკერძოებლად, ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე, ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, დროისა და გაურკვევლობის შესახებ, ისინი ასახავს მიმდინარე შეფასებებს ჯგუფის პერსპექტივიდან და მოიცავსარაფინანსური რისკის ცალსახა კორექტირებას (რისკის კორექტირება).

როცა დაფარვის პერიოდის განმავლობაში, ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ, რომ სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფი ზარალიანია, ჯგუფი წმინდა გადინების ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში, რის შედეგადაც ჯგუფის ვალდებულების საბალანსო ღირებულება უტოლდება მესრულების ფულად ნაკადებს. ასეთი ზარალიანი ჯგუფის დარჩენილი დაფარვის ვალდებულებისთვის ჯგუფის მიერ დადგენილია ზარალის კომპონენტი, რომელიც აღწერს აღიარებულ ზარალს.

დაზღვევის შესყიდვის ფულადი ნაკადები ნაწილდება წრფივი მეთოდით, როგორც პრემიის ნაწილი მოგება-ზარალში (დაზღვევის შემოსავლების მეშვეობით).

დადებული გადაზღვევის კონტრაქტების შემდგომი გაანგარიშება ექვემდებარება იმავე პრინციპებს, რაც გაცემული სადაზღვევო კონტრაქტებისთვის და ადაპტირებულია გადაზღვევის კონკრეტული მახასიათებლების ასახვაზე.

პერიოდის სადაზღვევო შემოსავალი არის პერიოდისთვის გამოყოფილი მოსალოდნელი პრემიის შემოსავალი (გარდა რაიმე საინვესტიციო კომპონენტისა). ჯგუფი პრემიებზე მოსალოდნელ

ელექტრონული ვერსია

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

შემოსულობებს სადაზღვევო კონტრაქტის მომსახურების თითოეულ პერიოდზე დროის გასვლის მიხედვით ანაწილებს. მაგრამ თუ დაფარვის პერიოდის განმავლობაში რისკის გამოთავისუფლების მოსალოდნელი მიმდინარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება დროის გასვლისგან, მაშინ განაწილება ხდება სადაზღვევო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მოსალოდნელი დროის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ცვლის ზემოთ მოცემულ ორ მეთოდს შორის განაწილების საფუძველს, თუ იცვლება ფაქტები და გარემოებები. ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ჯგუფი ცალ-ცალკე ასახავს გადამზღვევისაგან მოსალოდნელი თანხების აშოღებას და გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილებას. გადაზღვევის ფულად ნაკადებს, რომლებიც დამოკიდებულია მიმდინარე კონტრაქტებთან დაკავშირებულ ზარალებზე, იმ ზარალების ნაწილად მიიჩნევს, რომელთა ანაზღაურებაც მოსალოდნელია გადაზღვევის ხელშეკრულებით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჯგუფი თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის დროს აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით.

მსჯელობით დგინდება ამ ტრანზაქციების ფასი საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა მინიჭებული, როცა ამგვარი ტრანზაქციებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

განსჯის საფუძველი დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციებზე ფასის დადგენა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. განმარტება 35 განიხილავს დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების პირობებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა ლიკვიდობის მიხედვით. ჯგუფს არ აქვს მკაფიოდ იდენტიფიცირებადი საოპერაციო ციკლი და, შესაბამისად, მოკლე და გრძელვადიან აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ცალ-ცალკე არ წარმოადგენს. ამის ნაცვლად, აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადის მესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზის მათი ვადიანობის მიხედვით იხილეთ განმარტებაში 31. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს ინფორმაციას იმ თანხების შესახებ, რომელთა ანგარიშსწორება ან ამობრუნება მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტ თვემდე და მის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშის მუხლებში, რომლებიც არ არის გაანალიზებული განმარტება 31-ში.

	31 დეკემბერი, 2023			31 დეკემბერი, 2022		
	თანხები, რომელთა ანგარიშსწორება ან ამობრუნებაა მოსალოდნელი			თანხები, რომელთა ანგარიშსწორება ან ამობრუნებაა მოსალოდნელი		
ათასი ლარი	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	284,010	-	284,010	278,068	-	278,068
ფულადი სახსრები სებ-ში	184,600	-	184,600	218,587	-	218,587
მოთხ სხვა ბანკ მიმართ	6,342	9,084	15,426	12,593	-	12,593
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	136,143	242,318	378,461	351,902	42,460	394,362
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	829,803	1,664,167	2,493,970	997,402	1,089,375	2,086,777
კლიენტებზე გაცემული ფინანსური ლიზინგი	2,559	23,577	26,136	4,595	13,085	17,680
გადაზღვევის კონტრ აქტივები	74,974	-	74,974	2,474	-	2,474
საინვესტიციო ქონება	-	1,299	1,299	-	1,657	1,657
სხვა ფინანსური აქტივები	2,269	-	2,269	3,351	135	3,486
სხვა აქტივები	6,651	26,414	33,065	6,651	27,965	34,616

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

	31 დეკემბერი, 2023			31 დეკემბერი, 2022		
	თანხები, რომელთა ანგარიშსწორება ან ამობრუნებაა მოსალოდნელი			თანხები, რომელთა ანგარიშსწორება ან ამობრუნებაა მოსალოდნელი		
ათასი ლარი	ანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	ანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ	ანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ანმავლობაში	საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ
შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა	-	107,375	107,375	-	105,223	105,223
გამოყ უფლ მქონე აქტ	-	17,364	17,364	-	21,582	21,582
მთლიანი აქტივები	**1,527,351**	**2,091,598**	**3,618,949**	**1,875,623**	**1,301,482**	**3,177,105**
ვალდებულებები						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	284,866	-	284,866	310,707	-	310,707
კლიენტთა ანგარიშები	1,780,439	411,933	2,192,372	1,873,209	87,531	1,960,740
სხვა ნასესხები სახსრები	224,975	157,369	382,344	242,099	100,838	342,937
სალიზინგო ვალდებულებები	3,559	12,411	15,970	3,251	15,325	18,576
დაზღ ხელშეკრ ვალდებ	77,101	-	77,101	3,192	-	3,192
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,961	-	3,961	5,858	-	5,858
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	13,518	-	13,518	913	-	913
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	-	1,996	1,996	-	11,449	11,449
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები	1,655	-	1,655	1,297	-	1,297
სხვა ვალდებულებები	18,041	-	18,041	10,622	-	10,622
სუბორდინირებული ვალები	-	106,383	106,383	-	56,933	56,933
მთლიანი ვალდებულებები	**2,408,115**	**690,092**	**3,098,207**	**2,451,148**	**272,076**	**2,723,224**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

4 კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს

ჯგუფი აკეთებს პროგნოზებს და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. წინასწარი შეფასებები და მოსაზრებები მუდმივ განხილვას გადის და ითვალისწინებს მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის იმ მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც იმ გარემოებებში გონივრულად მიიჩნევა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, მენეჯმენტი ასევე აყალიბებს მოსაზრებებს, გარდა საპროგნოზო შეფასებებისა. ქვემოთ იხილავთ იმ მოსაზრებებს, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე, ასევე იმ პროგნოზებს, რომელთაც მომავალ ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა შეუძლია:

ECL შეფასება და საპროგნოზო ინფორმაციის შეტანა ECL მოდელებში. ECL-ების შეფასება მნიშვნელოვანი პროგნოზია, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის დადგენას, მოდელების და მონაცემების გამოყენებას. ECL მეთოდოლოგია დეტალურად მოცემულია განმარტება 31-ში. საკრედიტო ზარალის რეზერვზე დიდი ზეგავლენა შემდეგ კომპონენტებს აქვს: დეფოლტის განსაზღვრება, SICR, დეფოლტის ალბათობა, (PD) რისკი დეფოლტის შემთხვევაში (EAD) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD), ასევე მაკროეკონომიკური სცენარის მოდელებს. უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკური პარამეტრები მეტად ცვალებადია, ამიტომ მათ ECL-ზე გავლენა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს მოცემული სიტუაციიდან და კონკრეტული მაკროეკონომიკური პროგნოზებიდან გამომდინარე. ჯგუფი ECL შეფასებაში იყენებს საპროგნოზო მაკროეკონომიკური ინფორმაციის ორ ყველაზე კრიტიკულ კომპონენტს: PD და LGD. განმარტება 31 აჩვენებს ინფორმაციას ECL შეფასებაში PD და LGD მოდელების გამოყენების დროს შეტანილ მონაცემებს, გაკეთებულ დაშვებებს და წინასწარ შეფასებას, ასევე ხსნის, თუ როგორ იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას ECL მოდელებში.

SICR-ის შეფასება და ECL-ების გაანგარიშება ორივე მოითხოვს საპროგნოზო ინფორმაციას. ეკონომიკური ცვლადების პროგნოზები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი", „ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარი" და „პესიმისტური ეკონომიკური სცენარი") გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და მოსალოდნელი მაკროეკონომიკური განვითარების საუკეთესო შეფასებას იძლევა. ჯგუფმა გამოავლინა გარკვეული ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო რისკებთან და ECL-ებთან. შესაბამისი ეკონომიკური ცვლადების გავლენა PD-ზე განისაზღვრა სტატისტიკური რეგრესიის ანალიზის შესრულებით, რათა გავიგოთ რა გავლენა ჰქონდა ისტორიულად ამ ცვლადებში მომხდარ ცვლილებებს დეფოლტის მაჩვენებლებზე. საბოლოო PD მოდელები კორექტირებულია შესაბამისი მაკროეკონომიკური ცვლადებით, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დეფოლტის მაჩვენებლებზე, მშპ-ს ზრდაზე საცალო PD მოდელებისთვის და უმუშევრობაზე კორპორაციული PD მოდელებისთვის).

ჯგუფმა მაკროეკონომიკური ცვლადები LGD-ის ფორმულებში შეიტანა, კერძოდ LGD2 ფორმულებში, და და გააერთიანა უძრავი ქონების ფასის ინდექსის მიხედვით დაკორექტირებული უზრუნველყოფის ღირებულება. 2023 წელს EAD-ისთვის კორექტირება არ განხორციელებულა, რადგან გავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

ამჟამად ჯგუფი გაუფასურების მოდელის მაკროეკონომიკური კორექტირებისთვის მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ სცენარებს იყენებს. საბოლოო მოდელში სცენარის წონები არის სებ-ის პუბლიკაციაში განსაზღვრული წონების მიხედვით: 50% საბაზისო სცენარისთვის, 25%-25% აღმავალი და დაღმავალი სცენარებისთვის.

როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, პროგნოზები და მოვლენის ალბათობა ექვემდებარება თანდაყოლილი გაურკვევლობის მაღალ ხარისხს და, შესაბამისად, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო დაშვებები, რომლებიც უკავშირდება ECL დონეს და მათ მინიჭებულ წონებს 2023 წლის 31 დეკემბერს შემდეგი იყო:

		მინიჭებული	დაშვება:		
ცვლადი	სცენარი	წონა	2024	2025	2026
რეალური მშპ ზრდის ტემპი %	საბაზო	50%	5.00%	4.50%	5.00%
	ოპტ	25%	6.50%	5.50%	5.00%
	პესიმ	25%	3.00%	4.00%	5.00%
უძრავი ქონების ფასების ინდექსი ლარით (წწ)			106.00	105.50	105.50
	საბაზო	50%			
	ოპტ	25%	106.50	105.75	105.50
	პესიმ	25%	106.00	105.75	105.50
ლარი/აშშ დოლარის ნომინალური გაცვლითი კურსი (წწ)	საბაზო	50%	100.00	100.00	100.00
	ოპტ	25%	97.00	98.00	100.00
	პესიმ	25%	115.00	100.00	95.00
უმუშევრობა (%)	საბაზო	50%	16.71	16.71	16.46
	ოპტ	25%	16.46	16.21	15.96
	პესიმ	25%	17.96	18.46	17.96

CPI ინფლაცია ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ცვლადი აღმოჩნდა, რომელიც გავლენას ახდენს ECL-ზე ინდივიდუალურად შეფასებული 1 და 2 ეტაპის სესხებისთვის. ის არ გამოიყენება 2022 წელს. 2023 წელს ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ECL 3 ეტაპის სესხებს, ძირითადი გირაოს გაყიდვიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, შესაბამისად უძრავი ქონების ფასის ინდექსი ლარში და ლარი/დოლარის ნომინალური გაცვლითი კურსი არის მაღალი სტატისტიკური მნიშვნელობის მქონე შესაბამისი მაკროეკონომიკური ცვლადი. წინა წლებში დადგინდა, რომ ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსს მაღალი სტატისტიკური მნიშვნელობა აქვს დეფოლტის ალბათობაზე საცალო ვაჭრობის სეგმენტში, ხოლო 2023 წელს მშპ არის მაკროეკონომიკური ცვლადი ყველაზე მაღალი სტატისტიკური მნიშვნელობით დეფოლტის ალბათობაზე საცალო ვაჭრობის სეგმენტში.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

2022 წლის 31 დეკემბერს დაშვებები და მინიჭებული წონები შემდეგი იყო:

		მინიჭებული	დაშვება:		
ცვლადი	სცენარი	წონა	2023	2024	2025
რეალური მშპ ზრდის ტემპი %	საბაზო	50%	4.00%	5.50%	5.00%
	ოპტიმ	25%	6.00%	5.00%	5.00%
	პესიმ	25%	2.00%	4.00%	5.00%
უძრავი ქონების ფასების ინდექსი ლარით (წწ)	საბაზო	50%	107.00	105.50	105.50
	ოპტიმ	25%	108.00	105.50	105.50
	პესიმ	25%	110.00	108.00	105.50
ლარი/აშშ დოლარის ნომინალური გაცვლითი კურსი (წწ)	საბაზო	50%	100.00	100.00	100.00
	ოპტიმ	25%	98.00	100.00	100.00
	პესიმ	25%	115.00	95.00	95.00
უმუშევრობა (%)	საბაზო	50%	16.04	15.79	15.79
	ოპტიმ	25%	15.04	15.04	15.04
	პესიმ	25%	17.04	17.29	17.04

ფასიანი ანგარიში

სპეციფიკურ მაკროეკონომიკურ სცენარებზე მინიჭებული წონების ცვლილება საკმაოდ შეზღუდულია პორტფელის მოცემულ შემადგენლობაში, კერძოდ, 10%-ით ცვლილება, რომელიც მინიჭებული აქვს საბაზო საპროგნოზო მაკროეკონომიკურ დაშვებებს. საბაზისო საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ვარაუდებში წონის ცვლილება 10%-ით პესიმისტურის მხარეს, ECL-ის 23 ათასი ლარით ზრდას გამოიწვევდა 2023 წლის 31 დეკემბერს (2023 წლის 31 დეკ: 203 ათასი ლარით) შესაბამისი ცვლილება ოპტიმისტურისკენ კი ECL-ს 35 ათასი ლარით შეამცირებდა 2023 წლის 31 დეკემბერს (2022 წლის 31 დეკემბერს: 79 ათასით)

დეფოლტის ალბათობის პროგნოზის 10% ზრდა 2023 წლის 31 დეკემბერს მთლიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვს347 ათასი ლარით გაზრდიდა (2022 წლის 31 დეკემბერს 582 ათასი). 2023 წლის 31 დეკემბერს დეფოლტის ალბათობის პროგნოზის 10%-იანი შემცირება მთლიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვს 358 ათასი ლარით შეამცირებდა (2022 წლის 31 დეკემბერს: 581 ათასი ლარით)

LGD პროგნოზის 10% ზრდა 2023 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 4,316 ათასი ლარით ზრდით დასრულდებოდა (2022 წლის 31 დეკ: 2,0373 ათასი) LGD პროგნოზის 10% შემცირება 2023 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 3,985 ათასი ლარით შემცირებით დასრულდებოდა (2022 წლის 31 დეკემბერი: 2,369 ათასი)

LGD ქვედა ზღვარს ბანკი იყენებს LGD ღირებულების წინასწარი შეფასებისთვის. LGD ქვედა ზღვარის 10%-იანი ზრდა ან კლება 2023 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 326 ათასი ლარით ზრდით ან კლებით დასრულდებოდა (2022 წლის 31 დეკ: 232 ათასი ლარით ზრდა ან კლება).

შენობა-ნაგებობების შეფასება. შენობა-ნაგებობები არის განცხადებული გადაფასებული თანხები, რომლებიც ექვემდებარება გადაფასებას საკმაო სიხშირით, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმისგან, რაც საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებით იქნებოდა მიღებული. 2021 წლის დეკემბერში შენობა-ნაგებობების გადაფასება განხორციელდა სამართლიანი ღირებულებით შემფასებელთა დამოუკიდებელი ფირმის მიერ. შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა შედარებითი გაყიდვების მიდგომას.

დასაკუთრებული აქტივების შეფასება. ყველა დასაკუთრებული აქტივი იზომება ხარჯსა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი სიდიდით. ჯგუფი რეგულარულ შიდა შეფასებებს აკეთებს, რათა დარწმუნდეს, რომ საბალანსო ღირებულება არ აღემატება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას. შეფასება ეყრდნობა საბაზრო ფასების შესახებ არსებულ ინფორმაციას დასაკუთრებული უძრავი ქონების შესახებ კვადრატული მეტრების მიხედვით.

5 ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა

მიმდინარე წელს ბანკმა IFRS სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში საბჭოს მიერ გამოცემული ქვემოთ მოცემული ცვლილებები გამოიყენა, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. მათ მიღებას გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე რაიმე არსებითი გავლენა არ მოჰყოლია, გარდა IFRS 17 სტანდარტისა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

IFRS 17 დაზღვევის კონტრაქტები და დაკავშირებული ხელახალი განცხადებები: IFRS 17 სტანდარტი ანაცვლებს IFRS 4 სტანდარტს" დაზღვევის კონტრაქტები" და ძალაშია *2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ პერიოდში.*

IFRS 17 სტანდარტი ადგენს ჯგუფის დაზღვევის და გადაზღვევის კონტრაქტების აღიარებისა და გაანგარიშების კონკრეტულ პრინციპებს. IFRS 17 სტანდარტის თანახმად, ჯგუფის დაზღვევის და

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

გადაზღვევის კონტრაქტები ყველა ექვემდებარება პრემიების განაწილების მიდგომის Premium Allocation Approach ("PAA") თანახმად გაანგარიშებას.

The measurement principles of the PAA გაანგარიშების პრინციპები განსხვავდება „გამომუშავებული პრემიის მიდგომისგან", რომელსაც ჯგუფი IFRS 4 სტანდარტის მიხედვით საქმიანობის შემდეგ სფეროებში იყენებდა:

- დარჩენილი დაფარვის ვალდებულება ასახავს მიღებულ პრემიებს, გამოკლებული სადაზღვევო შესყიდვის გადავადებული ფულადი ნაკადები და გამოკლებული შემოსავალში აღიარებული თანხები გაწეული სადაზღვევო მომსახურებისთვის.
- დარჩენილი დაფარვის ვალდებულების შეფასება მოიცავს ფულის დროითი ღირებულებისა და ფინანსური რისკის ეფექტების კორექტირებას, როდესაც პრემიის გადახდის თარიღსა და მომსახურების დაკავშირებული პერიოდს შორის დაშორება 12 თვეზე მეტია.
- დარჩენილი დაფარვის ვალდებულების შეფასება გულისხმობს არაფინანსური რისკის კორექტირების მკაფიო შეფასებას, როცა კონტრაქტების ჯგუფი ზარალიანია, ზარალის კომპონენტის გამოსათვლელად (ადრე ეს შეიძლება ვადაგაუსვლელი რისკის რეზერვის ნაწილს შეადგენდა).
- დამდგარ ზარალებზე ვალდებულების შეფასება (ადრე ასანაზღაურებელი და დამდგარი, მაგრამ არაგანცხადებული (IBNR) ზარალები) განისაზღვრება დისკონტირებული ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს არაფინანსური რისკის ამკარა რისკის კორექტირებას. ვალდებულება მოიცავს ჯგუფის ვალდებულებას გადაიხადოს სხვა გაწეული სადაზღვევო ხარჯები.
- აქტივის გაანგარიშება დარჩენილი დაფარვისთვის (ასახავს გადაზღვევის გადახდილ პრემიებს) კორექტირდება იმგვარად, რომ მოიცვას ზარალის ამობრუნების კომპონენტი და ასახოს ზარალიანი კონტრაქტის ზარალის მოსალოდნელი ანაზღაურება, როცა ასეთი კონტრაქტები გადააზღვევს პირდაპირ ზარალიან კონტრაქტებს.

ჯგუფმა სტანდარტი IFRS 17 მისი მიღებისას სრული რეტროსპექტული მიდგომით გამოიყენა. IFRS 17-ის მიღებით წარმოშობილი განსხვავებები 2022 წლის 1 იანვრის (გადასვლის თარიღი) მდგომარეობით გაუნაწილებელ მოგებაში აღიარდა. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში გადასვლის დღეს წარდგენილი არ იყო, რადგან იმ დროისთვის სტანდარტის მიღებას არსებითი გავლენა არ ჰქონდა. ჯგუფმა 2022 წლის შედარებითი ინფორმაცია ხელახლა განაცხადა და IFRS 17-ის დანართ C-ს გარდამავალი დებულებები მიუსადაგა. IFRS 17-ზე გადასვლის ფინანსური შედეგი და წინა პერიოდის კორექტირებები ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით მანამდე განცხადებული	IFRS 17 სტანდარტის მიღების შედეგი	შეცდომების გასწორება	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით ხელახლა განცხადებული
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში				
აქტივები				
სადაზღვევო აქტივები	15,460	(15,460)	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	3,761	(275)	-	3,486
გადაზღვ კონტრაქტების აქტივები	-	2,474	-	2,474
მოთხოვნები სხვა ბანკ მიმ	12,618	-	(25)	12,593
სხვა აქტივები	34,586	-	30	34,616
მთლიანი აქტივები	**3,190,361**	**(13,261)**	**5**	**3,177,105**
ვალდებულებები				
დაზღვევის ვალდებ	15,381	(15,381)	-	-

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით მანამდე განცხადებული	IFRS 17 სტანდარტის მიღების შედეგი	შეცდომების გასწორება	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით ხელახლა განცხადებული
სხვა ფინანს ვალდებ	6,402	(544)	-	5,858
დაზღვ ხელშეკ ვალდებ	-	3,192	-	3,192
სხვა ვალდებულებები	10,552	-	70	10,622
მთლიანი ვალდებულებები	**2,735,887**	**(12,733)**	**70**	**2,723,224**
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	318,531	(528)	(65)	317,938
მთლიანი კაპიტალი	**454,474**	**(528)**	**(65)**	**453,881**
მოგება-ზარალის და სხვა სრული მემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში				
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	3,050	(3,050)	-	-
წმ. სადაზღ. ზარალები დანდგარი	(1,114)	1,114	-	-
ადმინ და სხვა საოპ ხარჯები	(72,110)	(1,643)	(40)	(73,793)
დაზღვევის მომსახურების შედეგი	-	9,755	-	9,755
გადაზღვევის მომსახურების შედეგი	-	(6,273)	-	(6,273)
მოგების გადასახადის ხარჯი	(12,648)	-	(25)	(12,673)
წლის მოგება	**454,474**	**(97)**	**(65)**	**453,881**

ცვლილება სტანდარტში IAS 1 „ფინანსური ანგარიშების წარდგენა" და IFRS პრაქტიკის განცხადება 2 „არსებითობის განმარტება - სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება". ჯგუფმა IAS 1-ში ცვლილებები პირველად მიმდინარე წელს მიიღო. ცვლილებები ცვლის IAS 1-ის მოთხოვნებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებასთან დაკავშირებით. ცვლილებები ანაცვლებს ტერმინის „ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის" ყველა შემთხვევას „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით". სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია, თუ ბიზნესერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილ სხვა ინფორმაციასთან ერთად განხილვისას შეიძლება არსებობდეს გონივრული მოლოდინი, რომ ის გავლენას მოახდენს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. IAS 1-ის დამხმარე პუნქტები ასევე შესწორდა, რათა განიმარტოს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, რომელიც ეხება არამატერიალურ ტრანზაქციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, არამატერიალურია და არ საჭიროებს გამჟღავნებას. სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია შეიძლება იყოს არსებითი დაკავშირებული ტრანზაქციების ბუნების, სხვა მოვლენების ან პირობების გამო, მაშინაც კი, თუ თანხები უმნიშვნელოა. თუმცა, სააღრიცხვო პოლიტიკის ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება მატერიალურ ტრანზაქციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, თავისთავად არ არის მატერიალური. IASB-მ ასევე შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები, რათა ახსნას და აჩვენოს „მატერიალურობის ოთხსაფეხურიანი პროცესის" გამოყენება, რომელიც აღწერილია IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2-ში.

ცვლილება სტანდარტში IAS 12 შოგების გადასახადები - ერთი ტრანზაქციიდან გამომდინარე აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი

ჯგუფმა IAS 12 -ში ცვლილებები პირველად მიმდინარე წელს მიიღო. ცვლილება ადგენს დამატებით გამონაკლისს პირველადი აღიარების გამონაკლისიდან. ცვლილების მიხედვით, ერთეული არ იყენებს თავდაპირველი აღიარების გამონაკლისს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც წარმოშობენ თანაბარ დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, თანაბარი დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობები შეიძლება წარმოიშვას აქტივისა და ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას გარიგებაში,

რომელიც არ არის ბიზნეს გაერთიანება და გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. მაგალითად, IAS 12-ში ცვლილებების შემდეგ ბიზნესერთეულს მოეთხოვება გადავადებული საგადასახადო აქტივის და ვალდებულების აღიარება და გადავადებული საგადასახადო აქტივის IAS 12-ით განსაზღვრული ამობრუნების კრიტერიუმებისთვის დაქვემდებარება.

ცვლილებები IAS 12-ში საშემოსავლო გადასახადები - საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე პილარის მოდელის წესები: 2023 წლის მაისში, IASB-მ გამოსცა ვიწრო მასშტაბის ცვლილებები IAS 12-ში, „მოგების გადასახადები". ცვლილებები ითვალისწინებს გადავადებული გადასახადების აღიარებისა და გამჟღავნების მოთხოვნის დროებით გამონაკლისს, რომელიც წარმოიქმნება ამოქმედებული ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონიდან, რომელიც ახორციელებს მეორე პილარის მოდელის წესებს.

ცვლილება სტანდარტში IAS 8 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები ბუღალტრულ შეფასებებში და შეცდომები - ბუღალტრული შეფასებების განმარტება: ჯგუფმა IAS 8-ში ცვლილებები პირველად მიმდინარე წელს მიიღო.

ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების განმარტებას სააღრიცხვო შეფასებების განმარტებით ცვლის. ახალი განმარტებით, სააღრიცხვო შეფასებები არის „ფულადი თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც ექვემდებარება გაანგარიშების გაურკვევლობას".სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების განმარტება წაიშალა.

6 ახალი ბუღალტრული განცხადებები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშის დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფს და ბანკს არ ჰქონდათ გამოყენებული შემდეგი ახალი და გადამუშავებული IFRS სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა:

IFRS 10 და IAS 28 ცვლილებები	აქტივების გაყიდვა ან შენატანი ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლიც საწარმოს შორის
IAS 1 ცვლილებები	ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელ ან მოკლევადიან ვალდებულებებად
IAS 1 ცვლილებები	კოვენანტებით დაკისრებული გრძელვადიანი ვალდებულებები
IAS 7 და IFRS 7 ცვლილებები	ცვლილებები ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან
IFRS 16 ცვლილებები	სალიზინგო ვალდებულება გაყიდვისა და უკულიზინგის შემთხვევაში

მენეჯმენტი არ მოელის, რომ ზემოთ მოყვანილი ახალი სტანდარტების დანერგვას არსებითი ზეგავლენა ექნება ჯგუფის და ბანკის მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშებზე, იმ შემთხვევების გარდა, როცა ეს ტრანზაქციები მომავალ პერიოდებში განხორციელდება.

ფასიანი ქაღალდი

7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
ნაღდი ფული	58,337	76,580
ფულადი სახსრები სებ-ში (გარდა სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებისა)	57,122	107,632
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები სხვა ბანკებში	167,762	93,938
განთავსებები სხვა ბანკებში სამ თვეზე ნაკლები ვადიანობით	1,134	388
გამოკლებული საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(345)	(470)
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ	**284,010**	**278,068**

ფულადი სახსრები სებ-ში (გარდა სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებისა) წარმოადგენს სებ-ში რიცხულ ნაშთებს, რომლებიც ანგარიშსწორების საქმიანობას უკავშირდება და წლის ბოლოს მზადაა გასატანად.

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები ბანკის ცალკე ფინანსური ანგარიშის მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 282,582 ლარს (2022: 277,659 ათასი ლარი) შვილობილი კომპანიების წილი ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრის ბალანსში 1,428 ათასი ლარი იყო. (2023 წლის 31 დეკემბრის: 409 ათასი).

ცხრილში ნაჩვენებია ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის საკრედიტო რისკების შეფასების სისტემა იხ. განმარტება 31-ში. თანხები წარმოდგენილია საკრედიტო დანაკარგის რეზერვის გარეშე:

ათასი ლარი	ფულადი სახსრები სებ-ში გარდა სავალდებულო რეზერვებისა	საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	განთავსებები სხვა ბანკებში სამ თვეზე ნაკლები ვადიანობით	სულ
- ძალიან კარგი	-	152,198	-	152,198
- კარგი	57,001	13,405	1,132	71,538
- დამაკმაყოფილებელი	-	730	-	730
- სპეც მონიტორინგს დაქვემდ	-	1,207	-	1,207
- შეფასების გარეშე	-	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ, გარდა ნაღდი ფულისა	**57,001**	**167,540**	**1,132**	**225,673**

ცხრილში ნაჩვენებია ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	ფულადი სახსრები სებ-ში გარდა სავალდებულო რეზერვებისა	საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	განთავსებები სხვა ბანკებში სამ თვეზე ნაკლები ვადიანობით	სულ
- ძალიან კარგი	-	28,378	-	28,378
- კარგი	107,400	62,811	109	170,320
- დამაკმაყოფილებელი	-	840	-	840
- სპეც მონიტორინგს დაქვემდ	-	161	-	161
- შეფასების გარეშე	-	1,511	278	1,789
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ, გარდა ნაღდი ფულისა	**107,400**	**93,701**	**387**	**201,488**

7 ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბერს ჯგუფს ჰყავდა 1 კონტრაგენტი ბანკი (2022: არ ჰყავდა) და ერთიანად ფული და ფულის ეკვივალენტი კაპიტალის 10%-ზე მეტს შეადგენდა, თანხით 149,456 ათასი ლარი ან ან ფული და ფულის ეკვივალენტის 66.1%.

ECL გაანგარიშების მიზნით ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები შედის 1 სტადიაში. ECL გაზომვის მიდგომა იხილეთ განმარტებაში 31.

ფულის და ფულის ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია განმარტებაში 31. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ წარმოდგენილია განმარტება 35-ში.

8 სავალდებულო რეზერვები სებ-ში

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენს სებ-ში დეპონირებულ თანხებს. რეზიდენტ ფინანსურ ინსტიტუტებს მოეთხოვება საპროცენტო სავალდებულო რეზერვის შენარჩუნება სებ-ში, რომლის ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია და რომლის ოდენობაც დამოკიდებულია ამ ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდული სახსრების სიდიდეზე.

2024 წლის 12 იანვარს საკრედიტო სააგენტომ Fitch Ratings საქართველოს გრძელვადიანი უცხოური ვალუტის ემიტენტის რეიტინგი (IDR) "BB" დაადასტურა „პოზიტიური" პერსპექტივით.

კატეგორიის „ფულადი სახსრები სებ-ში" საპროცენტო განაკვეთების ანალიზი მოცემულია განმარტებაში 31.

ათასი ლარი	დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები: დანაკარგის კომპონენტის გამოკლებით	დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები: დანაკარგის კომპონენტი	დამდგარი ზარალების ვალდებულებები: მომავალი ფულადი ნაკადების დირებულების შეფასება	დამდგარი ზარალების ვალდებულებები: რისკის მიხედვით კორექტირება	აქტივები დაზღვევის შესაძენად ფულადი ნაკადებისთვის	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრისთვის	666	-	894	-	-	1,560
სადაზღვევო კონტრაქტების აქტივები 2022 წლის 1 იანვარს	-	-	-	-	-	-
წმინდა სადაზღვევო ხელშეკრულებების (აქტივები)/ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**666**	**-**	**894**	**-**	**-**	**1,560**
სადაზღვევო შემოსავალი	**(13,855)**	**-**	**-**	**-**	**-**	**(13,855)**
დაზღვევის მომსახურების ხარჯები	**544**	**56**	**3,500**	**-**	**-**	**4,100**
- დამდგარი ზარალები და სხვა ხარჯები	-	-	1,350	-	-	1,350
- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	544	-	-	-	-	544
- დანაკარგები ზარალიან კონტრაქტებზე და ამ დანაკარგების ამობრუნება	-	56	-	-	-	56
- ცვლილებები დამდგარ ზარალებზე ვალდებულებებში	-	-	2,150	-	-	2,150
დაზღვევის მომსახურების შედეგი	**(13,311)**	**56**	**3,500**	**-**	**-**	**(9,755)**
საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ეფექტი	519	-	-	-	-	519
სრული შემოსავლის ანგარიშის ცვლილებები სულ	(12,792)	56	3,500	-	-	(9,236)
ფულადი ნაკადები						
მიღებული პრემიები	13,930	-	-	-	-	13,930
გადახდილი ზარალები და სხვა ხარჯები	-	-	(2,535)	-	-	(2,535)
ფულადი ნაკადები სულ	**13,930**	**-**	**(2,535)**	**-**	**-**	**11,395**
აქტივებიდან დაზღვევის შესაძენად ფულადი ნაკადების განაწილება სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფებზე	(527)	-	-	-	-	(527)
წმინდა დაზღვევის კონტრაქტების (აქტივები)/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბერს	**1,277**	**56**	**1,859**	**-**	**-**	**3,192**
დაზღვევის კონტრაქტების ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბერს	1,277	56	1,859	-	-	3,192
დაზღვევის კონტრაქტების აქტივები 2022 წლის 31 დეკემბერს	-	-	-	-	-	-

13 დაზღვევის და გადაზღვევის კონტრაქტები (გაგრძელება)

ცვლილება ანგარიშგების დასაწყისსა და დასასრულს შორის და დადებული სადაზღვევო კონტრაქტების წმინდა აქტივის ან ვალდებულების შედარებითი პერიოდები, რომლებიც აჩვენებს აქტივებს დარჩენილი დაფარვისთვის და წარმოშობილ ზარალებზე ანაზღაურებად თანხებს, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები		დამდგარ ზარალებზე ამოღებადი თანხები			
ათასი ლარი	მინუს დანაკარგის კომპონენტი	დანაკარგის კომპონენტი	მომავალი ფულადი ნაკადების ღირებულების მეფასება	რისკის მიხედვით კორექტირება	აქტივები დაზღვევის შესაძენად ფულადი ნაკადებისთვის	სულ
გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები 2023 წლის 1 იანვარს	269	11	2,194	-	-	2,474
გადაზღვევის კონტრაქტების ვალდებულებები2023 წლის 1 იანვარს	-	-	-	-	-	-
წმინდა გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები/(ვალდებულებები) 2023 წლის 1 იანვარს	**269**	**11**	**2,194**	-	-	**2,474**
გადაზღვევის პრემიების განაწილება	**(13,144)**	-	-	-	-	**(13,144)**
დამდგარ ზარალებზე გადამზღვევებისგან ამოღებადი თანხები	**1,382**	**35,780**	**74,040**	-	-	**111,202**
- დამდგარ ზარალებზე და სხვა ხარჯებზე ამოღებადი თანხები	-	-	34,717	-	-	34,717
- სხვა დამდგარი ჰირდაპირ დაკავშირებული ხარჯები	1,382	-	-	-	-	1,382
- ზარალის ამოღება ზარალიან მიმდინარე კონტრაქტებზე და კორექტირებებზე	-	35,780	-	-	-	35,780
- - დამდგარ ზარალებზე ამოღებადი თანხების ცვლილებები	-	-	39,323	-	-	39,323
წმინდა შემოსავალი ან ხარჯი გადაზღვევის კონტრაქტებიდან	**(11,762)**	**35,780**	**74,040**	-	-	**98,058**
გადამზღვევების უმოქმედობის რისკი ცვლილების ეფექტი	(32)	-	-	-	-	(32)
ცვლილებები სრული ანგარიშის განცხადებაში	**(11,794)**	**35,780**	**74,040**	-	-	**98,026**
ფულადი ნაკადები						
მიღებული პრემიები	12,265	-	-	-	-	12,265
მიღებული თანხები	-	-	(36,614)	-	-	(36,614)
ფულადი ნაკადები სულ	**12,265**	-	**(36,614)**	-	-	**(24,349)**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

	დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები		დამდგარ ზარალებზე ამოღებადი თანხები			
ათასი ლარი	მიწუს დანაკარგის კომპონენტი	დანაკარგის კომპონენტი	მომავალი ფულადი ნაკადების ღირებულების შეფასება	რისკის მიხედვით კორექტირება	აქტივები დაზღვევის ფასაძეხად ფულადი ნაკადებისთვის	სულ
დათმობის საკომისიო და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები	(1,177)	-	-	-	-	(1,177)
წმინდა გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები/(ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბერს	**(437)**	**35,791**	**39,620**	**-**	**-**	**74,974**
გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები 2023 წლის 31 დეკემბერს	(437)	35,791	39,620	-	-	74,974
გადაზღვევის კონტრაქტების ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბერს	-	-	-	-	-	-

13 დაზღვევის და გადაზღვევის კონტრაქტები (გაგრძელება)

	დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები		დამდგარ ზარალებზე ამოღებადი თანხები			
ათასი ლარი	მინუს დანაკარგის კომპონენტი	დანაკარგის კომპონენტი	მომავალი ფულადი ნაკადების ღირებულების შეფასება	რისკის მიხედვით კორექტირება	აქტივები დაზღვევის შესაძენად ფულადი ნაკადებისთვის	მინუს დანაკარგის კომპონენტი
გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 2022 წლის 1 იანვარს	-	-	-	-	-	-
	(2,159)	-	1,240	-	-	(919)
წმინდა გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები/(ვალდებულებები) 2022 წლის 1 იანვარს	(2,159)	-	1,240	-	-	(919)
გადაზღვევის პრემიების განაწილება	(11,394)	-	-	-	-	(11,394)
დამდგარ ზარალებზე გადამზღვევებისგან ამოღებადი თანხები	2,699	11	2,411	-	-	5,121
- *დამდგარ ზარალებზე და სხვა ხარჯებზე ამოღებადი თანხები*	-	-	1,194	-	-	1,194
- *სხვა დამდგარი პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები*	2,699	-	-	-	-	2,699
- *ზარალის ამოღება ზარალიან მიმდინარე კონტრაქტებზე და კორექტირებებზე*	-	11	-	-	-	11
- *დამდგარ ზარალებზე ამოღებადი თანხების ცვლილებები*	-	-	1,217	-	-	1,217
წმინდა შემოსავალი ან ხარჯი გადაზღვევის კონტრაქტებიდან	(8,695)	11	2,411	-	-	(6,273)
გადამზღვევის უმოქმედობის რისკის ცვლილების ეფექტი	635	-	-	-	-	635
მთლიანი ცვლილებები სრული შემოსავლის განცხადებაში	(8,060)	11	2,411	-	-	(5,638)
ფულადი ნაკადები						
მიღებული პრემიები	11,375	-	-	-	-	11,375
მიღებული თანხები	-	-	(1,457)	-	-	(1,457)
ფულადი ნაკადები სულ	11,375	-	(1,457)	-	-	9,918
დათმობის საკომისიო და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები	(887)	-	-	-	-	(887)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

	დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები		დამდგარ ზარალებზე ამოღებადი თანხები			
ათასი ლარი	მინუს დანაკარგის კომპონენტი	დანაკარგის კომპონენტი	მომავალი ფულადი ნაკადების ღირებულების შეფასება	რისკის მიხედვით კორექტირება	აქტივები დაზღვევის შესაძენად ფულადი ნაკადებისთვის	მინუს დანაკარგის კომპონენტი
წმინდა გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები/(ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბერს	**269**	**11**	**2,194**	**-**	**-**	**2,474**
გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები 2022 წლის 31 დეკემბერს	269	11	2,194	-	-	2,474
გადაზღვევის კონტრაქტების ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბერს						

14 სხვა აქტივები

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	22,041	28,776
სასამართლო საქმეების ავანსები	1,855	1,509
ამოსავალი მონაკვეთები და გადასახადის დაკავება	1,034	888
მომსახურებისთვის ავანსად გადახდილი თანხები	4,748	987
სხვა	3,387	2,456
სხვა აქტივები სულ	**33,065**	**34,616**

დასაკუთრებული გირაო წარმოადგენს უძრავი ქონების აქტივებს, რომელსაც ჯგუფი შეისყიდის ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. ჯგუფი მოელის მომავალში ამ აქტივების განკარგვას. ბანკი სპეციალური შეთავაზებების და მარკეტინგული აქტივობის მეშვეობით ყიდის გირაოს, ასევე იყენებს ბროკერების მომსახურებას და ადგილზე რეკლამირებას (მიწა, ოფისები და სხვა)

2023 წლის 31 დეკემბერს ბანკთან დაკავშირებული დასაკუთრებული გირაოს ღირებულება 18,839 ათასი ლარი იყო, (2022: 25,831 ლარი).

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

15 შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	განმ	შენობა	საოფისე და კომპ ტექნიკა	ტრანსპ	საინჟარო ქონების აუმჯობეს	მიმდინარე ება მშენებლობა	შენობა-ნაგებ და ღჭურ	პროგრამუ ლი უზრუნვ ლიცენზ	სულ
შეფასების ხარჯი 2021 წლის 31 დეკემბერს		26,494	13,540	300	3,292	-	43,626	9,681	53,307
აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია		-	(10,465)	(235)	(1,655)	-	(12,355)	(2,597)	(14,952)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს		**26,494**	**3,075**	**65**	**1,637**	**-**	**31,271**	**7,084**	**38,355**
დამატება		33,279	5,630	275	2,015	28,042	69,241	3,527	72,768
განკარგვა			(241)		(422)	-	(663)	(1,612)	(2,275)
ცვეთა									
ცვეთის ხარჯი	28	(510)	(1,858)	(53)	(1,098)	-	(3,519)	(1,647)	(5,166)
განკარგვა		-	67	-	242	-	309	1,232	1,541
31 დეკ 2022									
შეფასების ხარჯი		59,773	18,929	575	4,885	28,042	112,204	11,596	123,800
აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია		(510)	(12,256)	(288)	(2,511)	-	(15,565)	(3,012)	(18,577)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს		**59,263**	**6,673**	**287**	**2,374**	**28,042**	**96,639**	**8,584**	**105,223**
დამატება		169	1,347	54	326	333	2,229	5,232	7,461
განკარგვა		-	(98)	(37)	(85)	-	(220)	(961)	(1,181)
ცვეთა									
ცვეთის ხარჯი	28	(558)	(2,206)	(71)	(680)	-	(3,515)	(1,742)	(5,257)
განკარგვა		-	44	37	85	-	166	963	1,129
31 დეკ 2023									
შეფასების ხარჯი		59,942	20,178	592	5,126	28,375	114,213	15,867	130,080
აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია		(1,068)	(14,418)	(322)	(3,106)	-	(18,914)	(3,791)	(22,705)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს		**58,874**	**5,760**	**270**	**2,020**	**28,375**	**95,299**	**12,076**	**107,375**

15 მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

შენობა-ნაგებობები 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულებით იქნა შეფასებული შემფასებელთა დამოუკიდებელი ფირმის მიერ. 2022 წელს ბანკმა შეიძინა ახალი ფართები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ბიზნესერთეულისგან. ტრანზაქციის ფასი შემფასებელთა დამოუკიდებელი ფირმის მიერ განისაზღვრა. 2023 წლისთვის, მენეჯმენტის რწმენით, შენობების საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს არსებითად არ განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისგან.

ის მონაცემი, რომლის მიმართაც შენობა-ნაგებობების საპროგნოზო სამართლიანი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა, კვადრატული მეტრის ფასია: რაც უფრო მაღალია ფასი კვადრატულ მეტრზე, მით მეტია სამართლიანი ღირებულება.

ჯგუფის შენობა-ნაგებობები რომ თვითღირებულების მეთოდით აღრიცხულიყო, საბალანსო ღირებულება იქნებოდა:

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
ღირებულება	50,663	50,494
აკუმულირებული ცვეთა	3,984	3,611
თვითღირებულების მეთოდით აღრიცხული შენობა-ნაგებობები, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა	**46,679**	**46,883**

ბანკი შენობა-ნაგებობები რომ თვითღირებულების მეთოდით აღრიცხულიყო, საბალანსო ღირებულება იქნებოდა:

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
ღირებულება	50,494	50,494
აკუმულირებული ცვეთა	3,984	3,611
თვითღირებულების მეთოდით აღრიცხული შენობა-ნაგებობები, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა	**46,510**	**46,883**

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კატეგორიაში „შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა" შეტანილი იყო სრულად ამორტიზებული აქტივები, შესაბამისად 11,212 ათასი ლარი და 9,337 ათასი ლარი.

16 გამოყენების უფლებების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები

აქტივები გამოყენების უფლებით თავისი მუხლების კლასებით გაანალიზებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	შენობა-ნაგებობები
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,370**
დამატებები	22,014
მოდიფიკაციის ეფექტი	652
ცვეთის ხარჯი	(4,160)
შეწყვეტის ეფექტი	(1,294)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**21,582**
დამატებები	803
მოდიფიკაციის ეფექტი	51
ცვეთის ხარჯი	(5,072)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**17,364**

სალიზინგო ვალდებულებების ცვლილებები ქვემოთ შემდეგნაირადაა გაანალიზებული:

ათასი ლარი	2023	2022
სალიზინგო ვალდებულება 1 იანვარს	**18,576**	**4,745**
სალიზინგო ვალდებულებების აღიარება	834	22,011
სალიზინგო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	749	800
უცხოური ვალუტის ეფექტი	(162)	(3,016)
მოდიფიკაციები	58	802
სალიზინგო კონტრაქტის შეწყვეტა	-	(1,264)
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(749)	(802)
სალიზინგო ვალდებულებების დაფარვა	(3,336)	(4,700)
სალიზინგო ვალდებულება 31 დეკემბერს	**15,970**	**18,576**

16 გამოყენების უფლების მქონე აქტივები და სალიზინგო ვალდებულებები (გაგრძელება)

მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარებული თანხები:

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ცვეთა	5,072	4,160
სალიზინგო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	749	802
მოგება-ზარალში აღიარებული დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის ხარჯები	153	144
მოგება-ზარალში აღიარებული მოკლევადიანი იჯარის ხარჯები	265	232
სულ	**6,239**	**5,338**

17 ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
მოკლევადიანი განთავსებები სებ-ისგან	175,098	288,447
სხვა ბანკების მოკლევადიანი განთავსებები	109,767	22,259
სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	1	1
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ სულ	**284,866**	**310,707**

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფმა სავალო ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით ფლეჯირება გააკეთა 118,327 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, იპოთეკური სესხები კი ნომინალური ღირებულებით 88,066 ათასი ლარი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სებ-ის მოკლევადიანი სესხის უზრუნველყოფად გამოიყენა. (2022: სავალო ფასიანი ქაღალდები 192,306 ათასი ლარი და იპოთეკური სესხები 109,739 ათასი ლარი, SME სესხები 28,246 ათასი ლარი) იხილეთ განმარტება 33.

განმარტებაში 34 იხილეთ სხვა ბანკებისადმი ვალდებულებების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულებების გამჟღავნება. ამავე კატეგორიის საპროცენტო განაკვეთების ანალიზი გამჟღავნებულია განმარტებაში 31. დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების შესახებ ინფორმაცია იხილეთ განმარტებაში 35.

18 კლიენტთა ანგარიშები

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	212,965	136,382
- ვადიანი დეპოზიტები	270,743	265,495
სხვა იურიდიული პირები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	264,370	446,912
- ვადიანი დეპოზიტები	386,825	201,484
ფიზიკური პირები		
- მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	296,118	305,651
- ვადიანი დეპოზიტები	761,351	604,816
კლიენტთა ანგარიშები სულ	**2,192,372**	**1,960,740**

კატეგორია „სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები" არ გულისხმობს მოგებაზე ორიენტირებულ სახელმწიფო ბიზნესებს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ცალკე ანგარიშში ნაჩვენები კლიენტების ანგარიშების ნაშთები 2,199,455 ათას ლარს შეადგენს (2022: 1,965,810 ათასი ლარი).

ეკონომიკური სექტორის კონცენტრაცია კლიენტების ანგარიშებში ასეთია:

ათასი ლარი	დეკ 31, 2023		დეკ 31, 2022	
	თანხა	%	თანხა	%
ფიზიკური პირები	1,057,469	47%	910,467	45%
ვაჭრობა	214,052	10%	49,849	3%
ენერგეტიკა	179,542	8%	168,821	9%
მომსახურება	147,399	7%	112,280	6%
ფინანსური ინსტიტუტები	145,554	7%	157,712	8%
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	130,353	6%	208,387	10%
მშენებლობა და სამშენებლო მასალების წარმოება	79,250	4%	74,436	4%
სახელმწიფო	67,164	3%	89,583	5%
წარმოება	47,892	2%	37,671	2%
განათლება	37,911	2%	33,774	2%
თამბაქო	30,229	1%	-	-
უძრავი ქონების დეველოპმენტი	11,345	1%	79,997	4%
სხვა	44,212	2%	37,563	2%
კლიენტთა ანგარიშები სულ	**2,192,372**	**100%**	**1,960,740**	**100%**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ოთხი კლიენტი ჰყავდა (2022: სამი კლიენტი), რომელთა ნაშთებიც მთლიანი კაპიტალის 10%-ს აღემატებოდა. ამ კლიენტის ნაშთები სულ 387,252 ათას ლარს (2022: 167,249 ათასი ლარი), ან მთლიანი კლიენტთა ანგარიშების 17% (2022: 8.5%) შეადგენდა.

კლიენტთა ანგარიშების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება იხ. განმარტება 34-ში. კლიენტთა ანგარიშების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი მოცემულია განმარტება 31-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტება 35-ში.

19 ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
სესხები „ბლუ ორჩარდისგან"	89,995	77,547
სესხები შავი ზღვის ვაჭრობის და განვითარების ბანკისგან ("BSTDB")	62,887	52,479
სესხები ფონდისგან GREEN FOR GROWTH (Finance-in-Motion)	39,529	14,533
სესხები ბანკისგან BANCA POPOLARE DI SONDRIO SCPA	33,472	-
სესხები ODDO BHF Aktiengesellschaft	30,229	-
სესხები აზიის განვითარების ბანკისგან ("ADB")	29,722	-
სესხები responsAbility-სგან	20,780	-
სესხები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ევროპული ფონდისგან	16,640	29,121
სესხები მიკროსაფინანსო განვითარების ორგანიზაციისგან SA, SICAV-SIF, (INCOFIN)	10,778	13,535
სესხები responsAbility SICAV (Lux) Micro and SME Finance Debt Fund	10,511	24,695
სესხები from responsAbility Global Micro and SME Finance Fund	9,009	8,682
სესხები Global Impact Investments Sarl (SYMBIOTICS)	8,990	8,676
სესხები FINANCING FOR HEALTHEIR LIVES DAC	8,068	-
სესხები responsAbility SICAV (Lux) Micro and SME Finance Leaders	4,505	11,624
სესხები SYMBIOTICS SICAV (LUX)	3,004	2,898
სესხები FINETHIC S.C.A SICAV_SIF (SYMBIOTICS)	1,502	1,449
სესხები ჰუალინგის სპეციალური ეკონომიკური ზონისგან	2,723	-
სესხები ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან ("EBRD")	-	46,087
სესხები გლობალური კლიმატის პარტნიორობის ფონდისგან (responsAbility)	-	16,732
სესხები ჩინეთის განვითარების ბანკისგან ("CDB")	-	13,830
სესხები კომერციბანკისგან	-	13,766
სესხები ResponsAbility SICAV (Lux) ფინანსური ინკლუზიურობის ფონდი	-	7,283
ნასესხები სახსრები სულ	**382,344**	**342,937**

ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში ჯგუფი ვალდებულია დაემორჩილოს ფინანსურ კოვენანტებს. მენეჯმენტის რწმენით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს მსესხებლების მიერ სასესხო ხელშეკრულებებით დადგენილი არცერთი კოვენანტი არ დაურღვევია, გარდა სს „პაშა ბანკი საქართველოს" მიერ BB ლიზინგისთვის დაწესებული კოვენანტისა. კოვენანტი მოითხოვდა, BB ლიზინგს შეენარჩუნებინა ვადაგადაცილებული ლიზინგის პორტფელის მოცულობა დადგენილ ლიმიტში. BB ლიზინგმა დაარღვია ეს კოვენანტი, მაგრამ წლის ბოლოს შემდეგ ვეივერი მიიღო; სს „პაშა ბანკი საქართველომ" დაადასტურა, რომ მათ არჩიეს საკრედიტო ხელშეკრულებების ფარგლებში მათთვის ხელმისაწვდომ საშუალებებზე უარის თქმა მათი შესაბამისი დაფარვის თარიღებამდე.

2022 წელს სს „ვითიბი ბანკი საქართველოს" პორტფელების შესყიდვის შემდეგ ბანკს გაუჭირდა ზოგიერთი კოვენანტის შესრულება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კრედიტორებმა ბანკს ყველა დარღვევისთვის ვეივერი მისცეს.

კოვენანტების შესრულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებაში 33.

სხვა ნასესხები სახსრების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნების შესახებ იხ. განმარტება 34. სხვა ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი იხ. განმარტება 31 -ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 35-ში. ნაჩვენებია ჯგუფის დაფინანსების საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ცვლილებები.

20 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შეადგენს:

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
თანამშრომელთა ბენეფიტების დარიცხული ხარჯები	14,439	8,254
მოგების გადასახადის გარდა გადასახდელი სხვა გადასახადები	1,052	364
მიღებული წინასწარი გადახდები	698	721
სხვა	1,852	1,283
სხვა ვალდებულებები სულ	**18,041**	**10,622**

თანამშრომლების დარიცხული ბენეფიტები მოიცავს თანამშრომელთა და მენეჯმენტის ბენეფიტებისთვის შექმნილ რეზერვებს, მათ შორის ფილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ("SBP") სქემის ფარგლებში შექმნილ რეზერვებს.

21 სუბორდინირებული ვალები

ჯგუფის სუბორდინირებული ვალებია:

ათასი ლარი	დაწყების თარიღი	ვადიანობა	ვალუტა	31-დეკ-23	31-დეკ-22
სესხის გამცემი:					
სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ევროპული ფონდი	ივნ-22	ივნ-29	EUR	44,888	43,356
Xinjiang HuaLing Industry & Trade (Group) Co	აგვ-19	აგვ-26	USD	13,514	13,577
Xinjiang HuaLing Industry & Trade (Group) Co	სექ-23	სექ-30	USD	7,116	-
ფიზიკური პირები	დეკ-23	დეკ-33	USD	13,187	-
გამოშვებული საგალო ფასიანი ქაღალდები	იანვ-23	იანვ-33	USD	27,678	-
სუბორდინირებული ვალები სულ				**106,383**	**56,933**

2019 წელს გაცემულმა "Xinjiang HuaLing Industry & Trade (Group) Co" ვალმა ეტაპობრივად შემცირება დაიწყო 2019 წელს და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი ღირებულების 40% 4,900 ათასი აშშ დოლარი მეორად კაპიტალშია შეტანილი. ყველა სხვა სუბორდინირებული ვალი ღირებულების 100%-ითაა შეტანილი.

"Xinjiang HuaLing Industry & Trade (Group) Co"-სგან მიღებულ სუბორდინირებულ ვალს ერიცხება წლიური ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 7%, ხოლო სუბორდინირებულ ვალს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ევროპის ფონდიდან ("EFSE") აქვს მცურავი საპროცენტო განაკვეთი 6 M EURIBOR + მარჟა. 6.50%.

2023 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფს აქვს გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები ნომინალური ღირებულებით 10,000 ათასი აშშ დოლარი (2022: სასესხო ფასიანი ქაღალდები გამოშვებული არ ჰქონდა). ამ ობლიგაციებს ვადა უდგება 2030 წლის 30 იანვარს და აქვს კუპონური განაკვეთი წლიური 7%.

სუბორდინირებული ვალების სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება იხილეთ განმარტებაში 34. სუბორდინირებული ვალის საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 31-ე განმარტებაში. სუბორდინირებული ვალების ცვლილებები წარმოდგენილია განმარტება 30-ში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ წარმოდგენილია 35-ე განმარტებაში.

22 სააქციო კაპიტალი

ათასი ლარი გარდა აქციების რაოდენობისა	გამოშვებული აქციების რაოდენობა ათასებში	ჩვეულებრივი აქციები	საემისიო შემოსავალი	სულ
1 იანვარს 2022	**16,057**	**16,057**	**74,923**	**90,980**
ახალი გამოშვებული აქციები	1,034	1,034	26,143	27,177
31 დეკემბერს 2022	**17,091**	**17,091**	**101,066**	**118,157**
ახალი გამოშვებული აქციები	228	228	3,432	3,660
31 დეკემბერს 2023	**17,319**	**17,319**	**104,498**	**121,817**

ჩვეულებრივი აქციების მთლიანი ავტორიზებული რაოდენობა 17,320 ათასია (2022: 17,215 ათასი აქცია), ნომინალური ღირებულებით 1 აქცია 1 ლარი (20222: 1 აქცია 1 ლარი). გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობაა 17,320 ათასი აქცია (2022: 17,215, ათასი აქცია). ყველა გამოშვებული აქცია სრულადაა გადახდილი. თითოეულ ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმის უფლება აქვს.

23 დივიდენდები

ათასი ლარი	2023	2022
1 იანვარს გადასახდელი დივიდენდები	-	-
წლის განმავლობაში დეკლარირებული დივიდენდები	7,405	-
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	(7,405)	-
31 დეკემბერს გადასახდელი დივიდენდები	-	-

ყველა დივიდენდი დეკლარირებული და გადახდილია ლარით.

24 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა

2017 წლის მარტში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის ახალი საბონუსე სქემა 2017-2022 წლებისთვის და ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებს ახალი აქციები გადასცა, შესაბამისი მომსახურების პირობებით. გადაცემის თარიღად ჯგუფი 2017 წლის 27 მარტს თვლის. თითოეული აქციის სამართლიანი ღირებულება გადაცემის დღეს 12.55 ლარით განისაზღვრა. აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ბანკის მფლობელებს შორის აქციების შეძენის ტრანზაქციებისთვის დადგენილი ერთი აქციის ფასის მიხედვით.ახალი სქემის მიხედვით, მენეჯმენტის აქციებზე იგივე შეზღუდვები გავრცელდება. მათი მიღებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში (შეზღუდვის პერიოდი) დირექტორებს არ შეეძლებათ ამ აქციების გაყიდვა. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, დირექტორებს შეეძლებათ მენეჯმენტის აქციების ნახევრის გაყიდვა. დირექტორების მფლობელობაში მყოფი ყველა მენეჯმენტის აქციის გასხვისება შესაძლებელი იქნება მხოლოდ დირექტორების თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ.

ქვემოთ მოცემულია ტაბულარული ინფორმაცია სქემის შესახებ:

ათასი ლარი აქციების რაოდენობის გარდა	2023	2022
მიუნიჭებელი აქციების რაოდენობა წლის დასაწყისში	**167,000**	**165,000**
მინიჭებული აქციების რაოდენობა	-	-
მისანიჭებელი აქციების საპროგნოზო რაოდენობის ცვლილება შედეგების პირობებიდან გამომდინარე	(22,350)	2,000
მინიჭებული აქციების რაოდენობა	(144,650)	-
მიუნიჭებელი აქციების რაოდენობა წლის ბოლოს	**-**	**167,000**
თითო აქციის ღირებულება გაცემის დღეს (ლარით)	12.55	12.55
წლის განმავლობაში თანამშრომლის ხარჯებში აღარებული ხარჯი	**160**	**166**

2023 წელს მინიჭებისშემდგომი შეზღუდვები მთლიანად ამოიწურა და წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის რეზერვი ამოიწურა სააქციო კაპიტალიდან და საემისიო შემოსავლიდან (წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის რეზერვი 2022 წლის 31 დეკემბერს 2,606 ათასი ლარი იყო).

25 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ათასი ლარი	2023	2022
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები AC-ით	262,797	224,657
სავალო ფასიანი ქაღალდები AC-ით	21,830	18,364
სავალო ფასიანი ქაღალდები FVOCI-ით	15,781	8,906
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ AC-ით	9,902	6,240
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	**310,310**	**258,167**
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი AC-ით		
იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტები	62,448	38,762
ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები	36,831	22,401
ნასესხები სახსრები	25,274	20,240
მიმღინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	18,357	17,721
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	17,850	28,670
სხვა ბანკების ვადიანი განთავსებები	6,003	1,887
სუბორდინირებული ვალები	5,258	2,645
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,675	-
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო ხარჯი	**173,696**	**132,326**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**136,614**	**125,841**

26 საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

ათასი ლარი	2023	2022
საკომისიო შემოსავალი		
- პლასტიკური ბარათების საკომისიოები	5,299	4,018
- გაცემული ფინანსური გარანტიები (განმარტება 33)	4,998	3,419
- ანგარიშსწორების ტრანზაქციები	3,306	2,907
- დისტანციური საბანკო მომსახურების საკომისიოები	1,316	609
- ტრანზაქციები ნაღდი ფულით	1,182	898
- გაცემული ეფექტიანობის გარანტიები (განმარტება 33)	636	207
- სხვა	2,315	1,168
საკომისიო შემოსავალი და ხარჯი სულ	**19,052**	**13,226**
საკომისიო ხარჯი		
- პლასტიკური ბარათების საკომისიოები	3,980	3,223
- ანგარიშსწორების ტრანზაქციები	752	765
- გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები	497	334
- ინკასაციის და ტრანზაქციების საკომისიოები	377	221
- საკრედიტო ბაზების საკომისიოები	306	297
- ფაქტორინგული მომსახურება	4	6
- სხვა	279	205
საკომისიო ხარჯი სულ	**6,195**	**5,051**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**12,857**	**8,175**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

27 დაზღვევის და გადაზღვევის მომსახურების შედეგები

ათასი ლარი	2023	2022
დაზღვევის შემოსავალი	**15,674**	**13,855**
დაზღვევის მომსახურების ხარჯი	**(112,883)**	**(4,100)**
- დაძლგარი ზარალები და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები	(35,291)	(1,350)
- გაწევისას აღიარებული დაზღვევის შესყიდვის ფულადი ნაკადები	(1,337)	(544)
- ზარალიანი კონტრაქტების დანაკარგები და ამ დანაკარგების აქობრუნება	(35,861)	(56)
- დაძლგარი ზარალების ვალდებულებების ცვლილებები	(40,394)	(2,150)
გადაზღვევის შედეგი	**98,058**	**(6,273)**
- დაძლგარ ზარალებზე გადაშზღვევებისგან ამოსალები თანხები	109,820	2,422
- გადაზღვევის პრემიების განაწილება	(13,144)	(11,394)
- გადაზღვევის საკომისიო შემოსავალი	1,382	2,699
წმინდა დაზღვევის შედეგი	**849**	**3,482**

28 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
თანამშრომელთა კომპენსაცია	49,140	42,872
შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	5,257	5,166
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ცვეთა	5,072	4,160
პროფესიული მომსახურება	4,782	3,113
კომუნიკაციისა და საინფორმაციო მომსახურება	4,390	3,234
რეკლამა და მარკეტინგი	2,768	2,451
რემონტი და შეკეთება	2,005	1,831
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	1,052	884
დაზღვევა	942	879
უსაფრთხოების მომსახურება	839	1,055
სალიზინგო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	710	800
საოფისე მარაგები	576	992
მივლინება და ტრენინგი	511	206
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ლიზინგთან დაკავშირებული სალიზინგო ხარჯები	418	375
სხვა	4,190	5,775
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები სულ	**82,652**	**73,793**

28 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ინფორმაციას მენეჯმენტის საბჭოს წევრების შესახებ, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს და თანამშრომლების შესახებ შესაბამისი პერიოდებისთვის.

	31 დეკ 2023		31 დეკ 2022	
	ბანკის განცალკ	კონსოლიდ	ბანკის განსალკ	კონსოლიდ
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	6	7	6	8
დირექტორთა საბჭოს წევრები	7	12	7	11
საშუალო რგოლის მენეჯმენტი*	27	34	56	65
სხვა თანამშრომლები	841	873	798	827
თანამშრომლების რაოდენობა	**881**	**926**	**867**	**911**

* *საშუალო მენეჯმენტის პერსონალის განსაზღვრის შიდა მეთოდოლოგიის ცვლილების გამო, ამ ჯგუფის თანამშრომელთა რაოდენობა 2022 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა.*

ჯგუფის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2023 წლის განმავლობაში არის 879 (2022: 833).

თანამშრომელთა ხარჯებში მეტანილია 160 ათასი ლარი (2022: 166 ათასი ლარი), რომელიც წარმოადგენს ჯგუფის პერსონალისთვის უშუალოდ აქციონერების მხრიდან გადახდილ წილობრივ ანაზღაურებას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროფესიული სერვისების საკომისიო მოიცავს 469 ათას ლარს (2022: 477 ათასი ლარი) აუდიტისთვის და აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული სხვა პროფესიული სერვისებისთვის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკთან დაკავშირებული საკომისიოები შეადგენს 285 ათას ლარს (2022:311 ათასი ლარი).

29 მოგების გადასახადები

(ა) მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები

წლის მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადი შედგება შემდეგისგან:

ათასი ლარი	2023	2022
მიმდინარე გადასახადი	(17,380)	(5,976)
გადავადებული გადასახადი	8,094	(6,697)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**(9,286)**	**(12,673)**

(ბ) საგადასახადო ხარჯსა და მოგება-ზარალს შორის რეკონსილიაცია, გამოყენებული შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე

ჯგუფის 2023 წლის მოგების უმეტეს ნილზე ვრცელდება მოგების გადასახადი განაკვეთით 20% (2022: 15%) შვილობილ კომპანიებზე ვრცელდება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთი (2022: 15%).

ქვემოთ მოცემულია დაბეგვრის მოსალოდნელ და ფაქტობრივ ხარჯს შორის რეკონსილიაცია.

ათასი ლარი	2023	2022
მოგება დაბეგვრამდე	**86,171**	**86,565**
თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონის მიხედვით (2023: 20% ბანკისთვის, 15% შვილობილებისთვის; 2022: 15%)	(16,394)	(12,970)
იმ მუხლების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც არაა გაქვითვადი ან შეფასებადი საგადასახადო მიზნებისთვის:		
- შემოსავალი მთავრობის/სებ-ის ფასიანი ქაღალდებისგან და დეპოზიტებისგან	7,726	4,373
- შემოსავალი რომელიც გათავისუფლებულია გადასახადისგან	62	491
- მოგების მუხლები, რომლებიც მოგება-ზარალში არ არის აღიარებული, მაგრამ საგადასახადო თვალსაზრისით ექვემდებარება დაბეგვრას	(127)	(82)
- სხვა არაგაქვითვადი ხარჯები	(328)	(293)
საგადასახადო კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილების შედეგი	(225)	(4,192)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**(9,286)**	**(12,673)**

29 მოგების გადასახადები (გაგრძელება)

(გ) გადავადებული გადასახადები დროებითი განსხვავების ტიპების მიხედვით

IFRS-სა და საკანონმდებლო საგადასახადო რეგულირებას შორის განსხვავებები იწვევს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას (ფინანსური ანგარიშგების მიზნისთვის) და მათ საგადასახადო ბაზას შორის დროებითი განსხვავებების გაჩენას. ქვემოთ მოცემულია ამ დროებითი განსხვავებების ცვლილების საგადასახადო ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ათასი ლარი	1 იანვარი 2023	მოგება-ზარალში გატარებული როგორც კრედიტი ან ხარჯი	კრედიტად (ხარჯად) გატარებული OCI	31 დეკ 2023
გამოქვითვადი /(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო ეფექტი				
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა	(6,440)	286	-	(6,154)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სესხებზე	(6,924)	6,924	-	-
გამოყ უფლ მქონე აქტივები	789	(107)	-	682
გარანტიების რეზერვი	(370)	370	-	-
ბანკთაშორისი ნაშთების რეზერვი	189	(43)	-	146
ფას ქაღ დარეზ ამობრუნება	(23)	23	-	-
ნასესხები სახსრები	(394)	164	-	(230)
დარიცხვები	737	(267)	-	470
სხვა ვალდებულებები	2,202	888	-	3,090
ჩილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა	144	(144)	-	-
სავალო ფასიანი ქაღალდები FVOCI	(424)	-	424	-
სავად. წესებში ცვლილების წმინდა ეროვნული საგადასახადო ეფექტი	(935)	935	-	-
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(11,449)**	**9,029**	**424**	**(1,996)**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი განსხვავებების საგადასახადო ეფექტი მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	1 იანვ 2022	საგადასახადო კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილების ეფექტი	მოგება-ზარალში გატარებული როგორც კრედიტი ან ხარჯი	კრედირად (ხარჯად) გატარებული OCI	31 დეკემბერი 2022
გამოქვითვადი /(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო ეფექტი					
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა	(327)	(109)	(3,286)	(2,718)	(6,440)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სესხებზე	(1,375)	-	(5,548)	-	(6,923)
გამოყ უფლ მქონე აქტივები	96	32	661	-	789
გარანტიების რეზერვი	(279)	-	(91)	-	(370)
ბანკთაშორისი ნაშთების რეზერვი	92	30	67	-	189
ფას ქაღ დარეზ ამობრუნება	38	-	(60)	-	(22)
ნასესხები სახსრები	(301)	(100)	7	-	(394)
დარიცხვები	732	91	(86)	-	737
სხვა	565	336	1,299	-	2,200
ჩილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა	83	28	33	-	144
სავალო ფასიანი ქაღალდები FVOCI	-	-	-	(424)	(424)

ფასიანი ქაღალდები

საგად. წესებში ცვლილების წმინდა ერთჯერადი საგადასახადო ეფექტი	-	-	(935)	-	(935)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(676)**	**308**	**(7,939)**	**(3,142)**	**(11,449)**

ჯგუფის მიმდინარე სტრუქტურის და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის კონტექსტში, სხვადასხვა ჯგუფის კომპანიების საგადასახადო დანაკარგები და მიმდინარე საგადასახადო აქტივები შეიძლება არ დაოფსეტდეს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით და სხვა ჯგუფის კომპანიების დაბეგვრადი მოგებით და, შესაბამისად, გადასახადები შეიძლება დაირიცხოს კონსოლიდირებული საგადასახადო ზარალის შემთხვევაშიც კი. ამიტომ, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ოფსეტდება მხოლოდ მაშინ, როცა ერთსა და იმავე დაბეგვრად ერთეულს და საგადასახადო ორგანოს უკავშირდება.

30 დაფინანსების საქმიანობისგან წარმოშობილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ცვლილება წარმოდგენილი პერიოდების მიხედვით. ამ ვალდებულებების მუხლები ის მუხლებია, რომლებიც ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშში „დაფინანსების საქმიანობის" მუხლშია ასახული.

	ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან			
ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	სუბორდინირებული ვალები	სალიზინგო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 2022 წლის 1 იანვარს	**429,490**	**15,562**	**4,745**	**449,797**
შემოსავალი ძირი თანხიდან	217,368	46,232	-	263,600
ძირი თანხის დაფარვა	(252,315)	-	(4,701)	(257,016)
უცხ ვალ კორექტირებები	(52,830)	(4,994)	(3,016)	(60,840)
დარიცხული პროცენტის ცვლილება	1,224	133	-	1,357
სხვა არაფულადი ცვლილებები	-	-	21,548	21,548
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 2022 წლის 31 დეკემბერს	**342,937**	**56,933**	**18,576**	**418,446**
შემოსავალი ძირი თანხიდან	247,467	46,357	-	293,824
ძირი თანხის დაფარვა	(215,905)	-	(3,335)	(219,240)
უცხ ვალ კორექტირებები	6,126	1,973	(162)	7,937
დარიცხული პროცენტის ცვლილება	955	1,069	-	2,024
სხვა არაფულადი ცვლილებები	764	51	891	1,706
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 2023 წლის 31 დეკემბერს	**382,344**	**106,383**	**15,970**	**504,697**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

31 ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში ფინანსური რისკების მართვის ფუნქცია ვრცელდება ფინანსურ რისკებზე, ოპერაციულ რისკებსა და იურიდიულ რისკებზე. ჯგუფი, ფინანსურ შედეგებზე, მის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსა და რეპუტაციაზე რისკების ზეგავლენის შემცირების მიზნით მართავს რისკების გამოვლენას, შეფასებას და შემსუბუქებას (მიტიგაციას), შიდა მმართველობის პროცესების, რისკების მართვის მექანიზმების და პროცესების საშუალებით.

რისკების მართვის პასუხისმგებლობა ჯგუფის შიგნით ყველა დონეზე ვრცელდება, სამეთვალყურეო საბჭოდან და დირექტორთა საბჭოდან დაწყებული (აღმასრულებელი მენეჯმენტი) თითოეული ფუნქციური ერთეულის მენეჯერით და რისკების ოფიცრით დამთავრებული. რისკების მართვის ფუნქცია რისკების მართვის შემდეგ ერთეულებზეა განაწილებული:

- სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე - საბჭოს კომიტეტები: რისკების კომიტეტი და აუდიტის კომიტეტი;
- დირექტორთა საბჭოს დონეზე - დირექტორთა საბჭოს დონის კომიტეტები და ერთეულები: აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO), რისკების მართვის დეპარტამენტი, ხაზინის დეპარტამენტი, საკრედიტო კომიტეტები და კომპლაენსის კომიტეტი.

სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს ზედამხედველობის ზოგადი პასუხისმგებლობა. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანო, აფასებს ბანკის რისკის პროფილს და ბანკის რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს ადეკვატურობასა და ეფექტიანობას, რითაც აწესებს რისკების მართვის ზოგად მიდგომას და პრინციპებს. საბჭო ასევე ამტკიცებს ცალკეულ რისკების სტრატეგიებს, ადგენს ბანკის რისკის აპეტიტს და რისკების კონტროლის სისტემას.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები მოიცავს რისკის ძირითად ტიპების განსაზღვრებას, მენეჯმენტს აკისრებს კონკრეტულ რისკებზე პასუხისმგებლობას და აწესებს მოთხოვნებს შიდა კონტროლის სისტემებზე. რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტების მიზანია ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა, ანალიზი და მართვა, რისკების შესაბამისი ლიმიტების და კონტროლის დაწესება და რისკის დონეების და ლიმიტების დაცვის მუდმივი მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულ გადამუშავებას გადის ბაზრის პირობის ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ცვლილებების და ახალი საუკეთესო პრაქტიკის ასახვის მიზნით.

დირექტორთა საბჭო თითოეული ბიზნესმიმართულებისთვის განსაზღვრავს ყველა დამახასიათებელი რისკის მართვის შესაბამის პროცედურებს. ამ დროს მისი ამოცანაა ბიზნესის იმგვარი სტრუქტურირება, რომ ასახოს რისკები, უზრუნველყოს მოვალეობათა ადეკვატური გამიჯვნა და ადეკვატური პროცედურების არსებობა, განსაზღვროს დაქვემდებარებულ თანამშრომელთა ოპერაციული მოვალეობები. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების შემსუბუქების ღონისძიებათა მონიტორინგსა და განხორციელებაზე, ასევე ჯგუფის მუშაობის რისკების დადგენილი პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობის უზრუნველყოფაზე.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის უპირველესი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის პოზიცია ამ ლიმიტების ფარგლებშია. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციების მთავარი ამოცანაა შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ოპერაციული და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი იმართება საკრედიტო კომიტეტების სისტემის საშუალებით როგორც პორტფელის, ისე ტრანზაქციების დონეზე. გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით, ჯგუფი საკრედიტო კომიტეტების იერარქიას ანესებს, პოზიციის ტიპიდან და სიდიდიდან გამომდინარე.

საბაზრო და ლიკვიდობის რისკებს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი, ხაზინის დეპარტამენტთან და რისკების მართვის დეპარტამენტთან კოორდინაციით. ხაზინის დეპარტამენტი ფინანსური და არაფინანსური რისკების მონიტორინგს ახორციელებს ოპერაციულ ერთეულებთან რეგულარული შეხვედრების გზით. ამ შეხვედრების დროს ხაზინა თანამშრომლებისგან იღებს ექსპერტულ რეკომენდაციას თავიანთი სფეროების შესახებ, ახორციელებს ლიკვიდობის გეპების, სტრუქტურული საპროცენტო განაკვეთების პოზიციების ყოველდღიურ კონტროლს, და მართავს და აკონტროლებს უცხოური ვალუტის რისკის პოზიციას.

ბანკი ადგენს რისკების აღების და მართვის პრინციპებს, რომლებიც შიდა წესებსა და პოლიტიკის დოკუმენტებშია ასახული და მთელ ორგანიზაციაში თანმიმდევრულად გამოიყენება.

ეს ზოგადი პრინციპებია:

- პრუდენციული რისკების აღება რისკების ყოვლისმომცველი შეფასებით და კონტროლის გარემოში;
- მონიტორინგის და ანგარიშგების ადეკვატური და ეფექტიანი სისტემა;
- რისკების სათანადო რაოდენობრივი გამოსახვა სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით ბანკის ზომის და კომპლექსურობის შესაბამისად;
- მარეგულირებლის ყველა მოქმედი მოთხოვნის და ინსტრუქციის მიღება და შესრულება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;
- რისკების ეფექტიანი მმართველობის განხორციელება რისკების კონტროლის სათანადო იერარქიის შენარჩუნებით, რომელიც, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, დამოუკიდებელია ბიზნეს-საქმიანობისგან;
- რისკების მართვის მოსაზრებათა დაცვა ახალი საქმიანობის, ბიზნესმიმართულების ან პროდუქტების ექსპლუატაციაში გამვებისას.

როგორც გარე, ისე შიდა რისკის ფაქტორების გამოვლენა და მართვა მთელი ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით ხდება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების რუკის შემუშავებას. ასეთი რუკები რისკის ფაქტორების ფართო სპექტრის გამოვლენის საშუალებას იძლევა და კომფორტის იმ დონის განსაზღვრის საფუძველია, რომელსაც რისკების შემსუბუქების არსებული პროცედურები იძლევა.

საკრედიტო რისკი. ჯგუფის წინაშე დგას საკრედიტო რისკი. ეს ის რისკია, როცა ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მოვალეობას, რითაც კონტრაგენტის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს.

საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა ჯგუფის საკრედიტო საქმიანობის და პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ტრანზაქციების გამო, რაც იწვევს ფინანსურ აქტივების და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების გაჩენას.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში, ფინანსური პოზიციის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებში. საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე, კრედიტის გაცემის ვალდებულებებზე, აუთვისებელ საკრედიტო ხაზებზე და იმპორტ-ექსპორტის აკრედიტივებზე თავად ვალდებულების ტოლია.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის საქმიანობასთან ასოცირებული ცალკეული ყველაზე დიდი რისკია. ამიტომ, მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მის საკრედიტო რისკის პოზიციას.

რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსურია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება ბაზრის პირობის, მოსალოდნელი ფულადი ნაკადის და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს დეფოლტის ალბათობის, მასთან დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და მხარეებს შორის დეფოლტის კორელაციების შემდგომ შეფასებას.

ლიმიტები. ჯგუფი მისი საკრედიტო რისკის დონეს ასტრუქტურირებს ერთ მსესხებელთან, ან მსესხებელთა ჯგუფთან და გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებთან მიმართებაში მიღებული რისკის სიდიდეზე ლიმიტების დაწესებით. ლიმიტებს საკრედიტო რისკის დონეზე პროდუქტებისა და დარგის მიხედვით რეგულარულად ამტკიცებს მენეჯმენტი. ამგვარი რისკები მუდმივად განახლებად მონიტორინგს უქვემდებარება და მათი გადახედვა წელიწადში ერთხელ, ან უფრო ხშირად ხდება.

ჯგუფმა რამდენიმე საკრედიტო კომიტეტი შექმნა, რომლებიც მსესხებელ ფიზიკურ პირებზე საკრედიტო ლიმიტების დამტკიცებაზე არიან პასუხისმგებელი. ზემდგომი საკრედიტო კომიტეტი გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოა, რომელიც პასუხს აგებს მაღალი ღირებულების მქონე ტრანზაქციებზე. კომიტეტი ასევე პასუხისმგებელია უფრო ქვემოთ მდგომი საკრედიტო კომიტეტებისთვის ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების უზრუნველყოფაზე.
კრედიტის დამტკიცების ლიმიტები კომიტეტებს შორის ამგვარადაა განაწილებული:

საცალო სეგმენტი

- ზემდგომი საკრედიტო კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 1000 ათას ლარზე ზემოთ;
- უმცროსი საკრედიტო კომიტეტები იხილავენ და ამტკიცებენ საკრედიტო ლიმიტებს 1000 ათას ლარამდე;
- 400 ათას ლარამდე განაცხადებს ამტკიცებს რისკების მართვის დეპარტამენტი. გამონაკლისებს წარმოადგენს საცალო სესხები 150 ათას ლარამდე, რომლებსაც ამტკიცებს საცალო დაკრედიტების ჯგუფი.

ბიზნესის სეგმენტი

- ზემდგომი საკრედიტო კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 1000 ათას დოლარზე ზემოთ;
- უმცროსი საკრედიტო კომიტეტები იხილავენ და ამტკიცებენ საკრედიტო ლიმიტებს 1000 ათას დოლარამდე;
- 500 ათას დოლარამდე განაცხადებს ამტკიცებს რისკების მართვის დეპარტამენტი.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო განაცხადები, რომლებიც შესაბამისი კლიენტთან ურთიერთობის მენეჯერებისგან შემოდის, საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად გადაეცემა შესაბამის საკრედიტო კომიტეტს. საკრედიტო რისკის პოზიცია, ასევე ნაწილობრივ იმართება უზრუნველყოფის და კორპორაციული და პირადი გარანტიების მიღებით. საკრედიტო რისკის პოზიციის მონიტორინგის მიზნით, ფინანსური ანგარიშგების და რისკების დეპარტამენტების შესაბამისი თანამშრომლები ამზადებენ რეგულარულ ანგარიშებს. ეს ანგარიშები კლიენტის ბიზნესის და ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურირებულ ანალიზს ეფუძნება. იმ კლიენტთან რაიმე სახის ურთიერთქმედების ფაქტი, რომლის გადახდისუნარიანობაც უარესდება, მოეხსენება რისკების კომიტეტს და დირექტორთა საბჭოს და განიხილება მათ მიერ.

საკრედიტო რისკების კლასიფიკაციის სისტემა. საკრედიტო რისკის გაზომვის და საკრედიტო რისკის სიდიდის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის მიზნით, ჯგუფი იურიდიული პირებისთვის იყენებს შიდა სარეიტინგო სისტემას, ან საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) მიერ დადგენილ რისკების კლასიფიკაციას, ბანკთაშორისი პოზიციებისთვის, ფასიანი ქაღალდებისთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის.

შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოყვანილი ბანკის შიგნით დადგენილი მთავარი შკალის მიხედვით, სადაც საკრედიტო რისკის კონკრეტული კატეგორიას შეესაბამება დეფოლტის ალბათობის კონკრეტული დიაპაზონი, როგორც ამ ცხრილითაა ნაჩვენები:

საკრედიტო რისკის კატეგორია მთავარი შკალით	კორპორაციის შიდა რეიტინგები	საერთაშორისო სააგენტოების შესაბამისი საერთ. რეიტინგები (Fitch)	დეფოლტის ალბათობის ინტერვალის შესაბამისი საერთაშორისო რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით (Fitch)
ძალიან კარგი	1 – 2	AAA to BB+	0,01% - 0,25%
კარგი	3 – 4	BB to B+	0,26% - 1.53%
დამაკმაყოფილებელი	5 – 6	B, B-	1,54% - 3,12%
სპეც. მონიტორინგს დაქვ.	7 – 8	CCC+ to CC-	3,13% - 99,9%
დეფოლტი	9	C, D-I, D-II	100%

მთავარი შკალის თითოეული საკრედიტო რისკის კატეგორია ენიჭება კრედიტუნარიანობის კონკრეტულ დონეს:

- ძალიან კარგი - კრედიტის მაღალი ხარისხი დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- კარგი - კრედიტის ადეკვატური ხარისხი ზომიერი საკრედიტო რისკით;
- დამაკმაყოფილებელი - კრედიტის ზომიერი ხარისხი დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რისკით;
- სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებული - კრედიტი, რომელიც უფრო ყურადღებით მონიტორინგს და გამოსასწორებელ ქმედებას მოითხოვს, და
- დეფოლტი - კრედიტი, რომელზეც მოხდა დეფოლტი.

მიდგომა, რომელსაც ჯგუფი იურიდიულ პირებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის გასაზომად იყენებს, ექსპერტულ რეკომენდაციაზე დაყრდნობით შემუშავებული შიდა მოდელია, რომელიც მსესხებელს საკრედიტო რეიტინგს ანიჭებს სხვადასხვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების მიხედვით. რეიტინგების მინიჭება ხდება საკრედიტო რისკის ოფიცრების მიერ, რომელსაც შემდეგ საკრედიტო რისკის კომიტეტის წევრები იხილავენ სესხის დამტკიცების პროცესში.

ის პოზიციები, რომელთაც შიდა რეიტინგი არ აქვს მინიჭებული, საკრედიტო რისკის მიხედვით კლასიფიცირდება, სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმის გამოყენებით, ესენია: ვადაგადაცილების დღეები, რესტრუქტურიზაცია, უზრუნველყოფის არსებობა.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის კატეგორია	კრედიტის ხარისხის კრიტერიუმები
ძალიან კარგი	ვადაგადაცილება არ არის; მთლიანად დაფარულია დეპოზიტის, ძვირფასი ლითონის ან მთავრობის გარანტიით.
კარგი	ვადაგადაცილება არ აღემატება 31 დღეს ბოლო 12 თვის განმავლობაში და სესხს სრულად ფარავს უზრუნველყოფა (დეპოზიტი ან უძრავი ქონება);
დამაკმაყოფილებელი	ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატება 31-60 დღეს. ან თუ სესხი რესტრუქტურიზებული იქნა, ეს ერთ წელზე დიდი ხნის წინ მოხდა და მიმდინარე ვადაგადაცილება 31 დღეზე ნაკლებია.
განსაკ. მონიტ.	ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატებოდა 61-90 დღეს. ან თუ სესხი რესტრუქტურიზებული იქნა, ეს ერთ წელზე დიდი ხნის წინ მოხდა და მიმდინარე ვადაგადაცილება 31-90 დღეა.
დეფოლტი	სესხმა ბოლო 12 თვის განმავლობაში განიცადა რესტრუქტურიზაცია ან ბოლო 12 თვის განმავლობაში მინიმალური ვადაგადაცილება 90 დღეა.

საერთაშორისო რეიტინგები მხარეებს ისეთი დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიენიჭება, როგორიცაა S&P, Moody's და Fitch. რეიტინგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. ეს რეიტინგები და დეფოლტის ალბათობის შესაბამისი დიაპაზონი შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ვრცელდება: ბანკთაშორისი განთავსებები, სახელმწიფო დაწესებულებებზე და მათ დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებზე გაცემული სესხები და ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდები (სახელმწიფოს, კორპორაციების ფასიანი ქაღალდები, მუნიციპალური ობლიგაციები, ევრობონდები და შესყიდული სავალო ვალდებულებები).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშება. ECL ფულადი ნაკადების სამომავლო დანაკლისის დისკონტირებული ღირებულების ალბათობის მიხედვით შეწონილი შეფასებაა. (ანუ, საკრედიტო დანაკარგების საშუალო შეწონილი, იმ რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს და შეწონილია ამ დანაკარგების მოხდენის ალბათობით). ECL მიდგომა მიუკერძოებელია და განისაზღვრება ყველა შესაძლო შედეგის დიაპაზონის შეფასებით. ECL შეფასების მიდგომისთვის ჯგუფი იყენებს ოთხ კომპონენტს, ესენია: დეფოლტის ალბათობა (PD), პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დისკონტის განაკვეთი.

EAD მეთოდი პოზიციას აფასებს მომავალში მოსახდენი დეფოლტის თარიღით და ითვალისწინებს პოზიციაში მოსალოდნელ ცვლილებებს საანგარიშო პერიოდის შემდგომ, მათ შორის ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვას და დამტკიცებული ლიმიტებიდან მოსალოდნელ გატანებს. EAD სესხებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში ფასდება კრედიტის კონვერსიის ფაქტორის (CCF) გამოყენებით.

CCF არის კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს დამტკიცებული ლიმიტების საბალანსო პოზიციად გარდაქმნის ალბათობას განსაზღვრულ პერიოდში. მონაცემთა შეზღუდულობის გამო, ჯგუფი თვლის, რომ CCF არის 100%. დეფოლტის ალბათობა PD დეფოლტის შესაძლებლობის წინასწარი შეფასებაა, რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს. LGD იმ ზარალის წინასწარი შეფასებაა, რომელსაც დეფოლტის დროს ექნება ადგილი. ის ეფუძნება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, მათ შორის უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მისაღებ, შორის განსხვავებას. როგორც წესი, ის გამოისახება EAD-ის პროცენტის სახით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოითვლება მოსალოდნელი დანაკარგების მიმდინარე ღირებულება, რომლის დროსაც დისკონტის განაკვეთის როლში გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) ან მისი მიახლოებითი შეფასება.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელირება ხდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთელი პერიოდი უდრის სავალო ინსტრუმენტების ვადიანობამდე დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს. ამჟამად ბანკი არ ახდენს ECL-ის კორექტირებას მოსალოდნელი წინასწარი დაფარვების მიხედვით, მაგრამ მის ზეგავლენას არაარსებითად არის შეფასებული. სასესხო ვალდებულებების და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისთვის არსებობის რული პერიოდი ის სახელშეკრულებო პერიოდია, რომლის განმავლობაშიც დაწესებულებას აქვს მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულება კრედიტის გაცემაზე. არსებობის მთელი პერიოდის პოზიციის განსაზღვრისთვის, ჯგუფი გამონაკლისის სახით, იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფიზიკურ პირებზე გაცემულ ბარათებთან მიმართებაში. ამ ინსტრუმენტებისთვის მაქსიმალურ არსებობის მთელ პერიოდად აღებულია 5 წელი (მაქსიმალური ნებადართული ვადიანობა არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო კრედიტებისთვის), ECL კი ყოველთვის იზომება არსებობის მთელ პერიოდში მოსალოდნელი დანაკარგების მიხედვით.

მენეჯმენტი ახდენს არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის მოდელირებას, ანუ იმ დანაკარგების, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში შესაძლო დეფოლტის შედეგად წარმოიშობა.

12 თვის ECL არის არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის ნაწილი, რომელიც ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოეშობა დეფოლტის მოვლენებისგან, რომლებიც შესაძლებელია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 12 თვის განმავლობაში მოხდეს, ან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილი პერიოდი, თუ ის ერთ წელზე ნაკლებია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასებული ECL-ი, დროის პერიოდის შეფასებებია და არა მთელი ციკლის, რაც, როგორც წესი, საზედამხედველო მიზნებისთვის გამოიყენება. ეს შეფასებები ითვალისწინებს *სპროგნოზო ინფორმაციას*, ანუ ECL-ი ასახავს საკრედიტო რისკზე ზეგავლენის მქონე მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობის მიხედვით შეწონილ განვითარებას.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვის მიზნებისთვის, ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როცა პოზიცია აკმაყოფილებს ერთ ან მეტ ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუმს:

- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება
- პრობლემური რესტრუქტურიზაცია (პოზიცია არის გადახდისუუნარო)
- გადახდისუუნარობა, რაც კონტრაგენტის შიდა რეიტინგით გამოიხატება.

თუ კონტრაგენტის დონეზე დამატებითი ინფორმაცია არაა ხელმისაწვდომი, როგორც წესი, მხოლოდ

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

- მსესხებლის მნიშვნელოვანი აქტივების გაყიდვა ზარალით;
- მნიშვნელოვანი ხელშეკრულების (კლიენტის ან მიმწოდებლის) შეწყვეტა, რომელიც შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის წყაროა ან წარსულში გაკეთებული შესყიდვები;
- ხელშეკრულების ან საკრედიტო ხელშეკრულების პირობების (კოვენანტების) დარღვევა;
- სასამართლო საქმის დაწყება, რომელმაც ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი გადინება შეიძლება გამოიწვიოს;
- ჩნდება იმის ალბათობა, რომ მსესხებელი გადავა გაკოტრების რეჟიმში ან სხვა ფინანსურ რეორგანიზაციას განიცდის;
- სექტორის კრიზისი, როცა კონტრაგენტი სექტორში სუსტი პოზიციის მქონე კონტრაგენტთან კომბინაციაში ოპერირებს.

ინსტრუმენტი დეფოლტის აღარმქონედ (ანუ გაჯანსაღებულად) ითვლება, როცა ზედიზედ თორმეტი თვის განმავლობაში აღარ აკმაყოფილებს დეფოლტის არცერთ კრიტერიუმს. ეს თორმეტ თვიანი პერიოდი ექსპერტული დასკვნით განისაზღვრა, იმ ანალიზის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მდგომარეობაში დაბრუნების ალბათობას გაჯანსაღების შემდეგ, გაჯანსაღების სხვადასხვა შესაძლო დეფინიციების გამოყენებით.

იმის შეფასება, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება თითოეული პოზიციისთვის პორტფელის მიხედვით. კორპორაციებზე გაცემული სესხებისთვის, ბანკთაშორისი სესხებისთვის და სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის AC (ამორტიზებული ღირებულება)-ით, ან FVOCI (სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის საშუალებით)-ით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR) ფასდება ინდივიდუალურად ქვემოთ მოყვანილი მიზეზების მონიტორინგის საშუალებით. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის SICR ფასდება პორტფელის მიხედვით, მაგრამ საბოლოოდ SICR ცალკეულ სესხს ენიჭება და არა მსესხებლის ყველა სესხს. ბანკის რისკების მართვის დეპარტამენტი პერიოდულად მონიტორინგს უწევს SICR-ის გამოვლენის კრიტერიუმებს და განიხილავს მათ შესაბამისობას და სათანადოობას. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ უპირობოდ აქვს ადგილი, როცა ფინანსური აქტივები 30 დღეზე მეტადაა ვადაგადაცილებული.

ჯგუფი იყენებს დაბალი საკრედიტო რისკის ფინანსური აქტივების დეფინიციას. ბანკი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ აქტივებს გარე რეიტინგით, რომელიც შეესაბამება „საინვესტიციო“კატეგორიის (მაგალითად AAA-დან BBB-ის ჩათვლით Standard & Poor's-ის სარეიტინგო სისტემის მიხედვით ან Moody's-ის შესაბამისად) საანგარიშო თარიღის მდგომარეობით დაბალი საკრედიტო რისკი აქვს. ჯგუფი საანგარიშო თარიღის მდგომარეობით არ იყენებს დაბალი რისკის შეფასების გამონაკლისს.

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტს SICR-ის მქონედ მიიჩნევს, როცა ის აკმაყოფილებს შემდეგ ერთ ან მეტ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ან საყრდენ კრიტერიუმებს.

ბანკთაშორისი ოპერაციებისა და ბონდებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30- ზე მეტი დღით;
- ზემოთ მოცემული სარეიტინგო შკალით მინიჭებული აქვს „სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებულის“ შესაბამისი რისკის საერთაშორისო რეიტინგი.

იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების და კორპორაციული კლიენტების მიერ გამოშვებული ობლიგაციებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30-ზე მეტი დღით;
- რესტრუქტურიზაცია (თუ პოზიცია არაა გადახდისუუნარო)
- შიდა რეიტინგის ცვლილება, რომელიც „ძალიან კარგის“ ან „კარგის“ კატეგორიიდან „დამაკმაყოფილებლის“ ან „სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებულისკენ“ ჩამოსვლის შესაბამისია;

დასრული ვერსია

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30-ზე მეტი დღით;
- რესტრუქტურიზაცია (თუ პოზიცია არ არის გადახდისუუნარო)
- არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც აღემატება საცალო პორტფელის წინასწარ დადგენილ აბსოლუტურ და შედარებით ზღვარს.

ECL-ის ის დონე, რომელიც ამ ფინანსურ ანგარიშგებაშია აღიარებული, იმაზეა დამოკიდებული, მსესხებლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს მოდელი გულისხმობს ბანკის აქტივების კლასიფიკაციას სამ ეტაპად.

ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული და რომლის საკრედიტო რისკიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვი, რომელიც 12 თვის ECL-ებზეა აგებული (ეტაპი 1). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგინდა SICR, ფინანსური ინსტრუმენტი გადაინაცვლებს მეორე ეტაპზე, მაგრამ ის ჯერ არ არის აღიარებული საკრედიტო რისკით გაუფასურებულად და მისი ზარალის რეზერვი არსებობის მთელი პერიოდის ECL-ებზეა აგებული. თუ ფინანსური ინსტრუმენტი საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, ის მესამე ეტაპზე გადადის და მისი ზარალის რეზერვი არსებობის მთელი პერიოდის ECL-ებზეა აგებული. აქტივის მესამე ეტაპზე კლასიფიკაციის შედეგი ისაა, რომ ბანკი წყვეტს საპროცენტო შემოსავლის აღიარებას ბრუტო საბალანსო ღირებულების საფუძველზე და საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისას აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებას არიცხავს, ECL-ის გამოკლებით.

თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ SICR კრიტერიუმები აღარ კმაყოფილდება, ინსტრუმენტი ისევ პირველ ეტაპზე გადადის. თუ პოზიცია მეორე ეტაპზე გადავიდა ხარისხობრივი ინდიკატორის საფუძველზე, ჯგუფი აკვირდება, კიდევ არსებობს ეს ინდიკატორი თუ შეიცვალა. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პორტფელებს, რომლებიც მეორე ეტაპს მიეკუთვნება საყურადღებო სიის სტატუსის გამო. ამ პორტფელებს რეგულარული, სულ მცირე ყოველწლიური მონიტორინგი უტარდება, რომლის დროსაც გათვალისწინებული ECL შეფასებების ბოლო მოვლენები.

POCI ტიპის ფინანსური აქტივებისთვის ECL ყოველთვის იზომება არსებობის მთელი პერიოდისთვის. ამიტომ, ჯგუფი აღიარებს მხოლოდ არსებობის მთელი პერიოდისთვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების კუმულატიურ ცვლილებებს.

ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს შემდეგი ტიპის სესხებს: უნიკალური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე სესხებს, ცალკეულ მნიშვნელოვან სესხებს, ანუ 2000 ათას ლარზე ზემოთ ცალკეულ პოზიციებს.

ეს ზღვარი დაწესდა ექსპერტული გადაწყვეტილებით და გათვალისწინებული იქნა ბანკის პორტფელის მიმდინარე სტრუქტურა. მისი გადახედვა მხოლოდ პორტფელის მოცულობის და სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაშია შესაძლებელი.

ჯგუფი პორტფელის მიხედვით აფასებს შემდეგი ტიპის სესხებს: საცალო სესხებს და კორპორაციულ მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემულ სესხებს, როცა პოზიცია მნიშვნელოვნების ზღვარს ქვემოთაა. ამ მიდგომის თანახმად, სესხების ჯგუფები კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით ჰომოგენურ ქვესეგმენტებადაა დაჯგუფებული, მაგალითად პროდუქტების ტიპების, დანაკარგების ისტორიული მონაცემების, ადგილმდებარეობის, საქმიანობის სექტორების, სესხის ვალუტის და ა.შ.

ბანკთაშორისი სესხების, ბანკების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების და სახელმწიფო დაწესებულებებზე გაცემული სესხების შეფასებებს ჯგუფი ახდენს საერთაშორისო რეიტინგების საფუძველზე.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ECL ინდივიდუალური შეფასება ხდება საკრედიტო დანაკარგების პროგნოზების სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეწონით თითოეული შედეგის ალბათობებით. ჯგუფი თითოეული შეფასებული სესხისთვის სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს განსაზღვრავს, რომელთაგან ერთი სრულ საკრედიტო ზარალს იწვევს, თუმცა ასეთი ზარალის ალბათობა მეტად მცირე შეიძლება იყოს. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად საკრედიტო რისკების და პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტების გამოცდილი თანამშრომლების ექსპერტულ დასკვნას ეფუძნება, საკრედიტო ექსპერტების მხარდაჭერით, რომლებიც მსესხებლის შესახებ ინფორმაციის პირველადი წყარო არიან. ექსპერტული დასკვნა რეგულარულ ტესტირებას გადის წინასწარ შეფასებასა და ფაქტობრივ დანაკარგებს შორის განსხვავების შესამცირებლად. საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურად 1 და 2 ეტაპის სესხებისთვის და ინდივიდუალურ დონეზე მე-3 ეტაპის სესხებისთვის, ძირითადი უზრუნველყოფის გაყიდვიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

როცა შეფასება პორტფელის მიხედვით ტარდება, ჯგუფი განსაზღვრავს პოზიციების ეტაპებს და კოლექტიურად აღგენს დანაკარგების რეზერვს. ჯგუფი პოზიციებს აანალიზებს სეგმენტების მიხედვით, რომლებიც საერთო საკრედიტო რისკების მახასიათებლების მიხედვით დგინდება, ისე რომ ჯგუფის შიგნით პოზიციებს ჰომოგენური ან მსგავსი რისკები აქვს. ის ძირითადი საერთო საკრედიტო მახასიათებლები, რომლებიც მხედველობაში მიიღება, შემდეგია: კლიენტის ტიპი (საბითუმო თუ საცალო), პროდუქტის ტიპი, თავდაპირველი აღიარების თარიღი, ვადიანობამდე დარჩენილი დრო და ა.შ. სხვადასხვა სეგმენტი ასევე ასახავს განსხვავებებს საკრედიტო რისკების ისეთ პარამეტრებში, როგორებიცაა დეფოლტის ალბათობა და LGD (ზარალი დეფოლტის შემთხვევაში). აქტივების ჰომოგენურ ჯგუფებად დაჯგუფების სათანადოობას პერიოდულად აკვირდება და განიხილავს რისკების მართვის დეპარტამენტი.

ზოგადად ECL მიიღება საკრედიტო რისკების შემდეგი პარამეტრების გამრავლებით: EAD, PD და LGD, რომელთა განმარტებებიც ზემოთაა მოცემული. აღნიშნული პარამენტრების კალკულაციასას, დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკების პარამეტრების (EAD, PD და LGD) პროგნოზირებით თითოეული მომავალი კვარტლისთვის თითოეული ინდივიდუალური პოზიციის ან კოლექტიური სეგმენტის არსებობის მთელი პერიოდისთვის. ეს სამი კომპონენტი მრავლდება ერთმანეთზე. ამგვარად ხდება ECL-ის გამოთვლა თითოეული სამომავლო პერიოდისთვის. შემდეგ ის დისკონტირდება საანგარიშო თარიღის მდგომარეობით და ჯამდება. ECL-ის გაანგარიშებაში გამოყენებული დისკონტური განაკვეთი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი შეფასებაა.

საკრედიტო რისკების პარამეტრების გაანგარიშების ძირითადი პრინციპები. EAD განისაზღვრება მსესხებლის მიერ 12 თვიანი ან არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სახელშეკრულებო დაფარვების საფუძველზე შედგენილი მოსალოდნელი გადახდის პროფილის მიხედვით. ყოველთვიური გრაფიკის არმქონე ინსტრუმენტებზე გადახდის პერიოდულობის შესახებ არსებული არასაკმარისი მონაცემების გამო, მთელი კორპორატიული/მცირე და საშუალო ბიზნესის პორტფელისთვის პირობითი 30-დღიანი გრაფიკი იქნა გამოყენებული. ამ გამარტივების გავლენა არაარსებითად ჩაითვალა. ამჟამად ჯგუფი ECL შეფასებაში არ ითვალისწინებს ადრეული დაფარვის ან რეფინანსირების ფაქტორებს (გავლენა უმნიშვნელოდ იქნა მიჩნეული). მუდმივად განახლებად პროდუქტებზე, როგორიცაა ოვერდრაფტები და საკრედიტო ბარათები, EAD პროგნოზი იღებს მიმდინარე ათვისებულ ნაშთს და რომელსაც მიუყენებს „კრედიტის კონვერსიის ფაქტორს", რომელიც დეფოლტის დროისათვის დარჩენილი ლიმიტის სიდიდის მოსალოდნელ ათვისებას შეესაბამება. CCF დამტკიცებული, მაგრამ აუთვისებელი ლიმიტებისთვის იანგარიშება და განახლდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდისთვის, კორპორაციული და SME პოზიციებისთვის და ბარათებისა და ოვერდრაფტებისთვის ცალკე.

ECL-ების გაანგარიშებისას ორი ტიპის დეფოლტის ალბათობა გამოიყენება: 12-თვიანი და არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობა. 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის შეფასება ეფუძნება ყველაზე ახალი ისტორიული დეფოლტის მონაცემებს და კორექტირდება საპროგნოზო

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ინფორმაციით, სადაც შესაძლებელია. არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს დეფოლტის იმ სავარაუდო ალბათობას, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში ხდება და ინსტრუმენტის არსებობის პერიოდის 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების ჯამია.

ჯგუფი არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობის გაანგარიშებისთვის სხვადასხვა სტატისტიკურ მეთოდს იყენებს სეგმენტიდან და პროდუქტის ტიპიდან გამომდინარე, მაგალითად 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების ექსტრაპოლაციის მეთოდს, რომელიც კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესსესხების მიგრაციის მატრიცაზეა აგებული. ჯგუფი დეფოლტის ალბათობის მრუდს ქმნის საცალო სესხების დეფოლტზე ისტორიული მონაცემების მიხედვით.

LGD წარმოდგენს გადეფოლტებულ პოზიციაზე მიღებული ზარალის მოსალოდნელ სიდიდეს. ჯგუფი ამჟამად LGD-ის გასაზომად იყენებს მიდგომას, რომელიც სამ ეტაპად შეიძლება დავყოთ:

ფასიანი ნაწილი

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

- LGD-ის გაანგარიშება პორტფელის მიხედვით, ამოღების სტატისტიკაზე დაყრდნობით; LGD1 - ამოღება მხოლოდ კლიენტის მიერ ფულის გადახდის შედეგად
- LGD-ის გაანგარიშება უზრუნველყოფის სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით. LGD2 - მოსალოდნელი ამოღება სპეციფიკური უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიხედვით, სადაც გაითვალისწინება: უზრუნველყოფის საპროგნოზო დირებულება, ურზრუნველყოფის გაყიდვისას რეალუზებული ისტორიული დისკონტები და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე მოქმედი სხვა ფაქტორები, ფულიდა სხვა ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფა;
- საბოლოო LGD =LGD1*LGD2

ჯგუფის ასეთი მიდგომის ლოგიკა იმ დაკვირვებას ემყარება, რომ დეფოლტის შემდეგაც კი, გადაფოლტებული პოზიციის გარკვეული ნაწილი მსესხებლის მიერ განხორციელებული ფულადი გადახდის შედეგად იფარება, უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე. შესაბამისად, უზრუნველყოფის რეალიზაციით იფარება დარჩენილი გადეფოლტებული ვალდებულება, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მსესხებელი გადახდის ყველა საშუალებას ამოწურავს. LGD კოლექტიურად იანგარიშება კორპორაციული/მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების პორტფელის და საცალო ჰომოგენური პორტფელების დარჩენილი ნაწილის ამოღების ბოლო სტატისტიკაზე დაყრდნობით.

ჯგუფი საბოლოო შეფასებულ LGD-ს მიუყენებს LGD-ს მინიმალურ ზღვარს. ამ ექსპერტული კორექტირების ლოგიკური დასაბუთება არის დაკვირვება, რომ არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლებისმოდელირება ვერ ხერხდება ყველაზე პესიმისტურ სცენარშიც კი, რომლებიც საბოლოო ჯამში შეიძლება დასრულდეს საკრედიტო ზარალით უზრუნველყოფის კარგი კოეფიციენტის მქონე სესხებისთვისაც კი. შესაბამისად ჯგუფი იყენებს LGD მინიმალურ ზღვარს, როგორც მენეჯმენტის ექსპერტულ კორექტირებას LGD მოდელზე. ეს ზღვარი ექვემდებარება მუდმივ ბექ-ტესტს და მონიტორინგს. ECL სენსიტიურობა LGD მინიმალური ზღვრის მიმართ მოცემულია 31 განმარტებაში.

ჯგუფი რეგულარულად განიხილავს თავის მეთოდოლოგიას და ვარაუდებს, რათა შემცირდეს რაიმე განსხვავება შეფასებებსა და კრედიტის რეალურ დანაკარგს შორის. IFRS9-ის მიხედვით, ყველა გამოყენებული პარამეტრისა და მნიშვნელოვანი დაშვების ვალიდაცია და უკუტესტირება ECL შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ECL-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიის უკუტესტირების შედეგები ეცნობება ჯგუფის მენეჯმენტს და შესაბამის პირებთან განხილვების შემდეგ განისაზღვრება მოდელებისა და დაშვებების დახვეწისთვის საჭირო შემდგომი ნაბიჯები.

2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩაატარა IFRS9 გაუფასურების მოდელში გამოყენებული დაშვებების, ზღვრების და რისკის პარამეტრების უკუტესტირება, რათა შეეფასებინა 2023 ფინანსური წლის პროგნოზების ადეკვატურობა, როგორც ეს IFRS9 გაუფასურების მოდელებით წინა წლის ბოლოს იყო შეფასებული. ტესტები დამაკმაყოფილებელი შედეგებით დასრულდა და მოდელის პარამეტრებთან დაკავშირებით არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია.

ECL-ის გაანგარიშება ფინანსური გარანტიების და სასესხო ვალდებულებებისთვის. ამ ინსტრუმენტებისთვის ECL გაანგარიშება მოიცავს იმავე ეტაპებს, რაზეც ზემოთ საბალანსო პოზიციებზე ვისაუბრეთ, განსხვავდება მხოლოდ EAD გაანგარიშება. EAD კრედიტის კონვერსიის ფაქტორის (CCF) და ვალდებულების სიდიდის პროდუქტია. CCF კორპორაციული კლიენტების აუთვისებელ საკრედიტო ხაზებზე, ფიზიკურ პირებზე გაცემულ საკრედიტო ბარათებზე და ფინანსურ გარანტიებზე განისაზღვრება დეფოლტის დროს არსებული წარსული პოზიციების სტატისტიკური ანალიზის შედეგად.

საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით გაანგარიშების პრინციპები. გარკვეულ პოზიციებს აქვს საერთაშორისო საკრედიტო რისკის რეიტინგები. ისინი საკრედიტო რისკების პარამეტრების, დეფოლტის ალბათობის (PD) და LGD-ის გაანგარიშებისას გამოიყენება, შესაბამისი სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული დეფოლტის და ამოღების სტატისტიკის მიხედვით. ეს მიდგომა *გამოიყენება სამთავრობო, აღიარებული კორპორაციების და ბანკთაშორისი პოზიციებისთვის.*

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ECL გაანგარიშება ფინანსური ლიზინგის აქტივებისთვის. ჯგუფი აფასებს ფინანსური ლიზინგის აქტივების ზარალის რეზერვს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის მიხედვითაც ჯგუფი იჯარიდან მისაღებ შემოსავლებს აკლასიფიცირებს 1, 2 ან 3 ეტაპზე IFRS9 მოთხოვნების შესაბამისად.

კერძოდ, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფი აფასებს საკრედიტო რისკი ფინანსურ ინსტრუმენტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ (SICR ფუნქცია). შეფასება ხორციელდება ძირითადად რაოდენობრივი კრიტერიუმების საფუძველზე და SICR ფუნქცია ან/და დეფოლტი დგინდება, თუ მოხდება შემდეგი:

- ყველა ლიზინგიდან მისაღები შემოსავალი რომელსაც ამჟამად და/ან ბოლო 6 თვეში აქვს 30 DPD-ზე მეტი რომელსაც საკრედიტო რისკი საგრძნობლად აქვს გაზრდილი საწყისი აღიარების შემდეგ, ითვლება SICR მახასიათებლებად და კლასიფიცირებულია მე-2 ეტაპზე.
- ყველა ლიზინგიდან მისაღები შემოსავალი მიმდინარე 90 DPD-ით, ან არის პრობლემური რესტრუქტურიზაციის მქონე ბოლო 12 თვის განმავლობაში, ითვლება დეფოლტის ინდიკატორის მქონედ და კლასიფიცირებულია მე-3 ეტაპზე.

ECL-ისთვის ჯგუფი შემდეგ მანიშნებლებს იყენებს, გააჩნია ეტაპებზე პოზიციების განაწილებას:

- 12თვიანი ECL 1 ეტაპის ლიზინგიდან მისაღები შემოსავლებისთვის;
- არსებობის მთლიანი პერიოდის ECL მე- 2 ეტაპის ლიზინგიდან მისაღები შემოსავლებისთვის.

რაც შეეხება მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს, IFRS 9 გაუფასურების სისტემა მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გაანგარიშებაში საპროგნოზო ინფორმაციის შეტანას, მათ შორის მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებას ეკონომიკური გარემოს სხვადასხვა მდგომარეობის შეფასების გზით. მოცემულია საბაზო (ყველაზე დიდი 50%-იანი ალბათობით), ოპტიმისტური (ყველაზე მოსალოდნელზე უკეთესი, 25%-იანი ალბათობით) და პესიმისტური (ყველაზე დიდ ალბათობაზე უარესი, მოხდენის 25%-იანი შესაძლებლობით) სცენარები. ეკონომიკური ცვლადების პროგნოზებს აქვეყნებს ეროვნული ბანკი და იძლევა უახლოეს წლებში მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მოვლენების საუკეთესო შეფასებას. შესაბამისი ეკონომიკური ცვლადების გავლენა PD, EAD და LGD-ზე განისაზღვრა სტატისტიკური რეგრესიის ანალიზის შესრულებით, რათა გავიგოთ, რა გავლენა ჰქონდა ამ ცვლადებში ცვლილებებს ისტორიულად დეფოლტის მაჩვენებლებზე და LGD-სა და EAD-ის კომპონენტებზე. ჯგუფი ECL პარამეტრებს სხვადასხვა სცენარებში ცალცალკე განიხილავს და იღებს ECL-ის საბოლოო შეფასებას, რომელიც დანაკარგის რეზერვის კალკულაციის პროცესში გამოიყენება ალბათობით შეწონილი თანხის სახით, სადაც წონები ინდივიდუალური სცენარების მოხდენის ალბათობებს წარმოადგენს.

დასტური ხელმოწერა

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

დაზღვევის რისკი: ჯგუფს აქვს საბაზრო რისკის პოზიცია სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის შედეგად. კომპანია დაზღვევის რისკს მართავს გადაზღვევის და რისკების კონცენტრაციის გამოყენებით, ანდერრაიტინგის ლიმიტების მეშვეობით, ტრანზაქციების დამტკიცების პროცედურების და წარმოშობილი საკითხების მონიტორინგის საშუალებით.

ზარალების მართვის რისკი: ზოგადად, საავტომობილო ზარალების განცხადების შეფერხება უმნიშვნელოა, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ზარალების სირთულე შედარებით დაბალია. საერთო ჯამში, ზარალების ვალდებულებები ბიზნესის ამ მიმართულებაზე შეფასების ზომიერ რისკს ქმნის. კომპანია მონიტორინგს უწევს და რეაგირებს რემონტის ხარჯების ტენდენციებზე, ტრავმის ანაზღაურებაზე და ქურდობისა და უბედური შემთხვევის ზარალების სიხშირეზე.

ზარალების სიხშირეზე გავლენას ახდენს არასასურველი ამინდის პირობები, ხოლო პრეტენზიების მოცულობა უფრო მაღალია ზამთრის თვეებში. დაზღვევის საავტომობილო ანდერრაიტინგი ხდება ჯგუფის ამჟამინდელი გამოცდილების საფუძველზე.

გადაზღვევის რისკი: ჯგუფი გადაცემს სადაზღვევო რისკს, რათა შეზღუდოს ანდერრაიტინგის ზარალის ზემოქმედება სხვადასხვა შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც მოიცავს ინდივიდუალურ და პორტფელის რისკებს. ეს გადაზღვევის ხელშეკრულებები ანაწილებს რისკს და ამცირებს ზარალის ეფექტს. თითოეული შენარჩუნებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია ჯგუფის მიერ კონკრეტული რისკის შეფასებაზე. გადაზღვევის ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, გადამზღვეველი თანახმაა აანაზღაუროს გადაცემული თანხა ზარალის გადახდის შემთხვევაში. თუმცა, ჯგუფი პოლისის მფლობელთა წინაშე პასუხისმგებელი რჩება გადაცემულ დაზღვევასთან დაკავშირებით, თუ რომელიმე გადამზღვეველი ვერ ასრულებს თავის ნაკისრ ვალდებულებებს. გადამზღვეველის არჩევისას ჯგუფი ითვალისწინებს მათ შედარებით კრედიტუნარიანობას. გადამზღვეველის კრედიტუნარიანობა ფასდება ძირითადად საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

რეზერვის რისკი: არსებობს რისკი, რომ რეზერვები არასწორად შეფასდეს და არ იყოს საკმარისი თანხები ზარალების ასანაზღაურებლად ან დასამუშავებლად მათი ვადის დადგომისას. სადაზღვევო და გადაზღვევის ვალდებულებების შესაფასებლად კომპანია იყენებს საქართველოს სადაზღვევო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ აქტუარულ მეთოდებსა და დაშვებებს.

საკრედიტო რისკი დაზღვევასთან დაკავშირებით: ჯგუფი არ ექვემდებარება მნიშვნელოვან საკრედიტო რისკს მისაღებ შემოსავლებზე, რომლებიც წარმოიქმნება პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან, როცა პოლისები გაუქმებულია და პოლისთან დაკავშირებული გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვიც გაუქმებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ დამზღვევის მფლობელს არ სურს ან შეუძლია გააგრძელოს პოლისის პრემიების გადახდა. მენეჯმენტი ჩვეულებრივ სრულად არეზერვებს გაუფასურებულ სადაზღვევო მისაღებ შემოსავლებს 365 დღის ვადაგადაცილების შემდეგ.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

დაზღვევის რისკის მართვა. ჯგუფის ანდერრაიტინგის სტრატეგია მრავალფეროვნებას ესწრაფის იმგვარად, რომ ჯგუფის პორტფელი ყოველთვის მოიცავდეს არაკორელაციური რისკების რამდენიმე კლასს და რომ რისკის თითოეული კლასი, თავის მხრივ, განაწილდეს პოლიტიკის დიდ რაოდენობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ეს მიდგომა ამცირებს შედეგის ცვალებადობას.

ანდერრაიტინგის სტრატეგია ჩამოყალიბებულია ჯგუფის სადაზღვევო რისკის მართვის პოლიტიკით. სტრატეგია ხორციელდება ანდერრაიტინგის გაიდლაინებით, რომლებიც განსაზღვრავს ანდერრაიტინგის დეტალურ წესებს თითოეული ტიპის პროდუქტისთვის. გაიდლაინები შეიცავს სადაზღვევო კონცეფციებსა და პროცედურებს, დამახასიათებელი რისკის აღწერას, პირობებს, უფლებებსა და ვალდებულებებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ნიმუშის შეთანხმებას/პოლიტიკის მაგალითებს, მოქმედი ტარიფების დასაბუთებას და ფაქტორებს, რომლებიც გავლენას მოახდენს მოქმედ ტარიფზე. ტარიფის გამოთვლები ალბათობას და ვარიაციებს ეფუძნება.

ანდერრაიტინგის გაიდლაინების დაცვას მენეჯმენტი მუდმივად აკონტროლებს, ასევე, სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად აკონტროლებს ზარალის კოეფიციენტისა და ბიზნესის მომგებიანობის ტენდენციებს. რეგულარული ანალიზი საბჭოს საშუალებას აძლევს რეაგირება მოახდინოს და უზრუნველყოს პროდუქტების ფასის/სპეციფიკაციების ცვლილებები, რათა შეინარჩუნოს ზარალის სასურველი თანაფარდობა.

საბაზრო რისკი. ჯგუფი ითვალისწინებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებისგან ა) ვალუტაზე, ბ) საპროცენტო განაკვეთებზე და გ) კაპიტალის პროდუქტებზე. ყველა მათგანი დგას ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებების წინაშე. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ღირებულებაზე, რომელიც შეიძლება მიღებული იქნას, რაც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ ახდენს ამ ლიმიტების გარეთ დანაკარგების პრევენციას, ბაზრის სიტუაციის უფრო მკვეთრი ცვლილებების შემთხვევაში.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის შემთხვევაში, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს პოზიციის დონეზე ვალუტების მიხედვით მთლიანად როგორც ერთდღიან, ისე დღის მიგა პოზიციებზე, რაც ყოველდღიურ მონიტორინგს გადის. ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკის პოზიცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

	GEL	USD USD 1 =2.6894 GEL	EUR EUR 1 =2.9753 GEL	სხვა ვალუტა	დეკ 31, 2023 სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	89,175	103,702	86,656	4,477	284,010
სავალდებულო ფულადი რეზერვები სებ-ში	-	145,430	39,170	-	184,600
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	15,426	-	-	-	15,426
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	378,461	-	-	-	378,461
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,300,936	920,488	272,535	11	2,493,970
კლიენტებზე გაცემული ფინანსური ლიზინგი	16,130	10,006	-	-	26,136
გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები	74,974	-	-	-	74,974
სხვა ფინანსური აქტივები	1,801	444	24	-	2,269
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**1,876,903**	**1,180,070**	**398,385**	**4,488**	**3,459,846**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	274,393	10,473	-	-	284,866
კლიენტთა ანგარიშები	1,094,333	932,477	160,945	4,617	2,192,372
ნასესხები სახსრები	19,030	168,928	194,386	-	382,344
საფინანსო ვალდებულებები	1,820	14,150	-	-	15,970
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	77,101	-	-	-	77,101
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,998	926	37	-	3,961
სუბორდინირებული ვალი	-	61,495	44,888	-	106,383
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**1,469,675**	**1,188,449**	**400,256**	**4,617**	**3,062,997**
ღია საბალანსო პოზიცია	**407,228**	**(8,379)**	**(1,871)**	**(129)**	**396,849**

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის პოზიცია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე 2022 წლის 31 დეკემბერს მოცემულია ქვემოთ:

	GEL	USD USD 1 =2.7020 GEL	EUR EUR 1 =2.8844 GEL	სხვა ვალუტა	დეკ 31, 2022 სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	76,284	130,294	68,622	2,868	278,068
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	-	175,050	43,537	-	218,587
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	12,593	-	-	-	12,593
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	394,362	-	-	-	394,362
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,114,872	726,502	245,399	4	2,086,777
კლიენტებზე გაცემული ფინანსური ლიზინგი	10,743	6,937	-	-	17,680
გადახდების კონტრაქტების აქტივები	2,474	-	-	-	2,474
სხვა ფინანსური აქტივები	2,993	458	34	1	3,486
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**1,614,321**	**1,039,241**	**357,592**	**2,873**	**3,014,027**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	303,462	7,245	-	-	310,707
კლიენტთა ანგარიშები	881,326	912,127	164,339	2,948	1,960,740
ნასესხები სახსრები	42,012	111,353	189,572	-	342,937
სალიზინგო ვალდებულებები	2,132	16,444	-	-	18,576
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	3,192	-	-	-	3,192
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,288	1,147	353	70	5,858
სუბორდინირებული ვალი	-	13,577	43,356	-	56,933
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**1,236,412**	**1,061,893**	**397,620**	**3,018**	**2,698,943**
ღია საბალანსო პოზიცია	**377,909**	**(22,652)**	**(40,028)**	**(145)**	**315,084**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
ბრუტო ანგარიშსწორება:					
სავალუტო სვოპები	-	27,020	43,266	-	70,286
სავალუტო სვოპები	(70,857)	-	-	-	(70,857)
ღია პოზიცია	**307,052**	**4,368**	**3,238**	**(145)**	**314,513**

ღია სავალუტო პოზიციამ შეიძლება მნიშვნელოვანი დანაკარგები გამოიწვიოს, გააჩნია ვალუტის კურსებს შორის განსხვავების სიდიდეს და კურსის ცვლილებას. სავალუტო რისკთან მიმართებაში, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს პოზიციის დონეზე ვალუტების მიხედვით მთლიანად ერთდღიან და დღის შიგა პოზიციებზე, რაც ყოველდღიურ მონიტორინგს გადის. ზოგადი ღია პოზიციის ლიმიტები დგინდება რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, რადგან ცვლილებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის შემოსავლებზე, კაპიტალზე, ლიკვიდობაზე და გადახდისუნარიანობაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ღია სავალუტო პოზიციას ყოველდღიურად ანგარიშობენ და ინარჩუნებენ. დარღვევის შემთხვევაში ბანკმა უნდა გადადგას ნაბიჯები დაბალანსებისკენ და პარამეტრი დამტკიცებული ლიმიტის ქვეშ უნდა მოაქციოს. ზოგადი ღია სავალუტო პოზიციები არის კონსოლიდირებული საბალანსო და გარებალანსური პოზიცია, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტში უნდა ჯდებოდეს, რაც საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს შეადგენს.

ALCO (აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი) ადგენს დღის შიგა და ერთდღიანი ღია სავალუტო პოზიციების ლიმიტებს აგრეგირებული და ინდივიდუალური ვალუტებისთვის, რომლის შიგნითაც ბანკს შეუძლია იმუშაოს. პერიოდულად ALCO განაახლებს ხოლმე ამ ლიმიტებს, ბაზრის პირობებზე რეაგირების მიზნით. ბანკის შიდა ლიმიტები გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი. მიმდინარე ლიმიტი საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს უდრის. ბანკი სავალუტო რისკებს ICAAP სისტემის მიხედვით აკვირდება, 99% სანდოობის დონის შესაბამისი VaR-ით, (VaR შეფასება რისკის გათვალისწინებით) 10 დღიანი დაყოვნების პერიოდით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რისკის გათვალისწინებით შეფასების (VaR) სიდიდემ 712 ათასი ლარი (2022: 469 ათასი ლარი) შეადგინა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა გაცვლითი კურსების გონივრულად დასაშვები ცვლილებებისადმი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოხდა, ჯგუფის შესაბამისი შემადგენელი დაწესებულებების ფუნქციურ ვალუტასთან მიმართებაში, სხვა ყველა ცვლადის მუდმივობისას:

	2023 წლის 31 დეკემბერს	2022 წლის 31 დეკემბერს
ათასი ლარი	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება	(1,676)	874
აშშ დოლარის 20%-ით ვარდნა	1,676	(874)
ევროს 20%-ით გამყარება	(374)	648
ევროს 20%-ით ვარდნა	374	(648)

პოზიცია გაანგარიშებული იქნა მხოლოდ იმ ფულად ნაშთებზე, რომლებიც ჯგუფის შემადგენელი დაწესებულებების ფუნქციური ვალუტის გარდა სხვა ვალუტებშია დენომინირებული.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფი მხედველობაში იღებს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების რყევების ზეგავლენას მის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე. ამგვარი ცვლილებების შედეგად, საპროცენტო განაკვეთების მარჟები შეიძლება გაიზარდოს, ასევე შეიძლება შემცირდეს ან მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში დანაკარგები გამოიწვიოს. მენეჯმენტი ყოველდღიურად აკვირდება და ლიმიტებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შეუსაბამობის დონეზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების რისკის პოზიცია. ცხრილი აჩვენებს ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებულ ოდენობებს საბალანსო ღირებულებით, რომლებიც დაჯგუფებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთებისა და საკონტრაქტო ვადიანობების მიხედვით:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	არასაპროცენტო	სულ
31 დეკემბერი, 2023						
ფინანსური აქტივები სულ	1,269,616	975,590	277,402	781,956	155,282	3,459,846
ფინ ვალდებულებები სულ	862,395	644,948	588,597	539,081	427,976	3,062,997
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 2023 წლის 31 დეკ. მდგომ	**407,221**	**330,642**	**(311,195)**	**242,875**	**(272,694)**	**396,849**
31 დეკემბერი, 2022						
ფინანსური აქტივები სულ	487,034	1,335,439	303,529	789,544	98,481	3,014,027
ფინ ვალდებულებები სულ	1,009,766	663,551	356,023	294,981	374,622	2,698,943
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 2022 წლის 31 დეკ. მდგომ.	**(522,732)**	**671,888**	**(52,494)**	**494,563**	**(276,141)**	**315,084**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული სენსიტიურობის ანალიზი განისაზღვრა არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების ზემოქმედების საფუძველზე საანგარიშგებო თარიღისთვის. მცურავი განაკვეთის ვალდებულებებისთვის, ანალიზი მომზადებულია იმ ვარაუდით, რომ ანგარიშგების თარიღისთვის არსებული დაუფარავი დავალიანება მთელი წლის განმავლობაში იყო დაუფარავი. 200 საბაზისო პუნქტით ზრდა ან შემცირება გამოიყენება ძირითადი მენეჯმენტის პერსონალისთვის საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ შიდა მოხსენების გაკეთებისას და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას საპროცენტო განაკვეთების გონივრულად შესაძლო ცვლილების შესახებ.

თუ საპროცენტო განაკვეთები იქნება 200 საბაზისო პუნქტით მაღალი/დაბალი და ყველა სხვა ცვლადი უცვლელი იქნება, ჯგუფის:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება შემცირდება/გაიზრდება 9,830 ათასი ლარით (2022 წელი: კლება/ზრდა 5,553 ათასი ლარით). ეს ძირითადად ეხება ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების პოზიციას აქტივებსა და სესხებზე ცვლადი განაკვეთის მიმართ; და

თუ საპროცენტო განაკვეთები იქნება 100 საბაზისო პუნქტით მაღალი/დაბალი და ყველა სხვა ცვლადი უცვლელი იქნება, ჯგუფის:

- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს სხვა სრული შემოსავალი შემცირდება/გაიზრდება 4,915 მილიონი ლარით (2022: კლება/ზრდა 565 მილიონი ლარით) ძირითადად ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივების და ნასესხები სახსრების საპროცენტო შემოსავლის ცვლილების გამო.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენა ფიქსირებული განაკვეთის მქონე FVOCI-ით აღრიცხულ სავალო ფასიან ქაღალდებზე:

	2023	2022
საპროცენტო განაკვეთის ზრდა 200 საბაზო ერთეულით	(8,732)	(7,778)
საპროცენტო განაკვეთის კლება 200 საბაზო ერთეულით	9,407	8,380
საპროცენტო განაკვეთის ზრდა 100 საბაზო ერთეულით	(4,447)	(3,961)
საპროცენტო განაკვეთის კლება 100 საბაზო ერთეულით	4,615	4,111

ჯგუფი აკვირდება მისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს საპროცენტო განაკვეთებს შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მთავარი მენეჯმენტის მიერ განხილული ანგარიშების მიხედვითაა შედგენილი.

	2023			2022		
In % p.a.	GEL	USD	Euro	GEL	USD	Euro
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.2%	0.5%	0.1%	7.4%	2.8%	0.1%
საკორესპონდ ანგარიშები სებ-ში	9.5%	-	-	11%	-	-
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	-	-	-	-	-	-
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	13.6%	-	-	11%	-	-
ინვესტიციები სავალო ფას ქაღ	10%	-	-	10%	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	13.7%	9.7%	8.4%	14.4%	8.5%	6.1%
ფინანსური ლიზინგიდან მისაღ შემოს	21.4%	13.3%	-	21.0%	12.5%	-
ვალდებულებები						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	10.1%	3.3%	-	11.1%	-	-
კლიენტთა ანგარიშები	11.2%	3.4%	1.8%	11.5%	2.1%	0.8%
- მიმდინარე და საანგარიშსწ ანგარიშები	9.0%	1.6%	0.5%	9.8%	2.0%	0.5%
- ვადიანი დეპოზიტები	12.0%	3.5%	1.9%	12.1%	2.1%	0.8%
ნასესხები სახსრები	13.3%	7.3%	5.8%	14.0%	6.1%	5.3%
სალიზინგო ვალდებულებები	11.9%	4.3%	-	12.2%	4.7%	-
სუბორდინირებული ვალი	-	7.5%	10.6%	-	7.0%	8.8%

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ზემოთ მოყვანილ ცხრილში „-" ნიშანი ნიშნავს, რომ ჯგუფს შესაბამის ვალუტაში არ აქვს აქტივები და ვალდებულებები.

ნინასწარ დაფარვის რისკი. ჯგუფის წინაშე დგას წინასწარ დაფარვის რისკი, რადგან ის ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთების მქონე სესხებს გასცემს, მათ შორის იპოთეკურ სესხებს, რაც მსესხებელს უფლებას აძლევს, ადრე დაფაროს სესხი. ჯგუფის მიმდინარე წლის მოგებაზე და მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ კაპიტალზე წინასწარ დაფარვის სიდიდის ცვლილებები არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენს, რადგან ეს სესხები ბალანსზე ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, წინასწარ დაფარვის უფლება კი უდრის ან უახლოვდება კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების ამორტიზებულ ღირებულებას (2022: არსებითი ზეგავლენა არ ყოფილა).

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა რეგულირდება ბანკის აქტივების და ვალდებულებების მართვის (ALM) პოლიტიკით. რისკების მართვის დეპარტამენტი რეგულარულად ამზადებს საპროცენტო მგრძნობელობის გეპის ანგარიშს გადაფასების პერიოდების მიხედვით. ამ ანგარიშის გამოყენებით ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენას ბანკის მოგებაზე.ანგარიშში ნაჩვენებია საპროცენტო განაკვეთების სტრესის სიდიდე (რომელიც საბაზისო პუნქტებით გამოიხატება), რომელსაც რისკების მართვის დეპარტამენტი განსაზღვრავს შესაბამის ვალუტებზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთების რყევების მიხედვით. ბანკის მოგებაზე დასაშვები შესაძლო გავლენის ლიმიტი განისაზღვრება საზედამხედველო კაპიტალის 1%-მდე ოდენობით.

რისკების გეოგრაფიული კონცენტრაცია. ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2023 წლის 31 დეკემბერს მოცემულია ქვემოთ::

ათასი ლარი	საქართველო	ჩინეთი	OECD	არა-OECD	სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	128,830	1,445	152,129	1,606	284,010
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	184,600	-	-	-	184,600
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	15,426	-	-	-	15,426
ინვესტიციები სავაჭრო ფასიან ქაღალდებში	378,461	-	-	-	378,461
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	2,457,255	1,434	8,950	26,331	2,493,970
კლიენტებზე გაცემული ფინანსური ლიზინგი	26,136	-	-	-	26,136
გაცვლითი კონტრაქტების აქტივები	73,219	406	344	1,005	74,974
სხვა ფინანსური აქტივები	2,106	134	12	17	2,269
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**3,266,033**	**3,419**	**161,435**	**28,959**	**3,459,846**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	284,866	-	-	-	284,866
კლიენტთა ანგარიშები	2,021,480	17,356	36,094	117,442	2,192,372
ნასესხები სახსრები	-	2,723	349,899	29,722	382,344
სალიზინგო ვალდებულებები	15,970	-	-	-	15,970
საგაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	75,632	461	493	515	77,101
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,961	-	-	-	3,961
სუბორდინირებული ვალი	40,865	20,630	44,888	-	106,383
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**2,442,774**	**41,170**	**431,374**	**147,679**	**3,062,997**
საბალანსო არაწარმოებული ფინანსური ინტრუმენტების წმინდა პოზიცია	**823,259**	**(37,751)**	**(269,939)**	**(118,720)**	**396,849**

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულ და უფექტიანობის გარანტიები	593,872	10	23	3,290	597,195
წმინდა პოზიცია	229,387	(37,761)	(269,962)	(122,010)	(200,346)

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

აქტივები, ვალდებულებები და კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები ზოგადად იმ ქვეყანას ეხება, რომელშიც კონტრაგენტი მდებარეობს. ნამთები კონტრაგენტებთან, რომელიც იმ კომპანიებისთვისაა გადასახდელი, ან მათგან მისაღები, რომლებსაც საბოლოო ჯამში ჩინეთში განლაგებული ბიზნესერთეულები აკონტროლებს, გაერთიანებულია სათაურში „ჩინეთი". ფული და ფულის ეკვივალენტები მოცემულია იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ისინი ფიზიკურად იმყოფება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	საქართველო	ჩინეთი	OECD	არა-OECD	სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	248,691	662	15,042	13,673	278,068
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	218,587	-	-	-	218,587
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	12,593	-	-	-	12,593
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	394,362	-	-	-	394,362
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	2,031,473	433	8,313	46,558	2,086,777
კლიენტებზე გაცემული ფინანსური ლიზინგი	17,680	-	-	-	17,680
გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები	1,270	158	335	711	2,474
სხვა ფინანსური აქტივები	2,992	147	258	89	3,486
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**2,927,648**	**1,400**	**23,948**	**61,031**	**3,014,027**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	310,707	-	-	-	310,707
კლიენტთა ანგარიშები	1,817,177	17,659	17,787	108,117	1,960,740
ნასესხები სახსრები	-	13,830	329,107	-	342,937
სალიზინგო ვალდებულებები	18,576				18,576
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	2,052	224	461	455	3,192
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,671	16	170	1	5,858
სუბორდინირებული ვალი	-	13,577	43,356	-	56,933
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**2,154,183**	**45,306**	**390,881**	**108,573**	**2,698,943**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ					
საბალანსო არაწარმოებული ფინანსური ინტრუმენტების წმინდა პოზიცია	**773,465**	**(43,906)**	**(366,933)**	**(47,542)**	**315,084**
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულ და უფექტიანობის გარანტიები	**392,057**	**4,020**	**-**	**4,557**	**400,634**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					

ბრუტო ანგარიშსწორება:					
საკალუტო სვოპები	-	-	(70,857)	-	(70,857)
საკალუტო სვოპები	-	-	70,286	-	70,286
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სულ	-	-	(571)	-	(571)
წმინდა პოზიცია	381,408	(47,926)	(366,362)	(52,099)	(84,979)

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როდესაც დაწესებულება წააწყდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების სირთულეს. ჯგუფი ყოველდღიურად აწყდება მოთხოვნას ფულად რესურსებზე: ერთდღიან დეპოზიტებზე, მიმდინარე ანგარიშებზე, დაფარვის ვადას მიახლოებულ დეპოზიტებზე, სესხების ათვისებაზე, გარანტიებზე, მარჟაზე, ასევე სხვა მოთხოვნებს ფულით გაქვითვად წარმოებულ ინსტრუმენტებზე. ჯგუფს არ აქვს ფულადი რესურსები ყველა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რადგან გამოცდილება აჩვენებს, რომ დაფარვის ვადას მიახლოებულ სახსრებზე ახალი ინვესტიციის მინიმალური დონე მეიძლება წინასწარ განისაზღვროს მაღალი სიზუსტით. ლიკვიდობის რისკს ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების კომიტეტი მართავს.

ჯგუფი ლიკვიდობის რისკს მართავს „აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის" და „ლიკვიდობის მართვის რეგულაციის" შესაბამისად, რომლებშიც ლიკვიდობის მართვის დეტალური პროცესები და ლიმიტების სისტემაა აღწერილი. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე, ხოლო ლიკვიდობის ყოველდღიური მართვა ევალება ხაზინის დეპარტამენტს.

ჯგუფი ცდილობს, შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სხვა ბანკების წინაშე არსებული ვალდებულებებისგან, კორპორაციული და საცალო კლიენტების დეპოზიტებისგან. ჯგუფი სახსრების ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელებში, რათა სწრაფი და შეუფერხებელი რეაგირება ჰქონდეს გაუთვალისწინებელ ლიკვიდობის მოთხოვნებზე.

ჯგუფის მიერ ლიკვიდობის მართვა მოითხოვს ლიკვიდური აქტივების იმ დონის გათვალისწინებას, რომელიც აუცილებელია ვადადამდგარი ვალდებულებების შესასრულებლად, დაფინანსების სხვადასხვა წყაროს შესანარჩუნებლად, გაუთვალისწინებელი გეგმებისთვის სახსრების შესანარჩუნებლად და საზედამხედველო მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელი ლიკვიდობის კოეფიციენტების მონიტორინგისთვის.

ლიკვიდობა ცალკე ანგარიშდება და ფასდება. ბანკი ლიკვიდობის კოეფიციენტებს ანგარიშობს ყოველდღიურად, სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად. ეს კოეფიციენტებია:

- ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად: მაღალხარისხიანი ლიკვიდური აქტივები იყოფა წმინდა ფულადი ნაკადების გადინებებზე 30-დღიანი სტრესის პერიოდში. მაღალხარისხიან ლიკვიდურ აქტივებში შეტანილია მხოლოდ მაღალი პოტენციალის მქონე აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება ფულად.
- NSFR - განისაზღვრება, როგორც სტაბილური დაფინანსების თანხა საჭირო სტაბილურ დაფინანსებასთან ფარდობით;

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კოეფიციენტები შემდეგია:

	2023 ფაქტ	2023 სებ მოთხ	2022 ფაქტ	2022 სებ მოთხ
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი სულ	123%	>=100%	124%	>=100%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (GEL)	98%	>=75%	107%	>=75%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (FC)	166%	>=100%	138%	>=100%
NSFR	117%	>=100%	121%	>=100%

ხაზინის დეპარტამენტი იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის პროფილის შესახებ. შემდეგ დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ პორტფელს, რომელიც ძირითადად მოკლევადიანი ლიკვიდური სავაჭრო ფასიანი ქაღალდებისგან, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებისგან და სხვა ბანკთაშორისი სესხებისგან შედგება. ის უზრუნველყოფს, რომ მთელ ჯგუფს საკმარისი ლიკვიდობა უნარჩუნდება.

ხაზინის დეპარტამენტი ასრულებს ყოველდღიური ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს და აკეთებს რეგულარულ ლიკვიდობის სტრეს-ტესტირებას სხვადასხვა სცენარით როგორც ბაზრის ჩვეულებრივ, ისე მკაცრ პირობებში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობით. ვადიანობის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების ოდენობა სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია, მათ შორის მთლიანი ფინანსური ლიზინგის ვალდებულებები (მომავლის დაფინანსების ხარჯების გამოკლებამდე), მთლიანი სასესხო ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული თანხისგან, რადგან ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული თანხა დისკონტირებულ ფულად ნაკადებზეა აგებული. ფინანსური დერივატივები შეტანილია მისაღები ან გადასახდელი სახელშეკრულებო თანხებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფი მოელის, რომ დერივატივის პოზიციას მისი ვადიანობის თარიღამდე დახურავს. ასეთ შემთხვევაში დერივატივი მეტანილია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	277,232	7,781	-	-	-	285,013
კლიენტთა ანგარიშები - ფიზ პირები	348,276	212,211	281,176	251,620	6,999	1,100,282
კლიენტთა ანგარიშები - სხვა	500,698	250,754	244,083	180,518	307	1,176,360
წასესხები სახსრები	20,089	121,140	100,444	171,368	-	413,041
საიჯარო ვალდებულებები	364	1,764	2,064	12,336	1,536	18,064
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	76,786	-	315	-	-	77,101
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,755	203	3	-	-	3,961
სუბორდინირებული ვალი	941	2,388	4,294	41,751	113,051	162,425
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**1,228,141**	**596,241**	**632,379**	**657,593**	**121,893**	**3,236,247**
ფინანსური გარანტიები	220,665	-	-	-	-	220,665
აუთვისებელი საკრედიტო ვალდებულებები	316,029	-	-	-	-	316,029
აკრედიტივები	1,462	-	-	-	-	1,462
ფინანსური ვალდებულებების პოტენციური სამომავლო დაფარვა სულ	**1,766,297**	**596,241**	**632,379**	**657,593**	**121,893**	**3,774,403**

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის ანალიზი ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე 3 და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	304,480	-	7,245	-	-	311,725
კლიენტთა ანგარიშები - ფიზ პირები	376,733	228,297	229,131	96,144	7,778	938,083
კლიენტთა ანგარიშები - სხვა	610,245	263,397	128,273	75,234	7,888	1,085,037
ნასესხები სახსრები	20,727	45,036	104,159	204,601	-	374,523
საიჯარო ვალდებულებები	338	1,679	2,006	14,891	2,519	21,433
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	1,478	-	1,714	-	-	3,192
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,524	791	543	-	-	5,858
სუბორდინირებული ვალი	-	1,912	2,884	31,497	49,521	85,814
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**1,318,525**	**541,112**	**475,955**	**422,367**	**67,706**	**2,825,665**
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ბრუტო ანგარიშსწორება:						
სავალუტო სვოპები	-	(70,857)	-	-	-	(70,857)
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სულ	-	(70,857)	-	-	-	(70,857)
ფინანსური გარანტიები	106,590	-	-	-	-	106,590
აუთვისებელი საკრედიტო ვალდებულებები	258,522	-	-	-	-	258,522
აკრედიტივები	564	-	-	-	-	564
ფინანსური ვალდებულებების პოტენციური სამომავლო დაფარვა სულ	**1,684,201**	**470,255**	**475,955**	**422,367**	**67,706**	**3,120,484**

გარანტიებზე მოთხოვნის და აკრედიტივების მხარდამჭერი ლიკვიდობის მოთხოვნები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ზემოთ მოყვანილ ვადიანობის ანალიზში მოცემული ვალდებულების ოდენობა, რადგან ჯგუფი ზოგადად არ მოელის, რომ მესამე მხარე შეთანხმების ფარგლებში მოახდენს სახსრების გატანას. კრედიტის გაცემის ვალდებულების მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო თანხა, რომელიც ზემო ცხრილშია მოცემული, არ წარმოადგენს მომავლის მოთხოვნას ფულზე, რადგან ამ ვალდებულებებიდან ბევრს ვადა გაუვა ან შეწყდება დაფინანსების გარეშე.

ბრუტო ფორვარდებთან დაკავშირებული გადახდებს თან ახლავს მესაბამისი ფულადი ნაკადები. კლიენტთა ანგარიშები ზემოთ მოყვანილ ანალიზში მოცემულია სახელშეკრულებო ვადიანობით. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ, მათი დეპოზიტები გამოიტანონ ვადის დადგომამდე, თუ უარს იტყვიან მათ უფლებაზე, ისარგებლონ დაგროვილი პროცენტით.

ჯგუფი ლიკვიდობის სამართავად არ იყენებს ზემოთ მოყვანილ ვადიანობის ანალიზს ვალდებულებების არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით. ამის ნაცვლად, ჯგუფი აკვირდება მოსალოდნელ ვადიანობებს და საბოლოო მოსალოდნელ ლიკვიდობის გეპს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია არაწარმოებული ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი საბალანსო ღირებულებით მათი სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით, გარდა აქტივებისა, რომლებიც მზა სახით იყიდება, თუ საჭიროა ფინანსურ ვალდებულებებზე ფულის გადინების დაფარვა.

31 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ასეთი ფინანსური აქტივები შეტანილია ვადიანობის ანალიზში, რომელიც ემყარება მათი გასხვისების მოსალოდნელ თარიღს. გაუფასურებული სესხები შეტანილია საბალანსო ღირებულებით გარდა გაუფასურების რეზერვებისა, და ემყარება ფულის შემოდინების მოსალოდნელ დროით პერიოდს. როცა გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, გამჭვანებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაანგარიშდება სპოტ კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის ანალიზი ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
31 დეკემბერს, 2023						
არაწარმოებული ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	283,174	835	-	-	-	284,009
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	184,600	-	-	-	-	184,600
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	-	6,343	9,084	-	15,427
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	18,666	106,675	10,802	210,428	31,890	378,461
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	270,270	231,405	328,128	952,526	711,641	2,493,970
კლიენტებზე გაცემული ფინანსური ლიზინგი	18	1,285	1,256	23,453	124	26,136
გადაზღვევის კონტრაქტების აქტივები	74,617	-	357	-	-	74,974
სხვა ფინანსური აქტივები	2,271	-	-	-	-	2,271
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**833,616**	**340,200**	**346,886**	**1,195,491**	**743,655**	**3,459,848**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	277,084	7,782	-	-	-	284,866
კლიენტთა ანგარიშები - ფიზ პირები	68,374	230,955	292,141	315,873	150,119	1,057,462
კლიენტთა ანგარიშები - სხვა	65,522	262,532	294,374	333,106	179,376	1,134,910
ნასესხები სახსრები	19,483	113,355	92,137	157,369	-	382,344
საიჯარო ვალდებულებები	304	1,490	1,765	10,974	1,437	15,970
სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები	76,651	-	450	-	-	77,101
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,755	203	3	-	-	3,961
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	13,514	92,869	106,383
